ა. ონიანი

ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები

ზმნის პირი, რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1978

4Г
499.962-1
ო 472

წინამდებარე წიგნში განხილულია ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი. ჯერ მოცემულია ზმნის პირისა და რიცხვის (აგრეთვე ინ. კლუზივ-ექსკლუზივის) მორფემათა სინქრონული ანალიზი თითოეულ ქართველურ ენაში, შემდეგ—ამ მორფემათა შინაგანი რეკონსტრუქცია და, ბოლოს, მიღებულ შედეგთა ერთმანეთთან შედარების გზით—საერთო-ქართველური საფუძვლის რეკონსტრუქცია. ივარაუდება, რომ ამგვარ ოპერაციათა საფუძველზე მიღებული შედეგი გარკვეული მიახლოებით იძლევა იმ სურათს, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა საერთო-ქართველური ფეძე-ენის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე.

წიგნი დახმარებას გაუწევს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებსა და ასპირანტებს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ზმნის კატეგორიების სწავლების დროს.

ავტორი თავს მოვალედ თვლის მოწიწებით მოიგონოს თავისი დიდი მასწავლებელი, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი და უდროოდ გარდაცვლილი ბრწყინვალე ენათმეცნიერი, პროფესორი გივი მაჭავარიანი, რომლებთან ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ნაშრომის სახე.

70103—191
О————————248—78
М-602(08)—78
© გამომცემლობა „განათლება", 1978

შესავალი

ძირითადი ერთეული, რომელიც მორფოლოგიაში შეისწავლება, არის მორფემა. მორფემა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც მნიშვნელობის მქონე უმცირესი ენობრივი ერთეული. გამოიყოფა მორფემის ორი სახესხვაობა: 1. ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფემა, რომელსაც ძირეულ მორფემას (ზოგჯერ ლექსემას) უწოდებენ, 2. გრამატიკული მნიშვნელობის მქონე მორფემა, რომელიც აფიქსური მორფემის (ან საკუთრივ მორფემის) სახელწოდებით არის ცნობილი [1].

მორფოლოგიური სეგმენტაციის (უმცირეს მორფოლოგიურ ერთეულთა გამოყოფის) საფუძველზე მიიღება მორფოლოგიური სეგმენტები, ანუ მორფები, რომლებიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ მორფემებს. სათანადო ლინგვისტურ პროცედურათა ჩატარების შემდეგ მორფთა ერთი ნაწილი ერთიანდება ერთ მორფემაში, მეორე ნაწილი — მეორე მორფემაში და ა. შ.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში შემუშავებულია მორფთა ერთ მორფემაში გაერთიანების პრინციპები, თუმცა აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობა აქაც შეინიშნება. არსებულ შეხედულებათა გათვალისწინებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: გამოხატულების პლანში ერთმანეთისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებული მორფოლოგიური სეგმენტები (მორფები) ერთ მორფემაში ერთიანდებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი მნიშვნელობით ერთმანეთს ემთხვევიან, ე. ი. თუ მათ შორის არ არის განსხვავება შინაარსის პლანში. ასეთი მორფოლოგიური ერთეულები, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის ან თავისუფალი მონაცვლეობის დამოკიდებულებაში.

---

[1] **Л. Блумфилд**, Язык, Москва, 1968, გვ. 222—268; **Г. Глисон**, Введение в дескриптивную лингвистику, Москва, 1959, გვ. 91—139; **Е. Курилевич**, Очерки по лингвистике, Москва, 1962; **А. Мартине**, Основы общей лингвистики. Новое в лингвистике, вып. III, Москва, 1963, გვ. 451—481; **Г. А. Климов**. Фонема и морфема, Москва, 1967, გვ. 12—103; **Ю. С. Степанов**, Основы общего языкознания, Москва, 1975, გვ. 110—121; **Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов. Е. С. Кубрякова**, Американский структурализм. Основные направления структурализма, Москва, 1964, გვ. 239—306; **ზანნა მაკავარიანი**, მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები დესკრიპციულ ენათმეცნიერებაში, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, 1969, გვ. 441—451 და სხვა.

ამა თუ იმ მორფემაში გაერთიანებული მორფოლოგიური ერთეულები ცნობილია მორფემის ვარიანტების ანუ ალომორფების სახელწოდებით. მას შემდეგ, რაც მორფი რომელიმე მორფემაში გაერთიანდება, ის ამ მორფემის ალომორფად იწოდება. ამასთანავე, ალომორფი არის ერთობლიობა ისეთი მორფებისა, რომლებიც იდენტურნი არიან როგორც გამოხატულების, ისე შინაარსის პლანში.

როგორც ვხედავთ, მორფემის სახელწოდებით აღინიშნება არა რომელიმე კონკრეტული მორფოლოგიური სეგმენტი (მორფი), არამედ მასში (მორფემაში) შემავალ ალომორფთა მთელი სიმრავლე — მორფემა არის ალომორფთა კლასი. ამიტომაა, რომ გამოხატულების პლანში ერთმანეთისაგან განსხვავებულ სეგმენტთა რიცხვი, ჩვეულებრივ, ბევრად აღემატება მორფემათა რიცხვს.

ალომორფები, რომელთა გამოვლენასაც ფონოლოგიური გარემოცვა განსაზღვრავს, ფონოლოგიურად შეპირობებული (ავტომატური) ალომორფების სახელწოდებით არის ცნობილი, მაგ., ქართულში ზოთხრობითი ბრუნვის მორფემის /-მა/ და /-მ/ ალომორფთა გამოვლენა ავტომატურად ხდება იმის მიხედვით, ხმოვანი უძღვის მას წინ თუ — თანხმოვანი: კაც-მა — მეფე-მ.

ალომორფებს, რომელთა გამოვლენაც ფონოლოგიურ პოზიციაზე არ არის დამოკიდებული, მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებს უწოდებენ, მაგ., ქართულში ვნებითი გვარის მორფემის /-ი/ და /-ე/ ალომორფთა გამოვლენას განსაზღვრავს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ ის, თუ რამდენპირიანია ზმნა: ი-ჯმება — ე-ჯმება.

მორფოლოგიური კატეგორიის არსებობის საფუძველი არის საპირისპირო (ერთმანეთისაგან განსხვავებულ) ფორმათა არსებობა. სხვაგვარად — რომელიმე ენაში ესა თუ ის მორფოლოგიური კატეგორია შეიძლება გვქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოიპოვება საპირისპირო ფორმები (ოპოზიციის წევრები), რომელთაც ერთი ზოგადი მნიშვნელობის შიგნით რეგულარულად ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ. ოპოზიციის თითოეული წევრის მნიშვნელობა გრამემის სახელწოდებით არის ცნობილი [1].

ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოიყოფა ოპოზიციის ორი სახე-სხვაობა: 1. ეკვიპოლენტური ოპოზიცია, როდესაც დაპირისპირების ორივე (ან ყველა) წევრი რაიმე აფიქსური მორფემით აღინიშნება. ამ პრინციპს ემყარება, მაგ., სახელთა ბრუნების (აგრეთვე ზმნის უღლების) პარადიგმები თანამედროვე ქართულში — ყოველ ბრუნვას

---

[1] ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბილისი, 1972 წ., გვ. 202—211; Ю. С. Степанов, Основы общего языкознания, გვ. 110—121 და სხვა.

თავისი აფიქსური მორფემა მოეპოვება, რითაც ის უპირისპირდება ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმას. 2. პრივატული ოპოზიცია, როდესაც ოპოზიციის ერთ-ერთი (ან რამდენიმე) წევრი რაიმე აფიქსური მორფემით აღინიშნება, მეორე (ან ერთი რომელიმე) წევრი კი მას (ან მათ) ამ მორფემის უქონლობით უპირისპირდება [1]. ამ პრინციპს ემყარება, მაგ., რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა თანამედროვე ქართველური ენების სახელებში — აფიქსური მორფემით მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აღინიშნება, მხოლოობითი რიცხვის ფორმა კი მას ამ მორფემის უქონლობით უპირისპირდება. ოპოზიციის ამ სახესხვაობაში განარჩევენ მარკირებულ და არამარკირებულ წევრებს — ოპოზიციის მარკირებული წევრია აფიქსური მორფემის მქონე, ხოლო არამარკირებული — მისი არმქონე წევრი. ე. ი. ქართველურ ენებში მარკირებულია მრავლობითი რიცხვის ფორმა, ხოლო არამარკირებული — მხოლოობითი რიცხვისა.

ენობრივ მოვლენათა ანალიზისათვის, როგორც ცნობილია, საჭიროა ლინგვისტური ანალიზის დონეთა იერარქიის სათანადოდ დაცვა: ყოველი ზედა დონის ანალიზისათვის აუცილებელია ქვედა დონის ანალიზის შედეგების გათვალისწინება (ზოგჯერ ქვედა დონის ანალიზიც მოითხოვს ზედა დონის მონაცემთა გათვალისწინებას), ე. ი. მორფოლოგიის საკითხთა ჯეროვნად შესწავლა შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ არ არის ჩატარებული მასთან დაკავშირებული ფონოლოგიური და მორფონოლოგიური საკითხების ასე თუ ისე ამომწურავი ანალიზი [2]. ეს ერთნაირად სავალდებულოა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ანალიზისათვის. სწორედ ამიტომ მორფოლოგიის საკითხებზე მსჯელობის დროს ვემყარებით ფონოლოგიურ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს, საჭიროების შემთხვევაში ჩვენ თვითონ ვცდილობთ სათანადო ფონოლოგიურ (და მორფონოლოგიურ) საკითხთა დამუშავებას.

ენობრივი სტრუქტურის ყოველი დონე შეიძლება შესწავლილ იქნეს როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად. მაგრამ სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზით დაინტერესება სხვადასხვაგვარი იყო ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნემდე ენათმეცნიერება, არსებითად, სინქრონიული

---

[1] ფონოლოგიაში ოპოზიციის ამ სახესხვაობათა შესახებ იხ. **Н. С. Трубецкой.** Основы фонологии, Москва, 1960, გვ. 82—85.

[2] **Э. Бенвенист,** Уровни лингвистического анализа, Новое в лингвистике, вып. IV, 1965, გვ. 434—449; **Г. Глисон,** Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 108; **З. С. Харрис,** Метод в структурной лингвистике, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, часть II, 1960, გვ. 155, 169—170.

ხასიათისა იყო. დიაქრონიული ლინგვისტიკა კი, ფაქტობრივ, არ არსებობდა, რადგანაც არ არსებობდა ენის ისტორიის კვლევის მეთოდები და ხერხები. მე-19 საუკუნის დასაწყისთან არის დაკავშირებული უდიდესი ძვრა ლინგვისტური აზროვნების განვითარებაში — ჩამოყალიბდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი — ენის ისტორიის შესწავლის ძლავრი საშუალება. ამას ბუნებრივად მოჰყვა დიაქრონიული კვლევა-ძიებით უდიდესი დაინტერესება, რასაც ფასდაუდებელ დადებით შედეგებთან ერთად მოჰყვა ზოგი უარყოფითი შედეგიც. უმნიშვნელოვანესი დადებითი შედეგი არის ის, რომ თანდათან ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და ამ მეთოდის გამოყენებით ბრწყინვალე შედეგები იქნა მოპოვებული სხვადასხვა ენათა ოჯახების, უწინარეს ყოვლისა კი ინდოევროპული ენების, ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ მოპოვებული წარმატებები იმდენად შთამაგონებელი და თვალისმომჭრელი იყო, რომ ენათმეცნიერებად მხოლოდ ენის ისტორიის კვლევა გამოცხადდა, ასე დაისვა ტოლობის ნიშანი ენათმეცნიერებასა და ენის ისტორიას შორის. ამას ძედეგად მოჰყვა სინქრონიული ანალიზის უგულებელყოფა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა, ჯერ ერთი, მე-19 საუკუნის წინანდელი ენათმეცნიერების წინარემეცნიერულად გამოცხადება და, მეორეც, ჩამორჩენა სინქრონიული ანალიზის მეთოდების ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში. ეს გასაგებია, რადგანაც ენის სინქრონიული ანალიზი (როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ — ენის აღწერა) არამეცნიერულად იქნა მიჩნეული (ამგვარი თვალსაზრისის ნაშთებმა, როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე მოაღწია). რამდენადაც არავისთვის სადავო არ არის, რომ ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ურთიერთგაგებინებაა, ურთიერთგაგებინებისათვის კი ენა გამოიყენება როგორც სინქრონიული სისტემა და ამავე დროს ეს სისტემა უაღრესად რთული აგებულებისაა, ამდენად, სრულიად გაუგებარია სინქრონიისადმი ამგვარი დამოკიდებულება. ამიტომ, ცხადია, მოსალოდნელი იყო ამგვარი ცალმხრივობის დაძლევა. ეს მისია წილად ხვდა XX საუკუნეს, უმთავრესად კი ე. წ. სტრუქტურული ლინგვისტიკის წარმომადგენლებს. პირველ ხანებში სინქრონიული ანალიზით გატაცება, რაც სტრუქტურული ლინგვისტიკისათვის იყო დამახასიათებელი, აიხსნება არა იმდენად დიაქრონიული ანალიზის უგულებელყოფით, როგორც ზოგჯერ ცდილობენ წარმოადგინონ საქმის ვითარება, რამდენადაც სინქრონიის დარგში ჩამორჩენის დაძლევისაკენ მისწრაფებით.

ნათქვამიდან ჩანს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევა ენის როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით შესწავლა.

სინქრონია, როგორც ცნობილია, არის ენის მდგომარეობა დროის

ერთ კონკრეტულ მონაკვეთში მის მიერ ისტორიულად განცდილ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად. ენა თავის ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს როგორც ურთიერთგაგებინების საშუალებათა სინქრონიული სისტემა, რამდენადაც ერთმანეთის თანამედროვენი ენას ყოველ კონკრეტულ მომენტში იყენებენ როგორც ჩაკეტილ სისტემას მის მიერ ისტორიულად განცდილ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად. თანამედროვეთა შორის ურთიერთგაგებინების მიღწევას ენის ისტორიის ცოდნა არ სჭირდება, სწორედ ამიტომ ჩვეულებრივმა მეტყველმა ის (ენის ისტორია), როგორც წესი, არც იცის.

რამდენადაც ენის ფუნქციონირების ძირითადი ფორმა არის მისი გამოყენება კომუნიკაციისათვის თანამედროვეთა შორის, ამდენად, ცხადია, ენა, ძირითადად, ფუნქციონირებს როგორც სინქრონიული სისტემა (ე. ი. თანაარსებულ ელემენტთა სისტემა). სრულიად აშკარაა, რომ იმ რთული სისტემის მეცნიერული შესწავლა, რომელიც ურთიერთგაგებინებისთვისაა გამოყენებული, ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა კი არის ენის მიერ ისტორიულად განცდილ ცვლილებათა შესწავლა.

ენობრივ ერთეულთა სინქრონიულობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მათ თანადროულ არსებობასა და ფუნქციონირებას ენაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენაში თანაარსებული ერთეულები სინქრონულია მიუხედავად იმისა, თუ როდის არის წარმოშობილი თითოეული მათგანი., მაგ,. **კაცი, ვარდი** და **კოლმეურნე** თანამედროვე ქართული ენის სინქრონიული ფაქტებია მიუხედავად იმისა, რომ **კაცი** საერთო-ქართველურიდან მოდინარეობს, **ვარდი** უფრო გვიან არის შემოსული სპარსულიდან, ხოლო **კოლმეურნე** ჩვენ თვალწინ არის გაჩენილი. ამდენად, ენობრივ სისტემაში თანაარსებულ ერთეულთა არასინქრონიულად მიჩნევა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი „სხვადასხვა ქრონოლოგიური სიძველის მოვლენებია“, აშკარა გაუგებრობაა, რადგანაც ტერმინი „სინქრონიული“ ლინგვისტიკაში მისი არსებობის მთელ მანძილზე იხმარება ენაში თანაარსებულ ელემენტთა და არა თანადროული წარმომავლობის ერთეულთა აღმნიშვნელად [1].

ვინაიდან ენა, მისი განვითარების ყოველ კონკრეტულ საფეხურზე, დაუბრკოლებლად ასრულებს თავის ფუნქციას ამ ენის ისტორიის ცოდნის გარეშე, ამიტომ ის შეიძლება შესწავლილ იქნეს როგორც ჩაკეტილი სისტემა დროში ცვლილების გაუთვალისწინებლად. ამავე

---

1 შდრ. ა. ჩიქობავა, „წელიწდეული“, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, I, 1974 წ., გვ. 19.

დროს ენის თანამედროვე მდგომარეობა უშუალო დაკვირვებას ექვემდებარება, აქ ყველაფერი ნაცნობია, ყველაფერი, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ არის მოცემული, ხოლო ენის მიერ ისტორიულად განცდილი ცვლილებები უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება, ის ჩვენგან დაფარულია, ჩვენთვის უცნობია (გარდა იმ იდეალური შემთხვევისა, როცა ამა თუ იმ ენას აქვს ხანგრძლივი წერილობითი ისტორია).

რამდენადაც უცნობის ამოსაცნობად ნაცნობის ჩვენებას უნდა დავემყაროთ და არა პირიქით, ამდენად ლოგიკურად სწორია მხოლოდ ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სინქრონიული ანალიზი დიაქრონიულისაგან დამოუკიდებელი ამოცანაა, ხოლო დიაქრონიული ანალიზი ემყარება სინქრონიული ანალიზის შედეგებს. სინქრონიული ანალიზი, ფაქტობრივ, არის დიაქრონიული ანალიზის პირველი და აუცილებელი საფეხური, აქედან იწყება ენის ისტორიის სიღრმეში რეტროსპექტულად მიმავალი გზა [1].

ამიტომ ჩვენთვის არ არის მისაღები დებულება: „...შეუძლებელია ენის სისტემის გაგება მისი ისტორიის ცოდნის გარეშე; სისტემა დამოკიდებულია ისტორიაზე“ [2]. ეს დებულება, ფაქტობრივ, ნიშნავს ენის იმ სახით გაგებისა და შესწავლის შესაძლებლობის უარყოფას, როგორც ის ურთიერთგაგებინებისათვის გამოიყენება, რამდენადაც, როგორც ითქვა, ურთიერთგაგებინების ფუნქციას ენა ასრულებს როგორც სინქრონიული სისტემა, მისი (ამ სისტემის) ისტორიის ცოდნის გარეშე. მეორე მხრივ, თუ ამ დებულებას მივიღებთ, მაშინ გაუგებარია მეორე დებულება „...ისტორიზმის პრინციპი სრულიადაც არ გამორიცხავს ენის სისტემის აღწერითი ანალიზის აუცილებლობას, არამედ გულისხმობს მას ამოსავალ პუნქტად“[3], რადგანაც ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ „ენის სისტემის აღწერითი ანალიზი“ არის „ანალიზი“ „ენის სისტემის გაგების“ გარეშე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველური ენები (ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური) შეადგენენ მონათესავე ენათა ოჯახს,

---

[1] Э. Косериу, Синхрония, диахрония и история. Новое в лингвистике, вып. III, 1963, გვ. 143—343; Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований. Ленинград, 1971, გვ. 10; Ю. С. Степанов, Методы и принципы современной лингвистики. М., 1975, стр. 55—195; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 1 და სხვა; შდრ. ა. ჩიქობავა, „წელიწდეული“, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები, გვ. 18—20.

[2] ა. ჩიქობავა. „წელიწდეული“, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები, გვ. 19.

[3] იქვე.

რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი წარმოქმნილი არიან ერთი ენის დიალექტთა ენებად ქცევის გზით. წინაპარი ენა, რომლის მემკვიდრედაც თანამედროვე ქართველური ენები გვევლინებიან, საერთო-ქართველური ფუძე-ენის სახელწოდებით არის ცნობილი.

ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი არის ქართველურ ენათა ზმნის მორფოლოგიის ზოგი საკვანძო საკითხი (პირი, რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი), ძირითადი მიზანი კი — საერთო-ქართველური ფუძე-ენის იმ საფეხურის რეკონსტრუქცია, რომელიც უშუალოდ უძღვის წინ მის დიალექტთა დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მიღწევისათვის კვლევის ასპექტთა თანამიმდევრობა შემდეგ სახეს იღებს: 1. პირისა და რიცხვის მორფემათა სინქრონიული ანალიზი თითოეულ ქართველურ ენაში, აგრეთვე ინკლუზივ-ექსკლუზივისა — სვანურში, 2. სინქრონიული ანალიზის შედეგებიდან ამოსვლით აღნიშნულ მორფემათა შინაგანი რეკონსტრუქცია თითოეულ ქართველურ ენაში (რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია); 3. შინაგანი რეკონსტრუქციით მიღებულ შედეგთა ერთმანეთთან შედარების გზით საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქცია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარ ოპერაციათა საფუძველზე მიღებული შედეგი გარკვეული მიახლოებით ასახავს პირის, რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის იმ სურათს, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა საერთო-ქართველური ფუძე-ენის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე.

როგორც ცნობილია, დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში არსებობს ლინგვისტური რეკონსტრუქციის ორი ძირითადი ხერხი: 1. შინაგანი რეკონსტრუქცია და 2. შედარებითი (resp. გარეგანი) რეკონსტრუქცია. გამოყოფენ აგრეთვე ფილოლოგიურ მეთოდს, რომელიც. არსებითად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს შინაგანი რეკონსტრუქციის სახესხვაობად [1].

ამ ხერხებით შესაძლებელია ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტთა რეკონსტრუქცია. ამასთანავე მიუთითებენ, რომ მორფოლოგიური პრობლემატიკის დამუშავების ჩამორჩენა, რაც ჩვეულებრივია შედარებით გრამატიკებში, შეპირობებულია მორფოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის სირთულით ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციასთან შედარებით [2].

შინაგანი რეკონსტრუქცია მიზნად ისახავს ენის განვითარების ადრეულ საფეხურთა აღდგენას ამ ენის ფარგლებიდან გაუსვლელად.

---

[1] Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований, გვ. 53.

[2] იქვე.

მისთვის ამოსავალი წერტილია, ერთი მხრივ, ენის სისტემურობა, ხოლო, მეორე მხრივ, სინქრონიულად დადასტურებულ ყოველ ენობრივ სისტემაში სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურის ამსახველ მოვლენათა (არქაიზმებისა და ინოვაციების) თანაარსებობა [1].

თავისი განვითარების ყოველ კონკრეტულ საფეხურზე ენა არის ერთმანეთთან სტრუქტურულად დაკავშირებულ (და არა იზოლირებულ) ელემენტთა ერთობლიობა. ამიტომ ენის სისტემაში მომხდარი ყოველი ცვლილება განაპირობებს ელემენტთა ერთი ურთიერთმიმართების მეორე ურთიერთმიმართებით შეცვლას.

შესაძლებელია სხვადასხვა ხასიათის დიაქრონიული ცვლილება, მაგ., ერთი ფორმიდან რამდენიმე სხვადასხვა ფორმის წარმოქმნა: რომელიმე ელემენტის გაქრობა, რასაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს (ან არ მოჰყვეს) სხვა ელემენტით ჩანაცვლება; სხვადასხვა დანიშნულების მქონე ელემენტთა ფუნქციურად გათანაბრება და ა. შ.

სხვადასხვა ენობრივ სისტემებში ხშირად ხდება აგრეთვე ისტორიულად გამქრალი (სისტემიდან ამოვარდნილი) ელემენტის ერთ ან რამდენიმე ფორმაში შემონახვა. სინქრონიულად ის შეიძლება დახასიათდეს როგორც „გამონაკლისი“ ან „ანომალია“, ხოლო დიაქრონიულად როგორც „ნაშთი“ ან „არქაიზმი“.

სხვადასხვა ენობრივ ერთეულთა ცვლილების ტენდენციების უთანაბრობა და, ამასთანავე, ცალკეულ ელემენტთა შედარებითი უცვლელობა განსაზღვრავს არქაიზმთა და ინოვაციათა თანაარსებობას ენობრივ სისტემაში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს დიაქრონიულ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენის შესაძლებლობასაც და აუცილებლობასაც.

ამგვარ ცვლილებათა ამოცნობისა და ქართველურ ენებში ჩვენთვის საინტერესო მორფემათა შინაგანი რეკონსტრუქციისათვის ვემყარებით შემდეგ პრინციპებს:

ა) თუ რომელიმე მორფემის ალომორფთა გამოვლენა ფონოლოგიური პოზიციით არის შეპირობებული და ამავე დროს მათი ერთი რომელიმე წყაროდან მომდინარეობის მტკიცება ფონოლოგიურად შეუძლებელი არ არის, მაშინ ამ ალომორფებს ერთი საერთო არქეტიპისაგან მომდინარედ მივიჩნევთ. ვგულისხმობთ, რომ ერთი არქეტიპისაგან სხვადასხვა ვარიანტთა წარმოქმნა სხვადასხვა ფონოლოგიურმა გარემოცვამ განაპირობა ისეთ მიზეზთა საფუძველზე, როგორიც არის, მაგ., ასიმილაცია, დისიმილაცია, ანალოგია, სხვადასხვა

[1] Е. Курилович, О методах внутренней реконструкции, Новое в лингвистике, вып. IV, 1965, გვ. 400—433; Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований, გვ. 47—70; Ю. С. Степанов, Методы и принципы современной лингвистики, Москва, 1975 г., გვ. 119—128.

საბის ფონოლოგიური თუ მორფონოლოგიური შეზღუდვები და ა. შ., მაგ.. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სახელობითი ბრუნვის მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია /-ი/ და /Ø/ (თანხმოვნების მომდევნოდ — /-ი/, ხმოვნებ-ს მომდევნოდ — /Ø/). ეს უფლებას გვაძლევს მათ არქეტიპად /*-ი/ აღვადგინოთ უოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში. ან კიდევ: ძველ ქართულში პირის გარკვეულ მორფემათა წარმომადგენლად, როგორც ცნობილია, დასტურდება /ჰ-/, /ს-/, /შ-/ და /Ø/ ალომორფები. რადგანაც ამ ალომორფთა გამოვლენა ფონოლოგიურ პოზიციაზეა დამოკიდებული, ამიტომ შესაძლებელია მათი საერთო არქეტიპისაგან გაშოყვანა. ამ დასკვნების სისწორეს ფაქტობრივ დასტურდება თანამედროვე ქართულ დიალექტებსა და უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში. ამიტომ უფლება გვაქვს ეს კრიტერიუმი გამოვიყენოთ ამგვარი განაწილების მქონე ისეთ მორფემათა ალომორფების მიმართაც, რომელთა არქეტიპები ისტორიულად არ არის დადასტურებული.

ბ) თუ რომელიმე მორფემის სხვადასხვა ალომორფთა გამოვლენას განსაზღვრავს არა ფონოლოგიური პოზიცია, არამედ რაიმე სხვა ფაქტორი (ვთქვათ, ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც მოცემული მორფემა არ გამოხატავს), მაშინ უნდა მოველოდეთ, რომ დიაქრონიულად ეს ალომორფები სხვადასხვა მორფემებისაგან მომდინარეობენ, მათი ერთ მორფემაში გაერთიანება კი რეინტერპრეტაციის შედეგია. ეს დასკვნა განსაკუთრებით სარწმუნოა იმ შემთხვევაში, თუ ალომორფებს შორის ფონოლოგიური სხვაობა იმდენად დიდია, რომ მათი საერთო წყაროდან მომდინარეობის მტკიცება შეუძლებელია. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება დასტურდება, მაგ., თანამედროვე ქართველურ ენათა მესამე სუბიექტური პირის მორფემათა ალომორფებს შორის (დაწვრილებით ქვემოთ).

გ) თუ ერთი და იმავე მორფემის ორი (ან მეტი) ალომორფი ერთმანეთთან თავისუფალი მონაცვლეობის დამოკიდებულებაში იმყოფება და ამავე დროს გამოხატულების პლანში დიდი განსხვავების გამო მათი საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობის მტკიცება შეუძლებელია, მაშინ ეს პირველი სიგნალია იმისა, რომ დიაქრონიულად ისინი სხვადასხვა მორფემათა წარმომადგენლად მივიჩნიოთ. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება დასტურდება, მაგ., სახელთა მრავლობითობის /-ებ/ და /-ნ/ ალომორფებს შორის ქართულში[1] და პირველი ობიექტური პირის მორფემის /მ-/ და /გუ-/ ალომორფებს შორის ძველ ქართულში: კაც-ებ-ი — კაც-ნ-ი, მ-აქუს ჩუენ — გუ-აქუს ჩუენ.

---

1 К. Д. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1967, გვ. 139—166.

დ) თუ რომელიმე მორფოლოგიური ერთეული აბა თუ იმ მორფოლოგიური ფუნქციით დასტურდება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ძირეულ მორფემასთან, ე. ი. თუ მის გამოვლენას განსაზღვრავს არა ფონოლოგიური ან მორფოლოგიური სტრუქტურა, არამედ რაიმე განსაზღვრული ძირეული მორფემა, მაშინ ასეთი ერთეული მიჩნეულ უნდა იქნეს არქაიზმად — ისტორიული ნორმის ნაშთად. ასეთია ის ერთეულები, რომლებიც ერთნაირი ფონოლოგიური და მორფოლოგიური სტრუქტურის ძირეულ მორფემათაგან მხოლოდ ერთთან ან რამდენიმესთან დასტურდება, ყველა სხვასთან კი /Ø/ ან სხვა რომელიმე ალომორფია წარმოდგენილი. ასეთი ერთეულები ენის სინქრონიულ სისტემაში ქმნიან ე. წ. „გამონაკლისებს", „ანომალიებს". ამგვარი მორფოლოგიური ერთეულებია, მაგ., მეორე სუბიექტური პირის აღმნიშვნელად მიჩნეული /ხ-/ თანამედროვე ქართულში, მესამე სუბიექტური პირის გამომხატველად მიჩნეული /ლ-/ სვანურში და სხვა.

ინდოევროპულ ენათა ადრეული საფეხურის რეკონსტრუქციისათვის ასეთი ანომალიების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითებდა ა. მეიე: „შედარებითი გრამატიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამსახურება სწორედ ის არის, რომ ისტორიული ეპოქის ანომალიურ ფორმებს ის ხსნის როგორც ადრე არსებული ფორმების გადმონაშთს. ირკვევა, რომ est:sunt ტიპი, რომელიც ლათინურში გამონაკლისია, არის იმ ტიპის ნაშთი, რომელიც ინდოევროპულში ნორმა იყო. შედარებითი გრამატიკის წყალობით ერთი და იმავე ენის განვითარებაში ჩვენ ვამჩნევთ ნორმის თანმიმდევრულ ცვლას... ანომალიები, რომლებიც იმ ენის არც ერთი კანონით არ აიხსნება, რომელშიც ისინი გვხვდებიან, გვავარაუდებინებენ განვითარების იმ ადრინდელ ეტაპს, როდესაც ისინი შეადგენდნენ ნორმას"[1].

ა. მეიე უფრო შორსაც მიდის. მისი აზრით, რეკონსტრუქციისათვის ანომალიები გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლევიან, ვიდრე რეგულარული მორფოლოგიური ფორმები: „ისტორიულად დადასტურებული ენის რომელიმე ფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიჩნეული უძველესად, თუ ის ამოვარდნილია იმ ენის საერთო სისტემიდან, რომელშიც ის დასტურდება. მაგ., ლათინური est: sunt და გუთური ist: sind უდავოდ უძველესი ფორმებია, რადგანაც მათი წარმოების ხერხი უცხოა ლათინურისა და გუთურისათვის. არსებობს საფუძველი ამ ფორმათა ინდოევროპულამდე აყვანისათვის, რამდენადაც ეს ტიპი ინდოევროპული ერთიანობის ეპოქის შემდეგ თანდა-

[1] **А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 65.**

თანობით ქრება... რომელიმე ინდოევროპული სიტყვის ან ფორმის უდავო აღდგენა ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ სიტყვის წარმოება და ამ ფორმის სტრუქტურა ანომალიური გახდა. ინდოევროპული ეპოქის ნორმის აღდგენა უმთავრესად ისტორიული ეპოქის ანომალიებით ხდება. რეგულარული ინდოევროპული ფორმები ისტორიულ ეპოქაში ნორმის სახით მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ შემთხვევებში დასტურდება" [1].

რეგულარული ენობრივი მოვლენების მიმართ ერთგვარად სკეპტიკური დამოკიდებულება შესაძლებელია გადაჭარბებული იყოს, მაგრამ რეკონსტრუქციისათვის ანომალიების მნიშვნელობის გახაზვა, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანია. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ლინგვისტთა დიდი ნაწილი იზიარებს ა. მეიეს თვალსაზრისს და გამონაკლისებისა და ანომალიების („არარეგულარული ფორმების") გათვალისწინებას შინაგანი რეკონსტრუქციის მნიშვნელოვან პრინციპად მიიჩნევს [2].

ამრიგად, რომელიმე მორფემის წარმომადგენლად ნაშთის სახით დადასტურებული მორფოლოგიური ერთეულის მიხედვით, რომელიც სინქრონიულად გამონაკლისია, შეიძლება მოვახდინოთ ამ ერთეულის რეკონსტრუქცია აღნიშნული მორფემის რეგულარულ წარმომადგენლად მოცემული ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე. ეს არის შინაგანი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ დიაქრონიული კვლევა-ძიების პრაქტიკაში შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის მნიშვნელობის თანდათანობითი ზრდის შესახებ [3]. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ამ მეთოდით მიღებული დასკვნები განსაკუთრებული სანდოობით ხასიათდება. ე. კურილოვიჩი, მაგ., წერს: შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიური პრინციპების „გამოყენება არ ხერხდება ყოველ კერძო შემთხვევაში, მაგრამ თუ მათი გამოყენება შესაძლებელია, მაშინ მიღებული შედეგები უფრო მეტ შემეცნებით მნიშვნელობას იძენს, ვიდრე სტატისტიკის, არეალური ლინგვისტიკის ან ლინგვისტური პალეონტოლოგიის საფუძველზე მიღებული დასკვნები, რამდენადაც ეს დასკვნები ალბათობრივ ხასიათს ატარებენ. ამ დასკვნებსა

---

[1] А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 78, იხ. აგრეთვე გვ. 65—66.

[2] იხ., მაგ., Е. Курилович, О методах внутренней реконструкции, გვ. 401—402; Г. Фогт, Индоевропейские языки и сравнительные методы, Вопросы языкознания, 4, 1971, გვ. 37; Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований, გვ. 26—27, 50.

[3] გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით მიღებულ დასკვნებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიეცეს“ [1].

შინაგანი რეკონსტრუქციის გზით შესაძლებელია ენობრივ არქეტიპთა რეკონსტრუქცია მოცემული ენის შიგნით, მაგრამ მას არ მოეთხოვება იმ საფეხურის რეკონსტრუქცია, რომელსაც ფუძე-ენის სახელწოდებით ვიცნობთ. ამ ამოცანის გადაწყვეტა (ფუძე-ენის ქრონოლოგიური საფეხურის რეკონსტრუქცია) მხოლოდ შედარებითი (გარეგანი) რეკონსტრუქციის პროცედურებით ხერხდება. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ერთი მორფემის შინაგანი და გარეგანი რეკონსტრუქციით მიღებული ორი არქეტიპი ერთმანეთს დაემთხვეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს შინაგანი რეკონსტრუქციის უშუალო მიზანს შეადგენდეს ფუძე-ენის ქრონოლოგიური საფეხურის რეკონსტრუქცია. საქმე ის არის, რომ ფუძე-ენის რეკონსტრუქციისა და მიღებულ შედეგთა შემოწმების. საშუალებები მხოლოდ შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდს მოეპოვება.

გარეგანი რეკონსტრუქცია, როგორც ცნობილია, ემყარება მონათესავე ენათა შედარებას. მონათესავე ენათა მონაცემების შედარების საფუძველზე სარწმუნო დიაქრონიული დასკვნების მიღების შესაძლებლობა კი ემყარება უნივერსალურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ფონეტიკურ ცვლილებებს ყოველ ენაში რეგულარული ხასიათი აქვს. ამის შედეგია მონათესავე ენებში რეგულარულ სინქრონიულ ფონემურ შესატყვისობათა არსებობა [2]. სწორედ ამის გამო შედარებითი მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ყოველგვარ მონათესავე ენათა დიაქრონიული შესწავლისას [3]. თანამედროვე ლინგვისტიკაში ცნობილი ეს თვალსაზრისი ნათლად არის ფორმულირებული გ. ჰონიგსვალდის მიერ: „ბგერით ცვლილებათა ე. წ. რეგულარულობა მეტწილად პირდაპირ გამომდინარეობს ყველა ენისათვის საერთო მოვლენიდან — მეტყველების პროცესის შეუმჩნეველი ცვალებადობიდან. მსოფლიოს ბევრი ენის შესაპირისპირებლად ბოლო დროს ჩატარებული მუშაობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბგერითი ცვლილებები ნამდვილად რეგულარულია ყოველ ენაში. ეს იმას ნიშ-

---

[1] ე. კურილოვიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 401—402.

[2] **T. V. Gamkrelidze**, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки (I), Вопросы языкознания, 2, 1971. გვ. 19—21.

[3] **Э. Бенвенист**, Классификация языков, Новое в лингвистике, вып. III, 1963, გვ. 39; **Г. В. Церетели**, О языковом родстве и языковых союзах, Вопросы языкознания, 1968, № 3, გვ. 10—11; გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, გვ. 012—013; თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20—26.

ნაეს, რომ შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდი, რომელიც ამ რეგულარულობაზეა დაფუძნებული, გამოსადეგია ყველა ენისათვის. ამ რეგულარულობის დარღვევის მიმართ უყურადღებო დამოკიდებულება, თუნდაც მას სერიოზული მეცნიერები იზიარებდნენ, გულუბრყვილობის მაჩვენებელია“ [1].

რეგულარულობა, როგორც გ. ჰონიგსვალდი აღნიშნავს, დამახასიათებელია არა მხოლოდ ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიური ცვლილებებისათვისაც [2].

მონათესავე ენებში დადასტურებულ რეგულარულ შესატყვისობათა ერთმანეთთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია ისეთ არქეტიპთა (პრაფორმათა) რეკონსტრუქცია, რომლებიც ფუძე-ენას განეკუთვნებიან. მაგრამ, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერებაში არაერთგზის არის აღნიშნული, შედარებითი (ასევე — შინაგანი) რეკონსტრუქციის საფუძველზე მიღებული არქეტიპი განხილულ უნდა იქნეს არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც სათანადო ლინგვისტური მეთოდის გამოყენების საფუძველზე აგებული თეორიული კონსტრუქტი — ამოსავალი არქეტიპის სქემა, რომელიც გარკვეული მიახლოებით (მაგრამ, ჩვეულებრივ, არასრულად) ასახავს ადრეული ქრონოლოგიური საფეხურის (გარკვეულ შემთხვევებში — ფუძე-ენის) ენობრივ რეალობას [3]. ეს არის მეცნიერული სიფრთხილის ბუნებრივი შედეგი და ემყარება იმის გათვალისწინებას, რომ ენათმეცნიერების პროგრესთან ერთად შესაძლებელია მოხდეს ნებისმიერი რეკონსტრუქციის დაზუსტება ან შესწორება. რეკონსტრუირებული ფორმის ფაქტად გამოცხადება კი ამგვარი სიფრთხილის უქონლობის შედეგია და მას საბოლოო ჯამში დოგმატიზმთან მივყავართ [4].

ქართველურ ენათა მორფოლოგიური ერთეულების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციას შესაძლებლად მივიჩნევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის დასტურდება არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ ფონემური შესატყვისობაც.

---

[1] **Г. Хонигсвальд**, Существуют ли универсалии языковых изменений? Новое в лингвистике, вып. V, 1970, გვ. 87.

[2] იქვე, გვ. 87.

[3] **Л. Блумфилд**, Язык, 1968, გვ, 334—340; **Т. В. Гамкрелидзе**, Современная диахроническая лингвистика и картвельские языки (I), გვ. 21; **Г. А. Климов**, Вопросы методики сравнительно-генетических исследований გვ. 32, 40—42; **თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი**, დასახ. ნაშრ., გვ. 2—3; **გ. მაჭავარიანი**, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965, გვ. 9—10 და სხვა.

[4] შდრ. **ა. ჩიქობავა**, „წელიწდეული“, მისი მიზანი და ზოგადლინგვისტური საფუძვლები, გვ. 18.

შენიშვნა. ფონემური შესატყვისობისაგან (resp. ბგერათშესატყვისობისაგან) განსხვავებით, რეკონსტრუქციისათვის არაფერს იძლევა ე. წ. „ბგერათფარდობა". ფაქტადაც რომ მოვიჩინოთ ასეთ ფარდობათა არსებობა, „ბგერათფართობა" მაინც ლინგვისტურად განუსაზღვრელ ცნებად რჩება. საქმე ის არის, რომ არ მოიპოვება პასუხი კითხვაზე: ენათა დიფერენციაციის საფუძველზეა მიღებული ეს ფარდობა (ასე რომ იყოს, მაშინ საქმე გვექნებოდა ჩვეულებრივ ბგერათშესატყვისობასთან), სესხებისა, თუ შემთხვევითი დამთხვევისა? ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ბგერათფარდობა" ენათა ისტორიის კვლევისათვის, რისთვისაც ის არის შექმნილი, არაფერს იძლევა და, ამდენად, შეიძლება დახასიათდეს როგორც ცარიელი ტერმინი[1].

როდესაც ერთი და იმავე ფუნქციის მქონე მორფემებს შორის ადგილი აქვს სინქრონიულ ფონემურ შესატყვისობასაც, მაშინ მათი შედარების საფუძველზე საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქცია განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

უფრო რთულია ვითარება იმ შემთხვევაში, როდესაც ქართველურ ენებში ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციით დადასტურებულ ერთეულებს შორის დარღვეულია სინქრონიული ფონემური შესატყვისობა. ასეთ შემთხვევაში ვემყარებით თანამედროვე კომპარატივისტიკის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე შემდეგ პრინციპებს:

ა) თუ შინაგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე ამ ერთეულებს შორის აღდგება ფონემური შესატყვისობა, მაშინ საერთო-ქართველურ საფეხურზე მათთვის საერთო არქეტიპის რეკონსტრუქცია ეჭვს არ იწვევს. ამ გზით შესატყვისობა შეიძლება დავადასტუროთ — 1) ყველა ქართველურ ენაში შინაგანი რეკონსტრუქციით მიღებულ ფორმებს შორის და 2) ერთ-ერთ (ან მეტ) ენაში რეკონსტრუირებულსა და დანარჩენ ენებში სინქრონიულად მოცემულ იმ ფორმებს შორის, რომელთაც შინაგანი რეკონსტრუქცია არ უხერხდება.


ბ) თუ შინაგანი რეკონსტრუქციის პროცედურათა გამოყენების შემდეგაც აღნიშნულ მორფოლოგიურ ერთეულებს შორის ფონემური შესატყვისობა არ აღდგება, მაშინ მათი შედარების საფუძველზე საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს რაღაც ინოვაციასთან. ასეთი ინოვაცია შეიძლება იყოს, მაგ., 1) რამდენიმე ან ყველა ენაში საერთო-ქართველურიდან მომდინარე მორფემის ადგილას სხვა ერთეულის ჩანაცვლება რეინტერპრეტაციის გზით, 2) განსახილველი კატეგორიის ცალ-ცალკე ჩამოყალიბება ქართველურ ენებში და ა. შ. ასეთ საკითხთა ანალიზი სერიოზულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

---

[1] შდრ. ჯ. ლომთათიძე, ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან..., ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1976 წ., გვ. 20—21.

ამა თუ იმ მორფემის ზოგი საერთო-ქართველური არქეტიპი გამოხატულების პლანში მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ფორმებისაგან, რომელთა შედარებაც საფუძვლად უდევს მის რეკონსტრუქციას. ზოგი კი ემთხვევა რომელიმე (ან ყველა) ქართველურ ენაში დადასტურებულ ფორმას. ეს შედეგია ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ელემენტთა, ან სხვადასხვა ენების ერთი და იმავე ერთეულთა ცვალებადობის უთანაბრობისა. „უნივერსალიათა კატეგორიას ეკუთვნის დებულება, რომ „ყველა ენა იცვლება", მაგრამ სავალდებულო არ არის ყველაფერი „იცვლებოდეს" ენაში. პირიქით, როგორც ჩანს, ცვლილებანი ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილზე ვრცელდება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი „უცვლელი" რჩება" [1].

ბოლო ხანებში ქართველოლოგთა დიდი ნაწილი იზიარებს ქართველურ ენათა დიფერენციაციის ამსახველ იმ სქემას, რომელიც გ. დეეტერსს ეკუთვნის:



ამ სქემიდან ამოსვლით შესაძლებელია, ერთი მხრივ, საერთო-ქართველური, ხოლო, მეორე მხრივ, საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანური საფეხურის რეკონსტრუქცია. ჩვენგანაც ქართველოლოგთა ერთი ნაწილისა (მაგ., გ. დეეტერსი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, კ. შმიდტი და სხვა), საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქციას შესაძლებლად მივიჩნევთ იმ შემთხვევაში, თუ შესატყვისი ფორმები დასტურდება ყველა ქართველურ ენაში ან სვანურსა და ერთ-ერთ ქართველურ ენაში (იგულისხმება, რომ სხვაგან შესატყვისები დაკარგულია). მაგრამ თუ შესატყვისები დასტურდება მხოლოდ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანური საფეხურის რეკონსტრუქცია. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ასეთ შემთხვევათა ერთ ნაწილში სვანური შესატყვისი დაკარგული იყოს, მაგრამ, მიუხე-

[1] გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო..., გვ. 012.

დავად ამისა, საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქციის უფლება არა გვაქვს მანამ, სანამ ასე თუ ისე არ დასაბუთდება, რომ აღნიშნული შესატყვისი სვანურში დაკარგულია.

ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის შედეგების გათვალისწინების საფუძველზე გ. კლიმოვი აღნიშნავს: „სვანურს მთელი რიგი საინტერესო არქაიზმები აქვს შემონახული გრამატიკასა და ლექსიკაში, ფონოლოგიაში კი ავლენს არსებითი ხასიათის ევოლუციას. ფუძეთა უძველესი ფონოლოგიური სტრუქტურა, პირიქით, ქართულშია ყველაზე მკაფიოდ წარმოდგენილი. სხვებზე უფრო მოდერნიზებული სახე აქვს მეგრულსა და ჭანურს, სადაც ჩანს სხვადასხვა მაუნიფიცირებელ ტენდენციათა მოქმედების შედეგი"[1].

რა თქმა უნდა, არ ივარაუდება, რომ ეს არის აბსოლუტური წესი, რამდენადაც გარკვეული სახის არქაული მოვლენები შეიძლება დავადასტუროთ ლინგვისტური ანალიზის ყოველ დონეზე ყოველ ქართველურ ენაში, მაგრამ, შეფარდებითი აზრით, ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. აჭიტომ არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ სვანური მორფოლოგიური სტრუქტურის (ისევე როგორც ქართულ ფუძეთა ფონოლოგიური აგებულების) ზოგი ელემენტი უფრო ახლოს აღმოჩნდეს საერთო-ქართველურ არქეტიპთან, ვიდრე სხვა ქართველურ ენათა მონაცემები.

---

[1] Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований, გვ. 13. იხ. აგრეთვე გვ. 72 და Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы, Известия АН СССР, Отд. литературы и языка, том XIX, вып. I, გვ. 28.

თავი პირველი

პირის კატეგორია

1.01. ოპოზიცია პირთა მიხედვით

1.01.1. ოპოზიციის წევრები. პირის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით საპირისპირო ფორმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ზმნას მოეპოვება, ენობრივი სტრუქტურის სხვა ელემენტები პირის კატეგორიის უქონლობით ხასიათდებიან.

პირიან ფორმებში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა ოპოზიციის ორი სახე: 1. ვითარების ანუ როგორობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: სუბიექტური — ობიექტური, 2. რომლობის მიხედვით დაპირისპირება, ე. ი. პირთა ოპოზიცია: პირველი — მეორე — მესამე.

1.01.2. როგორობის მიხედვით ოპოზიცია. ქართველურ ენებში ამ ნიშნის მიხედვით ტრადიციულად გამოყოფენ ოპოზიციის ორ წევრს: სუბიექტურ პირსა და ობიექტურ პირს, რომელთაც, ჩვეულებრივ, ასე განსაზღვრავენ: „ის პირი, რომელიც ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგენილი, სუბიექტურია; ხოლო ის პირი, რომელიც ფორმაში გამოხატულია, მაგრამ მოქმედად არ არის გამოყვანილი, ობიექტურია“ [1].

თავისთავად ტერმინები „სუბიექტური პირი“, „ობიექტური პირი“ ასახავენ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც პირველი არის მოქმედების ჩამდენი, აქტიური პირი, ხოლო მეორე — მისი სამოქმედო, პასიური პირი. ამავე თვალსაზრისის მიხედვით, სუბიექტური (ე. ი. მოქმედი, აქტიური) პირი გამოიხატება ერთი რიგის პირის ნიშნებით, რომელთაც სწორედ ამიტომ სუბიექტური პირის ნიშნებს უწოდებენ; ხოლო ობიექტური (ე. ი. სამოქმედო, უმოქმედო, პასიური) პირი — მეორე რიგის პირის ნიშნებით, რომელთაც ამიტომ ობიექტური პირის

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973 წ., გვ. 170—171: იხ. აგრეთვე: ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950 წ., გვ. 050.

ნიშნებს უწოდებენ: „სუბიექტურია ნიშანი, რომელიც პირს ზმნის ფორმაში სუბიექტად, ანუ მოქმედად სახავს, და ობიექტურია ნიშანი, რომელიც ზმნის ფორმაში გამოხატულ პირს ობიექტად, ანუ უშოქმედოდ წარმოგვიდგენს“ [1].

ბოლოსადამე, პირის ნიშნები მიიჩნევა იმ მორფოლოგიურ საშუალებად, რითაც გამოიხატება დაპირისპირება „სუბიექტური პირი — ობიექტური პირი“.

ავგრამ ამავე დროს დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ქართველურ ენებში ე. წ. სუბიექტური პირის ნიშანი ყოველთვის არ გამოხატავს მოქმედ პირს (რაც, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ სუბიექტური პირის ნიშანი ყოველთვის არ გამოხატავს სუბიექტს), ხოლო ე. წ. ობიექტური პირის ნიშანი ყოველთვის არ გამოხატავს სამოქმედო (ან უშოქმედო) პირს (ე. ი. ობიექტური პირის ნიშანი ყოველთვის არ გამოხატავს ობიექტს).

ქართველოლოგიური ლიტერატურის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ამკარა წინააღმდეგობა თვალნათლივ არის დანახული. არსებობს ამ წინააღმდეგობის დაძლევის უაღრესად მნიშვნელოვანი ცდებიც. შეიძლება გამოიყოს ორი თვალსაზრისი (ა. ჩიქობავას და ა. შანიძისა), რომლებიც, მართალია, ძირითადი პრინციპის მიხედვით ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ზოგი არსებითი მომენტის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან:

1. ა. ჩიქობავას შრომებში ნათლად არის ნაჩვენები, რომ სუბიექტური პირის ნიშნებით გამოხატული პირი არ არის ყოველთვის აქტიური (ე. ი. მოქმედი), იგი აქტიურობა-პასიურობის სხვადასხვა საფეხურებით ხასიათდება. „...მისი აქტივობა თვალსაჩინოა ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ვ-ჰდრეკ, ვ-ჰგლეჯ..., მაგრამ ეს აქტივობა ძაღლზე მკრთალია ისეთს მაგალითებში, როგორიცაა: ვ-ჰხედავ..., ვ-ბრწყინავ..., ვ-ევედრები... და მაგგვარებში. ხოლო ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: ვ-არ, ვ-დგა, ვ-ზი ..., ვ-კუდები... რაიმე აქტივობაზე ლაპარაკი ზედმეტია: აქ მხოლოდ მდგომარეობაა მე-სი, მე სრულიად უმოქმედოა. დასასრულ, მაგალითებში: ვ-იკლვი, ვ-იგუემები, ვ-იტანჯვი... მე რეალურად მოქმედი კი არ არის, არამედ ენებულია სხვის მოქმედებით; იგი არა მარტო უ მ ო ქ მ ე დ ო ა, არამედ ს ა მ ო ქ მ ე დ ო ც, თუ შეიძლება ასე ითქვას“ [2].

თითქმის ასეთივე საფეხურებით ხასიათდება, როგორც ა. ჩიქო-

---

1 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195; იხ. აგრეთვე: ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 050 და სხვა.

2 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968 წ., (მეორე გამოცემა, პირველი გამოც. 1928 წ.), გვ. 131—132.

ბაია აღნიშნავს, ობიექტური პირის ნიშნებით გამოხატული პირიც: თუ ისეთ ზმნებში, როგორიცაა: **მ-სჯის, მ-გმობს, მ-დევნის...**, მ- პრეფიქსი პასიურ პირს (რეალურ ობიექტს) გამოხატავს, მაგალითებში: **„მ-ეგულებოს, მ-ესმის, მ-ეშინის...** და ამგვარებში მე-ს როლი ცოტა სხვაგვარია... აქ **მე** რეალურად ისე პასიური არა ჩანს... სურათი არსებითად იცვლება, თუ ავიღებთ ასეთ მაგალითებს **მ-ყავს, მ-აქუს, მ-სურის, მ-ინა...** მე-ს უმოქმედობა-პასიურობაზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია: **მ-სურის, მ-ინა, მ-ნებავს** — გულისხმობენ მე-ს აქტიურ დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი; **მ-ყავს, მ-აქუს**-ში **მე** რაღაცის მფლობელია და პატრონი. **მ-ძულს**-ში იგი „აქტიურია" ემოციებითაა აღსავსე... დასასრულ, მაგალითებში: **მ-იძლევიეს, მ-იქმნიეს, აღ-მ-ისრულებიეს...**, **მო-მ-იყვანებია, აღ-მ-ითქუამს...** და მაგგვარებში **მე** რეალურად ისევე აქტიურია, როგორც ზმნებში: **ვ-სძლევ, აღ-ვ-ასრულებ, და-ვ-წერ...** და სხვ."[1].

ამ ვითარების გათვალისწინების საფუძველზე იქნა შემუშავებული, ერთი მხრივ, მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის, ხოლო, მეორე მხრივ, რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის ცნებები: მორფოლოგიური სუბიექტი არის ის პირი, რომელიც სუბიექტური პირის ნიშანთა სახელწოდებით ცნობილი აფიქსებით აღინიშნება, ხოლო რეალური სუბიექტია ის პირი, რომელიც აქტიურია, ე. ი. ზმნაში წარმოდგენილია როგორც მოქმედების ჩამდენი (აგენსი). თუ ზმნათა ერთ ნაწილში მორფოლოგიური და რეალური სუბიექტი ერთმანეთს ემთხვევა (ვ-ხატავ, ვ-აშარცხებ, ხატავ, ამარცხებ, ხატავ-ს, ამარცხებ-ს, ჰამ-ს, აშენებ-ს...), მეორე ნაწილში ერთმანეთს სცილდება — მორფოლოგიური სუბიექტი ფაქტობრივ მოქმედების ობიექტია და არა მოქმედების ჩამდენი (ვ-იხატები, ვ-მარცხდები, იხატები, მარცხდები, იხატებ-ა, მარცხდებ-ა, იშმებ-ა, შენდებ-ა...), ამდენად, ასეთ შემთხვევებში ერთი და იგივე პირი მორფოლოგიურად სუბიექტია, რეალურად — ობიექტი. ასევე, მორფოლოგიური ობიექტია ის პირი, რომელიც ობიექტური პირის ნიშანთა სახელწოდებით ცნობილი აფიქსებით გამოიხატება, რეალური ობიექტი კი არის რეალურად არამოქმედი, სამოქმედო პირი (პაციენსი). ზმნათა ერთ ნაწილში მორფოლოგიური და რეალური ობიექტი ერთმანეთს ემთხვევა (მ-კლავს, მ-გმობს...), მეორე ნაწილში კი ერთმანეთს სცილდება (გან-მ-იწესებია, და-მ-იმარხავს...)[2].

ამ გაგებიდან ამოსვლით განირჩევა წყობის ორი სახე — პირდაპირი და ინვერსიული: თუ მორფოლოგიური და რეალური სუბიექტი

---

1 იქვე, გვ. 134—135.

2 იქვე, გვ. 131—136; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 057

(ასევე მორფოლოგიური და რეალური ობიექტი) ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ წყობა პირდაპირია, ხოლო თუ ერთმანეთს სცილდება, მაშინ წყობა შებრუნებული ანუ ინვერსიულია: „პ ი რ დ ა პ ი რ წ ყ ო ბ ა ში რეალური სუბიექტი ზმნაშიც სუბიექტია, სუბიექტის ნიშნით გადმოიცემა, რეალური ობიექტი ზმნაშიც ობიექტია, ობიექტის ნიშნით გადმოიცემა. შ ე ბ რ უ ნ ე ბ ულ წ ყ ობ ა შ ი რეალური სუბიექტი ზმნაში **ობიექტის** ნიშნით გადმოიცემა, რეალური **ობიექტი**, პირიქით, **სუბიექტის** ნიშნით არის წარმოდგენილი: შე. ვ-ზრდი — მე მ-იზრდია..., შე ვ-აკეთებ, მე მ-იკეთებია..., შე. ვ-ს-თხოვ — ბე მ-ითხოვია..., მე ვ-უგზავნი — მე მ-იგზავნია (მისთვის)...

ვზრდი, ვაკეთებ, ვსთხოვ, ვუგზავნი — პირდაპირი წყობისაა, მიზრდია, მიკეთებია, მითხოვია, მიგზავნია — შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა“ [1].

ამ თვალსაზრისიდან ამოსვლით ინვერსიულად მიიჩნევა, ერთი ნხრივ, გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები, რომელთა ინვერსიულობა საყოველთაოდ არის გაზიარებული ქართველურ ენათმეცნიერებაში, და, მეორე მხრივ, ზოგი სხვა ფორმაც: „...გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ზმნებში არის ერთი ჯგუფი, რომელიც **აწმყოშივე შებრუნებული წყობით არის წარმოდგენილი**; ასეთია, მაგალითად: მ ა ქ ვ ს, მ ყ ა ვ ს, მ ძ უ ლ ს, მ ი ყ ვ ა რ ს, მ შ ი ა, მ წ უ ხ ა რ ი ა, მ ი ნ დ ა, მ ს უ რ ს... ყველგან **ობიექტის ნიშნით** (მ- თავსართით) გადმოცემულია **რეალური სუბიექტი**, ის პირი, რომელსაც „აქვს“, „ჰყავს“, „სძულს“, „უყვარს“, „ჰშია“, „სწყურია“... ხოლო სუბიექტის ნიშნით (-ს- ბოლოსართით) რეალური ობიექტი (რაც აქვთ, ჰყავთ, სძულთ, უყვართ...) [2]. არც ერთ სხვა შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ინვერსიასთან საქმე არა გვაქვს; თუ დავეყრდნობით დებულებას „ერთპირიან ზმნებში წყობის ცვლა გამორიცხულია“ [3], მაშინ ერთპირიანი მედიოაქტიური ზმნების (მაგ., ვ-ცხოვრობ, ვ-ტირი...) III

---

1 ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 057; იხ. აგრეთვე: ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 93—94; შდრ. Н. Я. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, СПб., 1908, таблицы XIII—XX; И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, Материалы по яфетическому языкознанию, VII, СПб., 1914, გვ. 051.

2 ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 057—058; იხ. აგრეთვე: ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948; გვ. 5; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 274—279; ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 93—94.

3 ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 057.

სერიის ფორმებს (მ-იცხოვრია, მ-იტირია...) ინვერსიულად ვერ მივიჩნევთ.

2. ა. შანიძისთვისაც აღნიშნული წინააღმდეგობის დაძლევის გზა არის პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვება, და ეს მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი არ იზიარებს რეალური სუბიექტის (ამდენად, რეალური ობიექტისაც) მორფოლოგიურ ანალიზში შეჭრტანის შესაძლებლობას, რამდენადაც ის (რეალური სუბიექტი) „გრამატიკული ცნება არ არის“ [1].

ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის „ნიშნებს შეუძლია სუბიექტის ფუნქციითაც აღჭუროს სათანადო პირი ფორმაში და ობიექტის ფუნქციითაც“, ამიტომ ისინი „...ხან ობიექტურ პირსა და ხანაც სუბიექტურ პირს აღნიშნავენ“ [2].

იმ შემთხვევაში, როცა მოქმედ (სუბიექტურ) პირს ობიექტური პირის ნიშნები გამოხატავენ, ან უმოქმედო (ობიექტურ) პირს — სუბიექტური პირის ნიშნები, საქმე გვაქვს პირის ნიშანთა ინვერსიასთან [3]. ასეთი ვითარება კი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, დასტურდება „...მარტო III სერიის ფორმებში და ისიც გარდამავალ ზმნებში“, „...გარდამავლობა და III სერია — აი აუცილებელი პირობა პირის ნიშანთა ინვერსიისათვის ზმნაში“ [4]. ამ მტკიცებას საფუძვლად უდევს შემდეგი: „აქ ფორმები მოქმედ პირად, ე. ი. სუბიექტად გამოხატავენ იმ პირს, რომლის ობიექტური ნიშანია ნახმარი შიგ, ხოლო უმოქმედო, ე. ი. ობიექტურ პირად — იმას, რომელიც სუბიექტური ნიშნით არის შიგ წარმოდგენილი“ [5].

და მაინც ა. შანიძის კონცეფციის მიხედვით ინვერსიული ფორმები ამით არ ამოიწურება, რადგანაც, როგორც თავის ადგილას აღინიშნება, მედიოაქტიურ ზმნათა „III სერიის ფორმები ინვერსიულად არის ნაწარმოები: უდუღნია, ედუღნა, ედუღნოს და მისთ“[6].

ა. შანიძე არ იზიარებს მოსაზრებას „მაქვს“, „მიყვარს“... ტიპის ზმნათა ინვერსიულობის შესახებ. ის ემყარება შემდეგ პოსტულატებს: 1. გარდაუვალ ზმნაში გამორიცხულია პირდაპირი ობიექტის არსებობა, 2. შეუძლებელია ირიბი ობიექტი სახელობით ბრუნვაში

---

1 ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961 წ., გვ. 212.

2 ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 195, 197.

3 იქვე, გვ. 195—197.

4 იქვე, გვ. 197—198.

5 ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში. გვ. 213.

6 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 474.

იდგეს. თუ „მაქვს“, „მიყვარს“... ტიპის ზმნებს, რომელთა გარდაუვალობა ეჭვს არ იწვევს, ინვერსიულად მივიჩნევთ, მაშინ გარდაუვალ ზმნაში აღმოგვაჩნდება ან პირდაპირი ობიექტი, ან — ირიბი ობიექტი სახელობით ბრუნვაში, რაც ამოსავალი დებულებებით აკრძალულია: „ის გარემოება, რომ ეს ზმნები გარდაუვალია (ამას ხომ ა. ჩიქობავაც ადასტურებს), იმის მაჩვენებელია, რომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ პირდ. ობიექტი, რომელზედაც სუბიექტის მოქმედება ვრცელდება. მაშასადამე, როცა ვთქვით, ზმნა გარდაუვალიაო, ამით ისიც ვთქვით, რომ სუბიექტი აქ სხვაზე არ მოქმედებს, და, თუ კიდევ სხვა პირია წარმოდგენილი ფორმაში, ურთიერთობა ამ პირსა და სუბიექტს შორის არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორიც ორ-პირიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაშასადამე, თუ „მიყვარს“ გარდაუვალია, ამ წინადადებაში: „ვანოს უყვარს მაშა“, „მაშა“ არ შეიძლება იყოს პირდ. ობიექტი... მაშ რაღაა ის ობიექტი, რომელზედაც ა. ჩიქობავა ლაპარაკობს? ირიბი? აბა ირიბ ობიექტს... რა ესაქმება სახელობითში!?“[1].

ამასთან ერთად ა. შანიძე აღნიშნავს: „განცხადება იმისი, რომ „მაქვს“, „მყავს“, „მძულს“ ან მისთანა ზმნებში ობიექტური ნიშნით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული“. მისი აზრით, შესაძლებელია, მაგ., „მძულს“ ზმნაში, „რომელიც ტიპიურია გრძნობის გამომხატველ ზმნებს შორის (მძულს, მიყვარს, მომწონს, წსურს, მძაგს, მეზიზღება და სხვ.)“, რეალურად მოქმედ პირად მივიჩნიოთ არა ის, ვისაც სძულს (ე. ი. ობიექტური პირის ნიშნით გამოხატული სახელი, რომელიც მიცემით ბრუნვაში დგას), არამედ ის, ვინც გამოიწვია სიძულვილის ეს გრძნობა (ე. ი. სუბიექტური პირის ნიშნით გამოხატული სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას)[2].

რადგანაც ამასთანავე ერთად ა. შანიძე ემყარება პრინციპს: „თუ შემასვენლად ნახმარი ზმნა გარდაუვალია, ყოველგვარი სახელი, მასთან სახელობითის ფორმით შეწყობილი, გრამატიკული სუბიექტი იქნება, სულ ერთია, ზმნა ერთ-პირიანია თუ ორ-პირიანი“[3], ამიტომ, მისი აზრით, ისეთ ზმნებში, როგორიცაა: მაქვს, ვყავს, მიყვარს, მძულს, მსურს და სხვა, სუბიექტია სახელობითში დასმული სახელი, მიცემითის ფორმით წარმოდგენილი სახელი კი ირიბი ობიექტია და, ამდენად, მ- ირიბ ობიექტს გამოხატავს და არა სუბიექტს (ამ ფორ-

---

1 ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 222.

2 იქვე, გვ. 222—224.

3 იქვე, გვ. 212.

მათა. ავრეთვე, გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმების, მსგავსი გააზრება, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, გვხვდება უფრო ადრეც). ისეთი ზმნები კი, როგორიცაა: მცივა, მცხელა, მაციებს, მაცხელებს, მაურჟოლებს, მასლოკინებს, მაწვიმს, მძინავს, მღვიძავს, მშია, მწყურია და სხვა, უსუბიექტო ზმნებია (რადგანაც მათ სახელობითში დასმული სახელი არ ეწყობა) და შეიცავენ მხოლოდ ირიბ ობიექტს, ამდენად, ობიექტური პირის ნიშანი აქაც ობიექტს გამოხატავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ თვალსაზრისის მიხედვით, არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირის ნიშანთა ინვერსიას ადგილი არა აქვს, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ „მომაქვს", „მოჰყავს" ფორმები, სადაც, ავტორის აზრით, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც ობიექტის ნიშნით არის გამოხატული, სუბიექტია, მსგავსად გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებისა [1].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ორი თვალსაზრისი პირის სახესხვაობებისა (სუბიექტი, ობიექტი) და პირის ნიშანთა ინვერსიის არსის გაგების საკითხში არსებითად ემთხვევა ერთმანეთს, ცალკეულ ფორმათა ინვერსიულობის მიხედვით კვალიფიკაცია კი მაინც საგრძნობლად განსხვავებული მივიღეთ. უკვე ეს ფაქტი არაორაზროვნად მეტყველებს იმაზე, რომ დასმული საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს, მაგრამ ვიდრე ამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი:

1) მორფოლოგიის იმ ზოგად საკითხებზე, რომლის მიხედვითაც ქართველური ენები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან, ამ ნაწილში მსჯელობა, მეტწილად, ქართული მასალის მიხედვით წარიმართება.

2) ე. წ. სუბიექტური პირის ნიშნებს ა. შანიძემ, როგორც ცნობილია, ვინის რიგი უწოდა, ხოლო ე. წ. ობიექტური პირის ნიშნებს — მანის რიგი [2]. პირველის ნაცვლად ამ ეტაპზე ჩვენ ვიხმართ **/ვ-/-ს რიგის ნიშნებს**, ხოლო მეორისა — **/მ-/-ს რიგის ნიშნებს**. რადგანაც „ვინი" და „მანი" ასოების (გრაფემების) სახელებია და სხვა არაფერი, ამიტომ მოვერიდეთ მათ გამოყენებას მორფოლოგიურ ერთეულთა აღმნიშვნელად. ისეთ ტერმინებთან შედარებით, როგორიცაა „სუბიექტური პირის ნიშანი", „ობიექტური პირის ნიშანი", აღნიშნულ ტერმინთა უპირატესობა ის არის, რომ აღსანიშნი მორფოლოგიური ერთეულებისაგან ისინი არ მოითხოვენ გამოხატავდნენ აუცილებლად მოქმედ (სუბიექტურ) ან აუცილებლად სამოქმედო (ობიექტურ) პირს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინებს ამ სა-

---

1 იქვე, გვ. 222—227.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 195.

ხით ვხმარობთ ყველა ქართველური ენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სვანურ მასალაზე მსჯელობის დროს „/ვ-/-ს რიგის ნიშნების“ ნაცვლად უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეხმარა „/ხუ-/-ს რიგის ნიშნები“. მოვერიდეთ ტერმინოლოგიურ სიჭრელეს.

3. ისეთ ზმნებს, რომელთა I სერიის ფორმებს მკვლევართა ერთი ნაწილი ინვერსიულად მიიჩნევს (მაგ., მაქვს, მყავს, მიყვარს, მძულს, მომწონს, მახსოვს, მინდა, მსურს, მეჯავრება, მძაგს, მეზიზღება, მიხარია, მიყვირს და სხვა), ვუწოდებთ „მაქვს“ **ტიპის ზმნებს**. აქვე ვაერთიანებთ „მიმაქვს“, „მიმყავს“ ტიპის ფორმებსაც.

ამის შემდეგ შეიძლება განვაგრძოთ მსჯელობა ზემოაღნიშნული ორი თვალსაზრისის შესახებ, რომელთა მიზანი, როგორც დავინახეთ, არის იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რასაც წარმოქმნის სუბიექტ-ობიექტისა და მათ გამომხატველად მიჩნეულ მორფოლოგიურ ერთეულთა (სუბიექტური პირის ნიშანი, ობიექტური პირის ნიშანი) ურთიერთმიმართება. მაგრამ ამ კანონზომიერი მიზნის განხორციელებას, ჩვენი აზრით, მოჰყვა ახალი წინააღმდეგობები და ნაკლოვანებები:

1. თუ ამოვალთ შესავალ ნაწილში მოცემული დებულებიდან, რომლის მიხედვითაც მორფოლოგიური კატეგორიის წარმოქმნისათვის აუცილებელია ისეთი საპირისპირო (ერთმანეთისაგან განსხვავებული) ფორმების არსებობა, რომლის წევრებსაც ერთი ზოგადი მნიშვნელობის შიგნით რეგულარულად ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ, მაშინ შეუძლებელია გამართლება მოენახოს ცნებების „რეალური სუბიექტი“, „რეალური ობიექტი“ პირის მორფოლოგიურ ანალიზში შემოტანას. საქმე ის არის, რომ რეალური სუბიექტიცა და რეალური ობიექტიც აღინიშნება როგორც /ვ-/-ს რიგის, ისე /მ-/-ს რიგის ნიშნებით (იხ. ზემოთ). სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ მოიპოვება პირის ნიშნები, რომლებიც რეგულარულად რეალურ სუბიექტს გამოხატავენ, ისევე როგორც არ მოიპოვება მათი საპირისპირო პირის ნიშნები, რომლებიც რეგულარულად რეალურ ობიექტს გამოხატავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირის ნიშნებით არ წარმოიქმნება რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის გამომხატველი საპირისპირო ფორმები და, ამდენად, ამ დაპირისპირებას (რეალური სუბიექტი — რეალური ობიექტი) პირის ნიშნები არ გამოხატავენ. ის დაპირისპირება კი, რომელიც პირის ნიშნებით არ გამოიხატება, ადგილს ვერ დაიჭერს პირის კატეგორიის მორფოლოგიურ ანალიზში. მეტიც შეიძლება ითქვას: თუ რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტს მორფოლოგიური გამოხატვა არ მოეძებნა (ე. ი. თუ არ მოინახა, ერთი მხრივ, მორფოლოგიური საშუალება, რომელიც რეგულარულად რეალურ სუბიექტს გამოხატავს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი საპირისპირო

მორფოლოგიური საშუალება, რომელიც რეგულარულად რეალურ ობიექტს გამოხატავს), მაშინ ეს დაპირისპირება მორფოლოგიის ფარგლებს გარეთ რჩება. და მართლაც, რამდენადაც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისში ცნებები „რეალური სუბიექტი“, „რეალური ობიექტი“ უპირისპირდებიან ცნებებს „მორფოლოგიური სუბიექტი“, „მორფოლოგიური ობიექტი“, ამდენად ისინი (რეალური სუბიექტი, რეალური ობიექტი) არ არიან მორფოლოგიური ცნებები თვით ამ თვალსაზრისის შიგნით. არამორფოლოგიურ ცნებებსა და ერთეულებზე დამყარებით კი, რასაკვირველია, მორფოლოგიურ ანალიზს ვერ მივიღებთ, ისევე როგორც მორფოლოგიურ ანალიზად ვერ მივიჩნევთ ანალიზს, რომელსაც არამორფოლოგიურ ერთეულებთან და ცნებებთან მიეყავართ.

2. სერიოზული წინააღმდეგობები ახლავს პირის ნიშანთა ინვერსიის ტრადიციულ გაგებას:

ა) არსებული თვალსაზრისის მიხედვით, გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმა, რომლის ინვერსიულობა საყოველთაოდაა გაზიარებული, ყოველთვის შეიცავს ორ პირს — სუბიექტურსა და პირდაპირ-ობიექტურს, ირიბობიექტური პირი კი არ იცის არც ორპირიანი და არც სამპირიანი გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმამ. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო პირის ნიშანთა ინვერსიის დროს ადგილი ჰქონოდა ფორმაში წარმოდგენილი პირების (სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის) ნიშანთა შენაცვლებას. მაგრამ ქართული ენის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ა. შანიძე მივიდა დასკვნამდე: „ინვერსიის შემთხვევაში მე-3 პირის სუბ. ნიშნებს, რომლებიც სუფიქსებია, ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი (პრეფიქსი) ენაცვლება. აქედან განზოგადებას ვახდენთ 1-ლისა და მე-2 პირისთვისაც და ვამბობთ: ინვერსიის დროს სუბიექტურ ნიშნებს ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ენაცვლებაო“ [1]. ანალოგიური დასკვნა კიდევ უფრო თამამად შეიძლება გაკეთდეს სვანურის მიმართ, სადაც, ტრადიციული გაგებით, ინვერსიის დროს III პირის ფორმაში სუბიექტური პირის ნიშანს ყოველთვის ირიბი ობიექტის ნიშანი (/ხ-/ პრეფიქსი) ენაცვლება: ხ-ოსყა „უკეთებია“, ხ-ომწრა „უმზადებია“ (პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვების შემთხვევაში ეს დასკვნა სრულიად უდავოა, რადგანაც /ხ-/ არც ერთ შემთხვევაში არ გამოხატავს პირდაპირ ობიექტს, ის ყოველთვის ირიბი ობიექტის ნიშანია).

თუ აქედან ამოვალთ, მაშინ პარადოქსულ ვითარებას ვიღებთ: ინვერსიის დროს ხდება არა ზმნის ფორმაში მოცემულ პირთა ნიშნების შენაცვლება, არამედ — ზმნის ფორმაში მოცემული პირის (სუბიექ-

---

1 ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 196.

ტის) ნიშანთან იმავე ფორმაში არარსებული პირის (ირიბი ობიექტის) ნიშნის შენაცვლება.

აქედან თავის დაღწევა შეუძლებელია იმის მტკიცებით, რომ ინვერსიის დროს ხდება ზმნის ფორმაში მოცემული პირების (სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის) ნიშანთა შენაცვლება, რადგანაც, ჯერ ერთი, სვანურში პირდაპირ ობიექტს არც ერთ შემთხვევაში არ გამოხატავს /ხ-/ (რომელიც ე. წ. ინვერსიულ ფორმაში III მოქმედი პირის აღმნიშვნელად ყოველთვის წარმოდგენილია) და, მეორეც, ერთპირიან მედიოაქტიურ ზმნათა III სერიაში, რომელიც ინვერსიულად არის მიჩნეული [1], საერთოდ შეუძლებელია პირის ნიშანთა შენაცვლების შესახებ მსჯელობა, რადგანაც ზმნის ფორმა მხოლოდ ერთ პირს შეიცავს.

აღნიშნული მდგომარეობიდან თავის დაღწევა არც იმის მტკიცებით არის შესაძლებელი, რომ ინვერსიის დროს ხდება სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნების შენაცვლება ზოგადად, ე. ი. იმისგან დამოუკიდებლად, არსებობენ თუ არა ისინი ზმნის ერთ ფორმაში, რადგანაც არ მოიპოვება პასუხი კითხვაზე: რატომ მაინცდამაინც ირიბი ობიექტის ნიშანი ენაცვლება სუბიექტური პირის ნიშანს?

ბ) ზმნის ფორმათა ინვერსიულობა-არაინვერსიულობის განსაზღვრა არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს ისე, თუ ნათლად არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან მოქმედი (აქტიური, სუბიექტური) და სამოქმედო (უმოქმედო, პასიური, ობიექტური) პირი. ამგვარ გამიჯვნას კი აუცილებლად სჭირდება ობიექტური ლინგვისტური კრიტერიუმი, რაც ინვერსიის შესახებ მოძღვრებას არ მოეპოვება — კვალიფიკაცია ყოველთვის ინტუიციას ემყარება. ამის შედეგია: 1) სხვადასხვა მკვლევართან ინვერსიულ ფორმათა მოცულობისა და საზღვრების სხვადასხვაობა, 2) აზრთა არაერთგვაროვნება ამა თუ იმ პირის სუბიექტად ან ობიექტად მიჩნევის შესახებ ისეთ ზმნებში, როგორიცაა, მაგ., მძულს, მიყვარს და სხვა (იხ. ზემოთ).

გ) სხვადასხვა პირთა აქტიურობა-პასიურობის საფეხურებს, ლინგვისტური კრიტერიუმის უქონლობის გამო, როგორც დავინახეთ, გამოყოფენ ინტუიციაზე დამყარებით. ა. ჩიქობავა /ვ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირისათვის გამოყოფს ოთხ საფეხურს, ეს საფეხურები, ჩვენი აზრით, შეიძლება დაყვანილ იქნეს სამ ძირითად საფეხურამდე: 1. **აქტიურობისა**, როცა სათანადო პირი მოქმედია, აქტიურია. აქ ქვესაფეხურებად შეიძლება გაერთიანდეს ავტორის მიერ გამოყოფილი ორი საფეხური: ა) როცა აღნიშნული პირის „აქტივობა თვალსაჩინოა" (ვ-დრეკ, ვ-გლეჯ...), ბ) როცა „ეს აქტივობა ძალზე

---

[1] იქვე, გვ. 474.

მკრთალია" ვ-ბრწყინავ, ვ-ეეედრები...), 2. **ნეიტრალურობისა**, როცა განსახილველი პირის „რაიმე აქტიურობაზე ლაპარაკი ზედმეტია", როცა იგი „სრულიად უმოქმედოა" და გამოხატულია „მხოლოდ მდგომარეობა" (ვ-არ, ვ-დგა, ვ-ზი...), 3. **პასიურობისა**, როცა გამოსახატავი პირი „არა მარტო უმოქმედოა, არამედ სამოქმედოც" (ვ-იცვლი, ვ-იდევნები, ვ-ისპობი...). /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატული პირისათვის გამოყოფილი საფეხურები კი შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ძირითად საფეხურამდე: 1. **პასიურობისა** და 2. **აქტიურობისა**. თითოეულ მათგანში შეიძლება გაერთიანდეს ავტორის მიერ გამოყოფილი ორი საფეხური. პირველში: ა) როცა აღნიშნული პირი პასიურია, რეალური ობიექტია (მ-სჯის, მ-დევნის...), ბ) როცა იგივე პირი „რეალურად ისე პასიური არა ჩანს" (მ-ეგულების, მ-ესმის...), მეორეში: ა) „მაქვს" ტიპის ზმნები, ბ) გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები [1].

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუ /ვ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატული პირის შიგნით გამოიყოფა სამი საფეხური, მაშინ ქართველური ენების ფაქტობრივი ვითარება გვავალდებულებს, იგივე საფეხურები გამოვყოთ /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატული პირის შიგნითაც: 1. აქტიურობისა (ა-მ-იშენებია, და-მ-იმარცხებია, მი-ვ-ყავს, მ-იყვარს...), 2. ნეიტრალურობისა (მ-ძინავს, მ-ღვიძავს, მ-შია, მ-წყურია...) და 3. პასიურობისა (მ-კლავს, მ-ამარცხებს, მ-ცემს...).

ა. შანიძის მოძღვრების მიხედვით, სუბიექტურია მოქმედი, ხოლო ობიექტური — უმოქმედო პირი [2]. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის მეორე წევრი (უმოქმედო პირი) აერთიანებს იმ ორ სახესხვაობას, რომელთაგან ერთს ზემოთ ვუწოდეთ სამოქმედო, ხოლო მეორეს — ნეიტრალური პირი. საბოლოოდ ამ გზით ვიღებთ ტიპიურ ბინარულ ოპოზიციას, სადაც მისი ერთი წევრი ხასიათდება დადებითი ნიშნით (მოქმედი), მეორე — უარყოფითით (არამოქმედი ანუ უმოქმედო). (ამავე პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია ნეიტრალური პირის გაერთიანება მოქმედ პირთან და, ამდენად, ოპოზიციის წევრთა ასე დახასიათება: სამოქმედო-არასამოქმედო).

ბუნებრივია მოველოდეთ, რომ ზმნის ფორმათა ინვერსიულობა-არაინვერსიულობის განსაზღვრას ზემოაღნიშნული შეხედულებები ედოს საფუძვლად. და მაშინ, ამ შეხედულებათა თანმიმდევრულად რეალიზაციის შემთხვევაში, პირდაპირი წყობისად უნდა იქნეს მიჩნეული ზმნის ფორმა, სადაც მოქმედი პირი გამოიხატება /ვ-/-ს რიგის ნიშნებით, რომლებიც სუბიექტური პირის ნიშნებად იწოდებიან, ხო-

---

1 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 131—135.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 170—171.

ლო სამოქმედო (ან უმოქმედო, ამ შემთხვევაში ეს სულ ერთია) პირი—/მ-/-ს რიგის ნიშნებით, რომლებიც ობიექტური პირის ნიშნებად იწოდებიან; ინვერსიული წყობისად კი — ზმნის ფორმა, სადაც მოქმედი პირი /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება, ხოლო საშოქმედო (ან უმოქმედო) — /ვ-/-ს რიგის ნიშნებით. ამას მოითხოვს ინვერსიის შესახებ მოძღვრების არსი (იხ. ზემოთ).

თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ სრულიად კანონზომიერია, რომ ინვერსიულად მიიჩნევა არა მხოლოდ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები, რომელთა ინვერსიულობა საყოველთაოდაა გაზიარებული, არამედ „მაქვს“ ტიპის ზმნებიც (ა. ჩიქობავას შრომებში) [1] და მედიოაქტიურ ზმნათა III სერიის ფორმებიც (ა. შანიძის შრომებში)[2], რადგანაც ყველა ამ შემთხვევაში /მ-/-ს რიგის ნიშნებით, ჩვენი აზრით, აქტიური პირი გამოიხატება. პირის ნიშანთა ინვერსიის ზემოაღნიშნული გაგებიდან ამოსვლის შემთხვევაში რომელიმე მათგანის არაინვერსიულად მიჩნევა თანმიმდევრულობის აშკარა დარღვევაა.

„მაქვს“ ტიპის ზმნებში /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატული პირის პასიურობას დამარწმუნებელი არგუმენტაცია არ მოეპოვება, ხოლო თუ ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებში (ვ-ცხოვრობ, ვ-ტირი...) /ვ-/ სუბიექტური პირის ნიშანია, მაშინ იმავე პირის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ /მ-/-ც III სერიის ფორმებში (მ-იცხოვრია მ-იტირია...), რადგანაც მათ მიერ გამოხატული პირი აქტიურობის მიხედვით, ვფიქრობთ, ერთმანეთს ემთხვევა.

მაგრამ პირის ნიშანთა ინვერსიის შესახებ მოძღვრების (თანაც მისი ყველა სახესხვაობის) ყველაზე არსებითი ნაკლი, ძისი უმთავრესი არათანმიმდევრულობა, ჩვენი აზრით, ის არის, რომ ინვერსიულად არ არის მიჩნეული ზოგი ისეთი ფორმა, სადაც პასიურ პირს /ვ-/-ს რიგის ნიშანი გამოხატავს, ასეთი ვითარება კი ვნებითი გვარის ფორმებში დასტურდება, მაგ., ვ-იხატები, ვ-ეხატები, ვ-მარცხდები, შენდებ-ა, უშენდებ-ა, იკერებ-ა, ეკერებ-ა, იკვლებ-ა, ეკვლებ-ა, იჭრებ-ა, ეჭრებ-ა და სხვ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინვერსიის პრინციპულად დაშვების შემთხვევაში ამგვარ ფორმათა არაინვერსიულად მიჩნევა შეუძლებელია ისე, თუ არ დასაბუთდა /ვ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატული პირის აქტიურობა. ამგვარი მტკიცების საფუძველი კი არ არსებობს — ეს პირი აშკარად პასიურია და, რაც მთავარია, ეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც ნათლად არის მითითებული; ა. შანიძე,

---

1 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 057—058; ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 93—94.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 195—193, 474.

მაგ., პირდაპირ აღნიშნავს, რომ ვნებითი გვარის ფორმებში /ვ-/-ის რიგის ნიშნით გამოხატული პირი „...იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სათანადო მოქმედებითში“, და შემდეგ: „რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განიცდის პასივში“[1]; ხოლო ა. ჩიქობავა, გარდა იმისა, რაც ზემოთ აღინიშნა, წერს: „**ვ-სტანჯავ და ვ-იტანჯები, ვ-ჰგუემ და ვ-იგუემები, ვ-ჰსპობ და ვ-იხპობი**: ყველგან მე-ზეა ლაპარაკი: ეს მე ერთს შემთხვევაში წყაროა მოქმედებისა, უაღრესად აქტიური (agens), მეორეში კი სამოქმედო საგანი გამხდარა, სხვის მოქმედებით ვნებულია (paliens). რეალურად ეს ორი მე, მაშასადამე, არა თუ განსხვავებულია, არამედ პოლარულია ერთურთის მიმართ. ენობრივად კი განსხვავება არსადა ჩანს: ერთსაცა და მეორე შემთხვევაშიც იგი თანაბრად არის აღნიშნული ზმნაში ვ-თი. მე უაღრესად მოქმედი, აქტიური და მე სამოქმედო, ვნებული, პასიური ერთნაირი უფლებით არის აღჭურვილი: ეს უფლება მას ენამ მიანიჭა წინააღმდეგ სინამდვილისა“ და შემდეგ: „**მ-კლავს და ვ-იკვლი, მ-გუემს და ვ-იგუემები, მ-ტანჯავს და ვ-იტანჯები, მ-სპობს და ვ-იხპობი რეალურად** ერთურთისაგან თითქმის არ განსხვავდება: ორსავე შემთხვევაში ჩვენს წინ არის პირველი პირი — მე, ორსავე შემთხვევაში იგი აქტივობას მოკლებულია, — მეტი კიდევ: სხვის მოქმედების საგნად არის ქცეული. განსხვავება იმაშია, რომ ვიკვლი-ში რეალური სუბიექტის (მკვლელის) პირი არა ჩანს, მკლავს-ში კი აღნიშნულია: მკლავს მე იგი. ესაა და ეს“ [2].

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ინვერსიის ზემოაღნიშნული გაგების საფუძველზე ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ვნებითი გვარის მითითებული ფორმები ინვერსიულად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც სამოქმედო (პასიურ) პირს /ვ-/-ს რიგის ნიშნები გამოხატავენ. ის ფაქტი, რომ ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენი პირი არ არის გამოხატული, მდგომარეობას არსებითად არ ცვლის, რამდენადაც, ჯერ ერთი, ამის გამო /ვ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირი მოქმედად არ იქცევა, ის მაინც სამოქმედო (პასიურ) პირად რჩება, და, მეორეც, ინვერსიის არსებული გაგება არ შეიცავს მოთხოვნას, რომ ინვერსიის დროს ზმნის ფორმაში მოქმედი (ან სამოქმედო) პირი აუცილებლად გამოხატული იყოს, ძირითადი მოთხოვნაა სამოქმედო პირი გამოხატული იყოს /ვ-/-ს რიგის ნიშნით

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 280, 284.

2 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 132, 134.

(მოქმედი — /მ-/-ს რიგის ნიშნით). ამ მოთხოვნას კი ვნებითი გვარის ზმნები აკმაყოფილებენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გამოსახატავი პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით /მ-/-ს რიგის ნიშნიანი ფორმა პრინციპულად არ განსხვავდება /ვ-/-ს რიგის ნიშნიანი ფორმისაგან [1]. ორივე რიგის ნიშანი ხან აქტიურ პირს გამოხატავს, ხან — პასიურს; საბოლოო კვალიფიკაცია კი განსხვავებული მიეცემა — ერთ შემთხვევაში ინვერსია იქნა დაშვებული (მაგ., „მაქვს“ ტიპის ზმნებში), მეორეში — არა (მაგ., ვნებითი გვარის ფორმებში). ვფიქრობთ, შეუძლებელია ლოგიკური გამართლება მოენახოს პრინციპულად ერთხაირი ვითარების ასეთ განსხვავებულ კვალიფიკაციას; ამდენად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ინვერსიის შესახებ მოძღვრების აშკარა არათანმიმდევრულობასთან.

მაგრამ, მეორე მხრივ, პირის ნიშანთა ინვერსიის თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში /ვ-/-ს რიგისა და /მ-/-ს რიგის ნიშნები იმდენად ირევა ერთიმეორეში, რომ ძნელდება იმის დასაბუთება, თუ რა საფუძველზე ეწოდება ერთს სუბიექტური, ხოლო მეორეს — ობიექტური პირის ნიშნები. იქნებ ესეც არის ინვერსიის შესახებ მოძღვრების არათანმიმდევრულობის ერთ-ერთი მიზეზი.

როგორც ვხედავთ, ინვერსიულად საყოველთაოდ მხოლოდ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებია აღიარებული, „მაქვს“ ტიპის ზმნებსა და მედიოაქტიურ ზმნათა III სერიის ფორმებს ზოგი მკვლევარი ინვერსიულად მიიჩნევს, ზოგი კი — არა; ხოლო ვნებითი გვარის ზემოაღნიშნული ფორმები, რამდენადაც ჩვენთვის ცხობილია, არავის მიუჩნევია ინვერსიულად. ამდენად, ამ მხრივ მოძღვრება ინვერსიის შესახებ აშკარა წინააღმდეგობით ხასიათდება. პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მოძღვრების საწინააღმდეგოდ გადადგა ა. შანიძემ, როცა უარყო „მაქვს“ ტიპის ზმნათა ინვერსიულობა. აქედან ერთი ნაბიჯიღაა III სერიის ფორმათა ინვერსიულობის უარყოფამდე. მართლაც, თუ ფორმებში: მიყვარს (მე ბავშვი), მაქვს (მე ფანქარი) „სუბიექტია“ /ვ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირი (ბავშვი, ფანქარი), მაშინ „სუბიექტია“ იგივე პირი III სერიის ფორმებშიც: მყვარებია (მე ბავშვი), მქონია (მე ფანქარი). თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივია გარდამავალ ზმნათა III სერიის ისეთ ფორმებშიც, როგორიცაა: გამიზრდია (მე ბავშვი), დამიმალავს (მე ფანქარი) „სუბიექტურ“ პირად მივიჩნიოთ /ვ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირი (ბავშვი, ფანქარი), „ობიექტურად“ კი — /მ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირი (მე) და, ამდენად, უკვე ამ თვალსაზრისიდან ამოსულით უარვყოთ პირის ნი-

---

1 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., შდრ. გვ. 131—132 და 134—135.

შანთა ინვერსია საერთოდ (რა თქმა უნდა, თუ იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რომ „მაქვს“ ტიპის ზმნებსა და გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში /ვ-/-ს რიგისა და /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოხატულ პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ურთიერთმიმართება ერთნაირია).

მაგრამ ინვერსია ორგანულად არის დაკავშირებული ოპოზიციასთან „სუბიექტური პირი — ობიექტური პირი“. ქართველურ ენებში ფაქტობრივი ვითარება ისეთია, რომ ერთი მათგანის უარყოფა შეუძლებელია მეორის უარყოფის გარეშე, ისევე როგორც ერთის დაშვება.— მეორის დაშვების გარეშე. თუ დავუშვებთ, როგორც ეს ტრადიციულად ხდება, რომ პირის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ოპოზიციის ერთი წევრი ყოველთვის მოქმედია, სუბიექტურია, ხოლო მეორე წევრი — სამოქმედო, ობიექტური, მაშინ უნდა დავუშვათ აგრეთვე, რომ თითოეული მათგანი სათანადო მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება, რომელთაგან პირველს სუბიექტური პირის ნიშანი უნდა ეწოდოს, ხოლო მეორეს — ობიექტური პირის ნიშანი, როგორც ეს ტრადიციულად არის ცნობილი. მაგრამ რადგანაც პირის ნიშანთა ორივე ჯგუფი გვხვდება იმ ფორმებშიც, სადაც თითოეული მათგანის გამოსახატავი პირი მოქმედია (სუბიექტურია) და იმ ფორმებშიც, სადაც გამოსახატავი პირი სამოქმედოა (ობიექტურია), იქმნება აუცილებლობა პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებისა, სხვაგვარად შეუძლებელია გამართლება მოვნახოთ სუბიექტურ (მოქმედ) და ობიექტურ (სამოქმედო ან უმოქმედო) პირთა გამოყოფას. მეორე მხრივ, თუ რაიმე მიზეზით ინვერსიას უარვყოფთ, მაშინ უნდა უარვყოთ მორფოლოგიური ოპოზიციის „სუბიექტური პირი — ობიექტური პირი“ არსებობაც, რადგანაც გამოდის, რომ პირის ნიშნებს არ შეუძლიათ ამ დაპირისპირების გამოხატვა; არ შეუძლიათ, ვინაიდან მათი ორივე ჯგუფით გამოიხატება ოპოზიციის ორივე წევრი — როგორც სუბიექტური (მოქმედი), ისე ობიექტური (სამოქმედო ან უმოქმედო) პირი. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: პირის სახესხვაობების (სუბიექტი, ობიექტი) გამოყოფაც ისევე ხომ არ ხასიათდება წინააღმდეგობებით, როგორც მოძღვრება ინვერსიის შესახებ?

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს ერთმანეთისაგან ერთგვარად განსხვავებული ორი თვალსაზრისი პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების შესახებ. მართებული ლიხგვისტური ანალიზის შემთხვევაში წინააღმდეგობა არ უნდა წარმოიქმნას ამ თვალსაზრისებსა და მათ მიხედვით გამოყოფილ მორფოლოგიურ ერთეულებს (სუბიექტური პირი, ობიექტური პირი, სუბიექტური პირის ნიშანი, ობიექტური პირის ნიშანი) შორის. ფაქტობრივი ვითარება რომ ისეთი იყოს, რომ მოქმედი პირი რეგულარულად პირის ნიშანთა

ერთი ჯგუფით გამოიხატებოდეს, ხოლო სამოქმედო პირი — რეგულარულად მეორე ჯგუფით, მაშინ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, პირის ნიშანთა პირველი ჯგუფისათვის გვეწოდებინა სუბიექტური პირის ნიშნები, ხოლო მეორე ჯგუფისათვის — ობიექტური პირის ნიშნები. შესაბამისად, პირის ნიშანთა პირველი ჯგუფით გამოხატული პირისათვის გვეწოდებინა სუბიექტური პირი, ხოლო მეორე ჯგუფით გამოხატული პირისათვის — ობიექტური პირი; ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია აბსოლუტურად არაწინააღმდეგობრივი და, ამდენად, სრულიად მისაღები იქნებოდა. მაგრამ ქართველურ ენებში ვითარება სხვაგვარია, კვალიფიკაციამაც, შესაბამისად, რასაკვირველია, სხვაგვარი ხასიათი უნდა მიიღოს.

ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, როგორც ცნობილია, მოქმედი პირი სუბიექტად მიიჩნევა, სამოქმედო (ან უმოქმედო) — ობიექტად, მიუხედავად იმისა, თუ რომელი რიგის ნიშნით არის თითოეული მათგანი გამოხატული. მაგრამ თუ ამოვალთ თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვითაც მოქმედ და სამოქმედო პირთა გარდა არსებობს ისეთი პირიც, რომელიც არც ერთის ემთხვევა და არც მეორეს, მაშინ საჭიროა პასუხი კითხვაზე: სუბიექტურ და ობიექტურ პირთა გვერდით რატომ არ გამოიყოფა ისეთი პირიც, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო?

ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, ერთადერთი პასუხია შესაძლებელი: თუ იმის გამო, რომ ენაში არსებობს პირი, რომელიც მოქმედია, გამოიყოფა სუბიექტური პირი, ხოლო იმის გამო, რომ არსებობს პირი, რომელიც სამოქმედოა, გამოიყოფა ობიექტური პირი, მაშინ იმის გამო, რომ არსებობს პირი, რომელიც არც მოქმედია და არც — სამოქმედო, სავალდებულოა გამოიყოს ოპოზიციის მესამე წევრიც, რომელსაც შეიძლება ნეიტრალური პირი ეწოდოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ სუბიექტურ პირს დავახასიათებთ როგორც მოქმედს, ხოლო ობიექტურს — როგორც სამოქმედოს, მაშინ აუცილებელია გამოიყოს ოპოზიციის ისეთი წევრიც, რომელიც დახასიათდება როგორც პირი, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პირის კატეგორიის ფარგლებს გარეთ რჩება. მართლაც, თუ დავემყარებით დებულებას „**ქართულ ზმნას შეუძლია ხაგანგებო თავსართ-ბოლოსართებით აღნიშნოს:...** ვინ არის მოქმედი და ვიზე (რაზე) ვრცელდება ეს მოქმედება, ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს **სუბიექტი** და **ობიექტი მოქმედებისა...**“[1], მაშინ ისეთ გამოთქმებში წარმოდგენილი სახელები, როგორიცაა: ბავშვი ზის, ავადმყოფი წევს, მიწა ყრია, ვერ მოთავსდება ვერც სუბიექტისა და ვერც ობიექტის

1 ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 050.

ცნების შიგნით, რამდენადაც არც ერთი მათგანი არ არის მოქმედი და არც ერთ მათგანზე არ ვრცელდება მოქმედება[1] [მოქმედს ან აქტიურს ვუწოდებთ მოქმედების ჩამდენ პირს მიუხედავად იმისა, ზმნას მისი სამოქმედო პირი ეწყობა თუ — არა (ვ-კლავ, მი-ვ-ფრინავ...); სამოქმედოს ან პასიურს ვუწოდებთ პირს, რომელიც მოქმედების საგანია, მნიშვნელობა არა აქვს იმას, მასზე მოქმედი პირი ზმნას ეწყობა, თუ — არა (მ-კლავს, ვ-იდევნები...); ნეიტრალურს ან უმოქმედოს ვუწოდებთ პირს, რომელიც, მართალია, მოქმედი არ არის, მაგრამ არც სამოქმედოა (წერია, ყრია, შია, სძინავს...). პირველი ორი სახის პირი გვხვდება მოქმედების, პროცესის გამომხატველ ზმნებში, მესამე სახისა კი ჩვეულებრივია ე. წ. მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში].

მაგრამ, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ მორფოლოგიური ოპოზიციის ეს სამი წევრი (ან ორი — სუბიექტი და ობიექტი, პრინციპულად ეს სულ ერთია) გამოიყოს, საჭიროა თითოეულ მათგანს ჰქონდეს გამომხატველი მორფოლოგიური საშუალება, საკუთარი მორფოლოგიური ნიშანი, რაც მათ, როგორც ცნობილია, არ მოეპოვებათ — ოპოზიციის სამივე წევრი (სამწევრიანი ოპოზიციის დაშვების შემთხვევაში), ან ორივე წევრი (ორწევრიანი ოპოზიციის დაშვების შემთხვევაში) ერთი და იმავე ნიშნებით გამოიხატება; სათანადო პირობებში სამივე (ან ორივე) მათგანს გამოხატავს როგორც /ვ-/-ს რიგის, ისე /მ-/-ს რიგის ნიშნები.

აი, აქ პასუხს მოითხოვს კითხვა: პირის ნიშანთა ორი რიგიდან, რომელთაგან სათანადო შემთხვევაში ორივე გამოხატავს მოქმედ პირსაც, სამოქმედოსაც და ნეიტრალურსაც (ან — მოქმედ პირსაც და უმოქმედოსაც), ერთს რა საფუძველზე ეწოდება სუბიექტური პირის ნიშნები, ხოლო მეორეს — ობიექტური პირის ნიშნები?

ტრადიციული პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: „შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ვინის რიგის ნიშნები... სუბიექტური პირის აღმნიშვნელებია უმთავრესად და უპირატესად, მანის რიგისანი კი... ობიექტური პირის ამსახველებია უმეტესად და უმრავლესად“[2]; „რაკი... ვ ჩვეულებრივად (ხაზი ჩვენია — ა. ო.) რეალობაში მოქმედს... აღნიშნავდა, რეალური სუბიექტის წარმომადგენელი იყო, ვ-ს საერთო დახასიათება უნდა იყოს: ვ მოქმედის..., სუბიექტის აღმნიშვნელია“[3]. მ- პრეფიქსის „...ძირითადი დანიშნულებაა (ხაზი ჩვენია — ა. ო.) სამოქმედო, პასიური მე-ს მაჩვენებელი იყოს — და მხოლოდ. ამიტომ ვამბობთ: ენობრივად მ ყველგან არის მე-პასიურის. მე-ობიექტის

---

1 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 132.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 197.

3 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 132.

მაჩვენებელი, ანუ: მ მიგვითითებს პირველი პირის მორფოლოგიურ ობიექტზე" [1].

როგორც ვხედავთ, ძირითადი კრიტერიუმი, რის საფუძველზეც /ვ-/-ს რიგის ნიშნები სუბიექტური პირის ნიშნებად მიიჩნევა, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშნები — ობიექტური პირის ნიშნებად, არის ის, რომ ისინი ამ ფუნქციით იხმარებიან „შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში", „უმთავრესად", „ჩვეულებრივად"... (და არა ყოველთვის).

ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: 1) თუ რომელიმე მორფოლოგიური ერთეული (ვთქვათ, /ვ-/-ს რიგის ნიშანი) გამოხატავს ამა თუ იმ გრამემას (ვთქვათ, მოქმედ პირს), მაშინ ის ამ გრამემას უნდა გამოხატავდეს არა მხოლოდ უმთავრესად ან ჩვეულებრივად, არამედ — რეგულარულად, ყოველთვის, ისევე როგორც I პირის ნიშანი ყოველთვის მოსაუბრე პირს გამოხატავს, მეორისა — ყოველთვის მსმენელს, ანდა — მრავლობითობის ნიშანი ყოველთვის მრავლობით რიცხვს გამოხატავს, ამ ნიშნის ტქონლობა — ყოველთვის მხოლოობით რიცხვს და ა. შ., ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეპვს იწვევს სამართლიანობა კრიტერიუმისა: „უმთავრესად", „ჩვეულებრივად"; და მართლაც, ისეთი ოპოზიცია, რომლის საპირისპირო წევრებსაც ერთი და იგივე მორფოლოგიური ერთეულები წარმოქმნიან (თუნდაც განსაზღვრულ შემთხვევებში), ძნელია მორფოლოგიურ ოპოზიციად იქნეს მიჩნეული; 2) /მ-/-ს რიგის ნიშნები აქტიურ პირს გამოხატავენ გარდამავალ და მედიოაქტიურ ზმნათა III სერიის ჩწკრივებსა და „მაქვს" ტიპის ზმნებში, ეს კი ზმნის ფორმათა დიდი ნაწილია; მეორე მხრივ, /ვ-/-ს რიგის ნიშნები პასიურ პირს გამოხატავენ გარდამავალ ზმნათა III სერიასა და ვნებითი გვარის ზმნათა ყველა სერიაში (ვნებითის ფორმა ხომ თითქმის იმდენივეა, რამდენიც მოქმედებითისა), ესეც ზმნის ფორმათა საკმაოდ დიდი ნაწილია. თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზმნების მოზრდილ ნაწილში პირის ნიშნები (როგორც /ვ-/-ს, ისე /მ-/-ს რიგისა) გამოხატავენ აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ნეიტრალურ პირს, მაშინ არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ /ვ-/-ს რიგის ნიშნები შემთხვევათა უმრავლესობაში (მით უფრო — აბსოლუტურ უმრავლესობაში) გამოხატავენ მოქმედ პირს, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშნები — სამოქმედო პირს. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ვეჭკიცოთ, რომ /ვ-/-ს რიგის ნიშნები ზმნის ფორმათა უფრო მეტ რაოდენობაში გამოხატავენ მოქმედ პირს, ვიდრე — სამოქმედოს, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშნები — სამოქმედო პირს, ვიდრე — მოქმედს. მაგრამ, თუ სუბიექტურ და ობი-

---

[1] ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 135.

ექტურ პირთა ნიშნების გამოყოფას ამის მიხედვით შევეცდებით, მაშინ საჭიროა პასუხი კითხვაზე: რამდენით მეტ ფორმაში უნდა გამოხატავდეს /ვ-/-ს რიგის ნიშანი მოქმედ პირს, ვიდრე — სამოქმედოს, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშანი — სამოქმედო პირს, ვიდრე — მოქმედს, რომ ამის მიხედვით პირველ რიგს ეწოდოს სუბიექტური პირის ნიშნები, ხოლო მეორეს — ობიექტური პირის ნიშნები? ვფიქრობთ, ამ კითხვას დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოეპოვება და, ამდენად, სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა გამოყოფასაც საფუძველი ეცლება.

მაგრამ ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა დაძლევა იქნებ ინვერსიის დაშვების გზით არის შესაძლებელი?!

ამგვარი ვარაუდის უფლება, ჩვენი აზრით, არა გვაქვს, რადგანაც: ა) პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებაც იმავე წინააღმდეგობებით ხასიათდება, რითაც სუბიექტურ და ობიექტურ პირთა გამოყოფა. მართლაც, რა შეიძლება დაედოს საფუძვლად, ერთი მხრივ, ისეთ ფორმათა ინვერსიულად მიჩნევას, სადაც მოქმედი პირი /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება, სამოქმედო კი — /ვ-/-ს რიგის ნიშნებით, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი ფორმების პირდაპირი წყობისად მიჩნევას, სადაც მოქმედი პირი /ვ-/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება, ხოლო სამოქმედო პირი — /მ-/-ს რიგის ნიშნებით? ასეთი კვალიფიკაციის ერთადერთ საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველი რიგის ფორმათა ერთგვარი სიმცირე, მეორე რიგის ფორმებთან შედარებით. მაგრამ ასეთი კრიტერიუმი, როგორც აღინიშნა, ლინგვისტური კვალიფიკაციის საფუძვლად არ გამოდგება: ბ) ისეთი ფორმები, სადაც პირი ან მოქმედია, ან სამოქმედო, შეიძლება მივიჩნიოთ ან პირდაპირი. ან ინვერსიული წყობის ფორმებად, მაგრამ ისეთ ფორმებს, სადაც ნეიტრალური პირია წარმოდგენილი, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო, ვერც პირდაპირი წყობისად მივიჩნევთ და ვერც ინვერსიულად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულია ან „სუბიექტური“, ან „ობიექტური“ პირის ნიშნებით. რადგანაც ასეთი ფორმები არსებობს, ამიტომ პირის ნიშანთა ინვერსიას საბოლოოდ ჩიხთან მივყავართ.

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, ჩანს, რომ სერიოზული წინააღმდეგობებით ხასიათდება როგორც პირის სახესხვაობათა (სუბიექტი, ობიექტი) და მათ გამომხატველად მიჩნეულ მორფოლოგიურ ერთეულთა (სუბიექტური პირის ნიშანი, ობიექტური პირის ნიშანი) გამოყოფა, ისე მოძღვრება ინვერსიის შესახებ. ამიტომ, ცხადია, საჭიროა დასმულ საკითხთა გადაწყვეტის უფრო ბუნებრივი და არაწინააღმდეგობრივი გზის მონახვა. ამ მიზნის ხორცშესხმას, გარდა იმისა, რომ არ არის ადვილი ტრადიციულად დამკვიდრებულ შეხედულებებზე ხელის აღე-

ბა, აბნელებს თვით პრობლემის სირთულეც. ქვემოთ წარმოდგენილი მოკლე დასკვნები, რაც დასმული პრობლემის გადაწყვეტას ეძღვნება, ჩვენ მიგვაჩნია არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ შესაძლებელ გადაწყვეტად. ამასთანავე, ნაშრომის ამ ნაწილის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შეადგენს წამოყენებული პრობლემის რეალურობის ჩვენება და მასზე მუშაობის ინტერესის გაღვივება.

სრულიად უდავოა, რომ პირის ნიშნები მართლაც პირს აღნიშნავენ, მაგრამ არ არის უდავო მათი ამ პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამომხატველად მიჩნევა. უდავოა ამასთანავე ისიც, რომ არსებობს პირის ნიშანთა ორი სხვადასხვა ჯგუფი (/ვ-/-ს რიგისა და /მ-/-ს რიგის ნიშნები), რომლებიც სხვადასხვა პირს გამოხატავენ, მაგრამ არ არის უდავო იმის აუცილებლობის აღიარება, რომ ერთი მათგანი მივიჩნიოთ სუბიექტური (მოქმედი), ხოლო მეორე — ობიექტური (სამოქმედო ან უმოქმედო) პირის აღმნიშვნელად.

თუ ტრადიციულ თვალსაზრისზე დავდგებით და /ვ-/-ს რიგის ნიშნებს სუბიექტური პირის ნიშნებად მივიჩნევთ, ხოლო /მ-/-ს რიგისას— ობიექტური პირის ნიშნებად, მაშინ სავალდებულოა /ვ-/-ს რიგის ნიშნებით ყოველთვის მოქმედი პირი გამოიხატებოდეს (ისევე როგორც /მ-/-ს რიგის ნიშნებით — სამოქმედო პირი). სინამდვილეში ისინი, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, ხან მოქმედ პირს გამოხატავენ (ვ-ხატავ, ვ-კლავ...), ხან — სამოქმედოს (მო-ვ-უმზადებივარ, მი-ვ-ყავარ...). თუ /ვ-/ სუბიექტური (მოქმედი) პირის ნიშანია, ისევე როგორც ის არის პირველი პირის ნიშანი, რატომ ყოველთვის არ გამოხატავს ის მოქმედ პირს ისევე, როგორც ყოველთვის გამოხატავს პირველ პირს? ამ კითხვის ტრადიციული პასუხი ასეთია: საქმე გვაქვს პირის ნიშანთა ინვერსიასთან. მაგრამ მაშინ აუცილებელია პასუხი კიდევ ორ კითხვაზე: 1. რა უდევს საფუძვლად ინვერსიას? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის ის მიზეზი, რის გამოც პირის ნიშანთა ინვერსია ხდება? ეს კითხვა სამართლიანია მით უფრო, რომ ქართველურ ენებში არ არის ცნობილი არც ერთი სხვა მორფოლოგიური ოპოზიციის გამომხატველ ნიშანთა ინვერსია, ამიტომ საჭიროა იმ მიზეზის გარკვევა, რაც პირთა როგორობის მიხედვით დაპირისპირების ამ სპეციფიკას განსაზღვრავს; 2. როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოქმედ პირს არ გამოხატავს იგივე /ვ-/ ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ე-არ, ვ-ზივარ, ვ-წევარ და სხვა? აქ ხომ ვერ ვიტყვით, რომ საქმე გვაქვს ინვერსიასთან, რადგანაც /ვ-/-თი გამოხატული პირი, მართალია, მოქმედი არ არის, მაგრამ არც სამოქმედოა! ამ არსებითი ხასიათის კითხვებზე ტრადიციულ თვალსაზრისს პასუხი არ მოეპოვება.

იმ ფაქტიდან, რომ როგორც /ვ-/-ს რიგის, ისე /მ-/-ს რიგის ნიშნები გამოხატავენ მოქმედ პირსაც, სამოქმედოსაც და ნეიტრალურსაც, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ეს ნიშნები არ გამოხატავენ პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შეიძლება არც ერთი მათგანის არც სუბიექტური და არც ობიექტური პირის აღმნიშვნელად მიჩნევა. და მართლაც, ისეთი ნიშანი, რომელიც გამოხატავს ოპოზიციის ყველა წევრს — მოქმედსაც, სამოქმედოსაც და ნეიტრალურსაც (ან — მოქმედსაც და უმოქმედოსაც) — სინამდვილეში არ არის არც ერთი მათგანის ნიშანი. თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, არ არსებობს პირის არც ის მორფოლოგიური სახესხვაობები, რომელთაც სუბიექტურ და ობიექტურ პირებს უწოდებენ, არ არსებობს იმ აზრით, რომ მორფოლოგიურ პირთა აქტიურობა-პასიურობა, რის საფუძველზეც სუბიექტი და ობიექტი გამოიყო, პირის ნიშნებით არ გამოიხატება. ის მნიშვნელობა კი, რაც პირის ნიშნებით არ გამოიხატება, პირის მორფოლოგიურ ანალიზში, რასაკვირველია, ვერ შემოვა, მისი სახესხვაობების (პირის როგორობის მიხედვით ოპოზიციის წევრების) გამოყოფის კრიტერიუმად მით უფრო ვერ გამოდგება. თუ აქედან ამოვალთ, მაშინ პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებას, თავისთავად ცხადია, აზრი ეკარგება.

რაკი პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა პირის ნიშანთა ფუნქცია არაა, ამიტომ უხდა ვიფიქროთ, რომ ეს დაპირისპირება რაღაც სხვა საშუალებით გამოიხატება — მორფოლოგიურით ან არამორფოლოგიურით (ამის შესახებ — ქვემოთ); პირის ნიშნებით კი ზმნაში გამოიხატება მხოლოდ პირი, რომელიც აქტიურიც შეიძლება იყოს, პასიურიც და ნეიტრალურიც, მიუხედავად იმისა, თუ რომელი რიგის ნიშნით არის ის გამოხატული. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ: 1) აქტიურობა-პასიურობით აბსოლუტურად ერთნაირი პირი სხვადასხვა ფორმებში სხვადასხვა რიგის ნიშნებით გამოიხატება, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ერთი და იმავე რიგის ნიშნებით გამოიხატება აქტიურობა-პასიურობის მიხედვით პოლარული პირები, შდრ., ერთი მხრივ, გა-ვ-ჭერი — გა-მ-იჭრია, და-ვ-ამარცხე — და-მ-იმარცხებია, მო-მ-ყავს — მო-ვ-იყვანე... და, მეორე მხრივ, და-მ-ხატა—და-მ-იხატავს, და-მ-ამარცხა—და-მ-იმარცხებია, მო-მ-ყავს—მო-მ-იყვანა, და-ვ-ამარცხე—და-ვ-უმარცხებივარ, მო-ვ-იყვანე—მო-ვ-უყვანივარ..., 2) ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ზმნებში აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ერთნაირი პირი სხვადასხვა ქართველურ ენებში ზოგჯერ სხვადასხვა რიგის ნიშნებით გამოიხატება, მაგ., ქართ. ვ-იცი—მეგრ. მ-იჩქუ „ვიცი“—სვან. მ-იხალ „ვიცი“; 3) ორივე რიგის ნიშანი გამოხატავს აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ნეიტრა-

ლურ პირს, მაგ., ვ-არ, მ-ძინავს... 4) ზოგჯერ სხვადასხვა რიგის ნიშანთა ერთმანეთთან ჩანაცვლება არსებითად არც კი ცვლის გამოსახატავი პირის აქტიურობა-პასიურობას, მაგ.. გა-ვ-იღვიძე—გა-მ-ეღვიძა, და-ვ-იძინე—და-მ-ეძინა...: 5) ზოგჯერ კი საერთოდ ძნელი დასადგენია, რომელი უფრო აქტიურია (ან რომელი უფრო პასიურია) /ვ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული, თუ /მ-/-ს რიგის ნიშნით გამოხატული პირი, მაგ., მ-ეჩვენება — ვ-ეჩვენები, მ-ელანდება — ვ-ელანდები... და ა. შ.

თუ ამ გაგებიდან ამოვალთ, მაშინ აღმოგვაჩნდება ზმნის პირის მორფოლოგიურად გამოხატული ორი სახესხვაობა: 1. პირი, რომელიც /ვ-/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება და 2. პირი, რომელიც /მ-/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება. არც ერთი ეს სახესხვაობა არ არის აუცილებლად მოქმედი, არც აუცილებლად საშოქმედო (ამდენად, პირის ნიშანთა არც ერთი რიგი არ არის არც აუცილებლად სუბიექტის, არც აუცილებლად ობიექტის გამომხატველი). ამიტომ მათ აღმნიშვნელად ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „სუბიექტური პირი", „ობიექტური პირი", არ არის ბუნებრივი. ამ ტერმინთა იმ პირობით დატოვება, რომ პირველს არ მოეთხოვებოდეს, იყოს აუცილებლად მოქმედი (აქტიური), ხოლო მეორეს — იყოს აუცილებლად საშოქმედო (პასიური), პრინციპულად შეუძლებელი არ არის, რამდენადაც პირობითობა გარკვეული დოზით ტერმინთა დიდი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ეს ტერმინები პირდაპირი მნიშვნელობითაა დამკვიდრებული, ასეთ პირობითობას მრავალი გაუგებრობის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ უმჯობესია მათი სხვა ტერმინებით შეცვლა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართულში (ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში) არ არსებობს ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც არ შეიცავდეს /ვ-/-ს რიგის ნიშანთა რომელიმე წარმომადგენელს, მაშინ როდესაც იმავე ფორმაში /მ-/-ს რიგის ნიშნის არსებობა სავალდებულო არაა — ზმნის პირიან ფორმაში ის შეიძლება არსებობდეს, შეიძლება — არა[1].

> შენიშვნა. ამა თუ იმ პირის მორფემის ნულოვანი ალომორფი ამ მორფემის წარმომადგენლად მიიჩნევა. ხოლო როცა ესა თუ ის პირი ოპოზიციის არამარკირებული წევრია, მაშინ /ვ-/-ს რიგის ნიშანთა წარმომადგენლად აქ სწორედ ნიშნის უქონლობა გვევლინება.

თუ სხვადასხვა რიგის პირის ნიშანთა აღმნიშვნელ ტერმინებს ამის მიხედვით შევარჩევთ, მაშინ /ვ-/-ს რიგის ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ **სავალდებულო** ანუ **ობლიგატორული პირის ნიშანი**, ხოლო /მ-/-ს რიგის ნიშანს — **არასავალდებულო** ანუ **არაობლიგატორული პირის ნი-**

---

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 172, 280.

შანი. შესაბამისად — სავალდებულო პირის ნიშნით გამოხატულ პირს შეიძლება ვუწოდოთ **სავალდებულო, ობლიგატორული პირი**, ხოლო **არასავალდებულო** პირის ნიშნით გამოხატულ პირს, რომელსაც ზმნის პირიან ფორმათა ერთი ნაწილი შეიცავს, მეორე კი არა, — **არასავალდებულო, არაობლიგატორული პირი** (თუ ზმნის პირიანობის განსაზღვრის ტრადიციული გაგებიდან ამოვალთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ ტერმინი „სავალდებულო პირი“ ერთგვარად პირობითია, რამდენადაც გარკვეულ შემთხვევებში ზმნას არ ეწყობა სავალდებულო პირის ნიშნით გამოსახატავი სახელი: მცივა, მძინავს, მირბენია და სხვა. /ვ-/-ს რიგის პირის ნიშანი ასეთ შემთხვევაში, არსებითად, უფუნქციოა [1].

არასავალდებულო ანუ არაობლიგატორული პირის მიგნით შეიძლება გამოიყოს ორი სახესხვაობა, რომელთაგან ერთი, ჩვეულებრივ, ე. წ. ირიბ ობიექტს შეესაბამება, მეორე — პირდაპირს. ვუწოდოთ პირველ მათგანს **არასავალდებულო a** ანუ **არაობლიგატორული a**, ხოლო მეორეს — **არასავალდებულო b** ანუ **არაობლიგატორული b** პირი.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სავალდებულო პირის ნიშანთა რიგი იმავე მორფოლოგიურ ერთეულებს აერთიანებს, რასაც ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით ე. წ. „სუბიექტური პირის ნიშნები“, არასავალდებულო პირის ნიშანთა რიგი კი — იმავე ერთეულებს, რასაც ე. წ. „ობიექტური პირის ნიშნები“. სავალდებულო პირი კი თავისი მოცულობით მთლიანად არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ტრადიციულად სუბიექტურ პირს უწოდებენ, ისევე როგორც არასავალდებულო პირი მთლიანად არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ობიექტურ პირს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ სავალდებულო პირი არის მხოლოდ და მხოლოდ ის პირი, რომელიც სავალდებულო პირის ნიშნებით (ე. ი. /ვ-/-ს რიგის ნიშნებით) გამოიხატება, ისევე როგორც არასავალდებულო პირი არის მხოლოდ და მხოლოდ ის პირი, რომელიც არასავალდებულო პირის ნიშნებით (ე. ი. /მ-/-ს რიგის ნიშნებით) გამოიხატება, მაშინ როდესაც სუბიექტური პირი არის არა მხოლოდ „სუბიექტური პირის ნიშნებით“ გამოხატული პირი, არამედ „ობიექტური პირის ნიშნებით“ გამოხატული ის პირიც, რომელიც აქტიურია (ე. წ. ინვერსია), ისევე როგორც ობიექტური პირი არის არა მხოლოდ „ობიექტური პირის ნიშნებით“ გამოხატული პირი, არამედ „სუბიექტური პირის ნიშნებით“ გამოხატული ის პირიც, რომელიც პასიურია (ინვერსია). [ისეთი ფორმების შედარება, როგორიც არის, ერთი, მხრივ, ვ-ჭრი, გა-ვ-ჭერი და, მეორე მხრივ, გა-მ-იჭრია, ქმნის ილუზიას, რომ პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვება აქ გარდაუვალია, რამდენადაც აღნიშნული ფორმები გარკვეული აზრით ერთმანეთის

[1] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—193; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. I, 1969, გვ. 224.

გაგრძელებას წარმოადგენენ. ეს ილუზია იმით იქმნება, რომ /ვ-/-თი და /ვ-/-თი გამოხატული პირი აქ ერთნაირად აქტიურია, ამ აზრით ისინი, მართლაც, ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ. თუ იმ თვალსაზრისზე დავდგებით, რომ I პირის აქტიურობა აქ პირის ნიშნებით გამოიხატება (პირველ შემთხვევაში /ვ-/-თი, მეორეში — /ვ-/-თი), მაშინ ინვერსიის დაშვება, რასაკვირველია, გარდაუვალია; მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირის აქტიურობა პირის ნიშნებით არც ერთ შემთხვევაში არ გამოიხატება (იხ. ზემოთ), მაშინ, თავისთავად ცხადია, ინვერსიის დაშვებას აქაც საფუძველი ეცლება].

მართალია, პირის ნიშანთა სახესხვაობები (სავალდებულო პირის ნიშანი, არასავალდებულო პირის ნიშანი) პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას არ გამოხატავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დაპირისპირების არსებობა სრულიად უდავოა — ზმნაში გამოხატული პირი ან მოქმედია, ან — სამოქმედო, ან — ნეიტრალური. ბუნებრივად ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ქართველურ ენებში ამ დაპირისპირების გამომხატველი რაიმე მორფოლოგიური საშუალება?

იმ ფაქტიდან ამოსვლით, რომ როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ნიშნებით გამოხატული პირი ხან მოქმედია, ხან — სამოქმედო, ხან — ნეიტრალური, ზემოთ გაკეთდა დასკვნა, რომ ეს დაპირისპირება პირის ნიშნებით არ გამოიხატება. ამის გვერდით თუ აღმოჩნდა რაიმე ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომლის მიხედვით საპირისპირო ფორმათა ერთ ნაწილში ესა თუ ის პირი რეგულარულად მოქმედია, მეორე ნაწილში — რეგულარულად სამოქმედო (თავი რომ დავანებოთ ნეიტრალურ პირს, ამის შესახებ — სხვაგან), მაშინ სრულიად ბუნებრივად გაკეთდება დასკვნა, რომ პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირება ამ კატეგორიის საპირისპირო ფორმებით გამოიხატება.

ამ ბრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს გვარის მორფოლოგიური კატეგორია. განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ამ კატეგორიას ლინგვისტურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ სწორედ ერთ-ერთი პირის აქტიურობა-პასიურობისა და ზმნის ფორმაში ე. წ. პირდაპირი ობიექტის არსებობა-არარსებობის მიხედვით, მაგ.,

„მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ა (აქტიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედი პირი, რომელსაც სუბიექტურის სახელით ვიცნობთ, იგივეა, რაც რეალურად მოქმედი პირი, და მას ჩოეპოვება სამოქმედო პირი, პირდაპირ-ობიექტურის სახელით ცნობილი; მაგალითი: „ვაგორებ“ (მე მას).

ვ ნ ე ბ ი თ ი ა (პასიურია) გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი იმავე განიცდის, რასაც პირდაპირ-ობიექტური სა-

თანადო მოქმედებითში, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან; მაგალითი: „გორდება“ [1].

ამგვარი გაგების საფუძველზეა შექმნილი თვით გვარის მიხედვით ოპოზიციის წევრთა აღმნიშვნელი ტერმინებიც: **აქტიურია** ანუ მოქმედებითია ზმნის ფორმა, თუ ე. წ. სუბიექტური პირი **აქტიურია, მოქმედია; პასიურია** ანუ ვნებითია ზმნის ფორმა, თუ ე. წ. სუბიექტური პირი **პასიურია, ვნებულია.**

უკვე ეს გაგება იძლევა საფუძველს ე. წ. „სუბიექტური პირის“ (ჩვენი ტერმინოლოგიით — სავალდებულო პირის) აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა დავაკავშიროთ არა პირის ნიშნებთან, არამედ — გვარის ფორმასთან, მაგრამ დასკვნების გაკეთებამდე ჩამოვაყალიბოთ ამოსავალი მეთოდოლოგიური დებულება: ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავებულ ფორმებს შორის შინაარსის პლანში არსებული განსხვავების გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ ის, რითაც ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოხატულების პლანში.

გავაანალიზოთ ამ დებულების საფუძველზე ისეთი საპირისპირო ფორმები, როგორიცაა: და-ვ-ხატე — და-ვ-ი-ხატე, შეკერ-ა — შე-ი-კერა, დაკეტ-ა — და-ი-კეტ-ა, მო-ა-ჭრ-ა — მო-ე-ჭრ-ა, აუშენ-ა — აუშენ-დ-ა და სხვა. შინაარსის პლანში ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან სავალდებულო პირის აქტიურობა-პასიურობისა და მისი სამოქმედო პირის ქონება-უქონლობის მიხედვით, გამოხატულების პლანში კი — გვარის (აქტივ-პასივის) ფორმით. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, სავალდებულო პირი მოქმედია (აქტიურია) და მას მოეპოვება სამოქმედო ობიექტი მოქმედებითი გვარის ფორმებში (და-ვ-ხატე, შეკერ-ა, დაკეტ-ა, მო-ა-ჭრ-ა, აუშენ-ა...), სამაგიეროდ იგივე პირი საშოქმედოა (პასიურია) ვნებითი გვარის ფორმებში (და-ვ-ი-ხატე, შე-ი-კერ-ა, და-ი-კეტ-ა, მო-ე-ჭრ-ა, აუშენ-დ-ა...). აქედან ცალსახად გამომდინარეობს დასკვნა: **სავალდებულო პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას გვარის (აქტივ-პასივის) მიხედვით დაპირისპირება განსაზღვრავს, პირის ნიშნები კი ამ დაპირისპირებას უკვეშია არ მონაწილეობენ.** ეს დასკვნა ერთადერთია, იმიტომ, რომ **საპირისპირო ფორმებში მხოლოდ გვარის ფორმა იცვლება, პირის ნიშნები კი უცვლელი რჩება.** მაშასადამე, მოქმედებითი გვარის ფორმა სავალდებულო პირის აქტიურობით უპირისპირდება ვნებითი გვარის ფორმას, რომლისთვისაც დამახასიათებელია იმავე პირის პასიურობა. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ სავალდებულო პირის აქტიურობა გამოიხატება არა პირის ნიშნით, არამედ — მოქმედებითი გვარის ფორმით, ისევე**

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 280.

როგორც იმავე პირის პასიურობა გამოიხატება არა პირის ნიშნით, არამედ — ვნებითი გვარის ფორმით.

უნდა ითქვას, რომ ამ კვალიფიკაციას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ვნებითის ფორმაში წარმოდგენილი სავალდებულო პირი ზოგჯერ აქტიურია და არა პასიური, მაგ., იბღვირება, ილანძღება, იმუქრება, ემუქრება, იკბინება, იცოხნება, ეჯიბრება და სხვა. მაგრამ თუ გავიზიარებთ ვნებითის ზემოთ მოტანილ განსაზღვრას და აგრეთვე დებულებას: „...ნიშანდობლივი თვისება ვნებითისა ის არის, რომ ის ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს რეალურად შემსრულებელი პირის გამოუჩენლად“ [1], მაშინ შეუძლებელია აღნიშნულ ზმნათა ვნებითში გაერთიანება. სწორედ ამიტომ ამგვარი ზმნები ა. შანიძემ გაიტანა ვნებითიდან და ე. წ. დეპონენსების რიგში გააერთიანა. ზოგი ასეთი ფორმა ყოველთვის სავალდებულო პირის აქტიურობით ხასიათდება (იმუქრება, იბღვირება...), ზოგი კი ორი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: სავალდებულო პირი ერთ შემთხვევაში პასიურია (სამოქმედოა), მეორე შემთხვევაში — აქტიური (მოქმედი). ასეთი ვითარება დასტურდება ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ილანძღება, იწყევლება, ისწავლება, იყლაპება, იწერება, და სხვა. არსებული მოსაზრების მიხედვით, ასეთი ფორმები ვნებითად უნდა იქნეს კვალიფიცირებული მხოლოდ პირველი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში [2].

მაგრამ მოქმედებითი გვარის ფორმა სავალდებულო პირის აქტიურობის ხასიათის მიხედვით თვით ე. წ. დეპონენსებისაგანაც განსხვავდება, რამდენადაც პირველ შემთხვევაში აქტიურ სავალდებულო პირს ყოველთვის მოეპოვება უშუალო მოქმედების საგანი (არასავალდებულო b პირი), მეორე შემთხვევაში კი — არასდროს. ეს იმას ნიშნავს, რომ სავალდებულო პირის აქტიურობა მოქმედებითი გვარის ფორმასა და ე. წ. დეპონენსებში სხვადასხვა ხასიათისაა. ამრიგად, სხვაობას სავალდებულო პირის აქტიურობის ხასიათის მიხედვით მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებს შორის იმ შემთხვევაშიც დავადასტურებთ, თუ ვნებით გვარში ე. წ. დეპონენსების გაერთიანებასაც შევეცდებით.

გვარის კატეგორიის შიგნით ე. წ. დეპონენსების ადგილის გარკვევა არსებითი ხასიათის სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისინი ვნებითს ემთხვევიან ფორმითა და პირიანობით, მაგრამ რადიკალურად განსხვავდებიან მნიშვნელობით, ამიტომ მათი ვნებითის გარეთ დატოვება სათანადო დასაბუთებას მოითხოვს, ვნებითში გაერთიანება კი

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 283.

2 იქვე, გვ. 296—300.

შეუძლებელია გვარის არსებული გაგების შეცვლის გარეშე. აქედან ჩანს, რომ საკითხი შემდგომ საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს, ამ ეტაპზე კი ვემყარებით არსებულ თვალსაზრისს.

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ სავალდებულო პირი აქტიურია მოქმედებითი გვარის ფორმაში, პასიური — ვნებითი გვარისაში, რა ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ იმავე ფორმებში არასავალდებულო პირი?

პასუხი ნათელია: არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობა პასიურია (არააქტიურია) როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ფორმაში, ამავე დროს ეს ვითარება არ არის შემთხვევითი, ის შეპირობებულია გვარის ფორმით. საქმე ის არის, რომ მოქმედებითი გვარის ფორმაში სავალდებულო პირი მოქმედია, აქტიურია, რაც თავისთავად განსაზღვრავს არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პასიურობას (არააქტიურობას), ვნებითი გვარის ფორმაში კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამოსავალი დებულებით არის აკრძალული აქტიური (მოქმედი) პირის არსებობა. ამდენად, როგორც აქტივში, ისე პასივში არასავალდებულო პირის პასიურობას გვარის მორფოლოგიური კატეგორია განსაზღვრავს (განსხვავებულია ვითარება კაუზატიურ ფორმებში, სადაც ორი მოქმედი პირია მოცემული, თუმცაღა ოდენმოქმედი აქაც მხოლოდ სავალდებულო პირია, არასავალდებულო a კი მისი სამოქმედო და ნებასურვილის შემსრულებელია. არასავალდებულო b ყოველთვის ოდენსამოქმედოა).

ამრიგად, მოქმედებითი გვარის ფორმაში სავალდებულო პირის აქტიურობა და არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პასიურობა და ვნებითი გვარის ფორმაში როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირის პასიურობა (არააქტიურობა) მორფოლოგიური საშუალებით (გვარის ფორმით) განისაზღვრება და, ამდენად, აქ ეს მორფოლოგიური ხასიათის დაპირისპირებაა. ამ დასკვნას ადასტურებს ისიც, რომ პრინციპულად სხვაგვარია ვითარება ისეთ ფორმებში, რომლებიც არც მოქმედებით გვარს განეკუთვნებიან და არც — ვნებითს. შეიძლება დავასახელოთ ორი არსებითი ხასიათის სხვაობა: 1. თუ მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებში გამორიცხულია არასავალდებულო პირის აქტიურობა, აქ იგი ჩვეულებრივია — ძალიან ხშირად აქტიურია არასავალდებულო a პირი, 2. თუ ვნებითის (მით უფრო — მოქმედებითის) ფორმაში წარმოდგენილი სავალდებულო პირი არც ერთ შემთხვევაში არ არის არასავალდებულო პირის მოქმედების ობიექტი, აქ ასეთი ვითარებაც ჩვეულებრივია — სავალდებულო პირი ხშირად არასავალდებულო a პირის მოქმედების ობიექტია. შეიძლება ორივე ამ დებულების დამადასტურებელი ნიმუშების დასახელება: მაქვს, მყავს, მძულს, მიყვარს, მეზიზღება, მიმაქვს, მიმ-

ყავს, ვყავარ, ვძულვარ, ვუყვარვარ, ვეზიზღები, მივყავარ და სხვა.

თუ იმის საფუძველზე, რომ მოქმედებითი გვარის ფორმაში სავალდებულო პირი რეგულარულად აქტიურია, ხოლო ვნებითი გვარის ფორმაში — რეგულარულად პასიური, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ამ პირის აქტიურობა-პასიურობას გვარის მორფოლოგიური კატეგორია განსაზღვრავს, მაშინ იმის საფუძველზე, რომ სხვაგვარ ფორმებში იგივე პირი აქტიურიც შეიძლება იყოს და პასიურიც, უნდა გაკეთდეს მეორე დასკვნა: ეს ვითარება იმით არის შეპირობებული, რომ აღნიშნული ფორმები არ განეკუთვნებიან არც მოქმედებითსა და არც ვნებითს. ასევე, თუ იმის საფუძველზე, რომ არასავალდებულო პირი რეგულარულად პასიურია როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ფორმებში, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ პირის პასიურობას გვარის მორფოლოგიური კატეგორია განსაზღვრავს, მაშინ იმის საფუძველზე, რომ სხვაგვარ ფორმებში იგივე პირი შეიძლება პასიურიც იყოს და აქტიურიც, უნდა გაკეთდეს მეორე დასკვნა: ეს გარემოება შეპირობებულია იმით, რომ ეს ფორმები არც მოქმედებით გვარს განეკუთვნებიან და — არც ვნებითს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთ ზმნებში, რომლებიც არ განეკუთვნებიან არც მოქმედებით გვარს და არც — ვნებითს, სავალდებულო პირის აქტიურობა და არასავალდებულო პირის პასიურობა აუცილებელი არ არის იმიტომ, რომ ეს ზმნები არ განეკუთვნებიან მოქმედებით გვარს; სავალდებულო და არასავალდებულო პირთა პასიურობა აუცილებელი არ არის იმიტომ, რომ — არ განეკუთვნებიან ვნებით გვარს. მეორე მხრივ, ამავე მიზეზთა გამო შეუძლებელი არ არის არც სავალდებულო პირის აქტიურობა და არასავალდებულო პირის პასიურობა (მაგ., ვიცი) და არც სავალდებულო პირის პასიურობა და არასავალდებულო პირის აქტიურობა (მაგ., მიმყავს, მიყვარს). პირის სახესხვაობათა აქტიურობა-პასიურობა ასეთ ზმნებში მორფოლოგიური საშუალებით არ გამოიხატება და, ამდენად, აქ ეს, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათაგან განსხვავებით, არ არის მორფოლოგიური ხასიათის დაპირისპირება.

შენიშვნა. თავის დროზე ა. ჩიქობავამ შენიშნა შესაძლებლობა ე. წ. სუბიექტური პირის (ე. ი. სავალდებულო პირის) პასიურობის გამოხატვის ვნებითის ნიშანთან დაკავშირებისა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ჭკვლევარმა თვითონვე გამორიცხა: „ფორმებში: ვ-იკლვი, ვ-იგუემები, ვ-ისპობი... შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ვ არ გამოხატავს მე-ს პასიურობას; პასიურობა -ი- ფორმანტით არის წარმოდგენილი; მაშასადამე, ვ- პრეფიქსს პასიურ მე-ს აღნიშვნა სრულებითაც არ ეკისრება; იგი „ჩვეულებრივს" (ვ-ჰკლავ, ვ-არ-ის) მე-ს აღნიშნავსო; მაგრამ თავი და თავი სწორედ ის არის, რომ ენობრივ აზროვნებაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს პასიურად მიჩ-

ნიული მოქმედება — „კლულობა", „გეემულობა", „მოსპობილყოფნა"... — მე-ს წარმოეშვას, მისი ნამოქმედარი იყოს, სწორედ ისევე, როგორც ეს არის ვ-ჰკლავ, ვ-მგუემ, ვ-მსპობ-ში: აქ მე სხვის მოკვლის, გუემის, სპობის წყაროა, იქ (ვ-იკლავი, ვ-იგუემები, ვ-ისპობი-ში) კი საკუთარი თავის მოკვლის, გუემის, სპობისა... რომ ავიღოთ სხვა მაგალითები: ვ-ჰსპობ და ვ-არ, განა აქ ერთნაირად აქტიურია მე? რეალურად — არა, ენობრივად — კი: მე ისევე წარმოშობს (საკუთარ) არსებობას ვარ-ში, როგორც (სხვის) სპობას — ვჰსპობ-ში. ამაშია ვ-პრეფიქსის აზრი ენის, უკეთ რომ ვთქვათ, ენობრივი აზროვნების თვალსაზრისით: იგი ჰიგვითითებს მეზე, რომელიც წარმოშობს აქტიურს ან პასიურ მოქმედებას, გინა ნეიტრალურ ყოფა-მდგომარეობას. ის ყოველთვის მოქმედი, აქტიურია, იმისდა მიუხედავად, რანაირია შედეგი და შინაარსი მოქმედებისა: უარყოფითი, ნეიტრალური თუ დადებითი — აქტივობის თვალსაზრისით. იგი ალგებრაულ გამრავლებას მოგვაგონებს, რომელსაც შედეგად — ნაწარმში — შეუძლია მოგვცეს ან უარყოფითი ან დადებითი ოდენობა, ან კიდევ ნული, იმისდა მიხედვით, რაგვარ ოდენობათა გამრავლება ხდება" [1].

ზემოთ მოცემულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ მოქმედებითი გვარის ფორმისათვის აუცილებელია სავალდებულო პირის აქტიურობა და არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პასიურობა, რადიკალურად ეწინააღმდეგება გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები, თუკი მათ მოქმედებითი გვარის კუთვნილებად მივიჩნევთ. საქმე ის არის, რომ ამ ფორმათათვის, მოქმედებითი გვარის ყველა სხვა ფორმისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია სავალდებულო პირის პასიურობა და არასავალდებულო პირის აქტიურობა. ამ წინააღმდეგობის მოუხსნელად ზემოთ წამოყენებული თვალსაზრისის გაზიარება შეუძლებელია.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს დებულებები: „...გარდამავალი ზმნის ფორმებს III სერიის მწკრივებში გარდაუვალი შეენაცვლა და აქტიურ ფორმებს — პასიური, რასაც თავის დროზე ჰ. შუხართი აქცევდა ყურადღებას" [2] (ავტორი აქ ლაპარაკობს დიაქრონიულ და არა სინქრონიულ შენაცვლებაზე) და „...ინვერსიული წყობის ზმნები... სინამდვილეში არ არიან გარდამავალი ზმნები: დაუწერია (ძვ. ქართ. დაუწერიეს) მას ის, დაეწერა მას ის... თავიანთი აგებულებით გარდაუვალი ზმნებია" [3].

მართალია, ეს დებულებები არაა სპეციალურად არგუმენტირებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს, რომ არგუმენტაციის საფუძველი საერთოდ არ არსებობს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღე-

1 ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 133.

2 ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 227.

3 გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, II, 1975, გვ. 275.

ბოა ის ფაქტი, რომ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმა ზოგი არსებითი ნიშნის მიხედვით ემთხვევა გარდაუვალ ზმნას: 1. არც ერთი მათგანისათვის არ არის დამახასიათებელი სამპირიანობა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გარდაუვალ ზმნებს, როგორიცაა: შეეკითხა, დაჰპირდა, მოუყვა და ზოგი სხვა), 2. ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვათა ურთიერთმიმართება ორივე შემთხვევაში ერთნაირია: სავალდებულო პირი სახელობითში დგას, არასავალდებულო — მიცემითში (შეუერთდა ის მას — დაუწერია ის მას), რაც გარდაუვალ ზმნასთან ერთადერთი კონსტრუქციაა.

ისმის კითხვა: რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გარდამავალ ზმნათა III სერიისათვის აბსოლუტურად უცხოა სამპირიანობა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის იმისი მიზეზი, რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნა III სერიაში აუცილებლად ორპირიანი ხდება?

ვერ ვიტყვით, რომ I და II სერიის ფორმათაგან III სერიის ფორმის მიღების ერთადერთი გზა იყოს პირის დაკლება, რადგანაც ყოველგვარი ორპირიანი ზმნა (როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი) III სერიაშიც ორპირიანად რჩება. არც იმის თქმის უფლება გვაქვს, რომ III სერიაში საერთოდ შეუძლებელი იყოს სამპირიანობა, რადგანაც სამპირიანი გარდაუვალი ზმნა სამპირიანადვე რჩება III სერიაშიც (ჰპირდება ის მას მას — დაჰპირდა ის მას მას — დაჰპირებია ის მას მას).

ბუნებრივად ისმის კითხვა: სამპირიანი ზმნის III სერიაში რატომ ხდება პირის დაკლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის გარდამავალია და არ ხდება მაშინ, როცა ის გარდაუვალია?

როგორც ჩანს, იმიტომ, რომ **III სერიაში ზმნა გარდაუვალი ხდება**. ამ მხრივ სამპირიან გარდაუვალ ზმნას III სერიაში არავითარი ცვლილება არ სჭირდება, რადგანაც ის უცვლელადაც გარდაუვალია. სამპირიანი გარდამავალი ზმნის გარდაუვალად ქცევა კი, რაც III სერიაში ხდება, მოითხოვს მთელი კონსტრუქციის შეცვლას. რადგანაც გარდაუვალი ზმნისათვის ტიპიურია არა სამპირიანობა, არამედ ერთ ან ორპირიანობა, ამიტომ ხდება სამპირიან ზმნაში პირის (არასავალდებულო a-ს) დაკლება, სავალდებულო პირი არასავალდებულო a-დ იქცევა, ხოლო არასავალდებულო b — სავალდებულო პირად (შდრ. კონსტრუქციის ანალოგიური შეცვლა მოქმედებითი გვარის ფორმის ვნებითად გადაყვანის დროს). ამ გზით ვიღებთ ორპირიანი გარდაუვალი ზმნისათვის დამახასიათებელ ერთადერთ კონსტრუქციას, სადაც სავალდებულო პირი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო არასავალდებულო — ყოველთვის მიცემითში.

თუ ამ კვალიფიკაციას დავემყარებით, მაშინ უნდა გამოირიცხოს III სერიის რომელიმე ფორმის მოქმედებითი გვარის კუთვნილებად

მიჩნევის შესაძლებლობა, რადგანაც, როგორც ცნობილია, მოქმედებითი გვარისა შეუძლებელია იყოს ზმნის ფორმა, რომელიც გარდაუვალია — მოქმედებითი გვარის ზმნა ყოველთვის გარდამავალია. მეორე მხრივ, გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებს ვერც ვნებითი გვარის კუთვნილებად მივიჩნევთ [1], რადგანაც მათ ამავე სერიაში არ მოეპოვებათ ისეთი საპირისპირო ფორმები, რომლებიც შეიძლება მოქმედებითი გვარის ფორმებად იქნენ კვალიფიცირებული.

ნათქვამის საფუძველზე გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები შეიძლება დახასიათდნენ როგორც არამოქმედებითი და არავნებითი. ასეთ ფორმებში კი, როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივია არასავალდებულო a პირის აქტიურობა და სავალდებულო პირის პასიურობა. ამ მხრივ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმა არაფრით განსხვავდება „მაქვს“ ტიპის ზმნებისაგან, ამიტომ პირველი მათგანი ისევე არ ეწინააღმდეგება ზემოთ წამოყენებულ თვალსაზრისს, როგორც — მეორე.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: **დაპირისპირება „სუბიექტი — ობიექტი“ ქართველურ ენებში მორფოლოგიის შესწავლის საგანია არა იმიტომ, რომ მას პირის ნიშნები გამოხატავენ, არამედ იმიტომ, რომ ეს დაპირისპირება სხვა მორფოლოგიური კატეგორიის (კერძოდ კი — გვარის) მიხედვით საპირისპირო ფორმებით გამოიხატება.** აღნიშნული დაპირისპირების გამოხატვის პირის ნიშანთა ფუნქციად მიჩნევა, როგორც ჩანს, იმის შედეგია, რომ გვარის ფორმით გამოხატული მნიშვნელობა პირის ნიშნებს მიეწერა.

ჩვენ ერთბაშად არ მივსულვართ იმ თვალსაზრისამდე, რომელიც პირის სახესხვაობათა (შესაბამისად — ე. წ. ინვერსიის) შესახებ წინამდებარე ნაშრომში არის მოცემული, იგი თანდათანობით ყალიბდებოდა კვლევა-ძიების პროცესში. ამიტომაა, რომ ეს ნაშრომი აღნიშნულ საკითხში განსხვავდება არა მხოლოდ ტრადიციული გაგებისაგან, არამედ — ჩვენი უწინდელი შრომებისაგანაც. ჩვენთვის ამოსავალია პრინციპი: შეხედულებათა სრულყოფა-დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად შეცვლა, მეცნიერების პროგრესს ემსახურება, საპირისპიროდ მოქცევა კი, როგორც დოგმატიზმის გამოვლენა, საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

თანამედროვე სინტაქსური თეორიებიდან ამოსვლით შეიძლება დადგეს საკითხი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებისა ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში და ამ მიმართების ამა თუ იმ ენის ზედაპირულ სტრუქტურაში გამოვლენისა. ქართველურ ენათა ზედაპირულ სტრუქტურაში ამ მიმართების გამოვლენა, როგორც ჩანს, მიგვიყვანს

---

1 შდრ. გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

არა პირის, არამედ გვარის კატეგორიასთან, მაგრამ სინტაქსურ ანალიზთან დაკავშირებული საკითხები ამჟამად ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის.

ამის შემდეგ შეიძლება დაისვას კითხვა: თუ პირის ნიშნები პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას არ გამოხატავენ, მაშინ რა არის მათი ლინგვისტური ფუნქცია, რისთვისაც ისინი არსებობენ ენაში?

პირველ ეტაპზე ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ: პირის ნიშანთა ფუნქცია არის პირის გამოხატვა ზმნაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ,— ზმნის პირიანი ფორმის წარმოქმნა. მაგრამ რადგანაც ამ ფუნქციის შესრულება პირის ნიშანთა ერთ რიგსაც შეუძლია (იხ., მაგ., ერთპირიანი ზმნები ქართველურ ენებში და ყველა ზმნა ინდოევროპულ ენებში), ამიტომ ისმის მეორე კითხვა: რა დანიშნულებას ასრულებს პირის ნიშანთა ორი რიგი? რა ლინგვისტური ფუნქცია განსაზღვრავს მათ თანაარსებობას ქართველურ ენებში?

ასეთი დანიშნულება არის ზმნის ფორმაში ერთზე მეტი პირის გამოხატვა — ზმნის პოლიპერსონალურად ქცევა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირის ნიშანთა ორი რიგის ფუნქციას შეადგენს იმ სპეციფიკის გამოხატვა, რითაც, მაგ., ქართული ფორმები **მხატავს, გხატავს, ხატავს, მიხატავს, გიხატავს, უხატავს** განსხვავდებიან რუსული рисует-ისაგან.

აქ ბუნებრივად დგება საკითხი პირის სახესხვაობათა ერთმანეთისაგან გამიჯვნის ხერხების შესახებ. ამ საკითხის სათანადოდ გადაწყვეტა ფაქტობრივ ნიშნავს იმის დადგენასაც, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პირის ეს სახესხვაობები. სემანტიკური ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სავალდებულოა (ე. ი. ობლიგატორულია) ის პირი, რომელიც მოქმედებითი გვარის ფორმაში ყოველთვის მოქმედია და ზმნაში ყოველთვის მოიპოვება მისი უშუალო მოქმედების საგანი (არასავალდებულო b პირი), ვნებითი გვარის ფორმაში კი ყოველთვის სამოქმედოა, მაგრამ ისე, რომ ზმნას არ ეწყობა მასზე მოქმედი პირი, ხოლო ფორმაში, რომელიც არ განეკუთვნება არც მოქმედებით გვარს, არც — ვნებითს, შეიძლება იყოს ან მოქმედი ან სამოქმედო (თანაც ისე, რომ ზმნას ეწყობა მასზე მოქმედი არასავალდებულო a პირი). **არასავალდებულო a** (ე. ი. არაობლიგატორული a) არის ის პირი, რომელიც მოქმედებითისა და ვნებითის ფორმაში ყოველთვის უმოქმედოა, ხოლო ისეთ ფორმაში, რომელიც არ განეკუთვნება არც მოქმედებით გვარს, არც — ვნებითს, შეიძლება იყოს ან უმოქმედო, ან მოქმედი (თანაც ისე, რომ ზმნას ეწყობა მისი სამოქმედო სავალდებულო პირი). **არასავალდებულო b** (ე. ი. არაობლიგატორული b) არის ის პირი, რომელიც მხოლოდ გარდამავალ ზმნაში

მოიპოვება და ყოველთვის სავალდებულო პირის მოქმედების ობიექტია.

და მაინც, პირის სახესხვაობათა ამ ნიშნის მიხედვით გამიჯვნა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საჭიროა უფრო ობიექტური და, ამდენად, უფრო სანდო ხერხის მოძებნა. ამასთანავე, რაკი ჩვენი მიზანი მორფოლოგიური კვალიფიკაციაა, მას საფუძვლად მორფოლოგიური (ყოველ შემთხვევაში — გრამატიკული) ნიშანი უნდა დაედოს.

სავალდებულო და არასავალდებულო პირთა შორის მორფოლოგიური გამოხატვის მიხედვით სხვაობა ქართველურ ენებში უაღრესად ხათელია — ზმნის ფორმაში ისინი სხვადასხვა რიგის, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, ნიშნებით გამოიხატებიან, ამიტომ პირის აღნიშნული ორი სახესხვაობის ამის მიხედვით გამიჯვნა აბსოლუტურად ცალსახა ხასიათს იღებს: **სავალდებულოა** პირი, რომელიც /ვ-/-ს რიგის (ე. ი. სავალდებულო პირის) ნიშნებით გამოიხატება, **არასავალდებულო** კი არის პირი, რომელიც /მ-/-ს რიგის (ე. ი. არასავალდებულო პირის) ნიშნებით გამოიხატება. გამიჯვნა იმდენად ავტომატურია, რომ რაიმე დამატებითი კრიტერიუმი საჭირო არ არის.

არასავალდებულო პირის სახესხვაობებს შორის ასეთ ნათელ სხვაობას ვერ ვადასტურებთ. ორივე ამათგანის პირველი პირი ერთი და იმავე პრეფიქსით გამოიხატება ყოველ ქართველურ ენაში (მაგ., ქართ. მ-ხატავს — მ-იხატავს). ასეთივეა ვითარება მეორე პირის ფორმაშიც (მაგ., ქართ. გ-ხატავს — გ-იხატავს). განსხვავება მხოლოდ მესამე პირის ფორმაში იჩენს თავს და ისიც მხოლოდ სვანურსა (რეგულარულად) და ქართულში (არარეგულარულად). ეს განსხვავება შეიძლება გამოვიყენოთ არასავალდებულო პირის სახესხვაობათა ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. სათანადო წესები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. სვანურში **არასავალდებულო a** არის ის სახესხვაობა, რომლის III პირიც რეგულარულად /ხ-/-თი გამოიხატება (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პრეფიქსი მორფონოლოგიური მიზეზებით ნულს უტოლდება), **არასავალდებულო b** კი არის ის სახესხვაობა, რომლის III პირიც ოპოზიციის არამარკირებული წევრია, ე. ი. სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით არც ერთ შემთხვევაში არ გამოიხატება (იხ. ქვემოთ).

2. ქართულში **არასავალდებულო a** არის ის სახესხვაობა, რომლის III პირი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შემდეგნაირად გამოიხატებოდა: ა) ხანმეტ ტექსტებში — რეგულარულად /ხ-/-თი, ბ) ჰაემეტ ტექსტებში — /ჰ-/-თი, მაგრამ რეგულარულად მხოლოდ თანხმოვნების წინ, გ) IX საუკუნის მომდევნო ძველ ქართულში თანხმოვნების წინ — /ჰ- ~ ს- ~ შ-/-თი, დ) თანა-

მედროვე ქართულში კი — ზოგი თანხმოვნის წინ /ჰ-~ს-/-თი. არასავალდებულო **b** ის სახესხვაობაა, რომლის III პირი ძველ ქართულში (ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ჩათვლით) პრეფიქსებით რეგულარულად არც ერთ ფონოლოგიურ პოზიციაში არ გამოიხატება, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი გამომხატველი სეგმენტური ერთეული, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ მოეპოვება (იხ. ქვემოთ).

მეგრულ-ჭანურისათვის ამგვარი წესების ჩამოყალიბება არ ხერხდება, რადგანაც არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობა ერთნაირად გამოიხატება სამივე პირის ფორმაში (იხ. ქვემოთ).

რადგანაც არასავალდებულო პირის სახესხვაობათა მორფოლოგიური ხერხებით გამიჯვნა ცალსახად მხოლოდ სვანურშია შესაძლებელი, ქართულის ვითარება ერთგვარად ორაზროვანია, ხოლო მეგრულ-ჭანური ამგვარი გამიჯვნის საშუალებას საერთოდ არ იძლევა, ამიტომ იქმნება აუცილებლობა შემოვიტანოთ ყველა ქართველური ენისათვის გამოსადეგი სხვა ხერხი, მაგრამ არა სემანტიკური, არამედ ისევ გრამატიკული, თუმცა არა მორფოლოგიური, არამედ სინტაქსური: **არასავალდებულო a** არის ის პირი, რომელიც ზმნის II სერიის ფორმასთან მიცემით ბრუნვაში დგას, **არასავალდებულო b** კი არის პირი, რომელიც ზმნის იმავე ფორმასთან სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი.

სურათის სისრულისათვის ერთ-ერთი ენის, მაგ., თანამედროვე სალიტერატურო ქართულის, მიხედვით შეიძლება შევადგინოთ სქემა, სადაც ნაჩვენები იქნება, თუ რომელ ბრუნვაში დგას ზმნის სხვადასხვა სერიის ფორმასთან პირის ესა თუ ის სახესხვაობა [1].

წინასწარ შევნიშნავთ, რომ სავალდებულო პირის გრაფაში ბრუნვათა ორი რიგია წარმოდგენილი, პირველი მათგანი გარდაუვალ ზმნასთან დასტურდება, მეორე — გარდამავალთან.

პირის სახესხვაობები	I სერია	II სერია	III სერია
სავალდებულო პირი	სახელობითი სახელობითი	სახელობითი მოთხრობითი	სახელობითი
არასავალდებულო a პირი	მიცემითი	მიცემითი	მიცემითი
არასავალდებულო b პირი	მიცემითი	სახელობითი	—

1 პირის სახესხვაობათა გამიჯვნის ეს ხერხი დიდი ხანია ცნობილია, იხ. მაგ., ა. შანიძე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 212; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 141—142, 172; ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 87; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I, გვ. 217 და სხვ.

გამონაკლისს, როგორც ცნობილია, შეადგენს „იცის“ (ძვ. ქართულში ასეთი იყო აგრეთვე „უწყის“), სადაც I სერიის ფორმასთან სავალდებულო პირი მოთხრობით ბრუნვაში დგას, ხოლო არასავალდებულო b — სახელობითში.

ეს სქემა გამონაკლისის გარეშე ასახავს თანამედროვე სვანურის ვითარებასაც, რადგანაც სვანური ამ მხრივ ქართულს ემთხვევა. განსხვავებულია ვითარება, ერთი მხრივ, მეგრულში, მეორე მხრივ კი — ჭანურში, ამიტომ ისინი თავ-თავის სქემებს მოითხოვენ. ამ სქემების იმ პრინციპის საფუძველზე შედგენა, რასაც ზემოთ წარმოდგენილი სქემა ემყარება, სრულიად მარტივი ამოცანაა.

მორფოლოგიური კვალიფიკაციისათვის სინტაქსური ხერხების შემოტანა აქ, მართალია, იძულებითია, მაგრამ მოიპოვება საშუალება ამ გზით მიღებული შედეგების მართებულობის მორფოლოგიური ხერხებით შემოწმებისა; კერძოდ, სვანურსა და ქართულში ზემოაღნიშნული ორი ხერხით (მორფოლოგიურითა და სინტაქსურით) მიღებული შედეგები აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს, ეს კი აღნიშნული სინტაქსური ხერხის სანდოობაზე მეტყველებს.

ტრადიციულად მიიჩნევა, რომ ქართველურ ენებში ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. პირიანობის დასადგენად კი, როგორც ცნობილია, მიმართავენ არა მხოლოდ პირის ნიშნებს, არამედ პირის ნაცვალსახელებსაც — ზმნა იმდენპირიანია, რამდენი უთანდებულო ნაცვალსახელიც ეწყობა მას [1]. ვფიქრობთ, სადავო არაა, რომ ამ ხერხით შეიძლება ზმნის ვალენტოვნების დადგენა, მაგრამ შესაძლებელია დავა გამოიწვიოს მისმა გამოყენებამ ზმნის პირიანობის დასადგენად. საქმე ის არის, რომ ზმნის ვალენტოვნება განისაზღვრება მასთან დაკავშირებულ აქტანტთა რაოდენობით, პირიანობა კი—პირთა რაოდენობით. ზმნაში აქტანტი მორფოლოგიურად (პირის ნიშნებით) შეიძლება გამოიხატებოდეს, შეიძლება — არა, ინდოევროპულ ენებში, მაგ., პირს მხოლოდ და მხოლოდ პირველი აქტანტი ქმნის, ის არის მხოლოდ (და ამავე დროს ყოველთვის) ზმნაში მორფოლოგიურად გამოხატული. აქტანტთა რაოდენობა კი აქ ენებში, როგორც ცნობილია, ერთზე მეტია.[2] პირისათვის, აქტანტისაგან განსხვავებით, ზმნის ფორმაში მორფოლოგიურად გამოხატვა საჭიროა.

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 171; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, გვ. 216; შ. კეკელია, ა. დავითიანი, ქართული ენა, გვ. 175.

2 Г. Г. Сильницкий, Глагольная валентность и залог, Типология пассивных конструкций, 1974, გვ. 54—72; ლ. ენუქიძე, ზმნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართების საკითხისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, 1974, გვ. 50—66.

ამდენად, ყოველი პირი ამავე დროს აქტანტიც არის, მაგრამ ყოველი აქტანტი არაა პირი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ ქართველურ ენებში არ მოიპოვება ზმნის ფორმა, სადაც ორზე მეტი პირის ნიშანი იყოს ერთდროულად წარმოდგენილი. რადგანაც ზმნის პირიანობა ბოლოს და ბოლოს პირის ნიშნებზეა დამოკიდებული, ამიტომ შეუძლებელი არაა ნათქვამის საფუძველზე გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ ენებში ზმნა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთპირიანად ან ორპირიანად (იმის მიხედვით, თუ რამდენი პირის ნიშანია მასში წარმოდგენილი), მაგრამ არა — სამპირიანად. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზმნაში მორფოლოგიურად (პირის ნიშნებით) სათანადო ადგილას სამივე სახესხვაობა გამოიხატება: ვ-კლავ, მ-კლავს, მ-იკლავს. ეს კი, თითქოს, იმის საფუძველს იძლევა, რომ ქართველურ ენებში დავუშვათ ზმნის სამპირიანობის შესაძლებლობა, მაგრამ მაშინ ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ზმნის ერთ ფორმაში პირის ორზე მეტი ნიშანი არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ზმნის ფორმაში სამი პირის ნიშნის თანაარსებობის ხელშემშლელი პირობები: ჯერ ერთი, ზმნას, რომელსაც არასავალდებულო ხ-ს მესამე პირი ეწყობა, ერთი პირის ნიშანი მუდამ აკლია, რადგანაც ეს პირი ქართველურ ენებში სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით, როგორც წესი, არ გამოიხატება და, მეორეც (ეს კი მთავარია), ქართველურ ენებში ზმნის ერთ ფორმაში ორი სხვადასხვა პირის აღმნიშვნელი პრეფიქსის არსებობა არ არის დასაშვები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), სუფიქსით კი მხოლოდ მესამე სავალდებულო პირი გამოიხატება. ამიტომ, ცხადია, შეზღუდვის მხოლოდ ეს წესი საკმარისია იმისათვის, რომ ზმნის ერთ ფორმაში სამი პირის ნიშანი არც ერთ შემთხვევაში არ დადასტურდეს. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ქართველურ ენებში ბუნებრივია დავუშვათ არსებობა სამპირიანი ზმნებისა, სადაც ერთ-ერთი პირის ნიშანი ყოველთვის ნულის სახით არის წარმოდგენილი.

დასკვნები, რაც აქამდე იყო გაკეთებული, მთლიანად სინქრონიული ხასიათისაა, რამდენადაც ისინი ემყარებიან თანამედროვე ქართველურ ენათა მონაცემებს.

არსებობს მოსაზრება, რომ ვითარება ისტორიულად სხვაგვარი იყო. ა. შანიძე ქართულის შესახებ, მაგ., შენიშნავს: „...ვინის რიგის ნიშნები, რომლებიც ოდესღაც (ვიდრე ქართული ენა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდოდა) მხოლოდ სუბიექტურები იყვნენ, დღევანდელ ენაში ხან სუბიექტურებია, ხან ობიექტურები; მანის რიგისანი კი, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ ობიექტური პირის აღნიშვნის ფუნ-

ქციით იყვნენ აღჭურვილნი, დღეს ხან ობიექტურ პირსა და ხანაც სუბიექტურ პირს აღნიშნავენ“ [1]. ა. ჩიქობავა კი წერს: „ინვერსია უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ჰანურში, არამედ სხვა ქართველურ ენებშიაც... თავდაპირველად ზმნის თვალსაზრისით ობიექტი რეალურადაც ობიექტად იყო წარმოდგენილი და ის, რაც ზმნაში სუბიექტის როლს ასრულებს, რეალურად სუბიექტად იყო დასახული, სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველგან პირდაპირი ანუ სწორი წყობა იყო. შემდეგ აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით შეიცვალა გაგება ობიექტური ვითარებისა, ზმნამ კი შეინარჩუნა წინანდელი გაგების შესაფერისი აგებულება, ერთი სიტყვით, მეტყველება ჩამორჩა აზროვნებას, დაირღვა კორელაცია აზროვნებასა და მეტყველებას შორის, და შედეგად მივიღეთ ინვერსიულობა“ [2].

როგორც ვხედავთ, ორივე თვალსაზრისის მიხედვით, პირის ნიშანთა ერთი რიგი ისტორიულად მუდამ მოქმედ პირს, ე. ი. სუბიექტს, გამოხატავდა, მეორე რიგი კი — სამოქმედო (ან — უმოქმედო), ე. ი. ობიექტურ, პირს; პირის ნიშანთა ინვერსიას, ამდენად, ადგილი არ ჰქონდა.

თუ ეს დებულება დასაბუთდება, მაშინ ქართველურ ენათა განვითარების ადრეული საფეხურისათვის დაპირისპირება „სავალდებულო პირი — არასავალდებულო პირი“ უნდა შეიცვალოს დაპირისპირებით „სუბიექტური პირი — ობიექტური პირი“. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ამ დებულებას, ჩვენი აზრით, ლინგვისტური დასაბუთება არ მოეპოვება. ამ მხრივ ქართველურ ენათა სრული ერთგვაროვნება უფრო იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ ვითარება საერთო-ქართველურ ფუძე-ენაშიც პრინციპულად ისეთივე იყო, როგორიც თანამედროვე ქართველურ ენებში. წინააღმდეგ შემთხვევაში დგება რთული საკითხი იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ამ მხრივ ყველა ქართველური ენის აბსოლუტურად ერთი მიმართულებით ცვლა.

რადგანაც ამ პრობლემას ცალსახა ლინგვისტური გადაწყვეტა არ მოეპოვება, ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენ ვარჩევთ ქართველურ ენათა ერთგვაროვნება მივიჩნიოთ არა მათი ერთი მიმართულებით ცვლის შედეგად, არამედ — საერთო-ქართველური ვითარების გაგრძელებად. ამიტომ დიაქრონიის საკითხებზე მსჯელობის დროსაც ჩვენ იმავე ცნებებითა და ტერმინებით ვსარგებლობთ, რითაც სინქრონიული ანალიზის დროს.

1.01.3. რომლობის მიხედვით ოპოზიცია. ეს ოპოზიცია დამახასიათე-

---

[1] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 197.

[2] ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 93—94.

ბელია პირის სამიეე სახესხვაობისათვის. გამოიყოფა ოპოზიციის სამი წევრი: პირველი პირი, მეორე და მესამე.

პირველია მოსაუბრე, ე. ი. ინფორმაციის გადამცემი პირი, მეორეა ის პირი, რომელსაც მოსაუბრე მიმართავს, ე. ი. ინფორმაციის მიმღები, ხოლო მესამეა პირი, რომელიც არც ინფორმაციის გადამცემია და არც მიმღები (ე. ი. არც პირველი პირია და არც — მეორე)[1].

1.02. პირის მორფემათა სინქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

1.02.1. სავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ცნობილია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნის სამივე პირს თავისი მორფემა აქვს. ამავე დროს თითოეული მორფემა რამდენიმე ვარიანტით (ალომორფით) არის წარმოდგენილი. ჩვენი მიზანია ამ მორფემათა დისტრიბუციული ანალიზი, ე. ი. დადგენა იმისა, თუ რა ალომორფებისაგან შედგება თითოეული მორფემა, რა შემთხვევებშია წარმოდგენილი აბ მორფემათა თითოეული ალომორფი და როგორ არის შეპირობებული მათი გამოვლენა.

პირველი სავალდებულო პირის მორფემა, ჩვეულებრივ. /ვ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი: ვ-არ, ვ-მალავ, ვ-იმალები, და-ვ-მალე, და-ვ-იმალე, და-ვ-მალულვარ და სხვა.

/ვ-/ ალომორფთან თავისუფლად მონაცვლეობს /Ø/ იმ შემთხვევაში, თუ მას უშუალოდ მოსდევს /ვ/ ან /უ/: ვ-ვარდები // ვარდები, ვ-უკეთებ // უკეთებ, ვ-უთხარი // უთხარი და სხვა. უფრო ზუსტად ასეთ შემთხვევებში /ვ-/ ალომორფიანი ფორმები, არსებითად, სალიტერატურო ქართულის ორთოგრაფიული ნორმაა, წარმოთქმაში კი აჩ /ვ-/, ჩვეულებრივ, ნულთან არის გათანაბრებული[2].

ყოველთვის ნულოვანი ალომორფი არის წარმოდგენილი ორ შემთხვევაში: 1. „სვლა“ ზმნის S_1 ფორმაში: მო-ვალ, წა-ვალ, მო-ვედი, წა-ვედი, მო-ვიდოდე, წა-ვიდოდე და სხვა; 2. თუ I სავალდებულო პირთან ფორმაში მოცემულია არასავალდებულო II პირი[3], ე. ი. თუ

---

[1] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 167 — 169; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 130; О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, გვ. 247—250.

[2] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 175; H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, Oslo, 1971, გვ. 81.

[3] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 186; ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, გვ. 136; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 054; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 164 და სხვა.

წარმოდგენილია II არასავალდებულო პირის მორფემა: გხატავ, გაქებ, მოგითხრობ და სხვა.

მეორე სავალდებულო პირის მორფემა /ხ-/ ალომორფის სახით არის წარმოდგენილი მხოლოდ არ, ვალ, ვედ ძირებთან კომბინაციაში: ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი, ყველა სხვა შემთხვევაში — /Ø/-ით: წერ, აკეთებ, ტირი, ჰრი, დაწერე, გააკეთე, იტირე, გაჭერი და სხვა.

მეორე სავალდებულო პირის მორფემის /ჰ-~ს-/ ალომორფები, არსებითად, ძველი და საშუალი ქართულის (აგრეთვე ზოგი თანამედროვე ქართული დიალექტის) კუთვნილებაა და არა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა [1].

მესამე სავალდებულო პირის მორფემა, პირველ და მეორე პირთა მორფემებისაგან განსხვავებით, მხოლოობითსა და მრავლობითში სხვადასხვა ალომორფებით არის წარმოდგენილი. ეს ალომორფები, ამდენად, როგორც ცნობილია, სათანადო რიცხვსაც გამოხატავენ.

მესამე სავალდებულო პირისა და მისი მხოლოობითი რიცხვის ალმნიშვნელად დასტურდება სამი ალომორფი — /-ს/, /-ა/ და /-ო/, რომელთა განაწილება საკმაოდ რთულ სურათს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ განაწილების შესახებ ზოგი არსებითი მომენტი ცნობილია [2], მისი სისტემატური და ასე თუ ისე ამომწურავი დახასიათება არ გაგვაჩნია. შევეცდებით წარმოვადგინოთ ამ ალომორფთა დისტრიბუციის შეძლებისდაგვარად სრული სურათი.

აღნიშნული ალომორფები, არსებითად, მწკრივთა მიხედვით ნაწილდებიან [3] — ყოველ მწკრივში თითო ალომორფია წარმოდგენილი. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ აწმყო, მყოფადი და წყვეტილი. თითოეულ მათგანში ორ-ორი ალომორფია წარმოდგენილი. ამდენად, S_3 მორფემის ალომორფთა განაწილების შესახებ დამატებითი წესების შემოტანა მხოლოდ ამ მწკრივებშია საჭირო.

/-ს/ ალომორფი შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

---

[1] იხ. ა. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 118—127; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 105; გ. ახვლედიანი. ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, ჩვენი მეცნიერება, № 1, 1923 წ., გვ. 100; ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 81; ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 88; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 052: ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, გვ. 220; შ. კეკელია ა. დავითიანი, ქართული ენა, გვ. 178—179; ი. გიგინეიშვილი, ჰ-და ხ- თავსართები ზმნებში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970, გვ. 192—195.

[2] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გე. 117—179, 423—441; H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, 1971, გვ. 82, 91—92.

[3] ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 163.

1. ის ერთადერთია კავშირებითის მწკრივებში: ხატავდე-ს, შენდებოდე-ს, დახატავდე-ს, აშენდებოდე-ს, დახატო-ს, აშენდე-ს, დაეხატო-ს, აშენებულიყო-ს და ა. შ.

2. /-ს/ ალომორფი, გარდა კავშირებითისა, დასტურდება მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში[1], მაგრამ აქ ის არ არის ერთადერთი, გვხვდება აგრეთვე /-ა/ ალომორფი. ხერხდება მათი განაწილების შემდეგი წესების დადგენა:

ა) აღნიშნულ მწკრივებში S_3 ყოველთვის /-ს/ ალომორფით აღინიშნება ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნებთან: წერ-ს, აკეთებ-ს, დაწერ-ს, გააკეთებ-ს, დუღ-ს, იდუღებ-ს, ტირი-ს, იტირებ-ს და ა. შ. მაშასადამე, /-ს/ ალომორფის გამოვლენისათვის საკმარისია აღგვარი ზმნის აწმყოს ან მყოფადის ფორმა, რაიმე დამატებითი პირობა საჭირო არ არის. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს წესი უგამონაკლისოა.

ბ) აწმყოს მწკრივში მესამე სავალდებულო პირის მორფემის /-ს/ ალომორფი დასტურდება ზოგ ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნასთანაც. ასეთი ვითარება გვაქვს სამ შემთხვევაში: 1) თუ ზმნის ფორმაში წარმოდგენილია /-ავ/ თემის ნიშანი, მაშინ /-ს/ დასტურდება არა მარტო ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან, არამედ ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნებთანაც, მაგ., ახურავ-ს, აკრავ-ს, უპირავ-ს, ნებავ-ს და სხვა. ამრიგად, /-ავ/ თემის ნიშნის შემცველ ფორმათა აწმყოში S_3 ყოველთვის /-ს/ ალომორფით არის წარმოდგენილი. 2) თუ მესამე სავალდებულო პირის ნიშანს უშუალოდ უძღვის წინ /ი/ (ფუძისეული ან სუფიქსური), მაშინ, გარდა ვნებითი გვარის სტატიკური ზმნებისა, მესამე სავალდებულო პირი ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნებთანაც /-ს/ ალომორფით აღინიშნება, მაგ., იწვი-ს, ეწვი-ს, ისმი-ს, ესმი-ს, იძვრი-ს, ეკვრი-ს, ზი-ს, არი-ს, შვენი-ს და სხვა. (შდრ. სტატიკური ვნებითის ფორმები: ყრი-ა, აგდი-ა, აფენი-ა, აბადი-ა და სხვა). 3) /-ს/ ალომორფი დასტურდება აგრეთვე მეღიოპასიურ ზმნებში: დევ-ს, წევ-ს, დგა-ს, სძაგ-ს, ახსოვ-ს, შურ-ს და სხვა.

ზოგ მედიოპასიურ ზმნასთან გვაქვს /-ა/ ალომორფი: უნდ-ა, სჯერ-ა, სწყური-ა. მედიოპასიურ ზმნებში /-ს/ და /-ა/ ალომორფთა განაწილება არც ფონოლოგიური პოზიციით იხსნება და არც ზმნის მორფოლოგიური თავისებურებით — ზოგი ზმნური მორფემა ერთ ალომორფთან შედის კომბინაციაში, ზოგი — მეორესთან. ამგვარ განაწილებასაც მორფოლოგიურად შეპირობებულ განაწილებას უწოდე-

---

1 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 423; Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, М.-Л., 1940, გვ. 90.

ბენ (იხ., მაგ., Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, გვ. 104—105). ასეთ შემთხვევაში ანალიზის სისრულისათვის საჭიროდ მიიჩნევენ სათანადო ენობრივი მასალის სიის შედგენას (იხ., მაგ., Л. Блумфилд, Язык, М., 1968, გვ. 229—230).

ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნათა აწმყოსა და მყოფადში ყველა სხვა შემთხვევაში /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი.

აღნიშნულ შემთხვევათა გარდა, მესამე სავალდებულო პირის მორფემის /-ს/ ალომორფი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება.

/-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილება. ა. შანიძე წერს: „...არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლობითში ა-ს ნაცვლად ო მოუდის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან“ [1]. ამის გათვალისწინებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უგამონაკლისო წესი: **/-ო/ დასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ძირეული მორფემა მესამე პირის ფორმაში ნულოვანი გახმოვანებით (ე. ი. უხმოვნოდ) არის წარმოდგენილი** (ასეთი ვითარება მხოლოდ წყვეტილშია შესაძლებელი; ამიტომაა, რომ /-ო/ ალომორფი მხოლოდ ამ მწკრივში დასტურდება); მიუხედავად ამისა, ეს წესი არ არის საკმარისი /-ო/-ს გამოვლენის დასადგენად, რადგანაც უხმოვნო ძირებთან გვხვდება არა მარტო /-ო/, არამედ — /-ა/-ც.

ამდენად, დასადგენია S_3 /-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილების წესები ნულოვანი გახმოვანების მქონე ძირებთან წყვეტილში. ამასთან დაკავშირებით ხერხდება ერთი წესის დადგენა: /ვ/ ფონემის მომდევნო პოზიციაში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება /-ო/, აქ ყოველთვის /-ა/ არის წარმოდგენილი: შვ-ა, გა-უშვ-ა, და-წვ-ა (მან ის) და სხვა.

ამის შემდეგ S_3 მორფემის /-ო/ და /-ა/ ალომორფთა განაწილების წესების დადგენა ჩვენ მოგვიხერხდა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი თემის ნიშნით არის წარმოდგენილი სათანადო ზმნა I სერიის ფორმებში.

/-ო/ ალომორფი დასტურდება შემდეგ შემთხვევებში:

1) უხმოვნო ძირის მქონე ისეთ ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნათა წყვეტილში, რომელთაც I სერიის ფორმებში აქვთ თემის ნიშნები /-ებ/, /-ობ/ ან /-ოფ/ და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში [2], მაგ.,

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 430.

2 იქვე, გვ. 491.

აქტიური და მედიოაქტიური		პრეფიქსიანი ვნებითი	
აწმყო	წყვეტილი	აწმყო	წყვეტილი
ა–ნთ–ებ–ს'	ა–ა–ნთ–ო	ი–ნთ–ებ–ა	ა–ი–ნთ–ო
უ–ნთ–ებ–ს	ა–უ–ნთ–ო	ე–ხთ–ებ–ა	ა–ე–ნთ–ო
ა–ვს–ებ–ს	გა–ა–ვს–ო	ი–ვს–ებ–ა	გა–ი–ვს–ო
ა–ღ–ებ–ს	გა–ა–ღ–ო	ი–ღ–ებ–ა	გა–ი–ღ–ო
ი–წყ–ებ–ს	და–ი–წყ–ო	ი–წყ–ებ–ა	და–ი–წყ–ო
ა–ქ–ებ–ს	ა–ქ–ო	ი–ქ–ებ–ა	ი–ქ–ო
ა–პ–ობ–ს	გა–ა–პ–ო	ი–პ–ობ–ა	გა–ი–პ–ო
სპ–ობ–ს	მო–სპ–ო	ი–სპ–ობ–ა	მო–ი–სპ–ო
უ–ხრჩ–ობ–ს	და–უ–ხრჩ–ო	ე–ხრჩ–ობ–ა	და–ე–ხრჩ–ო
ყ–ოფ–ს	გა–ყ–ო	ი–ყ–ოფ–ა	გა–ი–ყ–ო
ა–თბ–ობ–ს	გა–ა–თბ–ო	—	—
ძლ–ებ–ს	გა–ძლ–ო	—	—

2) /-ავ/ თემისსნიშნიან ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნათა წყვეტილში და მათ კონვერსიულ პრეფიქსიან ვნებითში იმ შემთხვევაში, თუ ძირეული მორფემა სამივე პირის ფორმაში ნულოვანი გახმოვანებით არის წარმოდგენილი:

და–ვ–რგ–ე	მო–ვ–რთ–ე	მი–ვ–უ–ზღ–ე	მო–ვ–ი–რთ–ე
და–რგ–ე	მო–რთ–ე	მი–უ–ზღ–ე	მო–ი–რთ–ე
და–რგ–ო	მო–რთ–ო	მი–უ–ზღ–ო	მო–ი–რთ–ო

ამგვარ ზმნებთან /-ო/-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /-ა/. მაგ., მო–რწყ–ო//მო–რწყ–ა [1].

/-ო/ ალომორფი არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დასტურდება.

/-ა/ ალომორფი. ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში III სავალდებულო პირის მორფემის /-ს/ და /-ო/ ალომორფთა გამოვლენის ყველა შემთხვევა, დანარჩენ შემთხვევებში უგამონაკლისოდ /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი. თვით უხმოვნო ძირის მქონე წყვეტილშიც კი ზოგჯერ რეგულარულად /-ა/ ალომორფი დასტურდება. ასეთია ვითარება შემდეგ შემთხვევებში:

1. /-ავ/ თემისნიშნიან ზმნებში, თუკი ძირეული მორფემა ნულოვანი გახმოვანებით მხოლოდ III პირის ფორმაშია წარმოდგენილი, მაგ., მო–კლ–ა, შე–კრ–ა, აღ–ძრ–ა (შდრ. მო–ვ–კალ–ი, მო–კალ–ი, შე–ვ–კარ–ი, შე–კარ–ი, აღ–ვ–ძარ–ი, აღ–ძარ–ი) და სხვა.

[1] იქვე, გვ. 430.

2. /-ამ/, /-ემ, /-ი/ და /-ევ/ თემისნიშნიან ზმნებში ყოველთვის, მაგ. და-ა-ბ-ა, და-ა-დგ-ა, მო-ი-სხ-ა, შე-ქმნ-ა, გა-ჰრ-ა, ძი-ს-ც-ა, გა-ი-ხ-ა, და-ი-მსხვრ-ა და სხვა.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, /-ს/ და, მეორე მხრივ, /-ა/ ალომორფთა განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული. ამ განაწილების ფონოლოგიური კრიტერიუმებით ახსნა არ ხერხდება, რადგანაც არ არსებობს ფონოლოგიური გარემოცვა (resp. პოზიცია), სადაც დასაშვები იყოს მხოლოდ /-ა/ და აკრძალული იყოს /-ს/, ან, პირიქით. ერთიცა და მეორეც დასაშვებია როგორც პოზიციაში C—#, ისე პოზიციაში V — #,მაგ.,

პ ო ზ ი ც ი ა C — #: იწყებ-ს, იღებ-ს, აიტან-ს, დაწერ-ს, შეჰამ-ს, სძაგ-ს, დუღ-ს — იწყებ-ა, იღებ-ა, აიტან-ა, დაწერ-ა, შეჰამ-ა, აძაგ-ა, იდუღ-ა და სხვა.

პ ო ზ ი ც ი ა V — #: შველი-ს, უძახი-ს, ჰრი-ს, იწვი-ს, სჯობნი-ს, არი-ს, მორთო-ს, მოკლა-ს — მოიშველი-ა, გახი-ა, დაანგრი-ა, გამოიწვი-ა, გახვი-ა, შეუბნი-ა, არი-ა, დაარღვი-ა, დაანგრი-ა, გააბრუ-ა, მოატყუ-ა, იცრუ-ა და სხვა.

თითქოს დასტურდება განსხვავებული ფონოლოგიური პოზიციები, რომელთაგან ერთში უფრო ხშირია /-ა/, მეორეში — /-ს/, მაგრამ ეს შეიძლება აიხსნას თვით ამ ალომორფების განსხვავებული უნარით ძირეულ მორფემაზე გავლენის მოხდენისა: /-ა/-ს, როგორც ხმოვან ფონემას, შეუძლია გამოიწვიოს ძირეული ხმოვნის სინკოპე ან აპოკოპე (ე. ი. კუმშვა ან კვეცა), /-ს/-ს კი — არა. ამდენად, თვით ეს ალომორფები აპირობებენ ძირეული მორფემის ნაირსახეობას და არა ძირეული მორფემის ფონოლოგიური აგებულება ამა თუ იმ ალომორფის (/-ს/-ს ან /-ა/-ს) გამოვლენას.

წყვეტილის მწკრივში /-ა/ და /-ო/ ალომორფთა განაწილებას მორფონოლოგიური საფუძველი უდევს.

მესამე სავალდებულო პირისა და მისი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად დასტურდება ალომორფები /-ეს/, /-ან/, /-ნ/, /-ენ/, /-ნენ/. თითოეული მათგანი სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი:

/-ეს/ ალომორფი. ყოველთვის /-ეს/ ალომორფი დასტურდება ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნათა წყვეტილში[1]: დაწერ-ეს, მოკლ-ეს, მოიწვი-ეს, წაიყვან-ეს, იცხოვრ-ეს, იტირ-ეს და სხვა. /-ეს/ ალომორფი არც ერთ სხვა შემთხვევაში არ გვხვდება.

ბ. რუდენკოს /-ეს/ სუფიქსი სეგმენტირებულად აქვს წარმოდგე-

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 178, 429, 474; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 052.

ნილი — ე-ს (ბ. რუდენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 91). ამის საფუძველი, როგორც ჩანს, არის ისეთი პარადიგმების არსებობა, როგორიცაა: დავწერეთ, დაწერეთ, დაწერეს. ამგვარ კვალიფიკაციაზე, ზოგ სხვა მოსაზრებასთან ერთად, ხელს გვაღებინებს ისეთი პარადიგმების არსებობა, როგორიცაა: მოვკალით, მოკალით, მოკლეს.

/-ან/ **ალომორფი.** 1) „-ან სუფიქსი გვხვდება ყოველთვის, როცა ზმნის ფუძე ი-თი თავდება: ჭრი-ან, ჭყივი-ან, გარბი-ან, იცი-ან..., იცინი-ან, თხრი-ან და მისთ“ [1]. მაშასადამე, /ი/-ს მომდევნო პოზიციაში ყველა შემთხვევაში /-ან/ ალომორფია წარმოდგენილი, ამასთანავე სულ ერთია სავალდებულო პირი ბრუნვაცვალებადია, თუ — არა, მაგ., თლი-ან, ასწავლი-ან, იტანჯები-ან, ბერდები-ან, იწერები-ან, ეწერები-ან, გათლი-ან, გაშლი-ან, შეისწავლი-ან, დაიტანჯები-ან, დაბერდები-ან, გათბები-ან და სხვა. 2) ყოველთვის /-ან/ ალომორფი დასტურდება ერთპირიან ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნათა I თურმეობითში, მაგ., დამალულ-ან, წასულ-ან, წოლილ-ან, გამთბარ-ან, შეწუხებულ-ან, გაჩერებულ-ან და სხვა. 3) /-ან/ ალომორფი დასტურდება აგრეთვე მედიოპასიურ ზმნათა აწმყოს ფორმაში [2], მაგ., ჩან-ან, სხედ-ან, დგან-ან, წვან-ან, ჰგვან-ან, ჰყვან-ან.

უკანასკნელი ოთხი მაგალითის (დგანან, წვანან, ჰგვანან, ჰყვანან) მიხედვით შეიძლებოდა გამოგვეყო /-ანან/ ალომორფი, რადგანაც III პირის მრ. რიცხვის ფორმა ამ სეგმენტით უპირისპირდება სხვა პირთა ფორმებს, მაგრამ რადგანაც გვაქვს პირველი ორი მაგალითი (ჩან-ან, სხედ-ან), რომლებშიც მრ. რიცხვის III პირის ფორმა /-ან/ სეგმენტით უპირისპირდება ყველა სხვა ფორმას, ამიტომ შეუძლებელი არ არის ბოლო ოთხ მაგალითშიც /-ან/ ალომორფი გავოყოთ, ხოლო მისი წინამავალი -ან ელემენტი ფუძისეული მორფემის ერთ-ერთი ალომორფის კუთვნილებად მივიჩნიოთ.

/-ნ/ **ალომორფი.** /ა/, /ო/ და /ე/ ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ყოველთვის /-ნ/ ალომორფია წარმოდგენილი. ასეთი ვითარება გვაქვს მხოლოდ ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან ზმნათა II კავშირებითის ფორმებში [3], სადაც /-ნ/-ს წინ უძღვის მწკრივის მორფემის ალომორფები /-ა/, /-ო/ ან /-ე/, მაგ., მოკლა-ნ, გახსნა-ნ, დაწერო-ნ, მოაწყო-ნ, მისცე-ნ, იტირო-ნ, ირბინო-ნ და სხვა [4].

დანარჩენი ალომორფები თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში დასტურდება:

---

1 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 178 და 433.

4 ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

/-ენ/ ალომორფი. აწმყოსა და მყოფადში თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ყოველთვის /-ენ/ ალომორფი არის წარმოდგენილი: წერ-ენ, ბარავ-ენ, გრეხ-ენ, სადილობ-ენ. გორავ-ენ, დაწერ-ენ, დაბარავ-ენ, მოკლავ-ენ, დაგრეხ-ენ, ისადილებ-ენ და სხვა.

/-ნენ/ ალომორფი. ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია /-ნენ/ ალომორფი. ასეთი ვითარება გვაქვს თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში უწყვეტელში, ხოლმეობითსა და I კავშირებითში ყოველგვარ ზმნასთან, ხოლო წყვეტილში, II კავშირებითში, III თურმეობითსა და III კავშირებითში მხოლოდ ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნებთან, მაგ., წერდ-ნენ, ხნავდ-ნენ, იმალებოდ-ნენ, დაწერდ-ნენ, მოხნავდ-ნენ, დაიმალებოდ-ნენ, წავიდ-ნენ, დაიმალ-ნენ, იწერებოდ-ნენ, იმალებოდ-ნენ, გაჰყოლოდ-ნენ, დამალულიყვ-ნენ, ჰგონებოდ-ნენ და სხვა.

/-ეს/ ალომორფის გამოვლენა მორფოლოგიურად არის შეპირობებული, დანარჩენი ალომორფების განაწილებას კი მორფონოლოგიური საფუძველი უდევს.

1.02.2. სავალდებულო პირის მორფემთა თავისებურებანი თანამედროვე ქართულ დიალექტებში. ჩვენი მიზანი, ცხადია, არ არის თითოეული ქართული დიალექტის პირის მორფემათა სრული ანალიზი. სამეცნიეროლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა გათვალისწინების საფუძველზე აქ წარმოვადგენთ მხოლოდ არსებითი ხასიათის თავისებურებებს, რითაც დიალექტები განსხვავდებიან თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან.

პირველი სავალდებულო პირის აღნიშვნა ქართულ დიალექტებში არსებითად ისეთივეა, როგორიც სალიტერატურო ქართულში. ამ მხრივ განსხვავებები უმნიშვნელოა, მაგ., აღმოსავლურ დიალექტებში პოზიციაში ო — V S_1, ჩვეულებრივ, /Ø/-ის სახით არის წარმოდგენილი, მაგ., კახ. მე გამოიხედე, მე მოიტანე [1], თიანური — მე მოიყვანე, მე მოიდე [2] და სხვა[3]. თუშურში, როგორც ცნობილია, თანხმოვნით დაწყებულ უზმნისწინო ფორმაში S_1 მორფემა, ჩვეულებრივ /-ვ-/ ინფიქსით არის წარმოდგენილი: დგ-ვ-ები, ტ-ვ-ირი, დ-ვ-აობ და სხვა.

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური (ე. ი. მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო) პირის აღნიშვნის მიხედვით

---

1 ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956 წ., გვ. 55—56.

2 გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომების კრებული, 1970 წ., გვ. 186—187.

3 ინგილოურის თავისებურებათა შესახებ იხ. გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 102—104.

ა. შანიძე ქართულ დიალექტებს ორ ჯგუფად ყოფს: 1. აღმოსავლური დიალექტები, 2. დასავლური დიალექტები [1].

აღმოსავლური დიალექტები ხასიათდებიან იმით, რომ, გარდა /ხ-/ ალომორფისა, მეორე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დასტურდება სხვა სეგმენტური ერთეულებიც: /ჲ-/, /ჰ-/, /ს-/, /ზ-/, /შ-/. ამ ალომორფთაგან ძირითადია /ჲ-/, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია პოზიციაში V—C, მაგ., კახ. — და-ჲ-ჯექ-ი, მი-ჲ-ყიდე, ა-ჲ-დგები; ფშაური — გა-ჲ-ლეწე, და-ჲ-წერე; მთიულური — მი-ჲ-დიხარ, და-ჲ-ლევ, ა-ჲ-კრიფოთ; თიანური — მო-ჲ-გლეჯდეთ, და-ჲ-წერე, ჩამა-ჲ-ვარდები და სხვა [2]. /ჲ-/-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლებიან /ჰ-/, /ს-/, /ზ-/, /შ-/ (მათთვის შესაფერ ფონოლოგიურ პოზიციაში), განსაკუთრებით კი პოზიციაში # — C, მაგ., კახ. ჰ-ყვირი, ს-ტირი, ზ-დგები, შე-შ-ჯამთ [3].

აღნიშნულ დიალექტებში S_2 მორფემა ყოველთვის /Ø/-ით არის წარმოდგენილი ხმოვნების წინა პოზიციასა და წართქმით ბრძანებითში [4].

ხევსურულსა და თუშურში (მოხეურშიც) წარმოდგენილია S_2 მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები: /ს-/, /ზ-/, /შ-/, /ჟ-/, /ხ-/, /ღ-/ და /Ø/. /ს-/ დასტურდება თ, ტ, წ, ც თანხმოვანთა წინ: ხევს. ს-ცანი, ს-ტრიალებ; თუშ. ს-ტკბები, ს-წოვ; /ზ-/—დ, ძ ფონემათა წინ: ხევს. ზ-დგები, ზ-ძლები; თუშ. ზ-დებ, ზ-ძახავ; /შ-/ — ჩ, ჭ-ს (ზოგჯერ ჯ-ს) წინ; ხევს. შ-ჭამე, შ-ჭრი; თუშ. შ-ჭამ, შ-ჩეჩ; /ჟ-/ — ჯ-ს წინ: ხევს. ჟ-ჯობიხარ; თუშ. ჟ-ჯობ; /ხ-/ — ფ, პ, ქ, კ, ყ, ჭ თანხმოვანთა წინ: ხევს. გა-ხ-ყიდე, ხ-ქსოვ, და-ხ-ჭოცე; თუშ. ჩა-ხ-ყეფნე; მოხ. და-ხ-ფარ; /ღ-/ — რ, ლ, მ, ნ, ვ, ბ, გ თანხმოვანთა წინ (ხევსურულში ხმოვნების წინაც): ხევს. და-ღ-ლიე, ღ-ნახე, ღ-მალავ, და-ღ-გლი, ღ-ავადობ, ღ-ოქრომჭედლობ; თუშ. ღ-ნახიდი, ღ-ვარდებ; მოხ. ღ-ნახე; /Ø/ კი, ჩვეულებრივ, — ხმოვნების წინ [5].

---

1 ა. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 228.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 233—238; ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, II (1), 1937, გვ. 52; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104—105; გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

3 ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104; გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

4 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 233—238; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105; გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

5 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238—252; ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 15; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 35—36; ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 96—102.

თანამედროვე ქართულ დიალექტებში S_2 (ასევე A_3) მორფემები ხმოვნების წინ /Ø/-ით არის წარმოდგენილი, ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ხევსურული და ინგილოური. ხევსურულში, როგორც ითქვა, დასტურდება /ღ-/ (ღ-ავადობ, ღ-ოქრომჭედლობ) [1], ხოლო ინგილოურში — /ჰ-/ (უ, ჳ, ო, ჷ ხმოვანთა წინ) [2].

ინგილოურში თავისებურია აგრეთვე S_2 (ასევე A_3) მორფემის ალომორფთა გამოვლენა თანხმოვნების წინაც: თუ სხვა დიალექტებში ისინი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან (ყოველი ალომორფი სრულიად განსაზღვრულ ფონოლოგიურ პოზიციაში ვლინდება), ინგილოურში /ჰ-/ ალომორფი ყველა პოზიციაში დასაშვებია, მაგ., მო-ჰ-დიხართ, მო-ჰ-თხოვე, გა-ჰ-ზახე, ჩა-ჰ-ყდები, მო-ჰ-დი, ჰ-ტირი, შა-ჰ-წუხდებ, შე-ჰ-ჰამ და სხვა. სათანადო ფონოლოგიურ გარემოცვაში შესაძლებელია /ჰ-/-სთან /ს-/, /შ-/, /ხ-/, /ჲ-/ ალომორფთა თავისუფალი მონაცვლეობა, მაგ., და-ს-წერ, შე-შ-ჰამ, და-ჲ-ხუჭ და სხვა [3].

დასავლურ დიალექტთათვის დამახასიათებელია S_2 მორფემის წარმომადგენლად სეგმენტური ერთეულის (გარდა /ხ-/-სი) უქონლობა, მაგ., გურ. ტირი, მო-კალი, თხრი, ბძანე, ჭამ, თხოვ, შოტაცე, წაყევი. ასეთივეა ვითარება სხვა დასავლურ დიალექტებშიც. ამ მხრივ მათ რიგში აყენებს ა. შანიძე აგრეთვე ქართლურს, მაგ., გა-თალე, და-წერე, შე-კარ და სხვა [4], თუმცა იშვიათად არის შემთხვევები ქართლურში მეორე სავალდებულო პირის მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა გამოვლენისა. S_2 მორფემის /ჰ-/, /ს-/, /შ-/ ალომორფთა გაჩენის იშვიათ შემთხვევებს მთარაჯულში ადასტურებს ა. შანიძე [5], ხოლო ლეჩხუმურში — შ. ძიძიგური [6].

მესამე სავალდებულო პირის მორფემის მიხედვით ქართული დიალექტები პრინციპულად არ განსხვავდებიან თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან, მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს ზოგიერთ თავისებურებას. ასეთია, მაგ., ა) /-ს/-ს ნაცვლად /-ჲ/ და /Ø/ ალომორფთა გამოვლენა აღმოსავლურ დიალექტებში, მაგ., კახური —

---

1 ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 99; გ. ცოცანიძის ცნობით, ხმოვანთა წინ S_2 /ღ-/, როგორც ფაკულტატური ვარიანტი, არსებობს თუშურშიც, მაგ., ღ-ავადობ//ავადობ.

2 გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 109—110.

3 გ. იმნაიშვილი, დასახ. ხარ., გვ. 105—109.

4 ა. შანიძე, სუბიექტური პაციენსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 232—233, 253—259.

5 იქვე, გვ. 258.

6 შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970 წ., გვ. 180—181.

უშველო-ა, უთხრე-ა, შაქდე-ა, შაჭამე-ა, უნახამ, მოუკლამ, ძინავ, დგა, დევ[1]; თიანური — იყოა, ადგებოდე-ა, აქვ[2]; ბ) /Ø/-ის მონაცვლეობა /-ა/-სთან, მაგ., ინგილოური — ასხი, უჭამი, ყოფილ[3]; გ) ხოლმეობითის მწკრივთა არსებობა მთის დიალექტებში, სადაც S_3 /-ს/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ხევსურული — აატირი-ს, ედგი-ს; თუშური — ატირებდი-ს, გათბი-ს; ფშაური — გაწყრი-ს, დაბი-ს[4]; დ) S_3 /-ო/-ს ნაცვლად ყველა შემთხვევაში /-ა/ ალომორფის გამოვლენა ხევსურულსა და მოხეურში, მაგ., ხევსურული — აიღ-ა, მართ-ა. მოხეური — დაიწყ-ა, აიღ-ა, წაუღ-ა[5]; ე) მრავლობითი რიცხვის ფორმაში /-ეს/-ის ნაცვლად /-ენ/ ალომორფის გამოვლენა ზოგ დასავლურ დიალექტში, მაგ., იმერული — გააკეთ-ენ, დაწერ-ენ, მოიტან-ენ და /-ან/ ალომორფის ნაცვლად /-ენ/-ის გამოვლენა, მაგ., ლეჩხუმური — არი-ენ, წამოვლი-ენ, ბრუნდები-ენ[6]; იმერული — ჭრი-ენ, მიდი-ენ, უძახი-ენ[7]; ვ) /-ნენ/, /-ენ/ ალომორფთა ნაცვლად /-ნან/, /-ან/ სახესხვაობათა გამოვლენა მესხურში, მაგ., გაფრინდ-ნან, გასცილდ-ან[8] და სხვა.

1.02.3. სავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ძველ ქართულში. ძველი ქართულის სავალდებულო პირთა მორფემები, თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით, შემდეგი ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება:

პირველი სავალდებულო პირის მორფემა /უ/-სა და /ვ/-ს წინ, როგორც ცნობილია, ნულის სახით არის წარმოდგენილი: უთხარ მე.

ძველ ქართულში მეორე სავალდებულო პირის მორფემის ამომწურავი ლინგვისტური ანალიზი მოცემულია ა. შანიძის მიერ[9], ამიტომ აქ მოკლედ წარმოვადგენთ ამ ანალიზის შედეგებს:

---

1 ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 108—109.

2 გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 188—189.

3 გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

4 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 240; ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 80—90; თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41—43; 47—49; ა. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 106—117.

5 ამის მსგავს შემთხვევებს გამონაკლისის სახით იმერულშიც ადასტურებენ, მაგ., უამბ-ა, იხ. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, 1956 წ., გვ. 139.

6 შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 157, 181.

7 პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 139—140.

8 შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

9 ა. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი შესაძე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 118—132; იხ. აგრეთვე ბ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

სამ ზმნაში (ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედ) S_2 /ხ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი მთელ ქართულში (როგორც ძველში, ისე ახალში — დიალექტებითურთ). ჰ. ფოგტის სიტყვით, /ხ-/ აქ ნულის ნაცვლად არის წარმოდგენილი [1]. დანარჩენ ზმნებთან ძველ ქართულში (გარდა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისა) დასტურდება ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები /ჰ-/, /ს-/, /შ-/ და /Ø/ (გვხვდება აგრეთვე /ჰს-/ ვარიანტიც). მათი დისტრიბუცია ასეთ სახეს იღებს: /ს-/ დასტურდება დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვანთა წინ: შენ ს-დგა, ს-ტირთ, გან-ს-ძლიერდი, ს-ცხონდე და სხვა. შიშინა აფრიკატების (ჯ, ჩ, ჭ) წინ /ს-/-ს, ჩვეულებრივ, /შ-/ ენაცვლება (ასიმილაცია): დაშ-ჯედ, გამო-შ-ჩნდი. ხმოვნების წინ S_2 მორფემა ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: გან-ახლდი, იყავ, დაიმალე და სხვა. ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. ისეთი თანხმოვნების წინ, როგორიცაა: ჰ, ყ, ღ, ხ, კ, გ, ქ, შ, ჟ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, მ, პ, ბ, ფ, დასტურდება /ჰ-/ ალომორფი: მო-ჰ-კუედ, გან-ჰ-ვარდი, ჰ-მწირობ, ჰ-ზი და სხვა. წართქმით ბრძანებითში S_2 მორფემა ყოველთვის /Ø/-ით არის წარმოდგენილი: შთავარდი, ტიროდეთ, აღდეგ, განძლიერდი, დაჯედ და სხვა [2].

მჯოლოობით რიცხვში მესამე სავალდებულო პირის მორფემა დასტურდება ალომორფებით: /-ს/, /-ა/, /-ო/, /-ნ/, /-დ/.

ძველი ქართულის აწმყოს მწკრივის ფორმებში S_3 მორფემის წარმომადგენლად /-ს/ ალომორფი დასტურდება როგორც ბრუნვაცვალებადსავალდებულოპირიან, ისე ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნებთან: [3] განსწმედ-ს, განიყიდები-ს, მოკუდები-ს, სწერიე-ს, ჰგიე-ს და სხვა [4]. აწმყოს ფორმებში /-ს/ ალომორფი იმდენად ჩვეულებრივია, რომ ლ. ბარამიძემ წამოაყენა დებულება — „ძველ ქართულში მესამე სუბ. პირის ნიშანი -ა აწმყოში არა გვაქვს“ [5]. და მართლაც, აწმყოს მწკრივში /-ა/ ალომორფის გამოვლენის ჩანასახები დასტურდება მხოლოდ და ისიც მარტოოდენ სტატიკურ ზმნათა მცირე ნაწილში: სწერი-ა, ჰგი-ა.

ამავე დროს ამ ზმნებთან ჩვეულებრივია /-ს/ ალომორფი (სწერიე-ს, ჰგიე-ს), /-ა/ კი მას მხოლოდ ზოგჯერ ენაცვლება.

სტატიკურ ვნებითში /-ა/-ს გამოვლენის შემთხვევები საშუალ

---

1 ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119—129.

3 ა. შანიძე, ძველი ქართულ ენა, ძველი ქართული ენა და ლიტ., საშ. სკოლის VIII კლასის სახელმძღვ., 1955 წ., გვ. 296.

4 ჩვენი შრომის ამ ნაწილში ძვ. ქართულის ნიმუშები მოტანილია ი. იმნაიშვილის წიგნიდან „ქართული ენის ისტორიული კრესტომათია“, ტ. I, ნაწ. II, 1971 წ.

5 ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, გვ. 112.

ქართულში თანდათან იზრდება, ახალ ქართულში კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნორმად იქცევა [1].

/-ს/ ალომორფი დასტურდება კავშირებითისა და ხოლმეობითის მწკრივებში, გარდა აწმყოს ხოლმეობითისა: I კავშირებითი — ეძიებდე-ს, ითხოვდე-ს, მეუფებდე-ს; II კავშ. — განკაფო-ს, სძლო-ს, მისცე-ს, შთავარდე-ს; III კავშ.—ეყივლო-ს; უწყვეტლის ხოლმეობითი— ეტყოდი-ს, დრეკდი-ს; II ხოლმეობითი — დაჯდი-ს, მივიდი-ს [2].

S_3 /-ა/ ალომორფი ერთადერთია უწყვეტლის ფორმებში და წყვეტილის მწკრივის უდიდეს ნაწილში: უწყვეტ. — კლვიდ-ა, იხილვიდ-ა, დაჰფარვიდ-ა; წყვეტილი — თქუ-ა, განირთხ-ა, მოირტყ-ა, აღავსნ-ა.

/-ო/ ალომორფის გამოვლენა იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება, რასაც თანამედროვე სალიტ. ქართულში: აქ-ო, აღივს-ო, თუმცა ზოგჯერ თანამედროვე ქართულის /-ო/-ს ადგილას წარმოდგენილია /-ა/: ძვ. ქართ. დაიპყრ-ა — თანამედრ. ქართ. დაიპყრ-ო.

S_3 /-ნ/ ალომორფი წარმოდგენილია აწმყოს ხოლმეობითსა და ბრძანებითის მწკრივებში: აწმყოს ხოლმ.—ეძიებ-ნ, იდიდები-ნ, ზი-ნ, ისმენ-ნ; I ბრძან.—იხარებდი-ნ, უგალობდი-ნ, იშუებდი-ნ; II ბრძან.— მოვედი-ნ, აღავსე-ნ, იყიდე-ნ [3].

S_3 მორფემის წარმომადგენლად ადასტურებენ აგრეთვე /-დ/-ს (ვ. თოფურია, გ. როგავა, ი. აბულაძე, დ. გეწაძე), მაგრამ /-დ/ ალომორფი ძველ ქართულში ნაშთის შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი ნიმუშები ტექსტებში საძებარია, დ. გეწაძემ /-დ/ ალომორფი დაადასტურა სტატიკურ ზმნათა აწმყოსა (უპყრიე-დ, უფლიე-დ, ჰგონიე-დ) და II ბრძანებითის (ქამე-დ, გამოიღე-დ, მოიყვანე-დ) ფორმებში, აგრეთვე გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში, მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, აქ ის ობიექტურ პირს გამოხატავს და არა სუბიექტურს [4].

ძველ ქართულში, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად, მესამე სავალდებულო პირსა და მის მრავლობით რიცხვს სუფიქსები აღნიშნავენ, ეს სუფიქსებია: /-ეს/, /-ედ/, /-ენ/, /-ან/, /-ნ/. ამ ალომორფთა განაწილება შემდეგ სურათს იძლევა:

/-ეს/ ალომორფი იმ ზმნებთან დასტურდება, რომელთაც მხ. რიცხვში S_3 მორფემის წარმომადგენლად /-ა/ (ან /-ო/) აქვთ, მაგ.,

---

1 იქვე, გვ. 104—105.

2 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

3 ა. შანიძე. ძველი ქართული ენა, გვ. 296; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

4 დ. გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953 წ., გვ. 140—146.

უწყვეტელი: დასთხევდ-ეს, აშინებდ-ეს, აქუნდ-ეს; წყვეტილი — შეკერნ-ეს, იწრაფ-ეს, შეჯამნ-ეს, აღიესნ-ეს და სხვა [1].

/-ედ/ ალომორფი დასტურდება იმ ზმნებთან, რომელთაც მხოლოობითში /-ნ/ აქვთ, მაგ., აწმყოს ხოლმ. — არი-ედ, სხენ-ედ, ჰამ-ედ; I ბრძან.: ასწავებდ-ედ, იგლოვდ-ედ; II ბრძან.: იყვნ-ედ, მიიყვანნ-ედ. ისმინ-ედ.

იმ ზმნებთან კი, რომელთაც მხოლოობითში S_3 მორფემის წარმომადგენლად /-ს/ აქვთ, მრავლობით რიცხვში წარმოდგენილია /-ენ/, /-ან/ და /-ნ/ ალომორფები.

/-ენ/ ალომორფი მხოლოდ თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში დასტურდება: აწმყო — სუმ-ენ, ზმ-ენ, ზრახვ-ენ, I კავშ. — ეძიებდ-ენ, აწოვებდ-ენ, გალობდ-ენ[2].

/-ან/ ალომორფი წარმოდგენილია ორ შემთხვევაში: ა) ი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: აწმყო—უწყი-ან, ყრი-ან, თლი-ან; უწყვეტლის ხოლმ. — ისმენდი-ან, უწოდდი-ან, აგინებდი-ან; I კავშ. — იტყოდი-ან, მოვიდოდი-ან, უწყოდი-ან; II ხოლმეობითი — იხილი-ან, მოვიდი-ან, წარწყმდი-ან; ბ) თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ზოგიერთი ზმნის აწმყოში — იქმ-ან, დგან-ან, წვან-ან, ჴმან-ან, ჩან-ან, ჰგვან-ან, ჰყვან-ან [3].

/-ნ/ დასტურდება ა, ე, ო ხმოვნების (II კავშირებითის მწკრივის ნიშნების) მომდევნო პოზიციაში, მაგ., სუა-ნ, თქუა-ნ, დაჰფლა-ნ, წეროო-ნ, აკურთხო-ნ, ქმნე-ნ, შვე-ნ.

1.02.4. მეორე სავალდებულო პირის მორფემა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები სხვა ძველი ქართული ტექსტებისაგან არსებითად მხოლოდ მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირის (აგრეთვე ზედსართავთა ხარისხის) მორფემებით განსხვავდება, სხვა პირთა მორფემები კი ფაქტობრივ ორივეგან ერთნაირად არის წარმოდგენილი [4], ამიტომ აქ მხოლოდ მეორე სავალდებულო პირის მორფემის ანალიზს წარმოვადგენთ.

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულმა S_2 და A_3 მორფემებმა მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი გაიწვია. ამ ინ-

---

1 გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში, იკე, XVI, 1968 წ., გვ. 74—75.

2 იქვე.

3 Н. Я. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII, Ленинград, 1925, გვ. 180; გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

4 ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თსუ მოამბე, II, 1923 წ., გვ. 407—416; მ ი ს ი ვ ე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თსუ მოამბე, III, 1923 წ., გვ. 354.

ტერესს აძლიერებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტექსტები ქართული ენის წერილობითი ისტორიის უძველეს საფეხურს ასახავენ.

ჯერ კიდევ ადრე იქნა ნაჩვენები ის მორფოლოგიური ფუნქციები, რაც ხანმეტი ტექსტების ზმნაში აქვს /ხ-/-ს (შესაბამისად ჰაემეტში /ჰ-/-ს): 1) მეორე სუბიექტური (ე. ი. სავალდებულო) პირის გამოხატვა, 2) მიცემითში (იშვიათად აგრეთვე — სახელობითში) დასმული მესამე ობიექტური (ე. ი. არასავალდებულო) პირის გამოხატვა, 3) იგივე პრეფიქსები წარმოდგენილია აგრეთვე /ი-/ ალომორფიანი (ე. ი. ერთპირიანი) ვნებითის ფორმებში.

მეორე სავალდებულო პირის მორფემა ხანმეტ ძეგლებში როგორც თანხმოვნების, ისე ხმოვნების წინ, ჩვეულებრივ, /ხ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი: და ოდეს სთქუა მეუფედ მამაჲ, ნუ **განხყოფ** ბესა (ქრესტ., 45, 7), **აღხიზარდე** (პროტოევანგ., 65), **ხითხოვდით** და მოგეცეს თქუენ, **ხეძიებდით** და **ხპოვოთ** (ქრესტ., 6,32-33), **ხქმენ** (პროტოევანგ.), ნუ **დახშჯით**, რაჲთა არა **დახისაჯნეთ** (ქრესტ., 6,20), **ხარ** (პროტოევანგ.)

ხანმეტ ტექსტთა ერთ ნაწილში (კერძოდ კი — ხანმეტ ლექციონარში) S_2 /ხ-/-ს ხმოვნების წინ ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /ჰ-/ ალომორფი: მუნ **ჰიხილოთ** იგი, ვითარცა გარქუ თქუეხ (ლექც., 59, 7), ეგრეცა თქუენ: რაჟამს **ჰიხილოთ** ესე ყოველი, ხუწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს კართა ზედა (ლექც., 63, 33), შდრ.: მუნ **ხიხილოთ** იგი (ლექც., 58, 7), რაჲ არიან სიტყუანი ეგე, რომელთა **ჰიცილობთ** ურთიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე (ლექც., 60, 17).

მეორე სავალდებულო პირის მორფემა /Ø/ ალომორფით მხოლოდ წართქმით ბრძანებითშია წარმოდგენილი[1], მაგ., და **იბანე** პირი შენი (ქრესტ., 6, 9), აღდეგ და **შთავედ** შენ სახიდ (ქრესტ., 4, 4), ორგულო, **აღმოიღე** პირველად დირჱ თუალისაგან შენისა (ქრესტ., 6, 26), მაგისი **ისმინეთ** (ქრესტ., 9, 15).

ჰაემეტ ტექსტებში მეორე სავალდებულო პირის მორფემის ძირითადი წარმომადგენელი არის /ჰ-/, ის დასტურდება როგორც თანხმოვნების, ისე ხმოვნების წინ: **ჰრქუეს** მოწაფეთა მისთა: რაჲსა მეზუერეთა და ცოდვილთა თანა **ჰჭამთ** და **ჰსუამთ**? (ქრესტ., 48, 22), და **ჰრქუა** მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და **ჰტირთ**? (ქრესტ., 50, 5), სადა არა **დაჰთესი** (ქრესტ., 52, 20), ამას ვიტყჳ, რაჲთა თქუენ **ჰცხომდეთ** (ჰმ., 46 r 10), **ჰხედავ** ერსა ამას? (ქრესტ., 49, 28).

ხანმეტი ტექსტებისაგან განსხვავებით, ჰაემეტში S_2 /ჰ-/-ს ხმოვნე-

---

1 ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 113; გამონაკლისთა შესახებ იხ. ზ. ხარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საკითხებლები, 1971 წ., გვ. 107.

ბის წინ ზოგჯერ /Ø/ ენაცვლება; მაგ., და შენ **იტყჳ** (ქრესტ., 49, 29), რასა **ეძიებთ**? (ქრესტ., 53, 9), რაჟამს **იხილოთ** ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ (ქრესტ., 52, 31), მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ **ისმინე** ჩემი და მე ჰუცოდე, რამეთუ მარადის **ისმინი** ჩემი (ჰმ., 388, 18—20) და სხვა.

ერთადერთ ზმნაში S_2 მორფემის წარმომადგენლად დასტურდება /ხ-/ ალომორფი: და ჰრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ **ხართ** და ჰტირთ? (ქრესტ., 50, 5), შენ **ხარ** ქრისტე (ქრესტ., 53, 23) და სხვა.

წართქმით ბრძანებითში, ხანმეტ ტექსტთა მსგავსად, S_2 მორფემა ყოველთვის /Ø/-ით არის წარმოდგენილი: **აღმოიღე** იგი და **განაგდე** შენგან (ქრესტ., 48, 1), **აღდეგ** და **წარმოდეგ** შოვრის (ქრესტ., 49, 3), და ჰრქუა: **განვედ** ჩემგან (ქრესტ., 52, 17), **განირათხ** ჴელი შენი! (ქრესტ., 46, 30).

1.02.5. სავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე მეგრულში. სავალდებულო პირის მორფემათა ალომორფების გახაწილება მეგრულში მარტივია. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია ამ მორფემათა ლინგვისტური დახასიათება.

პირველი სავალდებულო პირის მორფემა წარმოდგენილია /ვ-/, /ბ-/, /ფ-/, /პ-/, /მ-/ და /Ø/ ალომორფებით. მათი გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული — მომდევნო ფონემის ნაირსახეობა განსაზღვრავს S_1 მორფემის აღნიშნულ სახესხვაობათა გამოვლენას: /ვ-/, როგორც წესი, დასტურდება ხმოვნების წინ (თუ ეს ხმოვანი არ არის უ): ვ-ორექ „ვარ“, ვ-ორწყექ „ვხედავ“, ვ-ოცქვანქ „ვაქებ“, ვ-აჩემენქ „ვაჩერებ“, ვ-აგინძარენქ „ვაგრძელებ“, ვ-იჭარუნქ „ვიწერ“, ვ-ევერდი „ვევედრე“, ვ-ინგარქ „ვტირი“ [1].

/Ø/ ალომორფი უ ხმოვნის წინ გვხვდება, ასეთი ვითარება გვაქვს სასხვისო ჭცევის /უ-/ ალომორფის წინ (თუ S_1 მორფემის ალომორფი ამ /უ-/-ს მომდევნოდ არ არის მოქცეული[2]), მაგ., უჭარგნქ „ვუწერ“, ურთანქ „ვატრიალებ“, უთასუნქ „ვუთესავ“.

დანარჩენი ალომორფები თანხმოვანთა წინ დასტურდება:

/ბ-/ — მჟღერთა წინ, მაგ., ბ-რაგადანქ „ვლაპარაკობ“, ბ-ღურუქ „ვკვდები“, ბ-ზიმუნქ „ვზომავ“, ბ-დვანქ „ვდებ“, ბ-გორუნქ „ვეძებ“, ბ-დინუქ „ვიკარგები“ და სხვა.

/ფ-/ — ფშვინიერთა წინ, მაგ., ფ-სქიდუქ „ვრჩები“, ფ-თასვნქ

---

[1] **И. Кипшидзе**, Грамматика мингрельского (иверского) языка. С.-Петербург, 1914 г., გვ. 055—56; **ა. ჩიქობავა**, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 96; **გ. მაჭავარიანი**, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია), 1953 წ., გვ. 6.

[2] **ი. ყიფშიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 056, 075.

„ვთესავ“, ფ-ხაშგნ „ეხარშავ“, ფ-თხიინ „ვთხოვ“, ფ-თუხუნ „ვრთავ“, ფ-სირქუნ „ვლოკავ“, ფ-თირანქ „ვცცლი“ და სხვა.

/პ-/ — მკვეთრთა წინ, მაგ., პ-ტიბუქ „ვთბები“, პ-ჭარგნ „ვწერ“, პ-კათანქ „ვაგროვებ, ვკრებ“, პ-ჭოფუნქ „ვიჭერ“, პ-წიკუნქ „ვსვრი“, პ-ტახუნქ „ვტეხ“ და სხვა.

/მ-/—ნ-ს წინ, მაგ., მ-ნატრულენქ (//ვ-ნატრულენქ) „ვნატრობ“ [1].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მეგრულში (კერძოდ — სენაკურში) თანხმოვანთა წინ ადგილი აქვს /ბ-/, /ფ-/, /პ-/ ალომორფებთან /ვ-/-ს თავისუფალ მონაცვლეობას: ვ-ჭარუნქ „ვწერ“, ვ-რაგადანქ „ვლაპარაკობ“, ვ-ხანტუნქ „ვხატავ“ (//პ-ჭარუნქ, ბ-რაგადანქ, ფ-ხანტუნქ) [2].

ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს აგრეთვე /ფ-/, /პ-/ ალომორფებთან /ბ-/-ს მონაცვლეობის შემთხვევებიც, მაგ., ბ-ჭარგნქ „ვწერ“, დაუ-ბ-ჩარებენქ „გავშავებულვარ“ და სხვა [3].

პირველი სავალდებულო პირის მორფემა /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი იმ შემთხვევაში, თუ I სავალდებულო პირთან არასავალდებულოა II პირი. ასეთ შემთხვევაში, ქართულის მსგავსად, სეგმენტური ერთეულით მხოლოდ მეორე არასავალდებულო პირის მორფემა არის წარმოდგენილი, მაგ., რ-ხანტუნქ „გხატავ“, გ-ოცქვანქ „გაქებ“, გ-ორწყეფ „გხედავ“...

მეორე სავალდებულო პირი მეგრული ზმნის პარადიგმაში ოპოზიციის არამარკირებული წევრია, ე. ი. S_2 სეგმენტური ერთეულით არც ერთ შემთხვევაში არ აღინიშნება: რექ „ხარ“, ჭარუნქ „წერ“, ხანტუნქ „ხატავ“, დვანქ „დებ“, დვი „დადევი“, ჭვი „დაწვი“ და სხვა.

მესამე სავალდებულო პირის მორფემა მხოლოობითი რიცხვის ფორმებში წარმოდგენილია /-ნ/, /-ს/; /-უ/ და /Ø/ ალომორფებით.

/-ნ/ და /-ს/ ალომორფები დასტურდება აწმყოს მწკრივში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ მწკრივში /-ნ/ წარმოდგენილია გარდაუვალ, ხოლო /-ს/ — გარდამავალ ზმნებთან [4]. მაგრამ ტ. გუდავას სალექციო კურსში ნათლად უჩვენებია, რომ თანამედროვე მეგრულის აწმყოს მწკრივში /-ნ/ მხოლოდ ხმოვნების მომდევნოდ დასტურდება, ხოლო /-ს/ — თანხმოვნების მომდევნოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ /-ნ/-ს გავოლენისათვის საკმარისი არ არის

---

1 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 055; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 96; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ, გვ. 6.

2 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ.. გვ. 055; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

3 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 056—059.

4 **Н. Я. Марр**, Грамматика чанского (лазского) языка, Материалы по яфстическому языкознанию, II, СПб., 1910, გვ. 45; ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56, 72; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 97; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

მხოლოდ წინამავალი ხმოვნის არსებობა, აუცილებელია აგრეთვე ამავე სიტყვის ფარგლებში მომდევნო ხმოვნების არსებობაც (როგორიც არის, მაგ., კითხვითი ნაწილაკი /-ო/, ან მრავლობითობის /-ა/, /-ან/), ე. ი. /-ნ/ ალომორფი დასტურდება პოზიციაში V—V, მაგ., ხე-ნ-ო? „ზის“?, რე-ნ-ო? „არის?“, ღურუ-ნ-ო? „კვდება?“, აფულუ-ნ-ო? „ემალება?“, იჭკომე-ნ-ო? „იჭმება?“, ხე-ნ-ა „სხედან“, რე-ნ-ა „არიან“, რე-ნ-ან-ო? „არიან?“ და სხვა.

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ე. ი. პოზიციაში V — #, /-ნ/-ს /Ø/ ენაცვლება, მაგ., ხე „ზის“, რე „არის“, ღურუ „კვდება“, აფულუ „ემალება“, იჭკომე „იჭმება“, ჯანუ „წევს“ და სხვა [1].

/-ს/ ალომორფი დასტურდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში აწმყოს ფორმებში და ყოველგვარ ზმნათა კავშირებითის მწკრივებში, მაგ., ჰარუნ-ს „წერს“, თასუნ-ს „თესავს“, ზიმუნ-ს „ზომავს“. მეურ-ს „მიდის“, ფუნ-ს „დუღს“, იგან-ს „ქრის“, ზიმუნდა-ს „ზომავდეს“, ზიმა-ს „ზომოს“, ცუნ-ს „ჰყავს“ და სხვა.

აწმყოს მწკრივში /-ნ/ (/Ø/) და /-ს/ ალომორფთა განაწილების ფონოლოგიური გარემოცვით ახსნა უაღრესად მარტივ სურათს იძლევა. ამავე დროს არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ აწმყოში ამ ალომორფთა გამოვლენა მორფოლოგიურად არის შეპირობებული, რამდენადაც /-ნ/ და /Ø/ დასტურდება პასიურ და მედიოპასიურ ზმნებთან, ხოლო /-ს/ აქტიურ და მედიოაქტიურ ზმნებთან (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ იმ ტიპის ზმნები, როგორიცაა, მაგ., ცუნ-ს). ამდენად, /-ნ/ და /-ს/ ალომორფთა განაწილება შეიძლება დავადგინოთ როგორც ფონოლოგიური პოზიციიდან, ისე ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურიდან ამოსვლით.

/-ნ/ და /Ø/ ალომორფთა გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული — პასიურ და მედიოპასიურ ზმნათა აწმყოს ფორმებში /-ნ/ დასტურდება პოზიციაში V—V, ხოლო /Ø/ — პოზიციაში V —#.

ზუგდიდურ-სამურზაყანულში ნ, რ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში /-ს/-ს /-ც/ ენაცვლება: ჰარგნ-ც „წერს“, იბირ-ც „მღერის“, ინგარ-ც „ტირის“, აკეთენ-ც „აკეთებს“ და სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში, უფრო ზუსტად — წარსულდროიან მწკრივებში, S_3 მორფემის ალომორფად, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, დასტურდება /-უ/ ან /-გ/. /-უ/ დამახასიათებელია სენაკურისათვის, ხოლო /-გ/ — ზუგდიდურ-სამურზაყანულისათვის, მაგ., სენაკ.: დოჭარ-უ „დაწერა“, იბირ-უ „იმღერა“, გოტახ-უ „გატეხა“, ჰარუნდ-უ „წერდა“, ტახუნდ-უ „ტეხდა“, დოჭ-უ „დაწვა“, ზუგდიდურ-სამურზაყანული: დოჭარ-გ, გოტახ-გ, ჰარგნდ-გ, ტახგნდ-გ. წინამავალ

---

[1] ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 97.

ვ-სთან /-გ/-ს შერწყმით კი ვიღებთ უ-ს, ე. ი. ვ+გ>უ, მაგ., დოქ-უ (<დოქვ-გ, შდრ. დოქვი „დაწვი"), გეშ-უ (<გეშვ-გ, შდრ. გეშვი „დალიე") [1].

მესამე სავალდებულო პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში წარმოდგენილია /-ან/, /-ა/, /-ნ/ და /-ეს/ სუფიქსები. /-ან/, /-ა/ და /-ნ/ იმ პარადიგმებში დასტურდება, სადაც მხოლოობით რიცხვში S_3 მორფემა /-ნ/ ან /-ს/ ალომორფებით არის წარმოდგენილი. მათი განაწილება ასეთ სახეს იღებს: /-ან/ ალომორფი მოცემულია ყოველგვარი ზმნის აწმყოს მწკრივში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას რაიმე სეგმენტური ერთეული (ჩვეულებრივ — კითხვითობის გამომხატველი /-ო/) მოსდევს: რე-ნ-ან-ო? „არიან?", ხე-ნ-ან-ო? „სხედან?", ინგარ-ან-ო? „ტირიან?", აკეთენ-ან-ო? „აკეთებენ?"

/-ან/-ის ნაცვლად /-ა/ ალომორფია წარმოდგენილი აწმყოს მწკრივის ფორმაში იმ შემთხვევაში, თუ ის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია მოქცეული, მაგ., რე-ნ-ა „არიან", ხე-ნ-ა „სხედან", ინგარ-ა „ტირიან", აკეთენ-ა „აკეთებენ" [2].

/-ნ/ დასტურდება კავშირებითის მწკრივებში, მაგ., ზიმუნდა-ნ „ზომავდნენ", ზიმა-ნ „ზომონ", ჭარუნდა-ნ „წერდნენ", ჭარა-ნ „წერონ", ტიბუდა-ნ „თბებოდნენ", ტიბა-ნ „გათბნენ".

ადვილად დასანახავია, რომ /-ან/, /-ა/ ალომორფები თანხმოვანთა ზომდევნოდ დასტურდებიან, ხოლო /-ნ/ — ხმოვნის ზომდევნოდ, ამდენად. მათ განაწილებაში ფონოლოგიური პოზიცია იღებს მონაწილეობას.

ყველა სხვა შემთხვევაში დასტურდება /-ეს/ ალომორფი. ასეთი ვითარება გვაქვს ზმნათა იმ პარადიგმებში, სადაც მხ. რიცხვის ფორმებში S_3 /-უ/-თი არის წარმოდგენილი, მაგ., ჭარუნდ-ეს „წერდნენ", ჭარ-ეს „წერეს", ჭვ-ეს „წვეს", დოღურ-ეს „დაიხოცნენ", ინგარ-ეს „იტირეს", იბირ-ეს „იმღერეს", ზიმუნდ-ეს „ზომავდნენ", ზიმ-ეს „ზომეს", თქუ-ეს „თქვეს", გოტახ-ეს „გატეხეს", გეშვ-ეს „დალიეს", ჰკომ-ეს „ჰპმეს" და სხვა.

1.02.6. სავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ჭანურში. ჭანურში სავალდებულო პირის მორფემები და მათი ალომორფების განაწილება არსებითად მეგრულისას ემთხვევა, ამიტომ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგ თავისებურებას, რითაც ჭანური მეგრულისაგან განსხვავდება. ამის უფლებას იძლევა ისიც, რომ აღნიშნული ჭანური

---

[1] ი. ყიფშიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 061 — 063; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.

[2] ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 057; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 91, 97; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

მორფემები და მათი მეგრულთან მიმართება სამეცნიერო ლიტერატურაში დაწვრილებით არის გაანალიზებული [1].

1. ვიწურ-არქაბულში S_1 ხმოვნების წინაც /ბ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი: ბ-ორე „ვარ“, ბ-იმგარ „ვტირი“, ბ-იწკერ „ვიყურები“ და სხვა [2].

2. ბაგისმიერ თანხმოვანთა წინ S_1, ჩვეულებრივ, ნულის სახით არის წარმოდგენილი: ბერგუმ „ვთოხნი“ [3].

3. ხოფურში გარკვეულ ხმოვნებს შორის S_1 /ვ-/-ს /Ø/ ენაცვლება: მოულურ (<მო-ვ-ულურ) „მოვდივარ“ [4]...

4. ჭანურში, მეგრულისაგან განსხვავებით, ადგილი არა აქვს S_3 /-ნ/-სთან /Ø/-ისა და მრავლობითობის /-ან/-თან /-ა/-ს პოზიციურ მონაცვლეობას, მაგ., რე-ნ „არის“, ხე-ნ „ზის“, იშქვიდე-ნ „იცრჩობა“, რე-ნ-ან „არიან“, ხე-ნ-ან „სხედან“, იშქვიდე-ნ-ან „იცრჩობიან“.

1.02.7. სავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სვანურში. სავალდებულო პირის მორფემათა ალომორფების განაწილება თანამედროვე სვანური ენის დიალექტებში საკმაოდ რთულ სურათს იძლევა, ამ სირთულის ერთ-ერთ მიზეზს ზმნისწინები წარმოადგენენ. ისინი არსებითად ცვლიან პირის მორფემათა ალომორფების განაწილების სურათს. ამავე დროს ზმნისწინთა ალომორფები ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიძლება პირთა გამომხატველადაც ვიგულისხმოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირის მორფემათა ანალიზისათვის აუცილებელია ზმნისწინთა ანალიზიც.

ეს უფლებას გვაძლევს სავალდებულო პირთა — კერძოდ კი S_1, S_2 (აგრეთვე A_3) მორფემათა — ანალიზი ორ ეტაპად გავყოთ: 1. სავალდებულო პირთა მორფემები უზმნისწინო ფორმებში, 2. სავალდებულო პირთა მორფემები ზმნისწინიან ფორმებში.

პირველი სავალდებულო პირის მორფემა უზმნისწინო ფორმებში. სვანურ ზმნაში პრეფიქსულ მორფემათა განლაგება ასეთია: ზმნისწინი — პირის მორფემა (სავალდებულოსი ან არასავალდებულოსი, ორივე ერთად არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება) — ქცევისა ან გვარის მორფემა (ერთ-ერთი მათგანი). შესაძლოა ზმნის ფორმა არც ერთი პრეფიქსული მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელს არ შეიცავდეს, მაგრამ თუ ისინი (ზოგი ან ყველა ერთად) წარმოდგენილია, ეს თანმიმდევრობა არასდროს არ ირღვევა.

აქედან ჩანს, რომ პირთა პრეფიქსული მორფემებისათვის ზმნის-

---

1 **Н. Я. Марр**, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 44—51, ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 87—92; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 6—8,51.

2 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 25, 88.

3 იქვე, გვ. 89.

4 იქვე, გვ. 24, 89.

წინიან და უზმნისწინო ფორმებში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური პოზიცია იქმნება: უზმნისწინო ფორმებში ისინი პაუზის მომდევნოდ არიან წარმოდგენილი, ზმნისწინიან ფორმებში კი — ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნოდ.

ვ. თოფურია წერს: სვანურში „ხმოვნით დაწყებულ ფუძეს... პირველი პირის გამოსახატავად ყოველთვის დაერთვის პრეფიქსი ხუ-, მეორისა — ხ-". ხოლო „თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ... პირველი პირის ნიშნად -უ- გვაქვს და ისიც ჩვეულებრივ ინფიქსის სახით: მოქცეულია ფუძის თავკიდურ თანხმოვანსა და მომდევნო ხმოვანს შორის, ხოლო მეორე... პირს არავითარი ფორმანტი არ ახასიათებს" [1].

S_1 მორფემის /ხუ-/ ალომორფი დასტურდება, ა, ე, ჳ, ჴ, ი, ო, ხმოვანთა წინ: ბზ., ბქვ., ლნტ. ხუ-ჲარი „ვარ", ხუ-ჲსყი „ვაკეთებ", ლშხ. ხუ-არი, ხუ-ასყი, ზსვ., ლშხ. ხუ-ა-ჯნი „ვხნავ" (ლნტ. ხუ-ა-ჯჲნ-ი), ხუ-ი-შხი „ვიწვავ, ვიწვი", ხუ-ეშხი „ვეწვები", ლშხ. ხუ-ჲშუე „ვანთებ", ხუ-ოშუე „ვინთებ" და სხვა.

ო (და ო̃) ხმოვნის წინ ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში S_1 მორფემა წარმოდგენილია /ხ-/ ალომორფით, ლენტეხურში კი S_1 მორფემის /ხუ-/+ო>/ხუ-/, მაგ., ზსვ., ლშხ. ხ-ოსყი „ვუკეთებ", ხ-ოტხე „ვუბრუნებ", ხ-ოჯნი „ვუხნავ", ლნტ. ხუსყი (<ხუ-ოსყი), ხუჯნი (<ხუ-ოჯნი) (შდრ. ხ-ოსყი „უკეთებ", ხ-ოჯნი „უხნავ")[2].

/ხუ-/ მომდევნო გ-სთან შერწყმით გვაძლევს /ხუ-/-ს, მაგ., ზსვ., ლნტ. ხუგ (<ხუ-გგ) „ვდგავარ" (შდრ. ხ-გგ „დგახარ"), ლშხ. ხუგ (<ხუ-გგ) „ვდგავარ" (შდრ. ხ-გგ „დგახარ").

როგორც ვხედავთ, S_1 მორფემის ზემოაღნიშნული ალომორფები მხოლოდ ხმოვნების წინ არიან წარმოდგენილი. ისეთ ფორმებს, რომელთაც ძირეული მორფემის წინ (ე. ი. პირის მორფემათა მომდევნოდ) ხმოვანი აქვთ, შეიძლება თავკიდურხმოვნიანი ფორმები ვუწოდოთ, მაგრამ პირობით, რამდენადაც ეს ხმოვანი მეტწილად პრეფიქსულია (ქცევისა ან გვარის აღმნიშვნელი) და არა — ძირისეული.

მეორე მხრივ, სვანურში არის ისეთი ზმნები, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში ძირეული მორფემის წინ ხმოვანი არ მოეპოვებათ. ამგვარ ფორმებს თავკიდურთანხმოვნიანი ფორმების სახელწოდებით აღვნიშნავთ.

ზემოსვანურ და ლენტეხურ დიალექტთა თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში S_1 მორფემა წარმოდგენილია /-უ-/ და /Ø/ ალომორფებით. /-უ-/ დასტურდება იმ შემთხვევაში, თუ მისი მომდევნო ძირე-

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, 1967 წ., გვ. 1, 4.

[2] იქვე, გვ. 11.

ული ხმოვანი არის ე ან ი, მაგ., ჯ-უ-ედნი „მოედივარ“, ტ-უ-ისე „ვაბრუნებ“, დ-უ-იგე „ვაქრობ“, გ-უ-ეკნი „ვძლებ“, ლნტ. გ-უ-ეკენი (შდრ. II პირის ფორმები — კედნი, ტიხე, დიგე, გეკნი, ლნტ. გეკენი). იმ შემთხვევაში კი, თუ ამგვარ ზმნათა ძირეული მორფემის ხმოვანი არის უ, უ, ანდა ძირეული ხმოვნის წინამავალი თანხმოვანი არის უ. მაშინ S_1 მორფემა წარმოდგენილია /Ø/ ალომორფით, მაგ., სვურ (ლნტ. სკურ) „ვზივარ“, ბზ., ლშ. ტული „ვიძახი“, ყული „ვყვირი“, ზსვ., ლნტ. კუიშე „ვტეხ“, ცუირე „ვტოვებ“ (შდრ. S_2 ფორმები ტული, ყული კუიშე, ცუირე, სგურ, ლნტ. სკურ) [1].

თუ თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში ძირეული მორფემის ხმოვანი არის გ, მაშინ S_1 /-უ-/+გ>/-უ-/[2], მაგ., ღური (<ღ-უ-გრი) „მიედივარ, წავალ“ ჯუდე (<ჯ-უ-გდე) „მოვიტან“, ყულე (<ყ-უ-გლე) „ვამბობ“ (შდრ. S_2 ფორმები: ღგრი, ჯგდე, ყგლე). ამის მიზეზი ის არის, რომ სვანურში არ არსებობს თანმიმდევრობა უგ, ის ყოველთვის გეაძლევს უ-ს.

ლაშხური დიალექტის თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში S_1 /-უ-/ მხოლოდ ოთხიოდე ზმნასთან დასტურდება: ღური (<ღ-უ-გრი), ჯუდე (<ჯ-უ-გდე), ყულე (<ყ-უ-გლე) და ჯ-უ-ედნი. ყველა სხვა შემთხვევაში S_1 ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: გეკნი „ვძლებ“, დგგე „ვაქრობ“, კუშე „ვტეხ“, სედნი „ვრჩები“, გებნი „ვისვრები“ და სხვა.

ლენტეხურში გ ხმოვნის წინ პირველი სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დასტურდება /მ-/, მაგ., მ-გთრე „ვსვამ“, მ-გრდი „ვზრდი“, მ-გგემ „ვაგებ“, ლა-მ-გშ „დავლიე“ და სხვა. ასეთი რამ სხვა დიალექტებისათვის უცხოა [3].

როგორც ვხედავთ, უზმნისწინო ფორმებში პირველი სავალდებულო პირის მორფემის ალომორფები ორ ჯგუფად იყოფა: 1. თავკიდურხმოვნიან ფორმებში დადასტურებული ალომორფები /ხუ-/ და /ხ-/, 2. თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში — /-უ-/ და /Ø/ (აქ გათვალისწინებული არ არის ლენტეხურში დადასტურებული /მ-/).

რამდენადაც /ხუ-/ და /ხ-/ ალომორფთა გამოვლენას მომდევნო ხმოვნის რაგვარობა განაპირობებს, ამდენად პირველი ჯგუფის ალომორფთა განაწილება ფონოლოგიურად არის შეპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას მეორე ჯგუფის ალომორფთა შესახებაც ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში: /-უ-/-ს ნაცვლად /Ø/-ის

---

1 იქვე, გვ. 4, 11.

2 იქვე. გვ. 11.

3 ვ. თოფურია. დასახ. ნაშრ., გვ. 7—8; გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 9.

გამოვლენას განაპირობებს წინამავალი უ ან მომდევნო უ. ყველა სხვა შემთხვევაში /-უ-/ დასტურდება. ლაშხურში კი იმავე /-უ-/ და /Ø/ ალომორფთა განაწილება ფონოლოგიურად ვერ აიხსნება, რადგანაც /Ø/ ისეთსავე გარემოცვაში გვხვდება, როგორშიც /-უ-/, შდრ. ჯ-უ-ედნი „მოვდივარ“ — სედნი „ვრჩები“ — ჯეჩნი „ვცვდები“, ჯუდე (<ჯ-უ-გდე) „მომაქვს“ — ჯგჩე „ვცვეთ“ და სხვა.

პირველი და მეორე ჯგუფის ალომორფთა გამოვლენასაც ფონოლოგიური გარემოცვა განსაზღვრავს, რამდენადაც I ჯგუფის ალომორფები ხმოვნების წინ დასტურდებიან, II ჯგუფისა კი — თანხმოვნებთან.

მეორე სავალდებულო პირის მორფემა უზმნისწინო ფორმებში. თავკიდურხმოვნიან ფორმებში (ე. ი. ხმოვნების წინ) S_2 მორფემა წარმოდგენილია /ხ-/ ალომორფით: ხ-ბარი „ხარ“, ხ-ბასყი „აკეთებ“ (ლშხ. ხ-არი, ხ-ასყი), ხ-აჯნი „ხნავ“ (ლნტ. ხ-აჯანი), ხ-იშხი „იწვავ, იწვი“, ხ-ეშხი „ეწვები“, ხ-ოსყი „უკეთებ“, ხ-ოტხე „უბრუნებ“, ხ-ოჯნი „უხნავ“, ხ-გგ „დგახარ“ (ლშხ. ხ-გგ), ლშხ. ხ-ბშუე „ანთებ“, ხ-იშუე „ინთებ“ და სხვა.

თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში (ე. ი. თანხმოვნების წინ) კი S_2 მორფემა ყოველთვის /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი: ჯედნი „მოდიხარ“, ტიხე „აბრუნებ“ (ლშხ. ტგხე), დიგე „აქრობ“ (ლშხ. დგგე), გეჯნი „ძლებ“ (ლნტ. გეჯენი), სგურ „ზიხარ“ (ლნტ. სკურ) და სხვა.

მაშასადამე, S_1 /ხუ-/ და /ხ-/ ალომორფებს S_2 ფორმაში ყოველთვის /ხ-/ ენაცვლება, ხოლო S_1 /-უ-/ და /Ø/ ალომორფებს — S_2 /Ø/.

I და II სავალდებულო პირის მორფემათა ალომორფების დისტრიბუციის ამ წესებს უზმნისწინო ფორმებში გამონაკლისი არა აქვს. განსხვავებული ვითარება დასტურდება ზმნისწინიან ფორმებში, აქ ზემოაღნიშნული წესები ზოგჯერ არ მოქმედებს (ეს ძირითადად თავკიდურხმოვნიან ფორმებზე ითქმის). ამიტომ ზმნისწინიან ფორმებში ცალკე უნდა დადგინდეს S_1 და S_2 მორფემათა ალომორფების დისტრიბუციის ის წესები, რაც განსხვავებულია ამავე მორფემათა დისტრიბუციის ზემოთ ნაჩვენები წესებისაგან.

დასტურდება შემთხვევები, როცა ხმოვნების წინ ალომორფები S_1 /ხუ-~ხ-/ და S_2 /ხ-/ არ გაგვაჩნია და ორივე პირი ნულოვანი ალომორფით (ან S_1 /უ-/-თი) არის წარმოდგენილი. ეს არის ერთი — ყველაზე არსებითი — განსხვავება ალომორფთა განაწილების იმ წესისაგან, რაც უზმნისწინო ფორმებისათვის ზემოთ იყო ნაჩვენები. ბუნებრივად იბადება კითხვა: ზმნისწინი ხომ არ არის S_1 და S_2 მორფემათა დისტრიბუციის წესის შეცვლის მიზეზი?

ზმნისწინიანობა-უზმნისწინობით ეს საკითხი არ გადაწყდება, რადგანაც ზმნისწინიანი ფორმების I და II სავალდებულო პირში, ისევე როგორც უზმნისწინოებში, ყველა ზემოაღნიშნული ალომორფი დასტურდება. ამიტომ ისმის კითხვა: ზმნისწინთა რაგვარობით ხომ არ არის გამოწვეული აღნიშნულ ალომორფთა თავისებური განაწილება?

ამ საკითხის გადასაწყვეტად ავიღოთ თავკიდურხმოვნიანი ზმნა, სხვადასხვა ზმნისწინთა დართვით ვაუღლოთ ის ერთსა და იმავე მწკრივში, ვთქვათ — წყვეტილში, და ვნახოთ, რა სურათს მივიღებთ. რადგანაც სვანური დიალექტები ამ მხრივ არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ დავკმაყოფილდეთ ერთ-ერთი დიალექტის, მაგ., ლაშხურის, ნიმუშებით:

I.	1. ო-ხუ-აგ	„ავაგე, ავაშენე“
	2. ა-ხ-აგ	„ააგე, ააშენე“
	3. ან-გე	„ააგო, ააშენა“
II.	1. ლო-ხუ-აგ	„მივადგი, მივაშენე“
	2. ლა-ხ-აგ	„მიადგი, მიაშენე“
	3. ლა-ხ-გე	„მიადგა, მიაშენა“
III.	1. ოთ-აგ	„ავაშენე“
	2. ათ-აგ	„ააშენე“
	3. ად-გე	„ააშენა“
IV.	1. ოს-აგ	„დავადგი, დავაშენე“
	2. ეს-აგ	„დაადგი, დააშენე“
	3. ეს-გე	„დაადგა, დააშენა“

როგორც ვხედავთ, პირველ ორ პარადიგმაში დაცულია ალომორფთა განაწილების ზემოაღნიშნული წესი — ხმოვნის წინ S_1 /ხუ-/ ალომორფით აღინიშნება, S_2—/ხ-/-თი. მომდევნო ორ პარადიგმაში კი ეს წესი დარღვეულია — მოსალოდნელი S_1 /ხუ-/ და S_2 /ხ-/ არ არის წარმოდგენილი. ძირეული მორფემის თავისებურებით ამ ფაქტს ვერ ავხსნით, რადგანაც ის ოთხსავე პარადიგმაში აბსოლუტურად ერთნაირია. სხვა მიზეზი კი აქ არაფერი არსებობს, გარდა ზმნისწინებისა, რომლებიც ყველა პარადიგმაში სხვადასხვაა. ამიტომ ეს ფაქტი ზმნისწინებიდან ამოსვლით უნდა აიხსნას.

მაგრამ რადგანაც პირის მორფემები ზმნისწინებთან სხვა მხრივაც არიან დაკავშირებული, ამიტომ აქ საჭიროა მათი (ზმნისწინების) არა ცალმხრივი, არამედ სისტემატური — შეძლებისდაგვარად ამომწურავი — დახასიათება. ეს კი საშუალებას მოგვცემს, ჯერ ერთი, შედარე-

ბით სრულად დავახასიათოთ სავალდებულო (ასევე — არასავალდებულო) პირთა მორფემები და, მეორეც, შევქმნათ საფუძველი პირის მორფემათა დიაქრონიული ანალიზისათვის.

ზმნისწინები. აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ ზმნისწინებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე. ეს ზმნისწინებია: **ან-, ლა-, ად-, ეს-.** დანარჩენი ოთხი ზმნისწინი — **ჟი, ჩუ, სგა, ქა** — ამ მხრივ ნეიტრალურია და ამიტომ აქ ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდის.

განსახილველ ზმნისწინთა შესახებ ქართველურ ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ცოდნა არის დაგროვილი. მისი გათვალისწინების გზით ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ ზმნისწინთა ალომორფების განაწილებისა და მათი პირის მორფემებთან მიმართების ზოგადი სტრუქტურული საფუძვლები.

ზმნისწინთა ალომორფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ხმოვნური, ისე თანხმოვნური ელემენტებით. წინასწარვე უნდა აღინიშნოს, რომ /ან-/, /ლა-/, /ად-/, /ეს-/ ძირითადი ფორმები ყველა დიალექტში ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთი გამონაკლისია **ეს-** ზმნისწინი, რომლის ლენტეხური ვარიანტი არის /ას-/ და არა /ეს-/.

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი. პირველი ორი წესი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას ან მათ ქონება-უქონლობას.

I წესი: ზმნისწინთა **ა-** ელემენტის ნაცვლად წარმოდგენილია **ე** (ლაშხურში), **ჲ** (დანარჩენ დიალექტებში)[1]. ადვილად დასანახავია, რომ ეს წესი შეეხება **ან-, ლა-, ად-** ზმნისწინებს ყველა დიალექტში და **ას-** ზმნისწინს ლენტეხურში. ასეთი ვითარება გვაქვს შემდეგ შემთხვევებში:

1. სათავისო ქცევის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს სათავისო ქცევის მორფემას, სულ ერთია რომელი ალომორფი იქნება /ი-/, /ი-/, /ჲ-/, თუ /Ø/, მაგ., **ჲ-ხ-ი-სყ** „გაიკეთე“, **ლჲ-ხ-იბ** (ბზ. **ლჲ-ხ-იბ**) „შეიბი“, **ჲთ-იბ** „შეიბი“, **ლჲ-ჲ-ქუე** „ჩაიცვა“, **ჲნ-სყე** „გაიკეთა“, **ჲთ-გემ** „აიშენებ“, **ჲდ-გემ** „აიშენებს“, **ლშხ.** **ე-ხ-ი-სყ, ლე-ხ-იბ, ეთ-იბ, ლე-ჲ-ქუე, ენ-სყე, ეთ-გემ, ედ-გემ, ბზ. ჲდ-ი-რე** „დაიწერა“, **ლშხ. ედ-ი-რე, ე-ხ-ი-შუ** „აინთე“, **ენ-ი-შუე** „აინთო“, **ეთ-ი-შუ** „დაინთე“, **ედ-ი-შუე** „დაინთო“ და სხვა[2].

---

[1] ბაღსქვემოურში **ჲ-**ს მონაცვლედ ზოგჯერ **ე-**ც დასტურდება.

[2] ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში, გვ. 337; ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 56-57.

2. სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ის შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის /ი-/, /ი̄-/ ალომორფებს, ან /ი-/-ს სინკოპის საფუძველზე მიღებულ /Ø/ ალომორფს, მაგ., ა-მ-ი-ჯ(დ) „მომიტახე“, ა-ჯ-ი-ჯ(დ) „მოგიტანე“, ა-მ-ი-სყ „გამიკეთე“, ა-ჯ-ი-სყ „გაგიკეთე“, ა-მ-ჯიდ „მომიტანა“, ა-ჯ-ჯიდ „მოგიტანა“, ლშხ. ე-მ-ი-ჯ, ე-ჯ-ი-ჯ, ე-შ-ი-სყ, ე-ჯ-ი-სყ, ე-მ-ჯიდ, ე-ჯ-ჯიდ, ე-მ-ი̄-შუ „ამინთე“, ე-მ-ი̄-შუე „ამინთო“, ლე-მ-ი̄-თე „გამინაწილა“, ლე-ჯ-ი̄-თე „გაგინაწილა“ და სხვა.

3. პრეფიქსიანი ვნებითის ფორმაში, ე. ი. თუ ზმნა შეიცავს ვნებითი გვარის მორფემის /ი-/, /ი̄-/, /ე-/, /ე̄-/ ალომორფებს, ან /ი-/-სა და /ე-/-ს სინკოპის საფუძველზე მიღებულ /Ø/ ალომორფს, მაგ., ათ-შიხი „დაიწვები“, ად-შიხ-ი „დაიწვება“, ათ-ყაჩ „თავი დაანება“, ლა-ხ-ტახ „მიუბრუნდა“, ლა-ხ-შად „მიეშველა, შეეწია“, ლშხ. ეთ-შიხი, ედ-შიხი, ეთ-ყაჩ, ლე-ხ-ტახ, ლე-ხ-შად, ეთ-ი̄-ტუენ „გაიქეცი“, ე-ხ-ი̄-ტუენ „გამოიქეცი“, ბზ. ათ-ი̄-ტუან, ა-ხ-ი̄-ტუან, ბქე., ლნტ. ათ-ი-ტუენ, ა-ხ-ი-ტუენ [1].

ერთგვარად განსხვავებული ვითარება დასტურდება ბალსზემოურში, სადაც, სხვა დიალექტთაგან განსხვავებით, არასინკოპირებული /ე-/ (ასევე /ე̄-/) არ იწვევს ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის ცვლილებას ა>ა [2]. შდრ., ერთი მხრივ, ბზ. ათ-ე-ყჩ „თავი დაანებე“, ლა-ხ-ე-ტახ „მიუბრუნდი“, ლა-ხ-ე-შად „მიეშველე, შეეწიე“ და, მეორე მხრივ, ბქე., ლნტ. ათ-ე-ყჩ, ლა-ხ-ე-ტახ, ლა-ხ-ე-შად და ლშხ. ეთ-ე-ყჩ, ლე-ხ-ე-ტახ, ლე-ხ-ე-შად.

ლენტეხურში ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის სხვა სახესხვაობა არ არსებობს. დანარჩენი სამი დიალექტისთვის შეიძლება ჩამოყალიბდეს კიდევ ერთი წესი.

II წესი: ოთხივე ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი წარმოდგენილია ო-ს სახით. ასეთი ვითარება გვაქვს შემდეგ შემთხვევებში:

1. პირველი სავალდებულო პირის ფორმაში (გარდა ინკლუზივისა), სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინს მოსდევს S_1 მორფემა [3] — სულ ერთია, რომელი ალომორფი იქნება — თუნდაც /Ø/, მაგ., ო-ხუ-აგ „ავაგე“, ავაშენე“, ლო-ხუ-აგ „მივადგი, მივაშენე“, ოთ-აგ „ავაშენე“, ოთ-ხატუი „დავხატავ“, ონ-კუ „მოვიტანე“, ონ-ჯუდ „მოვედი“, ბზ. ო-ჭაბ „გავკვალე (თოვლი)“, ლშხ., ბქე. ოს-აგ „დავადგი, დავაშენე“ და სხვა.

2. არასავალდებულო პირის ინკლუზივის ფორმაში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში), I არასავალდებულო პირის მრ. რიცხვის

---

1 ა. შანიძე, ჯმლატი სვანურში, გვ. 345—346.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 342—343. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57.

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 337; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12.

ფორმაში (ლაშხურში), ე. ი. თუ ზმნა შეიცავს /გუ-/-ს, მაგ., ლო-გუ-აბ „შეგვაბი“, ო-გუ-ხატუე „დაგვხატა“, ბზ. ო-გუ-ბარე „მოგვამზადა“, ო-გუ-რმე „დაგვიჭირა“, ლშხ. ო-გ-მარე, ო-გ-გრმე და ა. შ.

3. სასხვისო ქცევის ფორმაში, თუ ეს ფორმა შეიცავს სასხვისო ქცევის მორფემის /ო-/, /რ-/ ალომორფებს[1], ან /ო-/-ს სინკოპის საფუძველზე მიღებულ /Ø/ ალომორფს, მაგ., ო-ხ-ო-ჯ(დ) „მოუტანე“, ოთ-ო-ჯ(დ) „მიუტანე“, ლო-ხ-ო-გ „მიუდგი“, ო-ხ-ჯიდ „მოუტანა“, ოთ-ჯიდ „მიუტანა“, ლშხ., ბქვ. ოს-გე „დაუდგა“, ლშხ. ო-ხ-რ-შუე „აუნთო“, ლო-ხ-რ-შუ „შეუნთე“, ლო-ხ-რ-შუე „შეუნთო“, ოს-რ-გენ „დაუდექი“, ოს-რ-გან „დაუდგა“ და სხვა.

აღნიშნული ორი წესის მოქმედების მიხედვით ჭვანური ენის დიალექტებში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის სხვაობას: დასტურდება ზმნის ფორმები, სადაც ერთდროულად იყრის თავს როგორც პირველი, ისე მეორე წესის განხორციელების პირობა (მაგ., სათავისო ქცევის, ან პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა პირველი სავალდებულო პირის ფორმაში), ასეთ შემთხვევაში, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ ერთ-ერთი წესის განხორციელება: ა>ა (ე) ან ა (ე)>ო. ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდება დიალექტთა ორი ჯგუფი. თუ ზმნის ფორმაში არსებობს ორივე წესის განხორციელების პირობა, მაშინ ლაშხურსა და ბალსქვემოურში (ზოგი ქვედიალექტის გამოკლებით) ხორციელდება მეორე წესი — ზმნისწინთა ა, ე>ო, ხოლო ბალსზემოურსა და ბალსქვემოურის ზოგ კილოკავში (მაგ., ლახამულურში) — პირველი წესი — ა>ა, მაგ., ლშხ. ო-ხ-ყიდ „ვიყიდე“, ოთ-იგ „დავიდგი, ავიშენე“, ლო-ხ-ჭოდ „ვკითხე“, ო-ხუ-ი-კ „ავიღე“, ბქვ. ო-ხუ-ი-ყდ, ოთ-იგ, ლო-ხ-ჭედ, ო-ხუ-ი-კ, ბზ., ა-ხუ-ი-ყდ, ათ-უ-ი-გ, ლა-ხუ-ჭუედ, ა-ხუ-ი-კ [2].

ბალსზემოურისათვის შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უფრო ზოგადი წესი: **აქ არ ხორციელდება მეორე წესი იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი პალატალურია (წინა რიგისაა).** ამის შედეგია, რომ ეს- ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი უცვლელია, არასდროს არ ხდება ე>ო: ეს-უ-აბ „დავაბი“, ეს-უ-ა-გუშ „დავასხი“, ეს-ღ-უ-რი „მივდივარ“, შდრ. ლშხ. ოს-აბ, ოს-გოშ, ოს-ღური და სხვა. ამავე წესით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ პირველ წესთან კომბინაციაში მეორე წესი არ ხორციელდება, ე. ი. არ ხდება ა>ო, რადგანაც ა პალატალურია.

---

[1] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 339; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 57—58; გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში. გვ. 10—11.

[2] ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

იმ შემთხვევათა გარდა, სადაც არსებობს I ან II წესის განხორციელების პირობა, ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი იმ სახით დასტურდება, როგორც ზემოაღნიშნულ ძირითად ფორმებშია ნაჩვენები: ა-ხ-ა-სყ „გააკეთე“, ან-სყე „გააკეთა“, ეს-გე „დადგა“, ათ-ა-კურ „დააგდე“, ლა-ხ-ა-ქუ „ჩააცვი“, ლნტ. ად-აესნა „წაიღებდა“, ან-კედენი „მოვა“, ლა-ხ-ა-თონი „ასწავლის“ და სხვა.

ამით ამოიწურება ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის მონაცვლეობები სვანურში.

ზმნისწინები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეთვე თანხმოვანი ელემენტებითაც. შემდგომი წესები შეეხება სწორედ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტების ქცევასა და მათ მიმართებას პირის მორფემებთან.

III წესი: პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (ზმნისწინი+საველდებულო ან არასავალდებულო პირის მორფემა) თანამედროვე სვანურში თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია. ამის გამო, თუ ზმნისწინის თანხმოვან ელემენტს უშუალოდ მოსდევს პირის მორფემის თანხმოვანი, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ნულის სახით არის წარმოდგენილი.

იმის გამო, რომ ლა- ზმნისწინის მეორე ელემენტია ხმოვანი, ამ ზმნისწინის შემცველ ფორმებში არასდროს არ ხდება ზმნისწინისა და პირის მორფემის თანხმოვანთა უშუალო მეზობლად მოხვედრა და, ამდენად, არ იქმნება III წესის რეალიზაციის პირობა. ამიტომ ლა- ზმნისწინიან ფორმებში არც ერთ შემთხვევაში არ ხდება არც ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტისა და არც პირის მორფემის ნულთან გათანაბრება. მაშასადამე, ლა- ზმნისწინის ალომორფთა განაწილების დადგენისათვის საკმარისია I და II წესის გათვალისწინება:

I წესის რეალიზაციის შემთხვევაში წარმოდგენილია /ლჳ-/ (ლშხ. /ლე-/ და ბალსზემოურში ზოგჯერ /ლჳ-/) ალომორფი: ბზ. ლჳ-ჲლრკე „მოლოკა“, ლჳ-ხუ-ჭუედ „ვკითხე“, ლჳ-ხუ-ბემნე „მივაბამ“, ლჳ-ხ-ლჳ-ტი „შეუყვარდება“, ლჳ-ტხენი „დაბრუნდება“, ლჳ-ხუ-იშგდ „ვიკადრე“, ბქვ. ლჳ-იბ „შეიბა“, ლჳ-ჲბინე „დაიწყო“, ლნტ. ლჳ-ჲკიდ „აიღო“, ლჳ-ხ-ეჭუედდა „ჰკითხა“, ლჳ-ხუ-ეკადდ „მივაწყდით“, ლშხ. ლე-ჲლრკე, ლე-ხ-ლატი, ლე-ჲბე „შეიბა“, ლე-ხ-ჭოდდა „ჰკითხა“ და სხვ.

II წესის რეალიზაციის არეში წარმოდგენილია /ლო-/ (ბალსზემოურსა და ლაშხურში ზოგჯერ /ლრ-/) ალომორფი: ლო-ხუ-აბ „მივაბი“. ლო-ხუ-აჭდ „მივაყუდე“, ბზ. ლრ-ტეხ „დავბრუნდი“, ლრ-ხუ-აშ „შევჰამე“, ლრ-ხუშ „დავლიე“ (ლშხ. ლო-ხუშ//ლრ-ხუშ) და სხვა (ლენტეხურში, როგორც ვთქვით, II წესი არ მოქმედებს).

ყველა სხვა შემთხვევაში დასტურდება /ლა-/ (ბალსზემოურსა და ლაშხურში ზოგჯერ /ლჳ-/) ალომორფი: ბზ. ლა-ხ-სგურდა „შეაჯდა“,

ლა-ხ-ბე „მიაბა“, ლა-ხ-ჰმ „შეჭამე“, ლა-ტახ „დაბრუნდა“, ბქვ. ლა-ხ-სგურდა „შეაჯდა“, ლა-ხ-ბე „მიაბა“, ლა-ხ-ემ „მისცა“, ლა-ხ-ხუიც „შეხვდა“, ლნტ. ლა-ხ-ასკურდა „შეაჯდა“, ლა-ხ-ოტიხა „დაუბრუნებია“, ლა-ხ-აისნავა „დასიზმრებია“, ლა-ხუემ „მისცა“, ლშხ. ლა-ხ-სგურდა „შეაჯდა“, ლა-ხ-ბე „მიაბა“, ლა-ხ-ხუდა „შეხვდა“, ლა-მ-ტიხ „დამიბრუნა“, ლა-ჯ-ტიხ „დაგიბრუნა“, ლა-ლ-ტიხდ „დავუბრუნეთ“ და სხვა.

III წესის განსორციელების პირობა არსებობს **ად-, ეს-, ან-** ზმნისწინებისა და პირის პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე. მაგრამ ამ წესის რეალიზაცია სხვადასხვაგვარად ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ პრეფიქსულ მორფემათა კომბინაციასთან გვაქვს საქმე:

III$_1$ წესი: თუ აღნიშნული სამი ზმნისწინის მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია Si /ლ-~ ლგ -/, Ai | გუ -~ გუ-/, Ae /ნ-~ნგ -/ A$_1$ /მ-~მგ -/ ან A$_2$ /ჯ-~ჯგ -/, მაშინ ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენ-, ტია ნულთან გათანაბრებული[1], მაგ.,

ან- ზმნისწინი

ბზ.	ბქვ.	ლნტ.	ლშხ.	
ა-ლ-ჯიდდ	ო-ლ-ჯიდ-დ	ა-ლ-ჯიდდ	ა-ლ-ჯიდდ	„მოვიყვანეთ“
ი-გუ-ჯიდ	ო-გუ-ჯიდ	ა-გუ-ჯიდ	ო-გ-ჯიდ	„მოგვიყვანა“
ა-ნ-ჯიდ	ა-ნ-ჯიდ	—	—	„მოგვიყვანა“
ა-მ-ჯიდ	ა-მ-ჯიდ	ა-მ-ჯიდ	ა-მ-ჯიდ	„მომიყვანა“
ა-ჯ-ჯიდ	ა-ჯ-ჯიდ	ა-ჯ-ჯიდ	ა-ჯ-ჯიდ	„მოგიყვანა“
შდრ. ან-ჯიდ	ან-ჯიდ	ან-ჯიდ	ან-ჯიდ	„მოიყვანა“

ად- ზმნისწინი

ბზ	ბქვ.	ლნტ.	ლშხ.	
ო-ლ-შიხდ	ო-ლ-შიხდ	ა-ლ-ოშიხედ	ო-ლ-შიხედ	„დავუწვით“
ი-გუ-შიხ	ო-გუ-შიხ	ი-გუ-შიხე	ო-გ-შიხე	„დაგვიწვა“
ი-ნ-შიხ	ი-ნ-შიხ	—	—	„დაგვიწვა“
ი-მ-შიხ	ი-მ-შიხ	ი-მ-შიხე	ე-მ-შიხე	„დამიწვა“
ი-ჯ-შიხ	ი-ჯ-შიხ	ი-ჯ-შიხე	ე-ჯ-შიხე	„დაგიწვა“
შდრ. ოთ-შიხ	ი-თ-შიხ	ათ-ოშიხე	ოთ-შიხე	„დაუწვა“

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 54—55.

ეს- (ლნტ. ას-) ზმნისწინი

ბზ.	ბქვ.	ლნტ.	ლშხ.	
ე-ლ-ყად	ო-ლყად	ა-ლ-საყად	ო-ლ-ყად	„მივყავართ“
ე-გუ-ყა	ო-გუ-ყა	ა-გუ-საყა	ო-გ-ყა	„მიგვყავს“
ე-ნ-ყა	ე-ნ-ყა	—	—	„მიგვყავს“
ე-მ-ყა	ე-მ-ყა	ა-მ-საყა	ე-მ-ყა	„მიმყავს“
ე-ჯ-ყა	ე-ჯ-ყა	ა-ჯ-საყა	ე-ჯ-ყა	„მიგყავს“
შდრ. ეს-ყა	ეს-ყა	ას-აყა	ოს-ყა	„მიჰყავს“

ლენტეხურში, როგორც ვხედავთ, III_1 წესის რეალიზაცია ხდება არა ზმნისწინის -ს ელემენტის ნულთან გათანაბრებით, არამედ /ას-/ ზმნისწინის წყვეტილ მორფემად ქცევის, ე. ი. -ს ელემენტის პირის მორფემათა შომდევნოდ გადანაცვლების გზით. ამით ლენტეხური განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან [1].

III_2 წესი: კომბინაციაში — ზმნისწინები ად- ან ეს + S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/ ან A_3 /ხ-/ — III წესის რეალიზაციის საფუძველზე ნულთან გათანაბრებულია პირის მორფემათა დასახელებული ალომორფები[2], ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტი კი ყოველთვის წარმოდგენილია — ეს- ზმნისწინისა ხ-ს სახით, ხოლო ად- ზმნისწინისა უგამონაკლისოდ თ-ს სახით, მაგ., ბზ., ბქვ., ლშხ. ოთ-ეჭმ „წავუევი“, ოთ-აბ „დავაბი, მივაბი“, ათ-აბ „დააბი, მიაბი“, ათ-ბე „მიაბა“, ბზ., ბქვ. ეს-ჳგუშ „დაასხი“, ეს-გუეშ „დაასხა“, ბქვ. ოს-ჳგუშ „დავასხი“, ლნტ. ას-ჳგუშ „დაასხი“, ას-გუეშ „დაასხა“, ლშხ. ოს-აბ „დავაბი“, ეს-აბ „დააბი“, ოს-გოშ „დავასხი“, ეს-გოშ „დაასხი“, ეს-გოშე „დაასხა“ და სხვა.

სამ დიალექტში (ბზ., ბქვ., ლნტ.) ამ წესს აქვს ორი გამონაკლისი: 1. პრეფიქსულ მორფემათა ზღვარზე დასტურდება თხ თანმიმდევრობის რამდენიმე ნიმუში, მაგ., ბზ., ბქვ. ოთ-ხუ-ჳი „წავიღე“, ათ-ხ-ჳი „წაიღე“, ლნტ. ათ-ხუ-ჳ, ათ-ხ-ჳ, ბზ. ათ-ხ-ჳდ „თქვა“, ბქვ. ათ-ხ-გრმ „დაიჭირე“,[3] 2. ად- და ეს- ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება S_1 /უ-/ ალომორფი (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

III_3 წესი: კომბინაციაში — ზმნისწინი ან- + S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/ ან A_3 /ხ-/ — ყოველთვის ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტია ნულთან გათანაბრებული, მაგ., ბზ., ბქვ. ო-ხუ-ჳსყ „გავაკეთე“, ა-ხ-ჳსყ „გააკეთე“, ო-ხ-სყე „გაუკეთა“, ლშხ. ო-ხუ-ასყ, ა-ხ-ასყ, ო-ხ-სყე, ლნტ. ა-ხუ-ჳსყ, ა-ხ-ჳსყ, ა-ხ-ოსყე და სხვა.

---

1 იქვე, გვ. 56. 2 იქვე, გვ. 54—55. 3 იქვე, გვ. 17—20.

ეს წესები საკმარისია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე როგორც ფუძისწინათა, ისე პირის მორფემათა ალომორფების განაწილების დადგენისათვის.

ადვილად დასანახავია, რომ ორი უკანასკნელი წესის (III_2 და III_3) განხორციელების პირობა არსებობს მხოლოდ თავკიდურხმოვნიან ფორმებში. თავკიდურთანხმოვნიანი ფორმებისათვის კი, სადაც ადგილი აქვს ზმნისწინთა და ძირეულ მორფემათა თანხმოვნების უშუალო მეზობლად მოხვედრას, შეიძლება ჩამოყალიბდეს კიდევ ერთი წესი: თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში დასაშვებია ან-, ეს- ზმნისწინებისა და ძირეული მორფემის თანხმოვანთა თავმოყრა, ამიტომ არის, რომ ამგვარ ზმნებში ან- და ეს-, ჩვეულებრივ, თანხმოვანი ელემენტით არიან წარმოდგენილი: ბქვ., ლშხ. ონ-ჯუედ „მოვედი“, ან-ჯედ „მოხვედი“, ბზ., ბქვ. ჳნ-ჯდენი „ძოვა“, ჳნ-ტხე „მოაბრუნებს“, ჳნ-ჯდე „მოიტანს“, ლშხ., ლნტ. ან-ტხე, ან-ჯდე, ბზ. ეს-ღური „მივდივარ“, ეს-ღრი „მიდიხარ, მიდის“, ლშხ. ოს-ღური, ეს-ღრი, ბქვ. ოს-ხური, ეს-ხრი, ლნტ. ას-ხური, ას-ხრი და სხვა.

ად- ზმნისწინი კი ასეთსავე ფორმებში, ჩვეულებრივ, თანხმოვანი ელემენტის გარეშე არის წარმოდგენილი, ე. ი. ამ ზმნისწინისა და ძირეული მორფემის მიჯნაზე ორი თანხმოვნის თავმოყრა არ არის დასაშვები. ეს იმას ნიშნავს, რომ ად- ზმნისწინის თანხმოვნიანი (/ად-/, /ათ-/...) და უთანხმოვნო (/ა-/, /ჳ-/, /ო-/) ვარიანტები ურთიერთგამომრიცხველ პოზიციაში იხმარებიან (პირველი თავკიდურხმოვნიან, მეორე თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში) და, ამდენად, ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან. რადგანაც ეს სეგმენტები მნიშვნელობითაც ემთხვევიან ერთმანეთს, ამიტომ ისინი ერთი მორფემის ალომორფებად უნდა იქნენ მიჩნეული. მაშასადამე, სავსებით გასაზიარებელია ა. შანიძის დებულება, რომლის მიხედვითაც თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში დადასტურებული /ა-/ არის ად- ზმნისწინის ვარიანტი [1]. მაგალითები: ბზ., ბქვ. ჳ-ტხე „დააბრუნებ, დააბრუნებს“, ჳ-კუშე „გატეხ, გატეხს“, ჳ-დგე „გააქრობ, გააქრობს“, ლშხ., ლნტ. ა-ტხე, ა-კუშე, ა-დგე, ბზ. ჳ-ტუხე „დავაბრუნებ“, ჳ-დუგე „გავაქრობ“, ჳ-კუშე „გავტეხ“, ლნტ. ა-დუგე, ლშხ., ბქვ. ო-დგე „გავაქრობ“, ო-ტხე „დავაბრუნებ“ და სხვა.

ამ წესს მოეპოვება რამდენიმე გამონაკლისი: თავკიდურთანხმოვნიან ფორმებში ან- ზმნისწინის ალომორფებად ერთ ზმნასთან დასტურდება /ა-/, /ო-/ (ო-ღუერ „მოვედი“, ა-ღერ „მოხვედი“), ხო-

---

1 ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, გვ. 340; იხ. აგრეთვე ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 68.

ლო ად- ზმნისწინისა ზოგ დიალექტში რამდენიმე ზმნასთან — /აღ-/, /ოდ-/ (ოდ-ღუერ „წავედი“, ად-ღერ „წახვედი“) [1].

ზეთაღნიშნული წესების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება წარმოვადგინოთ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების სურათი. რაღგანაც საილუსტრაციო მასალა ყოველ წესს ახლდა, ამიტომ ქვემოთ თითო-ოროლა მაგალითით დავკმაყოფილდებით. საჭიროა გავითვალისწინოთ ოღონდ, რომ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ლენტეხურში ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი არასდროს არ არის წარმოდგენილი ო-ს და ე-ს სახით.

ან- ზმნისწინის ალომორფთა განაწილება. /ა-/ ალომორფი წარმოდგენილია III_1 და III_3 წესთა მოქმედების არეში, თუ არ მოქმედებს I და II წესი: ა-მ-ჯიდ „მომიყვანა“, ა-ჯ-ჯიდ „მოგიყვანა“, ა-ნ-ჯიდ (Ae) „მოგვიყვანა“, ა-ლ-ჯიდდ (Si) „მოვიტანეთ, მოვიყვანეთ“, ა-ხ-ჰსყ „გააკეთე“, ლნტ. ა-ხუ-ჰსყ „გავაკეთე“.

/ჰ-/ (ლშხ. /ე-/) ალომორფი დასტურდება III_1 და III_3 წესთა მოქმედების არეში, თუ ამასთანავე მოქმედებს I წესიც: ჰ-მ-ჯიდ „მომიტანა“, ჰ-ჯ-ჯიდ „მოგიტანა“, ჰ-ნ-ჯიდ (Ae) „მოგვიტანა“, ჰ-ლ-სყედ (Si) „გავიკეთეთ“, ჰ-ხ-ისყ „გაიკეთე“, ბზ., ლნტ. ჰ-გუ-ჯიდ „მოგვიტანა“, ჰ-ხუ-ისყ „გავიკეთე“, ლშხ. ე-მ-ჯიდ, ე-ჯ-ჯიდ, ე-ლ-სყედ, ე-ხ-ისყ.

/ო-/ ალომორფი — III_1, III_3 და II წესთა ერთად მოქმედების არეში: ბზ. ო-გუ-მჰრე „მოგვამზადა“, ო-გუ-ჯიდ „მოგვიყვანა“, ლშხ. ო-გ-მჰრე, ო-გ-ჯიდ, ბზ., ბქვ. ო-ხუ-ჰსყ „გაიკეთე“, ლშხ. ო-ხუ-ასყ.

/ან-/ (ლშხ. /ენ-/) ალომორფი — I წესის მოქმედების არეში, თუ არ მოქმედებს III წესი: ჰნ-სყე „გაიკეთა“, ჰნ-კიდ „აიღო“, ლშხ. ენ-სყე, ენ-კიდ, ლნტ. ჰნ-მეკერე „გაიგო“.

/ონ-/ ალომორფი დასტურდება თავკიდურთანხმოვნიან ზმნათა S_1 ფორმაში, თუ მოქმედებს II წესი: ონ-ღ-უ-რი „მოვდივარ“, ონ-ჯუ „მოვიტანე“ და სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია /ან-/ ალომორფი: ან-სყე „გააკეთა“, ან-ჯიდ „მოიტანა“, ან-ჯგ „მოიტანე“ და სხვა.

ად- ზმნისწინის ალომორფთა განაწილება. /ა-/ ალომორფი დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: 1) III_1 წესის მოქმედების არეში, თუ არ მოქმედებს I და II წესი: ა-ლ-ხატუდ „დავხატეთ“, ა-მ-ხატუ „დამხატა“, ა-ჯ-ხატუ „დაგხატა“. 2) თავკიდურთანხმოვნიან ზმნათა S_2 და S_3 ფორმებში: ა-ტიხ „დააბრუნა (იქით)“, ა-ცუირ „დატოვა“, ა-ტგხ „დააბრუნე“, ა-ცურ „დატოვე“ და სხვა.

/ჰ-/ (ლშხ. /ე-/) ალომორფი დასტურდება I და III_1 წესთა ერთად

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 246.

მოქმედების არეში: ბზ., ბქვ. ა-მ-ხატუე „დამიხატა“, ა-ჯ-ხატუე „დაგიხატა“, ა-ნ-ხატუე „დაგვიხატა“, ლნტ. ა-მ-ხატაუე, ა-ჯ-ხატაუე, ბზ. ა-გუ-ხატუე „დაგვიხატა“, ლშხ. ე-მ-ხატუე, ე-ჯ-ხატუე, ე-ლ-ხატუედ, „დავიხატეთ“. ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში /ა-/ გვხვდება აგრეთვე თავკიდურთანხმოვნიან ზმნებთან: ა-ტხე „დააბრუნებ, დააბრუნებს (იქით)“, ა-კუშე „გატეხ, გატეხს“, ა-შიხ „დაწვი. დაწვა“; ბზ. ა-შ-უ-იხ „დავწვი“ და სხვა.

/ო-/ ალომორფი დასტურდება ორ შემთხვევაში (გარდა ლენტეხურისა): 1) II და III_1 წესთა ერთად მოქმედების არეში: ბზ. ო-გუ-ხატუე „დაგვხატა“, ო-გუ-ა̈შდგნ „დაგვაიწყდა“, ბქვ. ო-გ-ხატუე, ო-გუ-ეშდგნ, ლშხ. ო-გ-ხატუე, ო-გუ-ე̄შდგნ. 2) თავკიდურთანხმოვნიან ზმნათა S_1 ფორმაში: ო-ტგხ „დავაბრუნე (იქით)“, ბზ., ბქვ. ო-კგლ „დავკეტე“, ბქვ. ო-შიხ „დავწვი“, ლშხ. ო-ცურ „დავტოვე“, ო-ფუ „გავუშვი“, ო-კუშ „გავტეხე“ და სხვა.

/ა̈თ-/ (ლშხ. /ეთ-/) ალომორფი — I და III_2 წესთა ერთად მოქმედების არეში: ა̈თ-ყა̈ჩ „თავი დაანება“, ბქვ., ლნტ. ა̈თ-ეყჩ „თავი დაანებე“, ლშხ. ეთ-ყაჩ ეთ-ეყჩ, ეთ-შიხენ „დაიწვი“, ეთ-შიხა̈ნ „დაეწვა“, ეთ-ლაკა̈ნ „წააწყდა, მიაგნო“ და სხვა.

/ოთ-/ ალომორფი II და III_2 წესთა ერთად მოქმედების არეში: ოთ-ეგჭ „გავუძელი“, ოთ-ეყჩ „თავი დავანებე“, ოთ-ექდ „შევცდი“. ბზ. ოთ-რგა̈ნ „მიუდგა, გაუდგა“, ბქვ. ოთ-ოგა̈ნ, ლშხ. ოთ-რ-გა̈ნ, ოთ-სგი „გავიხედე“, ოთ-ოჯ „მივუტანე“, ოთ-ჯიდ „მიუტანა“.

/ათ-/ ალომორფი დასტურდება III_2 წესის მოქმედების არეში, თუ არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი: ათ-აბ „მიაბი“, ათ-ჭემ „გათიბე“. ლნტ. ათ-ჭემა „წაჰყოლია“, ათ-აჩონ „გაეცინა“, ლშხ. ათ-შდებ „ასესხე“, ათ-შდებე „ასესხა“, ათ-კუშ „მოსტეხა“ და სხვა.

/ად-/ ალომორფი დასტურდება ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. თუ არ მოქმედებს არც ერთი ზემოაღნიშნული წესი: ად-ზგზე „გავზავნა“, ად-ძე „წაიღო“ ლნტ. ად-აძე, ად-აკუარ „გააგდო“, ლშხ. ად-შიხე „დაწვა“, ად-სკინე „გადახტა“ და სხვა.

ეხ- ზმნისწინის ალომორფთა განაწილება. როგორც აღინიშნა, ამ ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი ბალსზემოურში ყოველთვის ე-ს სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ლენტეხურში არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება ო და ე სახესხვაობები.

II წესის მოქმედების არეში, თუ არ მოქმედებს III_1 წესი, წარმოდგენილია /ოს-/ ალომორფი: ბქვ. ოს-აბ „დავაბი“, ოს-ა̈გუშ „დავასხი“, ლშხ. ოს-აბ, ოს-გოშ, ოს-ღური „მივდივარ“, ოს-ოგ „დავუდგი, დაუდგი“, ოს-გე „დაუდგა“, ოს-ცურ „დაუტოვა“.

II და III_1 წესთა ერთად მოქმედების არეში—/ო/: ბქვ. ო-გ-ღუა

„მიგვაქვს“, ლშხ. ო-გ-ღუა, ო-გ-ცუირ „დაგვიტოვა“, ო-ლ-ცუირ-ღ „დავუტოვეთ“.

მხოლოდ III_1 წესის მოქმედების არეში — /ე-/ ალომორფი (გარდა ლენტეხურისა): ე-მ-ღუა „მიმაქვს“, ე-ჯ-ღუა „მიგაქვს“, ე-მ-ყ „მიმყავს“, ე-ჯ-ყა „მიგყავს“.

ბალსზემოურისა და ბალსქვემოურისაგან განსხვავებით, ლაშხურში დასტურდება ორი ალომორფი /ას-/ და /ა-/. /ას-/ „...მხოლოდ დროთა III ჯგუფის საზედაო ქცევის ფორმებში“ [1], თუ არ მოქმედებს III_1 წესი, მაგ., ას-ლაკენა „მიუგნია“, ას-სედენა „დარჩენია“, ას-სგურენა „დასჯდომია“. თუ ასეთსავე ფორმებში მოქმედებს III_1 წესი, მაშინ წარმოდგენილია /ა-/ ალომორფი: ა-მ-ლაკენა „მოუგნია (ჩემთვის)“, ა-ჯ-ლაკენა „მოუგნია (შენთვის)“, ა-მ-სედენა „დამრჩენია“, ა-ჯ-სედენა „დაგრჩენია“.

იმ შემთხვევათა გარდა, რაც ზემოთ არის აღნიშნული, ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში წარმოდგენილია /ეს-/ ალომორფი: ეს-აბ „დააბი“, ეს-ბე „დააბა“, ბზ., ბქვ. ეს-ჳგუშ „დაასხი“, ეს-გუშ „დაასხა“, ლშხ. ეს-გოშ „დაასხი“, ეს-გოშე „დაასხა“, ბზ. ეს-უ-აბ „დავაბი“, ეს-უ-ჳგუშ „დავასხი“ და სხვა.

ლენტეხურში ას- ზმნისწინის წარმომადგენლად დასტურდება შემდეგი ალომორფები: /ას-/, /ჳს-/, /ა-/ და /ჳ-/. მათი გამოვლენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი წესი მოქმედებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

პირველი სავალდებულო პირის მორფემა ზმნისწინიან ფორმებში. ლა- და ან- ზმნისწინიან ფორმებში, თუ სინკოპირებული არ არის S_1 მორფემის მომდევნო ხმოვანი (ე. ი. პოზიციაში V—V), S_1 მორფემა /ხუ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი ისევე, როგორც უზმნისწინო ფორმებში (ე. ი. პოზიციაში #—V), მაგ., ბზ., ბქვ. ო-ხუ-ჳსყ „გავაკეთე“, ლნტ. ა-ხუ-ჳსყ, ლშხ. ო-ხუ-ასყ, ბქვ., ლშხ. ო-ხუ-ისყ, ბზ., ლნტ. ჳ-ხუ-ისყ, ბზ., ბქვ., ლშხ. ლო-ხუ-აქდ „მივაყუდე“, ლნტ. ლა-ხუ-ჳქდ, ბზ. ლჳ-ხუ-იშხუნ „შევინახე“, ლშხ. ლო-ხუ-აქუ „ჩავაცვი“ და სხვა.

ლა- და ან- ზმნისწინიან ფორმებში, თუ სინკოპირებულია S_1 მორფემის მომდევნო ხმოვანი (ე. ი. პოზიციაში V — C) S_1 მორფემა წარმოდგენილია /ხუ-/ და /ხ-/ ალომორფებით:

1. /ხ-/ იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი ო-ს სახით არის წარმოდგენილი (ე. ი. როცა განხორციელებულია II წესი). ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, ლაშხურსა და ბალსქვემოურში გვაქვს, რადგანაც ამ დიალექტებში (გარდა ლახამუ-

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 68.

ლურისა) S_1 ფორმაში ყოველთვის II წესი ხორციელდება, მაგ., ლშხ. ო-ხ-მჳრ „მოვამზადე“, ო-ხ-მეჴერ „გავიგე“, ო-ხ-შოშ „მოვისვენე“, ო-ხ-გოშ „გადმოვასხი“. ლო-ხ-გოშ „მივასხი“, ლო-ხ-ზჳრ „მოვიზოგე“, ბქვ. ო-ხ-თუერი „ვისწავლო“, ო-ხ-კადუ „ავიღებდი“, ო-ხ-ჩო „გავუკეთებ“, ო-ხ-წებ „ჩამოვკიდე“, ო-ხ-რეკ „ჩამოვკიდე“, ლო-ხ-ჟინდ „შევეცოდე“, ლო-ხ-ჭედ „ვკითხე“, ლო-ხ-ტეხე „დავუბრუნდე“, ლო-ხ-ფულ „შევუბერე“. ბალსზემოურში ასეთი ვითარება იშვიათია: ო-ხ-ჩო (//ო-ხუ-ჩო) „გავუკეთებ“, ჩვეულებრივ კი აქაც /ხუ-/ ალომორფია წარმოდგენილი [1], მაგ., ო-ხუ-ჯიდე „მოვუტახ, მოვუყვანო“, ო-ხუ-წებ „ჩამოვკიდე“, ო-ხუ-მჳრნჳს „მოვამზადებდი“, ლო-ხუ-ტეხენ „მივბრუნებოდე“, ლო-ხუ-დიჳნ „ვათხოვე“ და სხვა. ბალსქვემოურში S_1 /ხ-/-ს იშვიათად /ხუ-/ ენაცვლება: ლო-ხუ-ჟინდ „შევეცოდე“, ლაშხურში კი ამ პოზიციაში /ხუ-/ ალომორფი არ არსებობს.

2. /ხუ-/ დასტურდება იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი წარმოდგენილია ან ჳ-ს სახით, ე. ი. როცა განხორციელებულია I წესი (ასეთი ვითარება გვაქვს ბალსზემოურში, ლენტეხურსა და ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში), ანდა ა-ს სახით, ე. ი. როცა არ ხორციელდება არც I და არც II წესი (ასეთი ვითარება გვაქვს მხოლოდ ლენტეხურში), მაგ., ბზ. ჳ-ხუ-ბიშდ „გამოვართვი“, ჳ-ხუ-თუერი „ვისწავლო“, ჳ-ხუ-კედ „ავიღებ“, ლჳ-ხუ-ქუემნე „ჩავიცვამ“, ლჳ-ხუ-ზუები „შევჭამ“, ლჳ-ხუ-ჭუედ „ვკითხე“, ლჳ-ხუ-სგური „შევაჯდები“, ლნტ. ჳ-ხუ-თუერი „ვისწავლო“, ჳ-ხუ-ყიდნჳს „ვიყიდდი“, ლა-ხუ-ფულ „შევუბერე“ და სხვა.

გ-ს წინ ზოგ ზმნასთან /ხუ-/+გ>ხუ, ხოლო ზოგთან S_1 მორფემა წარმოდგენილია /ხ-/ ალომორფით[2], მაგ., ბზ. ლრ̃-ხუშ (<ლრ̃-ხუ-გშ) „დავლიე“, ბქვ., ლშხ. ლო-ხუშ (<ლო-ხუ-გშ), ბზ. ჳ-ხულჳე (<ჳ-ხუ-გლდეღ) „მოვმწყემსე“, ბქვ. ო-ხურდენ. (<ო-ხუ-გრდენ). შდრ. ლშხ. ო-ხ-გრმ „დავიპირე“, ლო-ხ-გრმენ „გავები, მივეჳწყვდიე“.

ლენტეხურში S_1 /ხუ-/+ო>ხუ, მაგ., ა-ხუსყ (<ა-ხუ-ოსყ) „გავუკეთე“, (შდრ. ა-ხ-ოსყ „გაუკეთე“) [3].

III_2 წესის მოქმედების არეში, სხვაგვარად — თავკიდურხმოვნიან ზმნათა ად- და ეს- ზმნისწინიან ფორმებში (ე. ი. თანხმოვნის მომდევნოდ), S_1 მორფემა წარმოდგენილია /Ø/ ან /ჳ-/ ალომორფით. ამ ალომორფთა განაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახით არის წარმოდგენილი პირველი სავალდებულო პირის ფორმაში აღნიშნულ ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი. ამის მიხედვით შეიძლება ჩამოყალიბდეს წესი, რომელიც ამოწურავს მთელი სვანურის ვითარებას:

[1] იქვე, გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 12. [3] იქვე, გვ. 57.

თუ ად- და ეს- ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი ო-ს სახით არის მოცემული (ე. ი. თუ განხორციელებულია II წესი), მაშინ S_1 მორფემა, როგორც წესი, /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი. ყოველთვის ასეთი ვითარება გვაქვს ლაშხურსა და ბალსქვემოურში (ლახამულურის გამოკლებით), რადგანაც ამ დიალექტთა S_1 ფორმაში ყოველთვის II წესი ხორციელდება, ხოლო ბალსზემოურსა და ბალსქვემოურის ლახამულურ კილოკავში იმ შემთხვევაში — როცა ხორციელდება არა I, არამედ II წესი. ხოლო თუ S_1 ფორმაში აღნიშნულ ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი არ არის ო-ს სახით წარმოდგენილი (ე. ი. როცა მოცემულია ა, ჲ ან ე), მაშინ პირველი სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დასტურდება არა /Ø/, არამედ — /უ-/ ალომორფი. ყოველთვის ასეთია ვითარება ლენტეხურში, რადგანაც აქ ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი არასდროს არ არის ო-ს სახით მოცემული, ხოლო ბალსზემოურსა და ლახამულურში იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულია არა II, არამედ I წესი. რამდენადაც აქ ეს- ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი არასდროს არ არის ო-ს სახით წარმოდგენილი, ამიტომ ეს- ზმნისწინიან ფორმებში S_1 მორფემის წარმომადგენლად ყოველთვის /უ-/ ალომორფი დასტურდება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ო მოსდევს)..

/Ø/ ალომორფის ნიმუშები: ბქვ., ბზ., ლშხ. ოთ-აბ „მივაბი“, ოთ-ეჭმ „წავყევი“, ბქვ., ბზ. ოთ-ექდ „შევცდი“, ოთ-ელკ „წავაწყდი, მივაგენი“, ლშხ. ოთ-ქადენ, ოთ-ლაკენ, ბქვ., ლშხ. ოთ-შიხი „დავიწვები“, ლშხ. ოთ-აჲ „წავიღე, წავიყვანე“, ოთ-გრმ „დავიჭირე“, ბქვ. ოს-ჳგუშ „დავასხი“, ოს-ცჲდ „მივუგე“, ოს-ობ, „დავუბი“, ლშხ. ოს-გოშ, ოს-ცჲდ, ოს-ობ, ოს-აქუ „დავაფარე“, ოს-აბ „დავაბი“ და სხვა.

/უ-/ ალომორფის ნიმუშები: ლნტ. ჲთ-უ-შიხი „დავიწვები“, ჲთ-უ-ექდ „შევცდი“, ჲთ-უ-ელკ „წავაწყდი, მივაგენი“, ჲთ-უ-ქაფენ „წავიქცე“, ჲთ-უ-ეყჩ „თავი დავანებე“, ათ-უ-ჰკურ „დავაგდე, ვისროლე“, ათ-უ-ჲდგ „გავაქრე“, ას-უ-ჳგუშ „დავასხი“, ას-უ-ჲსყ „დავაწყე“, ას-უ-ჰკუშ „დავატეხე“, ჲს-უ-წუენ „დავინახე“, ას-უ-აბ „დავაბი“, ბზ. ჲთ-უ-შიხჲნ „დავიწვი“, ჲთ-უ-იგ „დავიდგი“, ჲთ-უ-იდგ „გავიქრე“, ჲთ-უ-იტხ „დავიბრუნე“, ეს-უ-ჳგუშ „დავასხი“, ეს-უ-ირკ „დავიკიდე“, ეს-უ-ჲშდ „დავაყარე“, ეს-უ-ჲდ „დავდევი“ ლხმ. ჲთ-უ-იგ „ავიგე“, ეს-უ-იგუშ „დავისხი“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სვანურში(გარდა ლენტეხურისა) დასტურდება ზმნათა ისეთი პარადიგმები, სადაც პირველი სავალდებულო პირის ფორმა სხვა პირთა ფორმებს უპირისპირდება ზმნისწინის ო ელემენტით და განსხვავდება მეორე პირის ფორმისაგან მხოლოდ ამ ელემენტით, მაგ.,

ბქვ., ბზ., ლშხ. 1. ოთ-აბ „მივაბი“
2. ათ-აბ „მიაბი“
3. ათ-ბე „მიაბა“

ბქვ. 1. ოს-ჳგუშ ლშხ. ოს-გოშ „დავასხი“
2. ეს-ჳგუშ ეს-გოშ „დაასხი“
3. ეს-გუეშ (//ეს-გეშ) ეს-გოშე „დაასხა“

ამგვარ პარადიგმებში სინქრონიულად ზმნისწინთა ო ელემენტიანი ალომორფების (/ოთ-/, /ოს/) დამატებით ფუნქციად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველი სავალდებულო პირის აღნიშვნა, ე. ი. ისინი S_1 მორფემის წარმომადგენლადაც უნდა იქნენ მიჩნეული. ამ კვალიფიკაციის მართებულობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ /ოთ-/, /ოს-/ ალომორფიან ფორმებში არ არსებობს S_1 მორფემის რაიმე სხვა წარმომადგენელი, მაშინ როდესაც ამ ზმნისწინთა ყოველგვარი სხვა ალომორფის შემცველ ფორმაში S_1 მორფემა, როგორც წესი, /უ-/ ალომორფით დასტურდება, მაგ;

ბზ. 1. ჲთ-უ-შიხჲნ ლნტ. ჲთ-უ-შიხენ „დავიწვი“
2. ჲთ-შიხჲნ ჲთ-შიხენ „დაიწვი“
3. ჲდ-შიხჲნ ჲდ-შიხან „დაიწვა“

1. ეს-უ-ჳგუშ ას-უ-ჳგუშ „დავასხი“
2. ეს-ჳგუშ ას-ჳგუშ „დაასხი“
3. ეს-გუეშ ას-გუეშ „დაასხა“

როგორც ვხედავთ, S_1 მორფემა /Ø/ ალომორფით არც ო ელემენტიან ზმნისწინთა შემცველ ფორმებში არის წარმოდგენილი. პირველი სავალდებულო პირის მორფემის /Ø/ ალომორფი გვხვდება ბალსზემოურში ეს- ზმნისწინიან ფორმებში, თუ ის სასხვისო ქცევის მორფემის /ო-/ ალომორფსაც შეიცავს, მაგ., ეს-ოგუშ „დავუსხი“, ეს-ოდ „დავუდევი“, ლენტეხურში კი, ჩვეულებრივ, /უ-/+ +ო>უ, მაგ., ას-უბ (<ას-უ-ობ) „დავუბი“ (შდრ. ას-ობ „დაუბი“) და სხვა [1].

მეორე სავალდებულო პირის მორფემა ზმნისწინიან ფორმებში. თავკიდურხმოვნიან ზმნათა ლა- და ან- ზმნისწინიან ფორმებში (ე. ი. ხმოვნის მომდევნო პოზიციაში) S_2 მორფემა /ხ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი ისევე, როგორც უზმნისწინო ფორმებში, მაგ., ბზ., ბქვ., ლნტ. ა-ხ-ჲსყ „გააკეთე“, ჲ-ხ-ისყ „გაიკეთე“, ჲ-ხ-შომ

1 ვ. თოფურია, შრომები, გვ. 57.

„მოისვენე“, ა-ხ-ბიშდ „გამოართვი“, ლა-ხ-აბ „მიაბი“, ლშხ. ა-ხ-ა̈ხყ, ე-ხ-ისყ, ე-ხ-შომ, ე-ხ-ბიშდ, ბზ., ბქვ., ლშხ. ო-ხ-წებ „ჩამოკიდე“, ლა-ხ-აქდ „მიაყუდე“, ბზ. ლა-ხ-დიან „ათხოვე“, ლშხ. ლა-ხ-დიან და სხვა.

III_2 წესის მოქმედების არეში, ე. ი. თავკიდურხმოვნიან ხმნათა ად- და ეს- ხმნისწინიან ფორმებში (resp. თანხმოვნის მომდევნოდ) S_2 მორფემა, როგორც წესი, /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ათ-აბ „მიაბი“, ა̈თ-შიხი (ლშხ. ეთ-შიხი) „დაიწვები“, ბქვ., ლნტ., ა̈თ-ეყჩ „თავი დაანებე“, ა̈თ-ექდ „შეცდი“, ბზ. ათ-ეყჩ, ათ-ექდ, ლშხ. ეთ-ქადენ, ეთ-ეყჩ, ბზ., ბქვ. ეს-ა̈გუშ „დაასხი“, ეს-ირკ „დაიკიდე“, ეს-ა̈შდ „დააყარე“, ეს-ა̈დ „დაადევი“, ლნტ. ას-ა̈გუშ, ა̈ს-ირკ, ას-ად, ლშხ. ეს-გოშ, ეს-ირკ, ეს-აშდ, ეს-ად და სხვა.

მესამე სავალდებულო პირის მორფემა. როგორც ვ. თოფურიას აქვს აღნიშნული, S_3 მორფემის წარმომადგენლად რამდენიმე ხმნასთან დასტურდება /ლ-/ ალომორფი: ლ-ი „არის“, ლ-გგ (ლშხ. ლ-გგ) „დგას“, ბზ., ბქვ. ლ-ა̈სუ, ლნტ. ლ-ასუ //ლ-ას, ლშხ. ლ-ას „იყო“, ბზ., ლშხ. ლა-ლ-ემ, ბქვ. ლ̈-ლ-ემ, ლნტ. ლა-ლ-ემ „შეჭამა“, ლშხ. ლა-ლ-გშ „დალია“ [1].

მ. ქალდანმა დაადასტურა აგრეთვე იმავე მორფემის /ნ-/ და /ჲ-/ ალომორფები, რომლებიც, როგორც წესი, ლა- ხმნისწინიან ფორმებში დასტურდებიან: ლა-ნ-ყუინე „წააწვინა“, ლ̈-ნ-კიდ „აიღო“, ლ̈-ნ-ტიხ „დაიბრუნა“, ლა-ჲ-ჭემე „მოთიბა“, ლა-ჲ-ბარჯე „თხარა“ და სხვა.[2].

/ნ-/ ალომორფი ლა- ხმნისწინის გარეშე არც ერთ დიალექტში არ დასტურდება, /ჲ-/ კი უხმნისწინო ფორმებში გვხვდება მხოლოდ ბალსხემოურში და ისიც მხოლოდ გ ხმოვნის წინ, ე. ი. პოზიციაში #— გ, მაგ., ჲ-გრში „საწოლს შლის“, ჲ-გთრე „სვამს“ და სხვა [3].

/ნ-/ და /ჲ-/ ალომორფებთან, როგორც წესი, თავისუფლად მონაცვლეობს /Ø/.

კავშირებითის მწკრივებში S_3 მორფემის წარმომადგენლად მიიჩნევა /-ს/, რადგანაც ამ მწკრივთა პარადიგმაში S_3 ფორმა ყველა დანარჩენი პირის ფორმას /-ს/-თი უპირისპირდება, მაგ., ბზ. ამ̈რე̈დ-ს „ამზადებდეს“, ახტა̈უდე̈დ-ს „ხატავდეს“, ანმ̈რა-ს „მოამზადოს“, ად-

---

1 იქვე, გვ. 2—4.

2 მ. ქალდანი, ჲ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959 წ., გვ. 96—99; მ. ქალდანი, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნ. სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1972 წ., გვ. 12—13.

3 მ. ქალდანი, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, გვ. 12—13.

ხატუა-ს „დახატოს“, ტეხენდენ-ს „ბრუნდებოდეს“, ხაწდენ-ს „ენახოს“, ბქვ. ადასგუდე-ს „დებდეს“, ანმარა-ს „მოამზადოს“, ტეხნიდე-ს „ბრუნდებოდეს“, ლნტ. დიგდე-ს „აქრობდეს“, ან-მარა-ს „მოამზადოს“, ტეხენდე-ს „ბრუნდებოდეს“, ხაწედენ-ს „ენახოს“, ლშხ. ასყგდე-ს „აკეთებდეს“, ანსყა-ს „გააკეთოს“, ხეწდენრლდე-ს „ნახავდეს“, ხეწე-ს „ნახოს“, ხაწდენ-ს „ენახოს“, იზელალდე-ს „დადიოდეს“ და სხვა.

კავშირებითის მწკრივებში /-ს/-ს S_3 მორფემის წარმომადგენლად მიჩნევას ერთგვარად ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ /ლ-/ (ან /ნ-/ და /ჲ-/) ალომორფიან ზმნათა კავშირებითის მესამე სავალდებულო პირის ფორმაში ერთდროულად არის წარმოდგენილი როგორც S_3 /ლ-/ (ან /ნ-/, /ჲ-/), ისე /-ს/, მაგ., ბზ. ლა-ლ-ჴმე-ს //ლა-ლ-ჴმა-ს, ბქვ. ლჴ-ლ-ემე-ს, ლნტ. ლა-ლ-ემე-ს, ლშხ. ლა-ლ-ემა-ს „შეჭამოს“, ლშხ. ლა-ლ-გშა-ს „დალიოს“, ლ-ესე-ს „იყოს“, ლნტ. ლ-ესე-ს, ლშხ. ლე-ნ-ყუინა-ს „მოიწვინოს“, ლე-ნ-ქუა-ს „ჩაიცვას“, ლა-ჲ-ვემა-ს „მოთიბოს“, ლა-ჲ-თია-ს „მომკას“ და სხვა.

S_3 მორფემა ყველა სხვა შემთხვევაში /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ჴრი (ლშხ. არი) „არის“, ჴსყი (ლშხ. ასყი) „აკეთებს“, ან-ჯიდ „მოიტანა“, ა-ტიხ „დააბრუნა“, ან-ტიხ „მოაბრუნა“, ჴრდა „იყო“, ან-ტყაბე (ლნტ. ან-ტყჴბ) „შეწვა“ და მრავალი სხვა.

მესამე სუბიექტური პირის (ე. ი. სავალდებულო პირის) მორფემის წარმომადგენლად მიიჩნევენ აგრეთვე /-ე/ სუფიქსს, რომლის ნაცვლად გარკვეულ შემთხვევებში მოცემულია ძირეული ხმოვნის უმლაუტი [1], მაგ., ბზ., ბქვ., ლშხ. ოთკარ-ე „გაუღო“, ანტყაბ-ე „შეწვა“, ლშხ. ანშკად-ე, ლნტ. ანაშკად-ე, ბზ. ანშკად, ბქვ. ანშკად „გამოჰედა“, ბზ., ბქვ., ლნტ. აკან „დახნა“, ლშხ. ადკან-ე, ბზ., ლახტუილ, ბქვ. ლახტუილ, ლშხ. ლახტულ-ე, ლნტ. ლახატულ-ე „დაუძახა“ და სხვა. მაგრამ ეს ელემენტები, როგორც წესი, წარმოდგენილია არა მხოლოდ მესამე პირის ფორმაში, არამედ მრავლობითი რიცხვის ყველა ფორმაშიც, მაგ.,

ბზ.	1. ოთ-კარ	„გავუღე“	ო-ჯან	„დავხანი“
	2. ოთ-კარ	„გაუღე“	ა-ჯან	„დახანი“
	3. ოთ-კარ-ე	„გაუღო“	ა-კან	„დახნა“
	Si ო-კარ-ე-დ	„გავუღეთ“	ა-ლ-კან-დ	„დავხანით“
	Se ოთ-კარ-ე-დ	„გავუღეთ“	ო-კან-დ	„დავხანით“
	.2. ოთ-კარ-ე-დ	„გაუღეთ“	ა-კან-დ	„დახანით“
	3. ოთ-კარ-ე-ხ	„გაუღეს“	ა-კან-ხ	„დახნეს“

[1] ვ. თოფურია, შრომები, გვ. 144—152.

როგორც ვხედავთ, /-ე/ სუფიქსითა და ძირეული ხმოვნის უმლაუტით ე. წ. ხუთთა ფორმა უპირისპირდება ორთა ფორმას და არა მესამე პირის ფორმა დანარჩენ პირთა ფორმებს. ამდენად, მათ, ცხადია, ვერ გავაერთიანებთ მესამე პირის მორფემაში [1].

რაც /-ე/-ს შესახებ ითქვა, აბსოლუტურად იგივე ითქმის /-ა/ სუფიქსის შესახებაც, მაგ., ფორმაში ბრდ-ა „იყო“ [2].

რადგანაც ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები პირველ პირსაც აღნიშნავენ, ამიტომ მათ სინქრონიულ ანალიზს პირის მორფემათა ანალიზის გვერდით წარმოვადგენთ.

სავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემა უზმნისწინო ფორმებში (ე. ი. პაუზის მომდევნოდ) ორი ალომორფით არის წარმოდგენილი — /ლ-/, /ლგ-/. /ლ-/ დასტურდება ხმოვნების წინ, ხოლო /ლგ/ თანხმოვნების წინ, მაგ., ლ-ბრი-დ (ლშხ. ლ-არი-დ) „ვართ“, ლ-ბსყი-დ (ლშხ. ლ-ასყი-დ) „ვაკეთებთ“, ლ-ისყი-დ „ვიკეთებთ“, ლ-ოსყი-დ „ვუკეთებთ“; ლგ-დგე-დ „ვაჭრობთ“, ლგ-ტხე-ნი-დ (ლნტ. ლგ-ტეხენი-დ) „გბრუნდებით“, ლგ-შდე-დ „ვყრით“ და სხვა. ძირეულ მორფემაში უ-ს შემცველ ზმნებში /ლგ-/>/ლუ-/, მაგ. ლუ-ცურე-დ „ვტოვებთ“, ლუ-თუფენი-დ „ვიკარგებით“ და სხვა [3].

ზმნისწინიან ფორმებში კი (ე. ი. ხმოვნის მომდევნოდ) Si მორფემა ყოველთვის /ლ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ა-ლ-სყე-დ „გავაკეთეთ“, ბ-ლ-სყე-დ (ლშხ. ე-ლ-სყე-დ) „გავიკეთეთ“, ო-ლ-სყე-დ (ლნტ. ა-ლ-ოსყე-დ) „გავუკეთეთ“, ა-ლ-დიგ-დ (ბქვ. ო-ლ-დიგ-დ) „გავაქრეთ“, ა-ლ-კუიშ-დ (ბქვ. ო-ლ-კუიშდ) „გავტეხეთ“, ა-ლ-ცურე-დ (ბქვ. ო-ლ-ცურე-დ) „დავტოვებთ“ და ა. შ.

სავალდებულო პირის ექსკლუზივის ფორმა ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმაა, ე. ი. პირველი სავალდებულო პირის მხ. რიცხვის ფორმისაგან ის მხოლოდ მრავლობითობის სუფიქსით განსხვავდება, მაგ., ხუ-ბრი-დ (ლშხ. ხუ-არი-დ) „ვართ“, ხუ-იშხი-დ „ვიწვავთ, ვიწვით“, დ-უ-იგე-დ (ლშხ. დგგე-დ) „ვწვავთ“ და სხვა.

რადგანაც მხ. რიცხვის ფორმასთან შედარებით ექსკლუზივის შინაარსს ქმნის S_1 მორფემის კომბინაცია მრავლობითობის სუფიქსთან (შდრ. მხ. რ. ხუ-ბრი „ვარ“ — ექსკლ. ხუ-ბრი-დ „ვართ“), ხოლო ინკლუზივის პრეფიქსი /ლ-~ლგ-/ არასდროს არ გვხვდება მრავლობითობის სუფიქსის გარეშე (ლ-ბრი-დ „ვართ“, მაგრამ არ არსებობს

---

1 დამატებითი არგუმენტაცია იხ. გ. მაჭავარიანის საკანდიდატო დისერტაციაში „ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში“, 1953 წ., გვ. 13—18.

2 შდრ. ვ. ჭალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი, იქე. ტ. VIII, 1956 წ., გვ. 173.

3 ვ. თოფურია, შრომები, გვ. 14.

ფორმა „ლ-ბრი"), ამიტომ არ არის შეუძლებელი ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებში მრავლობითობის სუფიქსიც გავაერთიანოთ და, მაშასადამე, ექსკლუზივის მორფემის ალომორფები ჩავწეროთ როგორც /ჱუ-დ/, /-უ-დ/..., ხოლო ინკლუზივისა—როგორც /ლ-დ/, /ლგ-დ/, მაგრამ რამდენადაც მრავლობითობის სუფიქსი საერთოა ინკლუზივისა და ექსკლუზივისათვის, ამდენად, ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირების შექმნაში ის მონაწილეობას არ იღებს. მისი (/-დ/ სუფიქსის) ფუნქცია მხოლოდ მრავლობითობის გამოხატვაა. ამავე დროს წინასწარ ვიცით, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიცია მხოლოდ პირველი პირის მრ. რიცხვში არის შესაძლებელი, ამ ფარგლებში კი საპირისპირო ფორმებს მხოლოდ პრეფიქსები ქმნიან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა შემადგენლობაში მრავლობითობის სუფიქსი არ გავაერთიანოთ. ეს ითქმის მით უფრო, რომ რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა პორფოლოგიური კატეგორიაა.

1.02.8. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. როგორც ცნობილია, არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პირველი პირის მორფემა მხოლოობით რიცხვში წარმოდგენილია /მ-/ ალომორფით, მაგ., მ-ხატავს, მ-იხატავს, მ-მალავს, მ-იმალავს, მო-მ-ცა, მ-ძულს, მ-აქვს და სხვა. როგორც ჰ. ფოგტი აღნიშნავს, წარმოთქმაში შეუძლებელი არ არის ძირეულ მ-ს წინ A_1 /მ-/-ს დაკარგვა: მ-მალავს // მალავს [1].

მრავლობითი რიცხვის ფორმაში /მ-/-ს ყოველთვის /გვ-/ ენაცვლება. ის გამოხატავს როგორც პირველ არასავალდებულო პირს, ისე მის მრავლობითობას, მაგ.,

გვ-ხატავს, გვ-იხატავს, გვ-მალავს, გვ-იმალავს, მო-გვ-ცა, გვ-ძულს, გვ-აქვს და სხვა.

არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის მეორე პირის მორფემა /გ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., გ-ხატავს, გ-იხატავს, გ-მალავს, გ-იმალავს, მო-გ-ცა, გ-ძულს, გ-აქვს და სხვა.

მესამე არასავალდებულო პირის მორფემის დადგენა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ ამ მორფემის ალომორფებს, პირის სხვა მორფემების ალომორფთაგან განსხვავებით, არ მოეპოვება მკაცრი დისტრიბუცია: ჯერ ერთი, ყოველ ალომორფთან, უმეტეს შემთხვევაში, თავისუფლად მონაცვლეობს /Ø/ და, მეორეც, ისინი ხშირად გვხვდებიან იქაც, სადაც აღსანიშნი არაფერია (მაგ., ერთპირიან ზმნებთან, სადაც მხოლოდ სავალდებულო პირია წარმოდგენილი და

---

[1] ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ის გამოხატულია სათანადო აფიქსებით). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენობრივ ინტუიციას არ ეუცხოება არც აღნიშნულ მორფოლოგიურ სეგმენტთა უგულებელყოფა და არც მათი იქ გამოვლენა, სადაც არ მოეპოვებათ მორფოლოგიური ფუნქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სალიტერატურო ქართული ენის განვითარების თანამედროვე საფეხურზე ისინი არ არიან აღჭურვილი მკაცრად განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქციით, როგორც ეს არაერთგზის არის აღნიშნული[1]. იქმნება შთაბეჭდილება, რომ /ჰ-/ და /ს-/ ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურაში) უფრო ექსპრესიული თუ ესთეტიკური დანიშნულებით იხმარება, ვიდრე განსაზღვრული მორფოლოგიური ფუნქციით, სხვაგვარად ძნელია ისეთ ფორმათა ახსნა, როგორიცაა: და-ჰ-ქროდა ქარი (გ. ტაბიძე), მო-ჰ-კვდეს (ი. აბაშიძე), ს-ჩანდა (კ. გამსახურდია), ს-ჩქეფდა (კ. გამს.), გა-ჰ-ქრა (გ. აბაშიძე), ფანდურის ჟღრიალი მი-ს-წყდა (გ. აბაშ.), ჰ-ყიყის (მ. ჯავახიშვილი), მი-ჰ-ქროდნენ (ხ. ბერულავა) და სხვა.

მესამე არასავალდებულო პირის მორფემის ალომორფთა განაწილების წესები, ა. შანიძის შრომების წყალობით, დიდი ხანია ცნობილია:

/ს-/ ალომორფი შეიძლება გვქონდეს ძხოლოდ დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვანთა წინ.

/ჰ-/ ალომორფი, ჩვეულებრივ, ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვანთა წინ დასტურდება[2], თუმცა მხატვრულ ნაწარმოებებში ზოგი სხვა თანხმოვნის (მაგ., ხ-სა და ღ-ს) წინაც გვხვდება.

ყოველთვის /Ø/ ალომორფი არის წარმოდგენილი ხმოვნების წინ. ამავე დროს, უმეტეს შემთხვევაში /Ø/ თავისუფლად მონაცვლეობს /ს-/ და /ჰ-/ ალომორფებთანაც.

სათანადო პოზიციებში /ჰ-/ და /ს-/ ალომორფთა გაჩოვლენა ჩვეულებრივია მესამე არასავალდებულო a პირის აღმნიშვნელად (ე. ი. სამპირიანსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებში), მაგ., ჰ-კითხა, მო-ჰ-

---

1 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 224; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 187—188; გ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში, ჩვენი მეცნიერება, № 1, 1923 წ., გვ. 100—106; ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 82, ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965 წ., გვ. 87—88; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, გვ. 222; ი. გიგინეიშვილი, ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველ კრებული, 1970 წ., გვ. 191—193 და სხვა.

2 ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ.. გვ. 88; ი. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 193—194; შ. ქეცელია, ქართული ენის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის რუსული განყოფილებისათვის, 1959, გვ. 102 და სხვა.

გვარა, მო-ჰ-პარა, მი-ს-ცა, მი-ს-წერა, შე-ს-წირა, ჰ-ყავს, ჰ-ქონდა, ჰ-კადრა და სხვა.

რამდენიმე ნიმუში მხატვრული ლიტერატურიდან: მო-ს-წყინდა, ფული და-ს-ტყუეს, ა-ჰ-ყვა (კ. გამს.), მი-ს-ცეს, ჰ-ქონდა, მი-ს-წვდნენ, ცრემლები ს-დიოდათ, ჩა-ჰ-ყვა, მო-ჰ-ყვებოდა, შე-ს-თხოვა, მო-ჰ-ხვია, ჩამო-ჰ-კრა (გ. აბაშიძე), მი-ს-ტირიან, ჰ-ფენს (ა. კალანდაძე), გამო-ს-ტყუებდნენ, ს-წადია, ს-თავაზობს, წამო-ჰ-კიდებს (გ. ხორგუაშვილი), მო-ჰ-კიდა ხელი, მო-ჰ-გვარა, ს-წვდა, შე-ს-თავაზა, გა-ს-ცდებოდა, ჩა-ჰ-კრავდა, გამო-ს-ძახა (რ. ინანიშვილი) და სხვა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ასეთი ფორმები ჩვეულებრივია, გამოყოფილი პრეფიქსებიც, ცხადია, მესამე არასავალდებულო a პირის მორფემის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მაგალითთა გარკვეულ ნაწილში შესაძლებელია /ჰ-/, /ს-/ ალომორფებთან /Ø/-ის მონაცვლეობა: მო-პარა, შეწირა, ჩაყვა, ჩამოკრა, მოკიდა და ა. შ.

არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევები (განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებებში), როდესაც /ჰ-/ და /ს-/ დასტურდება ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც, მაგ., და-ჰ-ფარავს (გ. ტაბიძე), ა-ჰ-ყარა, ს-წერდნენ ოქმებს, ჰ-კარგავდა, და-ს-ტოვა, გა-ჰ-ყიდა (კ. გამსახურდია), ჰ-ფარავდა, სასმისებს ს-ცლიდა, შე-ჰ-კრა (გ. აბაშიძე), და-ს-ძრა, შე-ს-ძლო (გ. ხორგუაშვილი), სიგარეტი მო-ს-წია, ბუჩქი გადა-ს-წია, გა-ს-ცვლიდა, და-ს-ჭრეს (რ. ინანიშვილი) და სხვა [1].

თუ /ჰ-/, /ს-/ პრეფიქსებს აქაც იგივე დანიშნულება არა აქვს, რაც ერთპირიან ზმნებში (იხ. ზემოთ), მაშინ ისინი მესამე არასავალდებულო b პირის აღმნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ. უდავოა ოღონდ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის უფრო ბუნებრივია უპრეფიქსო ფორმები: აყარა, წერდნენ ოქმებს, კარგავდა, დატოვა, გაყიდა, ფარავდა, სასმისებს ცლიდა, შეკრა, დაძრა, შეძლო, სიგარეტი მოწია, ბუჩქი გადაწია, გაცვლიდა, დაჭრეს და ა. შ.

1.02.0. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი თანამედროვე ქართულ დიალექტებში. პირველი არასავალდებულო პირის აღნიშვნა ქართულ დიალექტებში არსებითად ისეთივეა, როგორიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში [2].

მეორე არასავალდებულო პირის აღნიშვნაშიც განსხვავება უმნიშვნელოა: ზოგ დიალექტში გ, ქ, კ თანხმოვანთა წინ A_2 მორფემის /Ø/

---

1 მსგავსი შემთხვევების შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 188.

2 ინგილოურის თავისებურებათა შესახებ იხ. გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966 წ., გვ. 104.

ალომორფიც დასტურდება, მაგ., თიანური — ქონდეჲ „გჷონდეს“, კლავს „გკლავს“, გონია „გგონია“ [1]. ინგილოურში კი მკვეთრთა და ფშვინვიერთა წინ A_2 წარმოდგენილია ან /Ø/-ის, ან /კ-/-ს (მკვეთრთა წინ) და /ქ-/-ს (ფშვინვიერთა წინ) სახით (ასიმილაცია) [2] და სხვა (ფშვინვიერთა წინ A_2 /ქ-/-ს გამოვლენას დასავლურ დიალექტებშიც ადასტურებენ, მაგ., მო-ქ-ცა) [3].

შესამე არასავალდებულო პირის მორფემის მიხედვით ქართული დიალექტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის (აგრეთვე მეორე სავალდებულო პირის მორფემის) მიხედვით ა. შანიძემ ქართული დიალექტები ორ ჯგუფად გაყო — აღმოსავლური და დასავლური დიალექტები. აღმოსავლური დიალექტები, რომლებიც ხასიათდებიან A_3 მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა სიუხვითა და ხშირი გამოყენებით, აგრეთვე შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — სხვა დიალექტთაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ხევსურული, თუშური და მოხეური. თავისებური ვითარება დასტურდება აგრეთვე ინგილოურში.

აღმოსავლურ დიალექტთა ერთ ნაწილში (მაგ., ქართლური, კახური, ფშაური, მთიულური, თიანური) A_3 მორფემის ძირითადი ალომორფი არის /ჲ/. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, /ჲ-/ უპირატესად დასტურდება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ეს ხმოვანი შეიძლება იყოს ზმნისწინისა ან წინამავალი სიტყვისა), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის ნიშანს მოსდევს თანხმოვანი (ხმოვნის წინ ამ დიალექტებში A_3 ყოველთვის /Ø/-ით არის წარმოდგენილი), პაუზის მომდევნოდ კი /ჲ-/-ს ზოგჯერ /ჰ-/, /ს-/, /ზ-/, /შ-/, /ჲჰ-/, /ჲს-/, ჲშ-/, /ჲზ-/, ჰს-/, /Ø/ ალომორფები ენაცვლება [4] (მათთვის შესაფერ პოზიციაში, რასაც, როგორც ცნობილია, მომდევნო თანხმოვანი განაპირობებს). მაგრამ ეს არ არის მკაცრი დისტრიბუციული წესი, რამდენადაც, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, /ჲ-/ ზოგჯერ დასტურდება პაუზის მომდევნოდაც, ისევე როგორც სხვა ალომორ-

---

1 გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, გვ. 191.

2 გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105;

3 ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 92.

4 ა. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, წ., გვ. 75; ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, ტ. II (1), 1937 წ., გვ. 52; ვ. თოფურია, ქართლური, არილი, 1925 წ., გვ. 144; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956 წ., გვ. 104—108; გ. ცოცანიძე, სუბიექტურ და ობიექტურ პრეფიქსთა განაწილება ფშაურში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1972 წ., გვ. 14.

ფები — ხმოვნის მომდევნოდ. გვხვდება აგრეთვე შემთხვევები /ს-/-თან /ჰ-/-ს თავისუფალი მონაცვლეობისა.

დასახელებული ალომორფებით აღინიშნება მესამე არასავალდებულო a, ზოგჯერ კი არასავალდებულო b პირიც (როგორც მიცემით-ში, ისე სახელობითში დასმული) [1], მაგ.,

ქართლური — მო-ø-ტეხა, და-ø-დევენ, და-ø-ხურა, ა-ø-კიდებენ, გა-ø-თლის, გა-ø-ტეხამს, და-ø-თვლიდა, და-ø-ვრეს, ჰ-კერამენ, ჰ-თვლის, და-ჰ-ტკეპნა, ჰ-თხრიან, ს-თქვა, და-ს-წერა, შ-ვამს, ამო-შ-ვრა, მო-ჰ-პარა, გა-ჰ-კრა, გა-ჰ-გზავნის, მო-ს-წევია, ს-ცემა, მი-ჰს-დევს, ჰს-თლის, გადა-ჰს-დო, მი-ცა, ყავ და სხვა [2].

კახური — მო-ø-ტეხა, შა-ø-ფიცა, მი-ø-დევდა, და-ø-თხარეთ, და-ø-რჩა, გამო-ø-კრა, ø-კერამს, და-ø-მალამდა, ø-კრა, ø-თვლიდაო, გა-ø-გლეჯამს, მო-ø-კლეს, გა-ø-ხვია, გადა-ø-წყვიტა, და-ø-ძრა, ჰ-ყოლია, და-ø-ვრეთ, ჰ-კითხა, ა-ჰ-კიდებს, შე-ჰ-კადრა, ს-თხოვა, ა-ს-ტკივდა, მი-ზ-დის, ზ-ძლია, მო-შ-ვრა, და-შ-ჭირდება, და-ჰ-კივლა, მი-ჰ-ყიდა, მი-ს-ცა, და-ს-ცქერის, მი-ზ-დემს, როგორა ქშ-ჯობიაო, გა-ჰ-ვრა, თხოვეს, ქონდა, შეხვდათ და სხვა [3].

ფშაური — გამა-ø-ვარდნია, მა-ø-ქონ, და-ø-ჯარნეს, გამა-ø-რჩა, ჰ-ქონია, ჰ-კითხა, ჩა-ჰ-ხედავს, და-ჰ-ხვდეს, ჰ-ყვანდა, და-ჰ-ქინთლუშავებიან ლაშნი, ს-ცოდნია, მი-ს-ცემდა, გაშა-ს-ცილდეს, ჩა-შ-ჩარა, მა-ჰ-კლავდეს, და-ჰ-კრავდეს, მა-ჰ-ქონ, ა-ს-ძრახდა, გა-ს-ცილდა, მა-ქშ-ვრიდეს და სხვა [4].

მთიულური — გა-ø-თვლის, მო-ø-დევს, მო-ø-ბანა, მო-ø-ყავს, მო-ø-ხადეს, გაშა-ჰ-ყვეს, გა-ჰ-ჯდისო, ჰ-ქექს, ჰ-ქონია, და-ჰ-მღერს, ს-ცემენ, გა-ს-ჩენია, შ-ვამენ, ამოვ-შ-ყლეტთ, ქონდის, შე-ხვდა და სხვა [5].

თიანური — კაცსა ø-ყავდა, გა-ø-ცემდა, რა ø-ქვიან, და-ø-პატრონებიან, გადა-ø-წყვიტეს, ლოცვა ø-შველოდის, და-ø-თახხმდა, შა-ø-წვას, გა-ø-ცვივდა, მი-ø-მართა, და-ø-ხევენ, და-ø-მალენ, ა-ø-წია,

---

1 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა..., გვ. 231; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 144; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105—108; გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192—193 და სხვა.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 230—233; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 144—145; გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იკე, IV, 1953 წ., გვ. 327.

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ.. გვ. 233—236; ა. ჩიქობავა. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105—108.

4 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136—138; ნიმუშები ამოღებულია წიგნიდან, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961 წ., გვ. 127—144.

5 ა. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 52—53; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54—77.

უნდა შა-ჲწვას წვადი, და-ჰ-ხოციყოთ, ს-ჭამენ, ფეხებზე ჰ-კიდა თვალი და სხვა [1].

A_3 მორფემის /ჲ-/, /ჰ-/, /ს-/ ალომორფები დასტურდება აგრეთვე ფერეიდნულში [2].

ზოგჯერ იგივე მორფოლოგიური ელემენტები დასტურდება ერთპირიან ზმნებშიც, მაგ., ქართლური — ა-ს-ტირდნენ, ა-ს-დგნენ; კახური — მა-ჲ-კურცხლა, გა-ჲ-წყდა, მო-ჲ-კვდა, ჰ-ყოფილა, ს-ცხოვრობდა და სხვა [3]. ამგვარ შემთხვევათა კვალიფიკაცია აქაც ისეთსავე სახეს მიიღებს, როგორიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის იყო ზემოთ მოცემული.

ხევსურულსა და თუშურში მესამე არასავალდებულო პირის მორფემის ალომორფები გამოხატულების პლანში ემთხვევა მეორე სავალდებულო პირის მორფემის ალომორფებს, თანხმოვანთა წინ ემთხვევა აგრეთვე დისტრიბუციითაც, ამიტომ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ნიმუშების დასახელებით [4]:

ხევსურული — და-ს-ცლის, გა-ს-თლის. გა-ს-ტეხს, გა-ს-თავებია. და-ზ-დებს, და-ზ-დგმენ, შა-ზ-ძახნებს (//შა-ს-ძახნებს), შა-შ-ჯენჯავს, გა-შ-ჯარეს, გა-შ-ჩუჩვენ, და-შ-ჭირდების, შე-შ-ჭამს, და-ბ-ფარვენ, მა-ხ-პარვენ, მო-ხ-გვარიან, და-ხ-კლავს, ჭა-ხ-ჯსნის, გა-ხ-ბჟობენ, და-ღ-ვედრა, გამა-ღ-მშვიდობებივა, ღ-გავ, მა-ღ-გვრის, წა-ღ-ლალავს და სხვა [5]. თუშური — ს-თელავს, ს-ცელავს, ზ-დებს, ზ-ძახავს, მი-ზ-დევს, შ-ჭამს, შ-ჭერენ, შ-ჩეჩავს, ჟ-ჯღელემს, დაე-ჟ-ჯერდი, ხ-ჯოცს, ხ-ქონდ, ხ-პარავს, შე-ხ-კრა, გა-ღ-ბანს, ღ-ლესავს, ღ-მალავს და სხვა [6].

მოხეურში A_3 მორფემის იმ ალომორფთაგან, რომლებიც ხევსურულსა და თუშურშია წარმოდგენილი, /ხ-/-სა და /ღ-/-ს უმეტეს შემთხვევაში /ჰ-/ ენაცვლება [7]. A_3-ის ნიმუშები მოხეურში: ს-ციბენ, მი-ს-ცას, ს-თელენ, და-ს-ძახებს, შამა-ს-ტყორცნა, და-ს-ჭრა, ს-წვეოდა,

---

1 გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191—193; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152—165.

2 ა. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, 1927 წ., გვ. 211—212.

3 ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 144; ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106—107.

4 ამ დიალექტებში მესამე არასავალდებულო პირის გამოხატვის თავისებურებათა შესახებ იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 239—252; გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, 1953 წ., გვ. 23.

5 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 244—252; ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 96—98.

6 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 239—244; თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 35—36.

7 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238—239.

შა-ს-წირან, გა-შ-ჰრა (შდრ. და-ს-ჰრა), ხ-ქონია (შდრ. ჰ-ქონდა), ხ-ყვანდა (//ჰ-ყვანდა), ხ-ყოლოდა, ჰ-ქონდა, მა-ჰ-კრეფდეს, და-ჰ-კლავდეს, ჰ-ქვია, შა-ჰ-ყარა, გა-ჰ-ყოლიან და სხვა [1].

აღნიშნულ პრეფიქსთა ერთპირიან ზმნაში გამოვლენის შემთხვევები მთის დიალექტებშიც დასტურდება: ხევს. საძნივ ქორებრივ ხ-ქრიანა, თუშ. სისხლისა მი-შ-ჩქეფს ღვარია, მოხ. მო-ხ-კდა ისეთი ამბავი და სხვა [2].

ინგილოურში, მსგავსად სხვა აღმოსავლური დიალექტებისა, განსაზღვრულ ფონოლოგიურ პოზიციებში დასტურდება A_3 მორფემის ალომორფები /ს-/, /შ-/, /ხ-/, /Ø/ (აგრეთვე /ჲ-/, /ჰს-/, /ჰშ-/ და /ჰხ-)[3].

მაგრამ ინგილოურის თავისებურება ისაა, რომ ამ ალომორფებს უმეტეს შემთხვევაში ენაცვლება /ჰ-/, რომელიც, ამდენად, A_3 მორფემის ყველაზე ხშირად ხმარებული ალომორფია, მაგ., და-ს-წდო (//და-ჰ-წდო), შ-ჰამს (//ს-ჰამს, ჰ-ჰამს), და-ჰ-კრა, მი-ხ-ყონავს (//მი-ჰ-ყონავს), ჰ-წყურიან, მო-ჰ-ჰრა, გა-მო-ჰ-წევს, გა-ჰ-ჰრა, ა-ჰ-წივა, ჲ-ხუჰავს, მი-ჰ-ცა (//მი-ჰს-ცა), მო-ჰშ-ჰრა, მო-ჰხ-ყონს და სხვა. ინგილოურის მთავარი თავისებურება მაინც ის არის, რომ /ჰ-/ ალომორფი დასტურდება ზოგი ხმოვნის წინაც, მაგ., ჰ-უთხრა, ჰ-უთქომ, ჰ-უზახნი, ჰ-ოპირებ. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ინგილოურში აღნიშნული ალომორფებით აღინიშნება არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობა (მიცემითში დასმულიცა და — სახელობითშიც) [4].

ცნობილია, რომ დასავლურ დიალექტებში მესამე არასავალდებულო პირის მორფემის სეგმენტური წარმომადგენელი, ჩვეულებრივ, არ არსებობს, მაგ., გურული — თხოვა, მოტაცა, წაყვა, ძულს..., იმერული — თხოვა, უავს, მოწონს; რაჭული — უავდა, მოყეებოდა და ა. შ. ამ მხრივ, როგორც აღნიშნავენ, დასავლური დიალექტების ანალოგიური ვითარება დასტურდება ბორჯომის ხეობის ქართლურში, მაგ., მოტაცეს, შიცა, ყოლია, მიყანთ [5]...

მიუხედავად ამისა, მესამე არასავალდებულო პირის მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა გამოვლენის ცალკეული შემთხვევები დასავლურ დიალექტებშიც დასტურდება, მაგ., გურული — ჰ-კრა,

---

1 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27—46.

2 ა. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 97; თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 36; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

3 გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 107—110.

4 იქვე.

5 გ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, 1956 წ., გვ. 101—102.

მო-ჰ-კტომია, ჰ-ხავს, შე-ს-ძახებდა, მი-ს-ცემდა, მო-შ-ჭრა[1]; იმერული — მი-ს-ცა, ამო-ს-ძახა, გამო-ჰ-კითხა, გადა-ჰ-კრა, წა-ხ-კრეს, გამო-ხ-ყვეს, მო-შ-ჭრა[2]; ლეჩხუმური — ს-წირავდა, მო-ს-ტეხა, და-ჰ-კრამენ, შე-ჰ-ყურებს, და-შ-ჭირდა, და-შ-ჭრა[3]; რაჭული (მთარაჭული) — ა-ჰ-კიდა, ჰ-ყავდა, ჰ-ქვია, და-ჰ-კარგოდა, წა-ჰ-ყვა, შე-ჰ-კაზმა, მი-ს-ცა, შე-ს-ძახა, და-ს-ჭირვებოდა, ს-თიბდა, შე-ს-ჯდა[4]; აჭარული — ს-თე-სევდა, შ-ჭირდება, გა-შ-ჩეხა, ა-ჰ-ტკივდა, ქ-კობნის, ძი-ჰს-ცა, და-ჰს-წვეს, გა-ჰშ-ჭრა, მო-ჰხ-კიდა, გამო-ხ-ყვეს[5].

როგორც აღინიშნა, მესამე არასავალდებულო პირის მორფემა დასავლურ დიალექტებში, ჩვეულებრივ, /Ø/-ის სახით არის წარმოდგენილი, აღნიშნული სეგმენტური ერთეულები კი მას მხოლოდ ზოგჯერ ენაცვლებიან როგორც ფაკულტატური ვარიანტები.

1.02.10. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ძველ ქართულში. პირველ და მეორე არასავალდებულო პირთა მორფემები ძველ ქართულში (ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა ჩათვლით) არსებითად ისეევა წარმოდგენილი, როგორც თანამედროვე ქართულში. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ პირველი არასავალდებულო პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა. აქ დასტურდება თანამედროვე ქართულისაგან ორი პრინციპული განსხვავება:

1. /მ-/ ალომორფი პირველ არასავალდებულო პირს აღნიშნავს მრავლობითი რიცხვის ფორმაშიც[6], ის აქ თავისუფლად ენაცვლება /გუ-/-ს, მაგ., მო-მ-ცა ჩუენ (//მო-გუ-ცა ჩუენ), წარ-მ-ი-ყუანნა ჩუენ

---

1 ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თსუ შრ., ტ. VI, 1938 წ., გვ. 122—138; ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936, გვ. 62—64.

2 პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, 1956 წ., გვ. 140; ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, 1954 წ., გვ. 172.

3 შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი; გვ. 180—181.

4 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 258; ჯ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961 წ., გვ. 241; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 205.

5 შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957 წ., გვ. 42—44; ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960 წ., გვ. 36—37.

6 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1955 წ., გვ. 300; ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულ ზმნის უღლილების სისტემაში, იკე, I, 1946 წ., გვ. 94—115; К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском რჩეული ნაშრომები, I, 1967 წ., გვ. 288—292; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971 წ., გვ. 161.

(//გარ-გუ-იყუანნა ჩუენ), მ-აქუს ჩუენ (//გუ-აქუს ჩუენ), მ-ეძინა ჩუენ (//გუ-ეძინა ჩუენ) და მრავალი სხვა [1].

2. /გუ-/ ალომორფი მხოლოდ მრავლობით რიცხვში დასტურდება, მიუხედავად ამისა ის, თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, არ გამოხატავს მრავლობითობას, როგორც ეს დამაჯერებლად ცხადყო ა. ჩიქობავამ [2]. თუ /გუ-/ სახელობითში დასმულ სავალდებულო პირს გამოხატავს, მაშინ მისი მრავლობითობა /-ნ/ სუფიქსით აღინიშნება: გჳხილ-ნ-ა /გუ-იხილ-ნ-ა/ ჩუენ, აღ-გუ-ამაღლ-ნ-ა ჩუენ, გან-გუ-ათავისუფლე-ნ ჩუენ, გუ-ტანჯ-ნ-ეს ჩუენ, წარგუყვანნა /წარ-გუ-იყვან-ნ-ა/ ჩუენ და სხვა. რადგანაც ამ ფორმებში A_1-ის მრავლობითობას /-ნ/ აღნიშნავს, ამიტომ სრულიად გასაზიარებელია დასკვნა: „ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი არაა მრავლობითობის პირველი პირის პრეფიქსი" [3], ე. ი. /გუ-/-ს ფუნქცია არ არის მრავლობითობის გამოხატვა.

რადგანაც ძველ ქართულში მიცემითში დასმული არასავალდებულო პირის მრავლობითობა საერთოდ არ გამოიხატება რაიმე სეგმენტური ერთეულით, ამიტომ სამართლიანია მეორე დასკვნაც: „...გუ-პრეფიქსი ძველ ქართულში ობიექტის მრავლობითობას არც ისეთ მაგალითებში აღნიშნავს, როგორიცაა გან-გუ-ასხ-ნ-ა მან ჩუენ და არც ისეთ მაგალითებში, რომლის ნიმუშიცაა მო-გუ-ანიჭა მან ჩუენ..." [4].

მაშასადამე, ძველ ქართულში /მ-/ ისევე გამოხატავს პირველ არასავალდებულო პირს როგორც მხოლობითის, ისე მრავლობითის ფორმაში, როგორც /გ-/ გამოხატავს მეორე არასავალდებულო პირს ასეთსავე ფორმებში. /გუ-/ კი აღნიშნავს პირველ არასავალდებულო პირს, მაგრამ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში, (ე. ი. როცა I სავალდებულო პირი მრავლობითშია, რომელსაც ნაცვალსახელი „ჩუენ" შეეფარდება), მრავლობითობის აღნიშვნა კი მისი ფუნქცია არ არის..

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში /გუ-/ ალომორფის გამოვლენა მორფოლოგიურად არის შეპირობებული — ის მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება. აქ კი მას თავისუფლად ენაცვლება /მ-/ ალომორფი.

მეორე არასავალდებულო პირის მორფემის მიხედვით ძვ. ქართული თანამედროვე ქართულისაგან არ განსხვავდება.

ძველ ქართულში მესამე არასავალდებულო (ისევე როგორც მეორე სავალდებულო) პირის მორფემა საფუძვლიანად არის გაანალი-

---

1 ნიმუშები ტექსტებიდან იხ. ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 94—108.

2 იქვე, გვ. 94—115.

3 იქვე, გვ. 100.

4 იქვე.

ზებული ა. შანიძის მიერ, ამიტომ აქაც მოკლედ წარმოვადგენთ ამ ანალიზის შედეგებს:

A_3 მორფემის წარმომადგენლად დასტურდება /ჰ-/, /ს-/, /მ-/ და /Ø/ ალომორფები (/ს-/-ს ნაცვლად გვხვდება აგრეთვე /ჰს-/ ვარიანტიც): მათი განაწილება ისეთივეა, როგორიც მეორე სავალდებულო პირის მორფემის ანალოგიური ალომორფებისა: დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჳ თანხმოვანთა წინ დასტურდება /ს-/ ალომორფი; შიშინა აფრიკატების (ჯ, ჩ, ჳ) წინ /ს-/-ს, ჩვეულებრივ, /შ-/ ენაცვლება (ასიმილაცია); ხმოვნების წინ A_3 მორფემა /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი; ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. ისეთი თანხმოვნების წინ, როგორიცაა: ჴ, ყ, ღ, ხ, კ, გ, ქ, შ, ჟ, ს, ზ, ნ, რ, ლ, ვ, ჰ, პ. ბ. ფ, დასტურდება /ჰ-/ ალომორფი[1]. IX—XI საუკუნეთა ხელნაწერებში გვხვდება /ს-/ და /Ø/ ალომორფებთან /ჰ-/-ს თავისუფალი მონაცვლეობის შემთხვევები (ე. წ. ჰაემეტობის გადმონაშთები)[2].

ჩვეულებრივ ასეთია აღნიშნულ ალომორფთა განაწილება იმ შემთხვევაში, თუ ზმნას არასავალდებულო a პირი ეწყობა, მაგ., ე-ჰ-კითხე, ჰ-კითხა, აღ-ჰ-კიდა, ჰ-რქუა, ვ-ჰ-რქუა. შე-ჰ-ვედრა, შევე-ჰ-ვედრებ, ჰ-მსახურა, ჰ-ბაძვიდა, მო-ჰ-გუარა, ს-თხოვა, შე-ს-ძინა, შევე-ს-ძინე, ს-ძლო, ვ-ს-ძლე, ს-ცა, მო-შ-ჰრა, მო-შ-ჰამა, მოვ-შ-ჰამე, ჰს-თხოვდეს, ჰს-ცხებდეს, მო-უჯდა, შე-უვრდა, უთხრა, ახარა, ეჩუენა და სხვა[3]. მეორე სავალდებულო პირთან კომბინაციაში მესამე არასავალდებულო პირის ნიშანი იმ შემთხვევაში გამოვლინდება. თუ ფორმა წართქმითი ბრძანებითისაა, მაგ., ჰ-მსახურეთ, ს-ძლე და სხვა.

დასტურდება ზოგი გამონაკლისიც:

1. ზოგი თანხმოვნის, განსაკუთრებით ხ, ღ, შ, ს, ზ სპირანტთა. წინ /ჰ-/-სთან ხშირად თავისუფლად მონაცვლეობს /Ø/, მაგ., ჰ-ხადა//ხადა, მი-ჰ-ჴედა // მიხედა, შჯიდეს, შორავს. შეზავა და სხვა[4].

---

1 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა..., გვ. 149—158.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 211—212; ა. შანიძე, ჰაემეტობა აღიშის სახარებაში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 296—301; მ. შანიძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში, საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959 წ., გვ. 146—147; ზ. სარჯველაძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში, საქ სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 52, № 1, 1968 წ., გვ. 259—261; ზ. სარჯველაძე, ხანძეთ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა სახეობები, 1971 წ., გვ. 140—149.

3 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 149—158.

4 იქვე, გვ. 203—209.

2. ზოგ ზმნურ ძორფემასთან მესამე არასავალდებულო a პირი უოველთვის /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., ფუცა [1].

მესამე არასავალდებულო b პირის აღნიშვნა კი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარია:

1. ზმნათა დიდ ნაწილში (ე. წ. ჰყოფს ტიპის ზმნებში) მესამე არასავალდებულო b პირის მორფემა ზემოაღნიშნული ალომორფებით არის წარმოდგენილი, თუ ის მიცემით ბრუნვაში დგას (I სერიის ფორმებთან), /Ø/-ით — თუ ის სახელობით ბრუნვაში დგას (II სერიის ფორმებთან), მაგ., ყო იგი — ჰ-ყოფს მას, მოკლა იგი — მო-ჰ-კლავს მას, პოვა იგი — ჰ-პოვებს მას, და-წუა იგი — და-ს-წუავს მას, დათრგუნა იგი — და-ს-თრგუნავს მას, წარ-წყმიდა იგი — წარ-ს-წყმედს მას და ა. შ. [2].

მაგრამ მიცემითში დასმული მესამე არასავალდებულო b პირი უოველთვის არ აღინიშნება შესაბამისი პრეფიქსებით, ამასთან დაკავშირებით ი. იმნაიშვილმა ჩამოაყალიბა წესი: „...თუ პირდაპირი ობიექტი (არასავალდებულო b პირი — ა. ო.) მიცემითშია (ე. ი. სათანადო ზმნა პირველი სერიის რომელიმე მწკრივში დგას), მაშინ საკითხს წყვეტს ზმნისწინის დართვა-არდართვა: ზმნისწინიან ფორმებს უოველთვის ექნება ობიექტური პირის ნიშანი, უზმნისწინოებს კი — არა“ [3], მაგ., ვ-წერ — დავ-ს-წერ, წერს — და-ს-წერს, თარგმანებდა — გამო-ს-თარგმანებდა, თლიდეს — გამო-ს-თლიდეს, თხზვიდა — შე-ს-თხზვენ, კბენდა — და-ჰ-კბენდა, მკიან — მო-ჰ-მკიან, ჭამს — შე-შ-ჭამს და ბევრი სხვა.

თუ ამ საინტერესო წესს დავემყარებით, მაშინ ახსნას მოითხოვს ა. შანიძის მიერ ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული ისეთი ფორმები, როგორიცაა: ჰ-ყოფდა, ჰ-პოვებს, ჰ-ფარავს, ს-ცვიდა, ჰ-კურნებდა, ჰ-გუემს, ჰ-ლალვიდეს, ჰ-ლოშნიდენ, ჰ-ლოცვიდა, ს-ტანჯვიდეს, ს-ცუეთდეს და სხვა.

2. ზმნათა ერთ ნაწილში (ე. წ. დაჰბადა ტიპის ზმნებში) სახელობითში დასმული არასავალდებულო b პირიც პრეფიქსებით აღინიშნება, მაგ., და-ჰ-ბადა, აღ-ჰ-მართა, და-ჰ-ფლა, ს-თესა, და-ს-თხია, და-ჰ-მარხა და სხვა [4].

3. ზმნათა სხვა ნაწილში კი (ე. წ. ქადაგა ტიპის ზმნებში) /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი არა მხოლოდ სახელობითში დასმული, არამედ მიცემითში დასმული არასავალდებულო b პირიც, მაგ.,

---

[1] იქვე, გვ. 212—215.

[2] იქვე, გვ. 135—149, 182—189.

[3] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, 1971 წ., გვ. 163.

[4] ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174—177.

ქადაგებს, სუმიდა, ჰამს, წამებს, განხრწნიდეს, ხუეტდეს, ზმენ, ზრუნვენ, შობდა, ბრძანებს, განდგმიდეს, თლიდეს და სხვა [1].

1.02.11. მესამე არასავალდებულო პირის მორფემა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში. A_3 მორფემა განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს იმის მიხედვით — არასავალდებულო a პირია წარმოდგენილი ფორმაში, თუ — არასავალდებულო b, მიცემით ბრუნვაშია დასმული არასავალდებულო b პირი, თუ — სახელობითში და სხვა.

მესამე არასავალდებულო a პირის აღნიშვნა ხანმეტ ტექსტებში: ცნობილია, რომ არასავალდებულო a პირს შეიცავს ყველა სამპირიანი და ყველა ორპირიანი გარდაუვალი ზმნა (თუ, რა თქმა უნდა, გარდაუვალობას არასავალდებულო b პირის უქონლობით განვსაზღვრავთ). ამავე დროს ფორმაში, სადაც არასავალდებულო a მესამე პირია, სავალდებულო პირი შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე.

თუ ფორმაში სავალდებულოცა და არასავალდებულო a-ც მესამე პირია, მაშინ ხანმეტ ტექსტებში არასავალდებულო a პირის მორფემა, როგორც წესი, /ხ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ., **მოხუკდა** მას ასისთავი, **ხევედრებოდა** მას (ქრესტ., 8,4), და **მოხევსენნეს** სიტყუანი ესე (ლექც., 59, 8), და მამაჲ შენი... **ხსედავს** დაფარულსა (ქრესტ., 5, 20), იესუ **მიხეახლა** მათ (ლექც., 60, 15), ხოლო მათ თუალნი მათნი **განხეხუნეს** (ლექც., 60, 31), აღჳრნი **ხესხნეს** (ქრესტ., 45, 34), და მოვიდა იესუ და **შეხახო** მათ კელი (ქრესტ., 9, 17), **მიხცემდა** (პროტოევანგ.) [2], და **მოხუწოდა** ერთსა მონათაგანსა (ქრესტ., 16, 25), წჱიდაჲ კაცი **ხუკმს** მას, რაჲთა **ხმსახურებდეს** (ქრესტ., 24, 30—31), ეკლესიასა ყრმანი შეკრებულ არიან და **ხელიან** სასიტყუელსა მას უბიწოსა სძესა (მრ., 18 b 5), **ხნებავს** (პროტოევანგ., 68), **ხუკჳრდა** ერსა მას სწავლაჲ იგი მისი (ქრესტ., 7, 28), **დახუკჳრდა** საქმჱ ესე (ქრესტ., 18, 12), და **ხკითხვიდეს** მას (მოწაფენი) (ქრესტ., 9, 21), წინაწარმეტყუელთა წიგნნი **აღმოხეკითხნეს** (მრ., 25 a 18 — 19), **შეხუკრნეს** კელნი უკუმართ ანდრიას (პალ., 359, 7—8), რომელსა იგი სიმშილითა **მოხაკლდის** სძჱ (მრ., 18 a 13—14).

ხანმეტ ტექსტთაგან ხანმეტ ლექციონარსა და იერემიას ნაწყვეტების ტექსტში არის სამიოდე შემთხვევა, სადაც ხმოვნების წინ მესამე არასავალდებულო a პირის მორფემა /ჰ-/ ალოჰორფით არის წარმოდგენილი: სადა იგი **მჰარავი** არა **მიჰეხებების** (ლექც., 64, 33), მაშინ **ჰეტყებდენ** ყოველნი ტოჰმნი ქუეყანისანი (ლექც., 63, 30), ცხოვ[ელ] არს [უფალ]ი ვითარცა [იგი] **ჰას[წ]ავეს** [ერს]ა (იერ., 12, 16).

---

[1] იქვე, გვ. 189—193.

[2] პროტოევანგელეს მასალა ამოღებულია შ. სარჯველაძის წიგნიდან „ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები", 1971.

ხანმეტ ტექსტებში მესამე სავალდებულო პირთან კომბინაციაში მესამე არასავალდებულო a პირის მორფემა /Ø/ ალომორფით მხოლოდ ორიოდე შემთხვევაშია წარმოდგენილი, ისიც ხმოვნების წინ: მიუგოს, დაუტეოს (//დახუტეოს) [1].

ერთგვარად განსხვავებულია მესამე არასავალდებულო a პირის აღნიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის ფორმაში სავალდებულო პირი არის მეორე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხანმეტ ტექსტებში S_2 მორფემის /ხ-/ ალომორფი სათანადო ფორმაში ყოველგვარ ზმნაში წარმოდგენილია (როგორც რელატიურში, ისე აბსოლუტურში), გარდა იმ შემთხვევისა, როცა წართქმით ბრძანებითთან გვაქვს საქმე. აქ კი S_2 მორფემა /Ø/ ალომორფით დასტურდება (იხ. ზემოთ). მაგრამ თუ მეორე სავალდებულო პირთან ერთად ზმნის ფორმა შეიცავს მესამე არასავალდებულო a პირსაც, მაშინ, ყოველგვარ სხვა ზმნათაგან განსხვავებით, /ხ-/ პრეფიქსი წართქმით ბრძანებითშიც ყოველთვის წარმოდგენილია. ეს კი უფლებას გვაძლევს, როგორც ამას ა. შანიძე აღნიშნავს, რომ /ხ-/ ასეთ შემთხვევაში A_3 მორფემის წარმომადგენლად მივიჩნიოთ და არა S_2-ისა[2]. მაგალითები: **სეკრძალენით** ქველის საქმესა თქუენსა (ქრესტ., 5, 15), მიევედ და **ხუჩუენე** თავი შენი (ქრესტ., 8, 3), წარვედ ძმათა ჩემთა და **ხარქუ** მათ (ლექც., 61, 17), განსვე-**შოვრენით** უკეთურებასა (მრ., 11 a 3), რომელი გთხოვდეს შენ, **მიხეც** (ქრესტ., 5, 6), მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა **შეხენწიე** (ქრესტ., 1, 18) და სხვა.

არასავალდებულო a პირის შემცველი ზმნის მეორე სავალდებულო პირის ფორმაში (როცა ის არ არის წართქმითი ბრძანებითისა) ლოგიკურად მოსალოდნელი S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ ერთდროულად არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება, მაგ., ნუ **გამოხუჩინებ** შენ საიდუმლოსა ღმრთეებისა ჩემისასა ეშმაკსა (ქრესტ., 43, 5), ნუ **მიხცემთ** სიწმიდესა ძაღლთა (ქრესტ., 6, 28), რაჲსა **ხხედავ** წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუალსა შინა შენსა დირესა არა **ხხედავ** (ქრესტ., 6, 22—23), ნუ **ხუკდებით** ბოროტსა (ქრესტ., 5, 2), ნუ **გამოხუჩინებ** შენ საიდუმლოსა (მრ. 5 b 13) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამგვარ ფორმებში ერთ-ერთი მორფემის (მეორე სავალდებულო ან მესამე არასავალდებულო a პირის) /ხ-/ ნულთან არის გათანაბრებული. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქ ნულთან გათანაბრებულია მესამე არასავალდებულო პირის მორფემა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

---

1 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113—114.

2 ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1926 წ., გვ. 113.

ხანმეტ ტექსტებში, გარდა ხანმეტი მრავალთავისა, პირველი სავალდებულო პირის ფორმაში მესამე არასავალდებულო a პირი ყოველთვის /ხ-/ ალომორფით არის წარმოდგენილი, მაგ, ნეტარ ხიყვნენ, რომელთა არა **ხუეხილვო და ხურწმენე** (ლექც., 62, 29), და **შეხუძლოთ** მას და მოვიღოთ შური გებაჲ ჩუენი მისგან (იერ., 20, 10), ზოგი ფასისა ჩემისაჲ **მიხუეც** გლახაკთა (ქრესტ., 17, 11), ჩუენ **მიხუტევებთ** თანა-ნადებთა მათ ჩუენთა (ქრესტ., 5, 31), **მიხუხედე** (პროტოევანგ., 70), **მიხუემსგავსნეთ** ჩუენ პატიოსანსა მას მოძღუარსა ჩუენსა (ქრესტ., 25, 27), **შეხუაბთ** ესე კარი (ქრესტ., 1, 13).

სხვა ხანმეტ ტექსტთაგან განსხვავებული ვითარება დასტურდება ხანმეტ მრავალთავში, აქ, როგორც ა. შანიძემ აჩვენა, პირველი სავალდებულო პირის ფორმაში მესამე არასავალდებულო a პირის აღმნიშვნელად ზოგ ზმნასთან /ხ-/ ალომორფი არის წარმოდგენილი, ზოგთან კი — /Ø/:

/ხ-/ ალომორფი: შევიმოსოთ შიში და განკრძალვით **მოხუკდეთ** საშინელსა მას (მრ., 4 a 6—7), თავყანის **ხუცემდეთ** და ვადიდებდეთ მამასა და ძესა (მრ., 7 b 9), შიშით და ძწოლით მივეახლებოდით და **შეხუვრდეთ** და **ხუმადლობდეთ** (მრ., 3 a 6—7), **ხუემსგავსენით** ჩუენცა დედასა მკოდოვსა (მრ., 18 a 10—11).

/Ø/ ალომორფი: სიტყუასა არა **დავაცადო** (მრ., 3 b 13—14). კეთილსა და სიყუარულსა **ვაჩუენებდეთ** (მრ., 3 b 5—6), ყოველთა ყოველთავე სახე **ვეჰმნნეთ** (მრ., 4 a 9), გულს **ვეტყოდით** (მრ., 1 a 16—17), **შევამთხუნეთ** პირნი, თუალნი... ჩუენნი (მრ., 3 a 18), **მივემთხუნნეთ** საუკუნესა მას (მრ., 4 b 8), **ვეუედრებოდით** (მრ., 1 a 13), უბიწო ვიყუნეთ და უბიწოებითა **უგალობდეთ** (მრ., 22 a 4—5).

მესამე არასავალდებულო a პირის აღნიშვნა ჰაემეტ ტექსტებში. თუ ზმნის ფორმაში სავალდებულო და არასავალდებულო a-ც მესამე პირია, მაშინ არასავალდებულო a პირის მორფემა ყოველთვის /ჰ-/ ალომორფით მხოლოდ თანხმოვნების წინ არის წარმოდგენილი: **მიჰხედა** მათ იესუ (ქრესტ., 51, 12), ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის **ჰხედვენ** პირსა მამისა ჩემისასა (ქრესტ., 48, 5), მოქალაქეთა მისთა **ჰძულდა** იგი (ჰმ., 31 r 4—5), შენმან ვეცხლმან ათი სხუაჲ **შეჰძინა** (ჰმ., 31 r 16), ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ **ჰძინავს** (ქრესტ., 50, 6), არამედ არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა **ჰრწამს** (ქრესტ., 53, 14), **ჰრქუა** მათ იესუ (ქრესტ., 49, 3), არავინ არს ნათესავსა შენსა შოვრის, რომელსა **ჰრქუან** სახელი ეგე (ქრესტ., 51, 23), და **შეჰრისხნა** მათ (ქრესტ., 51, 29), მოიღო შჯდი იგი პური და **ჰმადლობდა** (ქრესტ., 50, 33), და **ჰკითხა** მათ (ქრესტ., 50, 31), **მოჰკუეთა** თავი იოვანეს (ქრესტ., 47, 14), **ჰთნდა** ჰეროდეს როკვაჲ

იგი მისი (ქრესტ., 47, 9), და **მიჰდევდ**ა მას ერი მრავალი (ქრესტ., 47, 2), იგინი **ჰბასრობდეს** მას (ქრესტ., 50, 6).

ამავე ფუნქციით ც თანხმოვნის წინ დასტურდება /ჰს-/[1]: და მოიღო შუდი იგი პური და ჰმადლობდა და განტეხა და **მიჰხცემდა** მოწაფეთა მისთა (ქრესტ., 50, 34), აკურთხა და დამუსრა პური იგი და **მიჰსცემდა** მოწაფეთა თჳსთა (ქრესტ., 50, 10).

ჯერ კიდევ 1923 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. ა. შანიძე აღნიშნავდა: „ხმოვნის წინ... ჰაე ხშირად იკარგება ხოლმეო“[2]. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჰაემეტ. ტექსტებში /ჰ-/ ალომორფს თავისუფლად ენაცვლება /Ø/. მართალია, არასავალდებულო a პირის მორფემის წარმომადგენლად ნაკლები სიხშირით დადასტურებულ ზმნათაგან ზოგში მხოლოდ /ჰ-/ ალომორფი გვხვდება, ზოგში კი — /Ø/, მაგრამ ის ფაქტი, რომ შედარებით ხშირად დადასტურებულ ზმნებში გვაქვს ამ ალომორფთა თავისუფალი მონაცვლეობის უდავო მაგალითები, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: იმ ენობრივი ნორმების მიხედვით, რომელსაც ჰაემეტი ტექსტები ასახავენ, ხმოვნების წინ ყველა შემთხვევაში შესაძლებელი იყო /ჰ-/-ს /Ø/-თან მონაცვლეობა; მაგალითები: რომელსა ჰაქუნდეს, **მიჰეცეს** (ქრესტ., 52, 27), **მიეცეთ**, რომელსა-იგი ჰაქუს (ქრესტ., 52, 25), **მოუჯდა** მას კაცი (ქრესტ., 47, 28), არა **ჰუჴმს** ცოცხალთა მკურნალი (ქრესტ., 48, 23), რაჲთა არა **შეეახლონ** მას (ქრესტ., 49, 15), გლახაკთა **ეხარებოს** (ჰმ., 30 r 6), **ჰუწოდეს**, სახელი მისი სახელად მამისა მისისა ზაქარიაჲსა (ქრესტ., 51, 20), **ჰეწოდენ** მაგას იოვანე (ქრესტ., 51, 21), **მოჰუწოდა** მოწაფეთა თჳსთა (ქრესტ., 50, 26), მოვიდენ და **შეჰეწინენ** მათ (ქრესტ., 52, 14—15), ვერ **კელ-ჰეწიფების** ძეთა სიძისათა მარხვად (ქრესტ., 48, 28), ვის კ(ელ-ე)წიფების ცხოვრებად? (ქრესტ., 51, 12), და **უბრძანა** ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა (ქრესტ., 50, 32).

მეორე სავალდებულო პირის ფორმაში /ჰ-/-ს ისეთივე კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს, როგორც ხანმეტ ტექსტებში /ხ-/-ს: არასავალდებულო a პირის შემცველ ზმნათა წართქმით ბრძანებითში /ჰ-/ ყოველთვის A_3 მორფემის წარმომადგენელია და არა — S_2-ისა, მაგ., **ჰეკრძალენით** თავთა თქუენთა (ქრესტ., 53, 2), ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მიჳედით და **ჰუთხართ** იოვანეს (ქრესტ., 46, 23), შეაკლინე ღრმად და **ჰდევით** ბადეჲ თქუენი ნადირობად (ქრესტ., 52, 10), და **მოჰუგუარე** იგი მოწაფეთა შენთა (ქრესტ., 47, 31). ხმოვნების წინ /ჰ-/-ს ნაცვლად აქაც დასტურდება /Ø/, მაგ., **განეშორენით**, რამეთუ არა მოკუდარ არს იგი (ქრესტ., 46, 17).

---

1 ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 358—359.

2 იქვე, გვ. 358.

ჰაემეტ ტექსტებში არ მოიპოვება საკმაო მასალა ისეთ ფორმებზე მსჯელობისათვის, სადაც მესამე არასავალდებულო a პირთან ერთად ზმნის ფორმა შეიცავს სავალდებულო პირველ პირს. ერთადერთი ასეთი ფორმა გვხვდება და აქ A_3 პირის მორფემა /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი: **შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?** (ქრესტ., 46, 22).

მესამე არასავალდებულო b პირის აღნიშვნა ხანმეტ ტექსტებში. ხანმეტი მრავალთავის ანალიზის საფუძველზე ა. შანიძემ აჩვენა, რომ არასავალდებულო b პირი /ხ-/ ალომორფით იმ შემთხვევაში აღინიშნება (ისიც არა ყოველთვის), თუ ის მიცემით ბრუნვაში დგას, სახელობითში დასმული არასავალდებულო b-ს /ხ-/-თი გაძოხატვის შემთხვევები კი იშვიათია[1].

ხანმეტ ტექსტებში (ისევე როგორც ჰაემეტში) მესამე არასავალდებულო b პირის აღნიშვნის მიხედვით ზმნათა სამი ჯგუფი გამოიყოფა (ეს ჯგუფები ტიპოლოგიურად ემთხვევა კლასიკური ძველი ქართულისათვის ა. შანიძის მიერ გამოყოფილ ჯგუფებს: 1. „ჰყოფს" ტიპის, 2 „ქადაგებს" ტიპისა და 3 „დაჰბადა" ტიპის ზმნებს. (იხ. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა..., გვ. 174—193):

1. მესამე არასავალდებულო b პირი /ხ-/ ალომორფით (ჰაემეტში /ჰ-/-თი) იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ის მიცემით ბრუნვაში დგას (ე. ი. ზმნის I სერიის ფორმებთან), სახელობითში დასმულ ამავე პირთან კი /ხ-/-ს, ჩვეულებრივ, /Ø/ ენაცვლება (ე. წ. „ჰყოფს" ტიპის ზმნები), მაგ., **ხადიდებდეს** და **ხაკურთხევდეს** ღმერთსა (ქრესტ., 14, 29), შდრ. მოიღო პური, **აკურთხა** და განტეხა (ქრესტ., 19, 13), თუ რომელ იგი **დახწერს** მართლ დიდებასა მას მეუფისასა (მრ., 15 a 15), რომელნი იგი დღითი დღედ **ხწოვედ** ძუძუთა დედისათა (მრ., 18 a 8), და დიდსა ლოცვასა **შეხუწირვიდეთ** უფლისა მიმართ (მრ., 3 a 11—12), შდრ., აწ მოვედით, საყუარელნო, და ჩუენ ყოველთა მისა დიდებაჲ **შევწიროთ** (მრ., 7 a 18), ძღუენი **შეწირა** (მრ., 5 a 6), არა ერთი ერთსა **ხწუნობდა** (ქრესტ., 44, 30), მრავალნი ცრუე-წინაწარმეტყუელნი აღდგენ და **ხაცთუნებდენ** მრავალთა (ქრესტ., 11, 24), უვარ **ხყოფდეს** (მრ., 21 a 10), რომელნი **ხყიდდეს** ტრედებსა (ქრესტ., 17, 17), **ხიყენებდეს** მას (ქრესტ., 15, 15).

2. მესამე არასავალდებულო b პირი ყოველთვის /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი, სულ ერთია, სახელობითშია იგი დასმული, თუ — მიცემითში (ე. წ. „ქადაგებს" ტიპის ზმნები), მაგ., ცოდვილთა თანა **ჭამს** (ქრესტ., 13, 21), **ჭამდეს** და **სუმიდეს** (ქრესტ., 12,

---

1. ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 115.

21), **ქადაგებდა** (ყოველ)თა შესაკრებელთა (გალილეაჲსაჲ) (ქრესტ., 15, 18), წინაწარმეტყუელნი ქრისტესა **ქადაგებენ**, მეუფესა იერუსალჳმისასა (მრ., 22 b 20).

3. ზმნათა ერთ ნაწილში (ე. წ. „დაჰბადა“ ტიპი) /ხ-/ ალომორფით აღინიშნება არა მხოლოდ მიცემითში, არამედ სახელობითში დასმული მესამე არასავალდებულო b პირიც, მაგ., მე, თათვარაჲ, **აღხუმართე** ესე ჯუარი სახელითა ღმრთისაჲთა (ქრესტ., 2, 19), **აღხუაგზნე** ცეცხლი ბჳეთა იერუსალჳმისათა (ქრესტ. 4, 1), მზჱ დაბნელდეს და მთოვარემან არა **გამოხცეს** ნათელი თჳსი (ლექც., 63, 29), იწრო არს ბჳჱ და წულილ გზაჲ, რომელმან **მიხიყვანის** ცხოვრებად (პალ., 332, 14), საზღვრად დაშჯისა ყრმისა შობისათჳს **მიხიღო** (ქრესტ., 45, 35).

სხვა შემთხვევებში კი სახელობითში დასმული მესამე სავალდებულო პირი /Ø/-ით არის წარმოდგენილი: რომელმან **იჴსნეს** ისრაჱლი (ლექც., 60, 21), მოსრულ ვარ, რაჲთა თანა-ნადები იგი ჱათი **გარდავიჴადო** (მრ., 6 a 16—17), და **იხილა** ლოდი იგი (ლექც., 61, 1), **უწყიხ** მამამან თჳენმან ზეცათამან, რამეთუ გიჴმს თჳეეხ ესე ყოველი (ქრესტ., 6, 17), ...რაჲთამცა წარწყმიდეს იგი (ქრესტ., 23, 27), ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, **იწყო** გამოსხმად... (ქრესტ., 17, 16), არა თუ წყალმან რაჲ იგი **განწმიდა** (ქრესტ., 43, 1), და მკჳდრად **შეიწყუნარა** მდინარემან წყაროჲ იგი (მრ., 8 a 18), მშიერნი სიმართლითა გაანაძღნეს (ქრესტ., 24, 4—5), ხოლო მათ თუალნი მათნი განხეხუნეს და **იცნეს** იგი (ლექც., 60, 31), რომელმან **აღაშჱნა** სახლი თჳსი მჭჳშასა ზედა (ქრესტ., 7, 24), **აღმოიყვანეს** ყრმაჲ იგი იერუსალჳმდ (ქრესტ., 15, 3), რომელი ხითხოვს, **მიიღის** (ქრესტ., 6, 33).

მესამე არასავალდებულო b პირის გამოხატვა ჰაემეტ ტექსტებში. არასავალდებულო b პირის აღნიშვნა ჰაემეტ ტექსტებში არსებითად იმგვარივეა, როგორიც ხანმეტში, განსხვავება ფაქტობრივ მხოლოდ ის არის, რომ ხანმეტის /ხ-/-ს ჰაემეტში შეესატყვისება /ჰ-/ და /Ø/. საქმე ის არის, რომ ზმნათა იმ ფორმებში, სადაც ხახმეტ ტექსტებში /ხ-/ ალომორფია წარმოდგენილი, ჰაემეტ ტექსტებში ხმოვნების წინ /ჰ-/-ს ზოგჯერ /Ø/ ენაცვლება. აქაც იგივე ჯგუფები გაჲოიყოფა, რაც ხანმეტში:

1. ზმნათა გარკვეულ ნაწილში („ჰყოფს“ ტიპი) მიცემითში დასმული არასავალდებულო b პირი /ჰ-/ ალომორფით აღინიშნება, რომელსაც ხმოვნების წინ ზოგჯერ /Ø/ ენაცვლება: ესმა ძრავალსა... რაოდენსა-იგი **ჰიქმოდა** (ქრესტ., 49, 13), ვიდრე იგი ამას **ჰიტყოდა**, მოუჴდეს შესაკრებლის მთავრისანი მის და ჰეტყოდეს (ქრესტ., 49, 34—35), შდრ. **იტყოდა** რაჲ მას (ქრესტ., 53, 7), **ჰზრახვიდეს** მას (ქრესტ., 47, 20), **ადიდებდეს** ღმერთსა და იტყოდეს (ქრესტ., 48, 13), (შდრ. ხანმეტი — **ხადიდებდეს** ღმერთსა).

2. ზოგ ზმნასთან, ხანმეტი ტექსტების მსგავსად, ყოველთვის /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი როგორც სახელობითში, ისე მიცემითში დასმული არასავალდებულო b პირი („ქადაგებს“ ტიპი): და **ქადაგებდა** ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსად (ქრესტ., 52, 1—2), მეზუერეთა და ცოდვილთა თანა **ჭამს** (ქრესტ., 48, 21—22) და სხვა.

3. ზმნათა ერთ ნაწილში სახელობითში დასმული არასავალდებულო b პირიც /ჰ-/ ალომორფით აღინიშნება („დაჰბადა“ ტიპი): და მე **ჰუცოდე**, რამეთუ მარადის ისმინი ჩემი (ჰმ., 388, 18), არა ჰუტევებდა სიტყუად, რამეთუ **ჰიცოდეს**, ვითარმედ ესე არს ქრისტე (ქრესტ., 51, 29), ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე **სათნო-ჰჴყავ** (ქრესტ., 47, 25), სიტყჳთა შენითა **გარდაჰუტეო** ბაღჲ (ქრესტ., 52, 12), მოვიღი, რომელი არა დავდვი, და მოვიმკი რომელი არა **დავჰთესი** (ქრესტ., 52, 22).

ყველა სხვა შემთხვევაში სახელობითში დასმული არასავალდებულო b პირი /Ø/ ალომორფით არის წარმოდგენილი: და **იხილა** იესუ სარწმუნოებაჲ მათი (ქრესტ., 48, 9), იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესევითარი საკჳრველებაჲ **ვიხილეთ** (ქრესტ., 48, 14), არავინ **შთაასხის** ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა **განხეთქოს** ღჳნო-მან ახალმან თხიერი (ქრესტ., 48, 33—34), მოითხოვა ფიცარი და **დაწერა** (ქრესტ., 51, 25), ზრახვა-ყვეს მისთჳს, რაჲთა **წარწყმიდონ** იგი (ქრესტ., 49, 9), **ცნა** (ქრესტ., 49, 25), **შეაყენეს** თევზისა სიმრავლჱ დიდი (ქრესტ., 52, 12), და **მიიყვანა** მამაჲ ყრმისაჲ და დედაჲ და მოწაფენი მისნი (ქრესტ., 50, 7), და შემდგომად ექუსისა დღისა **წარიყვანა** იესუ მათე და იაკობ (ქრესტ., 47, 16).

როგორც დავინახეთ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებს შორის ერთი სხვაობა შეინიშნება: იმ ზმნებთან, სადაც ხანმეტ ტექსტებში მესამე არასავალდებულო პირი ყოველთვის /ხ-/ ალომორფით აღინიშნება, ჰაემეტ ტექსტებში ხმოვნების წინ /ჰ-/-ს ხშირად თავისუფლად ენაცვლება /Ø/.

რამდენადაც ხანმეტ ტექსტებში /ხ-/ ალომორფის რეგულარულ გამოვლენას განაპირობებს ზმნაში არასავალდებულო a პირის არსებობა, ამდენად /ხ-/-ს გამოვლენა აქ მორფოლოგიურად არის შეპირობებული.

მხოლოდ არასავალდებულო b პირის შემცველ (ე. ი. ორპირიან გარდამავალ) ზმნებში, როგორც დავინახეთ, სამი ჯგუფი გაჲოიყოფა: 1. „ჰყოფს“ ტიპის, 2. „ქადაგებს“ ტიპისა და 3. „დაჰბადა“ ტიპის ზმნები.

აღნიშნულ სამ ჯგუფში მესამე არასავალდებულო პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენის სხვადასხვაგვარი წესი არ არის შეპირობებული სათანადო ზმნურ მორფემათა განსხვავებული ფონოლო-

გიური სტრუქტურით — სხვადასხვა ზმნური მორფემები, თუნდაც მსგავსი ფონოლოგიური აგებულებისა, სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანმეტ ტექსტებში /ხ-/ და /Ø/ ალომორფთა განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული.

იგივე შეიძლება ითქვას A_3 მორფემის /ჰ-/ და /Ø/ ალომორფთა განაწილების შესახებაც ჰაემეტ ტექსტებში იმ განსხვავებით, რომ ხმოვნების წინ /ჰ-/-ს ხშირად თავისუფლად ენაცვლება /Ø/.

როგორც ცნობილია, ფორმალური ანალიზის საფუძველზე იგივე სეგმენტები (ხანმეტში — /ხ-/, ჰაემეტში — /ჰ-/) გამოიყოფა /ი-/ ალომორფიან (ე. ი. ერთპირიან) ვნებითშიც (სამივე სავალდებულო პირის ფორმაში):

ხანმეტ ტექსტებში: ვითარცა **მოხიწია** ადგილსა მას, აღხედა იესუ (ქრესტ., 17, 4—5), ხოლო ესე **დახიწერა** (ლექც., 62, 31), არა **შეხიწირის** (ქრესტ., 24, 26), და **დახიწყლვოდეს** ყოველნი (მრ., 25 b 20), **ხიშუეს** (პროტოევანგ., 59), და უკუნისამდე **ხიძლია** (მრ., 7 a 6), გადაგორებულ **ხიყო** ლოდი იგი (ლექც., 59, 4), **აღხუიწერო** (პროტოევანგ., 69), ნეტარ **ხიყოს** მონისაჲ მის (ქრესტ., 12, 16), და ხთქუთ: უკუეთუმცა **ხუყვენით** დღეთა მამათა ჩუენთასა, არამცა **ხუყვენით** მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა (ქრესტ., 11, 4 და 5), რაჲთა **ხიყვნეთ** შვილ მამისა თქუენისა, რომელ არს ცათა შინა (ქრესტ., 5, 11—12), შეშინებულ **ხიყვნეს** იგინი (ქრესტ., 17, 32), და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა მისთჳს, რომელი **ხიქმნა** (ლექც., 60, 14), **ხქმ(ნე)** (პროტოევანგ., 53), და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და **მოხიქცეს** იერუსალჵმდ (ქრესტ., 19, 18), **ხიკურთხა** (პროტოევანგ., 60), და **მიხიქცეს** და ხუთხრნეს სიტყუანი ესე (ქრესტ., 18, 4—5).

აქვე შეიძლება გაერთიანდეს ისეთი /ე-/ ალომორფიანი ვნებითი გვარის ზმნები, რომლებიც ძველ ქართულში ერთპირიანნი არიან, მაგ., და ვითარცა **აღხესრულნეს** დღენი იგი რვანი... (ქრესტ., 14, 31), მუნ ხიხარებნ, სადა უშურველი იგი სიყვარული **აღხესრულებინ** (მრ., 17 b 8) და სხვა.

ხანმეტ ლექციონარსა და იერემიას ნაწყვეტების ტექსტში ამგვარსავე შემთხვევებში /ხ-/-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /ჰ-/: ვარსკულავნი გარდამოცუენ ზეცით და ძალნი ცათანი **შეჰიძრნენ** (ლექც., 63, 29), სადაცა [ჰი]ყოს საფასჵ თქუენი, მუნცა **ჰიყოს** გული თქუენი (ლექც., 64, 34), შდრ. არა წარჯდეს ნათესავი ესე, ვიდრემდის არა ესე ყოველი **ხიყოს** (ლექც., 63, 34), **განჰირყუნა** განრყუნით ყოველი ქუეყანაჲ (იერ., 12, 11).

/ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმებში /ხ-/-ს ხულთან მონაცვლეობის შემთხვევები არსებითად მხოლოდ ხანმეტ მრავალთავში დას-

ტურდება[1]: **შეიწირვის** (მრ., 1 b 2), შდრ. **შეხიწირის** (ქრესტ., 24, 26), **გარდაიქცეს** (მრ., 25 b 2), **იქცენ** (მრ., 10 a 1).

თავის დროზე ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება ხანმეტი მრავალთავის ერთ სპეციფიკას: „პირველ სუბიექტურ პირში ხანმეტობა ვერ ხარობს“ [2]. ეს სპეციფიკა /ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმებშიც ასახულია: უბიწო **ვიყვნეთ** (მრ., 22 a 3), შემძლებელ **ვიყვენით** ხილვად მზისა (მრ., 8 a 14), შდრ. **ხუყვენით** (ქრესტ., 11, 4 და 5), კაცთა თანა **ვიქცეოდი** ვითარცა კაცი (მრ., 6 a 22).

ჰაემეტ ტექსტებში კი /ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმებში დასტურდება /ჰ-/. როგორც ზემოთ დავინახეთ, /ჰ-/-ს ხმოვნების წინ ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /Ø/. ეს სპეციფიკა /ი-/ ალომორფიან ვნებითშიც ასახულია: ხოლო სამოსელი მისი სპეტაკ **ჰიყო** ვითარცა თოვლი (ქრესტ., 47, 19), **ჰიყავ** შენ ცოცხალ (ქრესტ., 49, 33), და **ჰიყვნეს**, რაოდენთა-იგი ჰამეს, ვითარ ხუთ ათას მამაკაც ხოლო (ქრესტ., 50, 13), რამეთუ **იყვნეს** გულნი მათნი შესულებულ (ქრესტ., 50, 21), უწყოდა, რაჲ-იგი **ჰიქმნა** მის ზედა (ქრესტ., 49, 31), და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად (ქრესტ., 47, 18), **მოიქცა** იესუ, იხილნა იგინი (ქრესტ., 53, 8), ამისათჳს მრავალნი მოწაფეთა მისთა-განნი **უკუნჰიქცეს** და არღარა მის თანა ვიდოდეს (ქრესტ., 53, 19), **განიპის** (ქრესტ., 48, 31—32), **განიკურნა** გუემულებისაგან (ქრესტ., 49, 25), აღავსნეს ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე **დაითქმოდეს** იგინი (ქრესტ., 52, 16), ღუნოჲ **დაითხიოს** (ქრესტ., 48, 34), და შევიდა, სადა-იგი **ჰიდვა** მკუდარი იგი ყრმაჲ (ქრესტ., 50, 8), ბოროტად **იგუემების** (ქრესტ., 47, 30).

ისმის კითხვა: როგორი კვალიფიკაცია შეიძლება ძიეცეს სინქრონიულად ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა /ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმებში დადასტურებულ /ხ-/-სა და /ჰ-/-ს? მარტივია ვითარება მეორე სავალდებულო პირის ფორმაში, აქ /ხ-/ და /ჰ-/ S_2 მორფემის კუთვნილებაა ყოველგვარ ზმნაში (გარდა წართქმითი ბრძანებითისა) და, ამდენად, — /ი-/ ალომორფიან ვნებითშიც, მაგ., ნუ დახწჯით, რაჲთა არა **დახისაჯნეთ**, რამეთუ რომლითა ხწჯით, ძითცა **ხისაჯნეთ** (ქრესტ., 6, 20—21), მოძღუარ, სადა **ჰიყოფი**? (ქრესტ., 53, 10), შდრ. ერთპირიანი ზმნები: **ხზუაობ** და ხიტყუ (ქრესტ., 44, 21), გზასა წარ-მართთასა ნუ **მიხუალთ** და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ **შეხუალთ** (ქრესტ., 8, 12—13), რაჲსა აღშფოთებულ **ხართ** და **ჰტირთ**? (ქრესტ., 50, 5).

სამაგიეროდ /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პირველი და შესამე სა-

---

1 რამდენიმე გამონაკლისის შესახებ იხ. ზ. ხარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 119.
2 ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 115.

ვალდებულო პირის ფორმებში დადასტურებულ /ხ-/-სა და /ჰ-/-ს სათანადო მორფოლოგიური ფუნქცია არ ეძებნება: /ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმა, როგორც ცნობილია, ყველა შემთხვევაში ერთპირიანია, ეს ერთი პირი (სავალდებულო პირი) სათანადო აფიქსებით აღინიშნება ისევე, როგორც ყოველგვარ ზმნაში. ამიტომ /ხ-/-სა და /ჰ-/-ს აქ ვერ მივიჩნევთ პირის რომელიმე მორფემის წარმომადგენლად, ისინი მოცემულ შემთხვევაში უფუნქციო სეგმენტებია.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ერთპირიან ზმნაში /ხ-/ და /ჰ-/, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ ის შეიცავს ვნებითის მორფემის /ი-/ (ან /ე-/) ალომორფს, ე. ი. /ხ-/ (შესაბამისად /ჰ-/) ვნებითის /ი-/-ს მუდმივი თანმხლებია, სხვაგვარ ერთპირიან ზმნაში კი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ის არ დასტურდება. ამიტომ შეუძლებელი არ არის /ი-/ ალომორფიან ვნებით'ში სინქრონიულად (მაგრამ არა — დიაქრონიულად) /ხ-/ და /ჰ-/ დავახასიათოთ როგორც ვნებითის ქვემორფემა (დამატებითი მორფე'მა). ამგვარ კვალიფიკაციას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ სხვა ზმნათა S_1 და S_3 ფორმებში /ხ-/ და /ჰ-/ A_3 მორფემის წარმომადგენლად გვეელინებიან, მაგრამ მხარს უჭერს ის, რომ /ი-/ ალომორფიან ვნებით'ში არასავალდებულო პირი არ არსებობს.

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ყოველგვარი სხვა ერთპირიანი ზმნისათვის ნორმაა /ხ-/-სა და /ჰ-/-ს უქონლობა.

მაგალითები ხანმეტი ტექსტებიდან: **დაჯდა** (ქრესტ., 15, 24), ოდეს **მოჯდეს** ჟამი უპოვარებისაჲ და არა **მოვიდეს**... (ქრესტ., 24, 34), და **გარდამოჯდა** წვიმაჲ და აღდგეს მდინარენი და **ჭროდეს** ქარნი (ქრესტ., 7, 25), **განჯმეს** სიყუარული მრავალთაჲ (ქრესტ., 11, 25), **განიხარეს** მოწაფეთა (ლექც, 62, 20), ვჭამოთ და **ვიხარებდეთ** (ქრესტ., 16, 20), ხესმა, იწრაფა და **შევიდა** სახლსა ზაქარიაჲსსა (ქრესტ., 45, 14), ძჱ ჩემი მკუდარ ხიყო და **განცოცხლდა** (ქრესტ., 16, 21), ხოლო რომელმან დაითმინოს, იგი სრულიად **ცხოვნდეს** (ქრესტ., 8, 21), ვარსკულავნი **გარდამოცუვენ** ზეცით (ლექც., 63, 29), რომელი არა **გამოცხადნეს** (ქრესტ., 8, 30).

მაგალითები ჰაემეტი ტექსტებიდან: **დაჯდა** და ასწავებდა ერსა მას (ქრესტ., 52, 8), არა **წარჯდეს** ნათესავი ესე (ქრესტ., 52, 33). მეყსეულად **განჯმა** წყაროჲ იგი სისხლისა მისისაჲ (ქრესტ., 49, 24), და **იხარებდეს** მის თანა (ქრესტ., 51, 18), **შეწუხნა** მეფჱ იგი (ქრესტ., 47, 12), და ჭამეს ყოველთა და **განძღეს** (ქრესტ., 50, 12), ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და **ძწოდა** (ქრესტ., 49, 30), ღამე ყოველ **დავიუერით** და არარაჲ მოვიღეთ (ქრესტ., 52, 11), და **განვიდოდეს** ეშმაკნი მრავალთაგან, **ღაღადებდეს** და იტყოდეს (ქრესტ., 51, 27),

ცოდვილნი სხდეს იესუას თანა (ქრესტ., 48, 18), როკვიდა ასული იგი (ქრესტ., 47, 8).

ასეთია ნორმა იმ ერთპირიანი ზმნებისათვის, რომლებიც არ წარმოადგენენ /ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმას, მაგრამ დასტურდება გამონაკლისები ამგვარ ზმნებში /ხ-/-ს (ხანმეტში) და /ჰ-/-სა და /ჰს-/-ს (ჰაემეტში) გამოვლენისა: და ვითარცა **დახცხრა** სიტყუად, ხრქუა სიმონს (ქრესტ., 15, 25), და ვითარცა **ხისადილნეს**, ხრქუა სიმონ-პეტრეს იესუ (ქრესტ., 22, 9—10), და **დაჰცხრა** ქარი იგი (ქრესტ., 50, 19), და ვითარცა **დაჰსცხრა** სიტყუად, ჰრქუა სიმონს (ქრესტ., 52, 9), და უკუეთუ განჰუტევნე უზმანი ვანად მათა, **დაჰჯნდენ** გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან (ქრესტ., 50, 28) და ზოგი სხვა [1].

1.02.12. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე მეგრულში. პირველი არასავალდებულო პირის მორფემა წარმოდგენილია /ვ-/, /ბ-/, /ფ-/, /პ-/ ალომორფებით [2]. მათი გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული:

/მ-/ ალომორფი დასტურდება ხმოვნების წინ, მაგ., მ-ოკო „მინდა“; მ-იღუ „მაქვს“, მ-აფულუ „მემალება“ და სხვა.

/ბ-/ — მჟღერ თანხმოვანთა წინ, მაგ., ბ-გორუნს „მეძებს“, ბ-დვანს „მდებს“, ბ-ჯუდუნს „მკოცნის“, ბ-ზიმუნს „მზომავს“ და სხვა.

/ფ-/ — ფშვინვიერთა წინ, მაგ., ქო-ფ-თხუ „მთხოვა“, ფ-ხანტუნს „მხატავს“, ფ-შქირენს „მშია“, ფ-შუ „მახსოვს“ და სხვა.

/პ-/ — მკვეთრთა წინ, მაგ., პ-კითხუ „მკითხა“, პ-ჭარუნს „მწერს“, პ-კვათუნს „მჭრის“, პ-ტახუნს „მტეხს“ და სხვა.

მეორე არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულში ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფით არის წარმოდგენილი: ხმოვნების წინ დასტურდება /გ-/, ხოლო თანხმოვნების წინ /რ-/, მაგ., გ-ოკო „გინდა“, გ-იღუ „გაქვს“, გ-აფულუ „გემალება“, რ-დვანს „გდებს“, რ-ზიმუნს „გზომავს“, რ-ხანტუნს „გხატავს“ და სხვა.

მესამე არასავალდებულო პირი მეგრულში ოპოზიციის არამარკირებული წევრია, მის აღმნიშვნელად რაიმე სეგმენტური ერთეული არ დასტურდება, მაგ., კითხუ „ჰკითხა“, დოჭარუ „დაწერა“, დოხანტუ „დახატა“, დოთასუ „დათესა“, თასუ „თესა“ და სხვა [3].

---

1 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120—121.

2 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914 г., გვ. 074—085; ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 97; გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, 1953 წ., გვ. 24.

3 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 075—085; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 97—99.

1.02.13. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ჭანურში. შეიძლება აღინიშნოს ორი ძირითადი თავისებურება, რითაც ჭანური განსხვავდება მეგრულისაგან:

1. პირველი არასავალდებულო პირის მორფემის /მ-/, /ბ-/, /ფ-/, /ვ-/ ალომორფთა ნაცვლად, რომლებიც მეგრულში დასტურდება, ჭანურში მოცემულია მხოლოდ /მ-/, მაგ., მ-იღუნ „მაქვს“, მ-კითხუ „მკითხა“, გე-მ-ჩუ „დამარტყა“, მ-ჯოხონს „მქვია“ და სხვა [1].

2. მეორე არასავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დასტურდება /გ-/, რომელსაც ფშვინვიერთა (ჩვეულებრივ— ჩ-ს) წინ ზოგჯერ /ქ-/ ენაცვლება, მაგ., გ-იღუნ „გაქვს“, გ-კითხუ „გკითხა“, გე-გ-ჩუ „დაგარტყა“, გ-ჯოხონს „გქვია“, ქომე-ქ-ჩამ „მოგცემ“ და სხვა [2].

1.02.14. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სვანურში. ხერხდება შემდეგი უგამონაკლისო წესის დადგენა: **თანამედროვე სვანურში პაუზის მომდევნოდ (ე. ი. უზმნისწინო ფორმებში) პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია.** ამის გამოა, რომ არასავალდებულო პირთა (პირველის, მეორის, ინკლუზივის, ექსკლუზივის) მორფემები სხვადასხვა ალომორფებით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, პოზიციაში # — V, ხოლო მეორე მხრივ, პოზიციაში #—C.

პირველი არასავალდებულო პირის მორფემა. დასტურდება ალომორფები /მ-/ და /მგ-/. პაუზის მომდევნოდ /მ-/ ყოველთვის ხმოვნის წინ (ე. წ. თავკიდურხმოვნიან ზმნებში) გვხვდება, მაგ., მ-ამარე (ბქვ., ლნტ. მ-ამარე) „მამზადებს“, მ-ათური „მასწავლის“, მ-ატხე (ლშხ. მ-ატხე) „მიბრუნებს“ და სხვა, ხოლო /მგ-/ — ყოველთვის თანხმოვნის წინ (ე. ი. თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში), მაგ., მგ-ტხე „მაბრუნებს“, მგ-ცური (//მუ-ცური) „მტოვებს“ და სხვა [3].

პოზიციაში V—C (ე. ი. ზმნისწინიან ფორმებში) A_1 /მგ-/ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ ზმნის ფორმა ამ გ ელემენტის გარდა ერთზე მეტ ხმოვანს არ შეიცავს (ე. ი. როცა არ არსებობს გ-ს სინკოპის ბირობა). ასეთი ვითარება დასტურდება მხოლოდ მაშინ, როცა პირველ არასავალდებულო პირთან ერთად ზმნა შეიცავს მეორე სავალდებულო პირსაც, მაგ., ა-მგ-ტხ „დამაბრუნე“, ა-მგ-ცურ (//ა-მუ-ცურ) „დამტოვე“ და სხვა.

ზმნისწინიან ფორმებში ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია

---

1 ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 92.

2 იქვე.

3 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 15—16.

/მ-/ ალომორფი, მაგ., ა-მ-ტიხ „დამაბრუნა“, ა-მ-ცუირ „დამტოვა“, ა-მ-მარე „მომამზადა“ და სხვა.

მეორე არასავალდებულო პირის მორფემა. დასტურდება ალომორფები /ჯ-/ და /ჯგ-/. მათი განაწილება ისეთივეა, როგორიც A_1 მორფემის /მ-/ და /მგ-/ ალომორფებისა, ამიტომ აქ მხოლოდ ნიმუშების დასახელებით დავკმაყოფილდებით:

/ჯ-/ პოზიციაში # — V: ჯ-ამარე (ბქვ., ლნტ. ჯ-ამარე) „გამზადებს“, ჯ-ათური „გასწავლის“, ჯ-ატხე (ლშხ. ჯ-ატხე) „გიბრუნებს“ და სხვა.

/ჯგ-/ პოზიციაში # — C: ჯგ-ტხე „გაბრუნებს“, ჯგ-ცურე (//ჯუ-ცურე) „გტოვებს“ და სხვა.

V—C პოზიციაში A_2/ჯგ-/-ს გამოვლენა იმავე პრინციპს ემყარება, რომელსაც A_1 /მგ-/-სი. ამ პოზიციაში /ჯგ-/ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ მეორე არასავალდებულო პირთან ერთად ზმნა შეიცავს პირველ სავალდებულო პირსაც, მაგ., ა-ჯგ-ტხ „დაგაბრუნე“, ა-ჯგ-ცურ (//ა-ჯუ-ცურ) „დაგტოვე“ და სხვა.

ხმოვნის მომდევნოდ ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია /ჯ-/ ალომორფი, მაგ., ა-ჯ-ტიხ „დაგაბრუნა“, ა-ჯ-ცუირ „დაგტოვა“, ა-ჯ-მარე „მოგამზადა“ და სხვა. ამ პოზიციაში /ჯ-/-ს ზოგჯერ თავისუფლად ენაცვლება /ჲ-/, მაგ., ლშხ., ბქვ. ა-ჲ-ტიხ (//ა-ჯ-ტიხ) „დაგაბრუნა“, ა-ჲ-ცუირ „დაგტოვა“, ე-ჲ-ცუირ „დაგიტოვა“, ლშხ. ა-ჲ-კუჳარ (//ა-ჯ-კუჳარ) „ჩამოგაგდო“, ე-ჲ-ჯიდ (//ე-ჯ-ჯიდ) „ძოგიტანა“ და სხვა.

სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, პირველსა და მეორე პირის ფორმაში არასავალდებულო a და არასავალდებულო b ერთი და იმავე მორფოლოგიური ერთეულებით აღინიშნება, მაგ., მ-ახტჳუ „მხატავს“ — მ-იხტჳუ „მიხატავს“, მ-ამარე „ამზადებს“ — მ-იმარე „მიმზადებს“ და სხვა. სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს მესამე პირი.

მესამე არასავალდებულო პირის მორფემა. თანამედროვე სვანურში სეგმენტური ერთეულით მხოლოდ არასავალდებულო a პირი აღინიშნება, მესამე არასავალდებულო b პირის აღმნიშნელად კი სეგმენტური ერთეული არც ერთ შემთხვევაში არ დასტურდება [1].

მესამე არასავალდებულო a პირის მორფემა თანამედროვე სვანურში ორი ალომორფით არის წარმოდგენილი — /ხ-/ და /Ø/.

/ხ-/ დასტურდება პაუზისა და ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ე. ი. უზმნისწინო და ლა-, ან- ზმნისწინიან ფორმებში), მაგ., ხ-აბემ „აბამს (ის მას მას)“, ხ-ათერ „ატყობს“, ბზ., ბქვ. ხ-აჰუდი, ლშხ.

---

1 იქვე, გვ. 15.

ხ-ვუდი, ლნტ. ხ-ვუედი „აძლევს“, ხ-ოსყი „უკეთებს“, ხ-ოგემ „უგებს“, ხ-აძგერ „ატაკა“, ლა-ხ-ტიხ „დაუბრუნა“, ბზ., ბქვ. ლა-ხ-ტახ, ლშხ. ლე-ხ-ტახ „მიუბრუნდა“, ბზ., ბქვ. ა-ხ-თიშ, ლნტ. ა-ხ-ათიშ, ლშხ. ა-ხ-თიშე „ამოარჩია“, ბზ. ა-ხ-ბაშდს, ლშხ. ე-ხ-ბაშდეს „გამოართვას“ და სხვა.

მესამე არასავალდებულო a პირის მორფემა /Ø/ ალომორფით წარმოდგენილია თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ად- და ეს-ზმნისწინიან ფორმებში), ე. ი. ზემოთ მოცემული III_2 წესის მოქმედების არეში, მაგ., ათ-ბე „მიაბა, დააბა“, ათ-ქუე „ჩააცვა“, ბზ., ბქვ. ეს-გუეშ, ლნტ. ას-გუეშ, ლშხ. ეს-გოშე „დაასხა“, ეს-ბე „დააბა“ და სხვა. ერთადერთი გამონაკლისია ბზ. ათ-ხ-ად, ბქვ. ათ-ხ-ად, ლნტ. ათ-ხ-ადა „თქვა“.

ინკლუზივ-ექსკლუზივი. როგორც ცნობილია, არასავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება მხოლოდ ბალსზემოურისა და ბალსქვემოურისთვის არის დამახასიათებელი, თანამედროვე ლაშხურსა და ლენტეხურში კი ეს ოპოზიცია არ არსებობს. ამდენად, ამ თვალსაზრისით განსახილველია მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტთა ვითარება.

არასავალდებულო პირის ინკლუზივისა და ექსკლუზივის მორფემათა ალომორფების განაწილება არსებითად იმავე პრინციპს ემყარება, რომელსაც პირველი და მეორე არასავალდებულო პირის მორფემათა ალომორფებისა, ამიტომ დავკმაყოფილდებით მხოლოდ პოზიციებისა და ნიმუშების ჩვენებით:

არასავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემა. პაუზის მომდევნოდ (ე. ი. უზმნისწინო ფორმებში) ინკლუზივის მორფემა წარმოდგენილია /გუ-/ და /გუ-/ ალომორფებით.

პოზიციაში #— V დასტურდება /გუ-/ ალომორფი, მაგ., ბზ., გუ-ამარე, ბქვ. გუ-ამარე „გვამზადებს“, გუ-ათური „გვასწავლის“, გუ-ატხე „გვიბრუნებს“ და სხვა.

პოზიციაში # — C კი მოცემულია /გუ-/ (</გუგ-/), მაგ., გუ-ტხე „გვაბრუნებს“, გუ-ცური „გვტოვებს“ და სხვა.

V—C პოზიციაში Ai /გუ-/-ს გამოვლენა იმავე პრინციპს ემყარება, რომელსაც A_1 /მგ-/-სი. ამ პოზიციაში /გუ-/ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, თუ არასავალდებულო პირის ინკლუზივის ფორმაში სავალდებულო პირი არის მეორე, მაგ., ო-გუ-ტხ „დაგვაბრუნე“, ო-გუ-ცურ „დაგვტოვე“ და სხვა.

ხმოვნის მომდევნოდ ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია /გუ-/ ალომორფი, მაგ., ო-გუ-ტიხ „დაგვაბრუნა“, ო-გუ-ცური „დაგვტოვა“, ბზ. ო-გუ-მარე, ბქვ. ო-გუ-მარე „მოგვამზადა“ და სხვა.

არასავალდებულო პირის ექსკლუზივის მორფემა პაუზის მომდევნოდ წარმოდგენილია /ნ-/ და /ნგ-/ ალომორფებით.

პოზიციაში #—V დასტურდება /ნ-/, მაგ., ნ-ათური „გვასწავლის“, ნ-ატხე „გვიბრუნებს“, ბზ. ნ-ამარე, ბქვ. ნ-ამარე „გვამზადებს“ და სხვა.

პოზიციაში # — C კი მოცემულია /ნგ-/, მაგ., ნგ-ტხე „გვაბრუნებს“, ნგ-ცურე „გვტოვებს“ და სხვა.

V—C პოზიციაში კი Ae მორფემის /ნგ-/ მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ არასავალდებულო პირის ექსკლუზივის ფორმაში სავალდებულო პირი არის მეორე, მაგ., ა-ნგ-ტხ „დაგვაბრუნე“, ა-ნგ-ცურ „დაგვტოვე“ და სხვა.

ხმოვნის მომდევნოდ ყველა სხვა შემთხვევაში დასტურდება /ნ-/, მაგ., ა-ნ-ტიხ „დაგვაბრუნა“, ა-ნ-ცური „დაგვტოვა“, ბზ. ა-ნ-მარე, ბქვ. ა-ნ-მარე „მოგვამზადა“ და სხვა.

1.03. პირის მორფემათა დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

ა) შ ი ნ ა გ ა ნ ი რ ე კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

1.03.1. პირველი სავალდებულო პირის მორფემა ქართულში. როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში (დიალექტებითურთ) S_1 მორფემის წარმომადგენლად დასტურდება /ვ-/ და /Ø/. ეს კი თითქოს შესაძლებლობას არ გვაძლევს მოვახდინოთ რაიმე სხვა არქეტიპის შინაგანი რეკონსტრუქცია. მაგრამ ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს როგორც თანამედროვე, ისე ძველი ქართულის, განსაკუთრებით კი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების, ჩვენება. საქმე ის არის, რომ S_1 /ვ-/-ს უშუალო მეზობლად დასტურდება A_3 მორფემის სეგმენტური წარმომადგენელი. სავალდებულო და არასავალდებულო პირთა აღმნიშვნელ პრეფიქსულ მორფემათა ამგვარი თანმიმდევრობის სხვა შემთხვევა ქართულში არ არსებობს (არც ძველში, არც ახალში, არც დიალექტებში). ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეული ალბათობით ქართულში მოვახდინოთ პირველი სავალდებულო პირის მორფემის არქეტიპის შინაგანი რეკონსტრუქცია. მაგრამ რადგანაც საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან სხვა ქართველური ენებიც, ამიტომ ამ პროცედურას წარმოვადგენთ შედარებით რეკონსტრუქციასთან კომბინირებულად.

1.03.2. მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირთა მორფემები ქართულში. თავისთავად ცხადია, რომ ყოველი პირის მორფემა ცალკე განხილვის ობიექტია, მაგრამ რადგანაც ქართული

ენის ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე S_2 და A_3 მორფემები გამოხატულების პლანში ერთმანეთს ემთხვევიან, ამიტომ ტრადიციულად ისინი ერთად განიხილებიან. განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით მათ ჩვენც ერთმანეთის გვერდით ვაანალიზებთ.

სალიტერატურო ქართულში, როგორც ძველში (გარდა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისა), ისე ახალში და თანამედროვე ქართულ დიალექტებში აღნიშნულ მორფემათა ალომორფების განაწილება ფონოლოგიურად არის შეპირობებული (იხ. ზემოთ). ეს კი გვავარაუდებინებს, რომ რომელიღაც ერთი საერთო არქეტიპისაგან სხვადასხვა ფონოლოგიურ გარემოცვაში დიაქრონიულად სხვადასხვა ალომორფები წარმოიქმნა.

ქართველოლოგიაში ამჟამად დავას არ იწვევს, რომ IX საუკუნის შემდეგდროინდელ მთელ ქართულში დადასტურებული S_2 და A_3 მორფემათა სხვადასხვა ალომორფები (გარდა S_2 /ხ-/-სი) /ჰ-/-საგან მომდინარეობენ (უშუალოდ თუ შუალობით): /ს-/ < /ჰ-/ დენტალური ხშულებისა და აფრიკატების წინ (რეგრესული ასიმილაცია რიგის მიხედვით). თავის მხრივ /ს-/-საგან სხვადასხვა ფონოლოგიურ პოზიციაში (ასიმილაციის მოქმედების საფუძველზე) სხვადასხვა დიალექტებში წარმოიქმნა /შ-/, /ზ-/, /ჟ-/ ალომორფები. თუ ეს ასეა, მაშინ /ჰ-/ უნდა მივიჩნიოთ ამოსავლად აგრეთვე მთის დიალექტებში დადასტურებულ /ხ-/, /ღ-/ ალომორფებისათვისაც, რომელთა გამოვლენაც აგრეთვე ფონოლოგიური პოზიციით არის შეპირობებული. აღმოსავლურ დიალექტთა ერთ ნაწილში მოცემული /ჲ-/</ჰ-/, ან /ჲ-/</ს-/</ჰ-/ ხმოვნების წინ კი /Ø/</ჰ-/.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია ა. შანიძის დასკვნა, რომლის მიხედვითაც IX საუკუნის შემდგომდროინდელი ქართული, როგორც სალიტერატურო, ისე ყველა ქართული დიალექტი, ჰაემეტობის უშუალო მემკვიდრეა[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე S_2 და A_3 მორფემები ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში /ჰ-/-ს სახით იყო წარმოდგენილი. ამ დასკვნას ჭდავოს ხდის ჰაემეტობის გადმონაშთები IX—X საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში, განსაკუთრებით კი — ჰაემეტ ტექსტთა არსებობა.

მაგრამ რადგანაც ჰაემეტი ტექსტების გარდა მოიპოვება ხანმეტი ტექსტებიც, სადაც S_2 და A_3 მორფემები /ხ-/-ს სახით არის წარმოდგენილი, ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი /ჰ-/ და /ხ-/ სახესხვაობათა დიაქრონიული ურთიერთმიმართების შესახებ.

უძველესი ქართული ხელნაწერების — ხანმეტი და ჰაემეტი ტექს-

---

1 ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 360.

ტების — აღმოჩენის შემდეგ /ხ-/-სა და /ჰ-/-ს დიაქრონიული ურთიერთმიმართების შესახებ რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება იქნა წამოყენებული:

ი. ჯავახიშვილის აზრით, /ხ-/ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს /ჰ-/-ს: /ხ-/>/ჰ-/. ეს ვარაუდი ემყარება იმ ფაქტს, რომ ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს [1].

ა. შანიძის თვალსაზრისით კი, პირიქით, ამ პრეფიქსთა არქეტიპი არის /ჰ-/, ხოლო /ხ-/ მისგან არის მიღებული: „...აღნიშნული პრეფიქსების ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ. დანარჩენი სახეები (ნული, ჲ, ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ) ამ ძირითადი სახისაგან არიან განვითარებული ბგერათა შენაცვლების ნიადაგზე“. „...საერთო ქართულისათვის ჩვენი პრეფიქსების პროტოტიპულ სახედ უნდა ვიცნათ ჰაე, რომლისაგანაც შემდეგ წარმოიშვა სხვა სახეები და მათ შორის ხანიც“. ეს დებულება ემყარება უაღრესად საყურადღებო არგუმენტს: საპირისპირო ვარაუდის შემთხვევაში „...როგორ უნდა ავხსნათ, რომ ხანის ჰაედ შეცვლა მხოლოდ პრეფიქსებში მოხდა, ხოლო სხვაგან კი არა? რატომ გვაქვს ჩვენ დღეს **ხარება, ხატი, ახალი, ხედვა, სახელი, ხილვა, ხოლო, ხუთი** და სხვა მრავალი, და არა (ჰ)არება, (ჰ)ატი, ა(ჰ)ალი, (ჰ)ედვა, სა(ჰ)ელი, (ჰ)ოლო, (ჰ)უთი და მისთ.“ [2].

/ჰ-/-ს პოსტულირება ა. შანიძეს შესაძლებლად მიაჩნია საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზეც „რადგანაც მეგრულ-ჭანურიც არსებითად ჰაემეტი კილოს ჩამომავალია“ [3].

/ჰ-/-ს კვალს ა. შანიძე ადასტურებს სვანურშიც. მისი აზრით, ად-ზმნისწინის თ ელემენტიანი ვარიანტის მიღების გზა ასეთია: ად+ჰ>ათ: მესამე ირიბობიექტური (ე. ი. არასავალდებულო a) პირის ნიშნის „ძირითადი სახეა „ჰ“, რომელიც „...ად-თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ დ-ონს აფშვინვიერებს, თ-ანად აქცევს და თვითონ ამ თ-ანის ფშვინვიერობაშია მიჩქმალული: ადჰ>ათ“ [4]. მაშასადამე, /ჰ-/ საერთო-ქართველურ საფეხურზე აღდგება.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თსუ მოამბე, II, 1922—1923 წ., გვ. 365; ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ., გვ. 446—449; აქვე ი. ჯავახიშვილი დამატებით არგუმენტად მიიჩნევს მის მიერ ნავარაუდევ ხანმეტობის ნაშთებს მეგრულში. ამის შესახებ იხ. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 77—80.

[2] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 360.

[3] იქვე.

[4] ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957 წ., გვ. 332—333.

ყოველივე ამან განაპირობა ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა ურთიერთმიმართების თავისებური დახასიათება: „...განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი მეორეზე“ [1].

ა. ჩიქობავა, ნაშრომში „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“ დაწვრილებით განიხილავს ზემოაღნიშნულ ორ თვალსაზრისს და მიუთითებს თითოეული მათგანის ძლიერ და სუსტ მხარეებზე: „უდიდესი არგუმენტი პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრის სასარგებლოდ ის არის, რომ პრეფიქსებს გარდა, სხვა მხრივ ხანმეტ ტექსტებს მართლაც არავითარი თვალსაჩინო განსხვავება არ ახასიათებს მე-IX—X საუკუნის ძეგლებთან შედარებით, — უდიდესი არგუმენტი მის წინააღმდეგ კი ის არის, რომ სრულებით გაუგებარია: როგორ მოხდა, რომ ფონეტიკურმა ცვალებადობამ თავი იჩინა მხოლოდ გარკვეულს გრამატიკულს კატეგორიაში — პრეფიქსებში, და არ შეეხო სხვა ელემენტებს?...

და კიდევ: როგორ მოხდა, რომ ხანი პრეფიქსებში ყველგან გადაგვარდა ჰაედ, ხოლო ორს შემთხვევაში: „ხარ“ და „ხუალ“ ზმნაში „გაქვავდა“ და დღემდის მოაღწია?!“.

ამ ორი საკითხის „აუხსნელად ხანმეტობიდან ჰაემეტობაში გადასავალი გზა დახშულია. ხანმეტის ჩვენების ის ინტერპრეტაცია, რომელსაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი იძლევა, ამრიგად ჩიხით თავდება“. „ამრიგად, ხანის „ზოგად ქართულ მოვლენად“ გამოცხადება დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება“.

გარდა იმისა, რომ ჰაემეტ ტექსტებში ძნელი ასახსნელია ფორმა „ხარ“, „პროფ. ა. შანიძის შეხედულებას, საერთოდ ძრავალმხრივ ძკვიდრ ნიადაგზე მდგომს, მძიმე ტვირთად აწევს მოვალეობა, ახსნას: ერთი კილოს (ხანმეტის) ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობა, როცა ძეორე კილოს (ჰაემეტის) წიაღში შობილმა შესცვალა, რად არ იჩინა თავი განსხვავებამ პრეფიქსებს გარდა სხვა ელემენტებში: მაგალითად, სუფიქსებში... სინტაქსში და სხვ.“.

ა. ჩიქობავას მიერ მოცემული ზოგადი შეფასება ასეთია: „ხანმეტობის გენეზისის ახსნას დიალექტური თეორიის (ე. ი. ა. შანიძის თვალსაზრისის — ა. ო.) ნიადაგზე უფრო ნაკლები დაბრკოლებები ეღობება; ხანმეტი სამწერლობო ქართულის შემდეგი ევოლუცია კი უნიტარი თეორიის (ე. ი. ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისის — ა. ო.) სასარგებლოდ ლაპარაკობს; სხვანაირად რომ ვთქვათ: დიალექტური თეორია

---

[1] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 361.

...ძლიერია, რამდენადაც იგი ხანს დიალექტური წარმოშობისად მიიჩნევს, ხანის „გაჩენას“ დიალექტს მიაკუთვნებს, მაგრამ სუსტი, რამდენადაც მის „დაკარგვას“ აგრეთვე დიალექტურ ნიადაგზე ხსნის... დღემდე არსებული ფაქტები უსათუოდ ლაპარაკობენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრის სასარგებლოდ, მაგრამ როდესაც ამ ფაქტიდან მკვლევარი დასკვნას აკეთებს, არც ოდესმე გვქონია დიალექტიზმთან საქმეო, ძნელი დასაძლევი ხდება დაბრკოლებათა რიგი“.

საბოლოოდ ა. ჩიქობავა დაასკვნის: „არც ერთს დღემდე წამოყენებულ თეორიას არ ძალუძს იგი (ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართება — ა. ო.) დამაკმაყოფილებლად ახსნას, მასზე სწორი პასუხის გაცემა მომავლის საქმეა“ [1].

ვ. თოფურია იზიარებს ვარაუდს, რომლის მიხედვითაც სვანური ად- ზმნისწინის ათ- ვარიანტის თ ელემენტი დ-სა და ჰ-ს შერწყმით არის მიღებული. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ხედავს სიძნელეებს სვანურში /ჰ-/-ს არსებობის დაშვებისათვის: „სვანურში არამცთუ ჰ-ს პრიმარობაა საძიებელი, არამედ პრეფიქსი რომ იყო ჰ-, ეს ჯერ კიდევ სვანური მასალით არ არის დამტკიცებული“. და მაინც, ვ. თოფურია შესაძლებლად მიიჩნევს /ჰ-/-ს პოსტულირებას საერთოქართველურში და, ამდენად, — სვანურშიც: „...ქართველურ ენათა შედარება ჰ-ს სასარგებლოდ ლაპარაკობს: ა) ხანმეტის ხ- შეუძლებელი არ არის ჰ-საგან იყოს წარმომდგარი და ბ) მეგრულ-ჭანურში არსებული ნულსუფიქსი უთუოდ შედეგია ოდესმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი ჰ- თავსართისა, ამდენად შესაძლებლობა არის, რომ პრექართულში II პირის ნიშნად ჰ- გამოვაცხადოთ. და თუ ეს ასეა, მაშინ ჰ-ს არსებობის დაშვებას სვანურში რაღა ეღობება წინ? სვანური ხომ პრექართულის ნაყარია, მისი ერთ-ერთი შტოთაგანი! მასაც ხომ შეეძლო საერთო „ქონებიდან“ წამოეღო ჰ-...“ [2].

აქედან ჩანს, რომ ვ. თოფურია /ხ-/-ს არქეტიპად /ჰ-/-ს მიიჩნევს.

გ. დეეტერსის აზრით, ქართველურ ენებში ხ, ჩვეულებრივ, ჰ-საგან არ არის მიღებული და არც პირიქით, ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ერთი ნასესხები სიტყვა — ქართ. „ხარკი“ < სომხ. hark[3]. იმის საფუძველზე, რომ ხ-სა და ჰ-ს მონაცვლეობას მხოლოდ პრეფიქსებში აქვს ადგილი, ავტორი ასკვნის, რომ ეს არის ფუნქციონალურად, და არა ფონეტიკურად, შეპირობებული მოვლენა.

ამავე დროს, გ. დეეტერსის აზრით, /ხ-/ და /ჰ-/ პრეფიქსთა ქრო-

---

1 ა. ჩიქობავა, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის, ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, წელიწადი III, № 3—4 (15—16), 1925 წ., გვ. 79—84.

2 ვ. თოფურია, შრომები, გვ. 5—6 და 18—20.

3. G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 32—33.

ნოლოგიური ურთიერთმიმართება არ გაირკვევა იმ ფაქტიდან ამოსვლით, რომ ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ჰაემეტ ტექსტებს.

გ. დეეტერსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხანმეტობის ნაშთი — ტოპონიმი „ხერთვისი“ — დასტურდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც „ჰაემეტი“ დიალექტის არსებობა ივარაუდება. ამ ფაქტის ფონეტიკური კანონებით ახსნა, ავტორის აზრით, არევდარევას იწვევს [1].

თუ გ. დეეტერსი აქ არ იძლევა არაორაზროვან პასუხს /ხ-/-სა და /ჰ-/-ს ისტორიული ურთიერთმიმართების შესახებ, შემდგომდროინდელ ნაშრომში ის /ხ-/-ს მიიჩნევს ამოსავლად, /ჰ-/-ს კი — მისგან მიღებულად [2].

თ. გონიაშვილი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისინი არსებითად ერთმანეთისაგან მხოლოდ გარკვეული პრეფიქსებით განსხვავდებიან, სხვა მხრივ კი „მათ შორის... თითქმის ენობრივ იგივეობას დავინახავთ, როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსურად, ისე ლექსიკის მხრივ“. ხანმეტობა-ჰაემეტობა დიალექტთა სადიფერენციაციო ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: „1. ერთადერთი ნიშანი კი არ არის, არამედ ერთ-ერთი და 2. როდესაც ეგი, როგორც მორფოლოგიური მოვლენა, მეტი სავსეობით არის მოცემული და არ არის დაყვანილი ფონეტიკური მოვლენის დონემდე“. რაკი ეს ასე არ არის, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებს ავტორი სხვადასხვა დიალექტის ასახვად არ მიიჩნევს. ამის საფუძველზე თ. გონიაშვილი დაასკვნის: „...ხ- პირის ნიშნად ჰ-ზე ადრეული მოვლენა უნდა იყოს“.

ხანმეტი ტექსტები, ავტორის აზრით, არ წარმოადგენენ ცოცხალი ენობრივი მოვლენის ასახვას, „ალმოჩენილი ხანურობა მართლაც „ხანმეტობაა“, და როგორც ცოცხალი მორფოლოგიური მოვლენა ენობრივად მკვდარია ამ ტექსტებში და ცოცხალი სამეტყველო კომუნიკაციის ელემენტი აღარ არის“, ის არის მხოლოდ „მთარგმნელობით-ფილოლოგიური ხერხი“, „ფილოლოგიური სტილიზაციის მოვლენა და არა ცოცხალი პროცესი“.

„ხარ“, „ხვალ“, „ხუცეს“ ფორმები კი, რომლებიც შემდგომდრო-

---

[1] გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 32—33.

[2] G. Deeters., Die kaukasischen Sprachen, Handbuch der Orientalistik. Erste Abteilung. Der Nahe und der Mittlere Osten. Siebenter Bang. Armenische und Kaukasischen sprachen, Leiden/köln, 1963 წ., გვ. 53.

ინდელ ქართულშიც დასტურდება, „ხანურობის აქტუალური არსებობის დროისად უნდა მიეჩნიოთ“ [1].

ჯერ კიდევ 1936 წ. ა. ჩიქობავამ დასვა კითხვა: „...ხომ არ უნდა აიხსნას ჰანურსა და მეგრულში S_2-ის უქონლობა ჰ-ს დაკარგვით კი არა, არამედ სხვაგვარად“, მეგრულ-ჭანურში „...შეიძლება O_3=0 მეორეულ მოვლენას არ წარმოადგენდეს და ქართულის O_3-ის პრეფიქსების საკითხი იყოს ასახსნელი“ [2].

უფრო გვიან ა. ჩიქობავამ სცადა /ხ-/ და /ჰ-/ დაეკავშირებინა მის მიერ ნივთის კლასის ნიშნად გამოყოფილ ს- პრეფიქსთან: „საფიქრებელია, ეს ს- პრეფიქსი იყოს ამოსავალი ხ//ჰ ფორმანტებისათვის, S_2 და O_3 როლში რომ გამოდიან... რაღაც გარდამავალი ბგერა (ჰ//ხ) ერთს შემთხვევაში ხ-დ ყალიბდება, მეორეში — ჰ-დ ქცეული, შემდეგ იკარგვის (ზანურში). ამ გარდამავალი ბგერისაგან შეიძლებოდა ხ-ც მიგვეღო.

ს- პრეფიქსის დანიშნულებას ქართულში ნივთის კატეგორიის აღნიშვნა წარმოადგენს. მაშასადამე, ჰ//ხ (→ ჰ-, ხ-) ვერც S_2 და ვერც O_3 ვერ იქნებოდა. მისი დანიშნულება უნდა ყოფილიყო იმის ჩვენება, თუ რა კლასისაა სახელი (მიუხედავად პირისა). პირის ნიშნად ეს პრეფიქსი შემდეგაა გააზრიანებული (შდრ. ს-ვლა, ს-რბა...)“ [3].

გ. როგავა იზიარებს ვარაუდს ჰ- პრეფიქსის პირველადობის შესახებ (რომელიც, თავის მხრივ, ნივთის კლასის ხ- პრეფიქსისაგან შეიძლება მომდინარეობდეს). უფრო მეტიც, ის არსებითად უარყოფს ძველ ქართულში /ხ-/-ს არსებობას: „ძველ ქართულში ზმნის მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პრეფიქსების ორი სახეობა ჰ- და ხ- არ უნდა ყოფილიყო ფონემურად განსხვავებული ორი ბგერა ჰ და ხ. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აღმნიშვნელად დასახელებულ ეპოქაში (და უფრო ადრეც) ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე ლარინგალური (თუ: ლარინგალურ-ფარინგალური) სპირანტი ჰ, რომელიც, ზოგან უფრო ღრმად გამოთქმული, იძლეოდა უკანაენისმიერი ხ სპირანტის შთაბეჭდილებას. ზოგ ძეგლში ამ აფიქსის ხანითა და ზოგში ჰაეთი აღნიშვნა არსებითად გრაფიკული ხასიათის სხვაობა უნდა ყოფილიყო. ე. ი.

---

1 თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიმკის მოამბე, ტ. IV$_2$, 1938 წ., გვ. 140—146.

2 ა. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 100—101.

3 ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში, იკე, V, 1953 წ., გვ. 59.

ერთმა ლიტერატურულმა სკოლამ ამ ლარინგალურ-ფარინგალური ბგერის გადმოსაცემად ჰაე ასო იხმარა, ხოლო მეორემ ხანი აირჩია. ეს არჩევანი, შესაძლებელია, თვით ჰ ბგერის დიალექტური სხვაობით იყო შეპირობებული: ზოგ დიალექტში ეს ჰ შეიძლება უფრო ღრმად და ინტენსიურად გამოითქმოდა, ზოგში კი — ნაკლებ ინტენსიურად". ამრიგად, „ხანმეტი კილოს არსებობა ქართულში ისტორიულად არ უნდა ვივარაუდოთ" [1].

რ. ლაფონი იზიარებს ვარაუდს, რომლის მიხედვითაც /ხ-/ მიღებულია /ჰ-/-საგან[2].

გ. მაჭავარიანს S_2 და A_3 მორფემათათვის საერთო-ქართველურ საფეხურზე პოსტულირებული აქვს /*ჰ-/ არქეტიპი. ხოლო „/*ჰ/ ფონემის ორგვარი რეფლექსის (იგულისხმება /ხ-/ და /ჰ-/ — ა. ო.) არსებობა ქართულში, უნდა ვიფიქროთ, დიალექტური სხვაობებით აიხსნება" [3].

გ. კლიმოვი ახდენს საერთო-ქართველურში /*ხ-/-ს რეკონსტრუქციას, მაგრამ ამასთანავე შენიშნავს, რომ რეკონსტრუქცია პირობითია, რადგანაც არ არის ცნობილი, თუ რა სახის ბგერა იყო ის საერთო-ქართველურ საფეხურზე [4].

ზ. სარჯველაძის ვარაუდით, „საერთო-ქართველურისათვის სამართლიანია *ხ-/ჰ- ორი ვარიანტის რეკონსტრუქცია, რომლებიც დიალექტობრივად იყვნენ გარჩეული. *ხ გვქონდა საერთო-ქართველურის იმ დიალექტურ არეალში, რომელიც საფუძვლად დაედო სვანურს და ძველი ქართულის იმ დიალექტს, რომელიც ხანმეტ ტექსტებში აისახა, *ჰ კი იმ დიალექტურ არეალში, რომელიც ზანურისა და ქართული ენის ჰაემეტი დიალექტის წინაპარია" [5].

როგორც ვხედავთ, განსახილველი საკითხის შესახებ არსებობს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, რაც ამ საკითხის კვლავ დასმის საჭიროებას განაპირობებს [6].

---

1 გ. როგავა, ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XV, 1956 წ., გვ. 285—293.

2. ეს აღნიშნული აქვს კ. შმიდტს, იხ. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 81.

3 გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965, გვ. 71—72.

4 Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 257.

5 ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა სახეობები, 1971 წ., გვ. 41.

6 ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა იხ. აგრეთვე — შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954 წ., გვ. 28—31.

ამ პრობლემის ასე თუ ისე დამარწმუნებელი გადაწყვეტისათვის, როგორც ა. შანიძემ აღნიშნა, საკმარისი არ არის ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების გარკვევა[1].

კლასიკურ ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, S_2 და A_3 მორფემათა /ჰ-/, /ს-/, /შ-/, /Ø/ ალომორფები თანაარსებობენ ერთ სისტემაში, ამავე დროს ისინი ერთი მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია, ამიტომ ადვილად ხერხდება მათი საერთო არქეტიპამდე აყვანა.

პრინციპულად სხვაგვარია /ხ-/-სა და /ჰ-/-ს ურთიერთმიმართება: /ხ-/ ძველ ქართულში არ არის /ჰ-/-ს პოზიციური ვარიანტი (resp. ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფი). უფრო მეტიც: /ხ-/ და /ჰ-/ ერთ სისტემაში არ დასტურდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ /ჰ-/-ს /ხ-/-სთან თავისუფლად მონაცვლეობის იშვიათ შემთხვევებს ზოგიერთ ხანმეტ ძეგლში და „ხარ“ ფორმას ჰაემეტში — ამის შესახებ — ქვემოთ): /ხ-/ ხანმეტის კუთვნილებაა, /ჰ-/—ჰაემეტისა. ამიტომ მათ შორის სხვაობა უნდა ვეძებოთ დროში ან სივრცეში, ე. ი. უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურის ან სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებად.

მაგრამ ეს საკითხი არ დადგება იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ხ და ჰ გრაფემები ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში მართლა ერთსა და იმავე ფონემას ასახავენ, როგორც ამას გ. როგავა ვარაუდობს.

ამგვარი ჰიპოთეზის მიღება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში არ იარსებებდა დაპირისპირება „ხ : ჰ“, ე. ი. თუ ხანმეტის ხ-ს შესატყვისად ჰაემეტ ტექსტებში ყველა შემთხვევაში ჰ იქნებოდა წარმოდგენილი და, ამდენად, ხანმეტში არ იარსებებდა ჰ, ხოლო ჰაემეტში — ხ. სინამდვილეში ამის საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება: ხ და ჰ გრაფემათა ხმარების მიხედვით ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებში, ყველა სხვა შემთხვევაში ხანმეტის ხ-ს ჰაემეტში ხ შეესატყვისება, ხოლო ჰ-ს—ჰ, ამიტომ არის, რომ დაპირისპირება „ხ : ჰ“ დადასტურებულია როგორც ჰაემეტ ტექსტებში, ისე — ხანმეტში.

ჰაემეტ ტექსტებში პრეფიქსულ მორფემათა ჰ-ს საპირისპიროდ ხ წარმოდგენილია არაპრეფიქსულ მორფემებში: მაგ., ხოლო იგინი ჰეკიცხევდეს მას (ქრესტ., 46, 18), სხუად (ქრესტ., 47, 18), ცხედარი

---

[1] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 361; იხ. აგრეთვე G. Deeters, Das kharthwelische Verbum, გვ. 33.

(ქრესტ., 48, 9), სისხლისა (ქრესტ., 49, 24), სახიდ (ქრესტ., 49, 33), სახელი (ქრესტ., 51, 20) და მრავალი სხვა.

იმავე ჰაემეტ ტექსტებში S_2 (ასევე A_3) არც ერთ შემთხვევაში ხ გრაფემით არ გადმოიცემა, გარდა ერთადერთი ზმნის მეორე სავალდებულო პირის ფორმისა — „ხ-არ“. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ იგივე ფორმა /ხ-/-თი არის წარმოდგენილი ითელ შემდეგდროინდელ ქართულშიც. აღნიშნული ფორმა ჰაემეტ ტექსტებში ოთხჯერ დასტურდება და ოთხივეჯერ /ხ-/-თი; მაგ., და პრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და ჰტირთ (ქრესტ., 50, 4—5) (შდრ. ჰ-რქუა, ხ-ართ, ჰ-ტირთ). აქედან ნათლად ჩანს, რომ ჰაემეტ ტექსტებში ჰ და ხ გრაფემები სხვადასხვა ფონემას ასახავენ.

პრინციპულად ამგვარივე ვითარებაა ხანმეტ ტექსტებშიც: ჰაემეტი ტექსტებისა და შემდგომდროინდელი ძველი ქართულის არაპრეფიქსულ მორფემებში წარმოდგენილი ჰ ხანმეტ ტექსტებშიც ყოველთვის ჰ გრაფემით გადმოიცემა, მაგ., აჰა ესერა (ქრესტ., 11, 10), გჳჰენიასა (ქრესტ., 14, 4), ჰე (ქრესტ., 25, 5), იოჰანწსნი (ქრესტ., 13, 26), დრაჰკანი (ქრესტ., 10, 30), ჰებრაელებრ (ლექც., 61, 16), ჰერიათა შოვრის (ქრესტ., 13, 6), ჰასაკითა (ქრესტ., 17, 3), და სხვა. /ჰ/ და /ხ/ ფონემათა დაპირისპირების არსებობა აქაც უდავოა.

როგორც ვხედავთ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში /ხ/ და /ჰ/ ფონემები ნათლად არის გარჩეული, ამდენად, ხ და ჰ გრაფემები წარმოადგენენ არა ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა ფონემის (/ხ/-სა და /ჰ/-ს) ადეკვატურ ასახვას.

/ს-/ /ჰ-/-ს პოზიციური ვარიანტია, ის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიულ ხანაშია მიღებული ჰ-საგან დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჳ თანხმოვნებთან რიგის მიხედვით ასიმილაციის საფუძველზე (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია). ამის ნათელი დადასტურებაა ჰაემეტ ტექსტებში წარმოდგენილი ფორმებიც: მიჰსცემდა (ქრესტ., 50, 10 და 50, 34), დაჰსცხრა (ქრესტ., 52, 9) (შდრ. დაჰცხრა — ქრესტ., 50, 19). /ჰს-/-ს გამოვლენა ც-ს წინ /ჰ-/-ს /ს-/-დ ქცევის პირველი სიგნალია. აქედან ცხადია, ამ /ს-/-ს ვერ მივიჩნევთ S_2 და A_3 მორფემათა არქეტიპად. სხვა ისეთი /ს-/ კი ქართველურ ენებში არ არსებობს, რომელიც შეიძლებოდა მიჩნეულიყო /ხ-/ და /ჰ-/ პრეფიქსთა ამოსავლად. უნდა გამოირიცხოს აგრეთვე აღნიშნულ მორფემათა არქეტიპად გარდამავალი ბგერის (ჰ//ს) დაშვების შესაძლებლობა, რადგანაც ქართველურ ენათა კონსონანტურ სისტემაში ამგვარი ფონემის პოსტულირების საფუძველი არ არსებობს [1].

---

1 იხ. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965 წ., გვ. 11 და შდრ., კ. შმიდტი, დასახ. ნაშრ., გვ. 49—91.

ამრიგად, ქართული ენის ისტორიაში ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ორი ისეთი სისტემის არსებობა, რომელთაგან ერთში S_2 და A_3 მორფემები /ხ-/-თი იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორეში — /ჰ-/-თი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ლიტერატურაში მითითებულია მათი ურთიერთმიმართების ახსნის შემდეგი შესაძლებლობები:

1. ამოსავალია /ჰ-/, რომლისგანაც /ხ-/ მივიღეთ ძველი ქართულის მხოლოდ გარკვეულ დიალექტში. ამ დიალექტის ასახვას წარმოადგენენ ხანმეტი ტექსტები.

2. ძველ ქართულში /ხ-/ და /ჰ-/ სხვადასხვა დიალექტების კუთვნილებაა, მაგრამ მათ უწინარესობა-შემდგომობაზე ქართულის შიგნით ვერ ვიმსჯელებთ, რადგანაც ისინი საერთო-ქართველური „ხანმეტი“ და „ჰაემეტი“ დიალექტებიდან მომდინარეობენ.

3. /ხ-/ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს /ჰ-/ს, აქედან, ხანმეტი ტექსტები წარმოადგენენ ქართული ენის განვითარების წინა ქრონოლოგიური საფეხურის ასახვას, ხოლო ჰაემეტი — შემდგომისას.

პირველ ახსნას რამდენიმე არსებითი ხასიათის სიძნელე ახლავს:

ა) თუ /ჰ-/-ს ამოსავლად მივიჩნევთ იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ ჰაემეტი ტექსტების არაპრეფიქსულ მორფემებში დასტურდება ხ, მაშინ, ვფიქრობთ, ხანმეტი ტექსტების არაპრეფიქსულ მორფემებში დადასტურებული ჰ-ც ისევე ეწინააღმდეგება /ჰ-/-ს არქეტიპად გამოცხადებას, როგორც ჰაემეტი ტექსტების არაპრეფიქსულ მორფემებში წარმოდგენილი ხ — /ხ-/-ს არქეტიპად მიჩნევას. ის ფაქტი, რომ ხანმეტ ტექსტებში ჰ ფონემის შემცველ სიტყვათა დიდი ნაწილი ნასესხებია, მდგომარეობას არსებითად ვერ ცვლის: დავუშვათ, რომ ე. წ. ხანმეტი დიალექტის ყოველგვარ მორფემაში განხორციელდა ჰ ფონემის გაქრობისა და მისი ხ-სთან შეერთების ტენდენცია, მაშინ ეს პროცესი ერთნაირად უნდა განხორციელებულიყო როგორც არანასესხებ, ისე ნასესხებ სიტყვებში. მაშასადამე, ჰ ფონემა საერთოდ უნდა გამქრალიყო და მთლიანად შეერთებოდა ხ-ს ისევე, როგორც ჯ ფონემა გაქრა ქართულ დიალექტთა უმრავლესობაში და შეუერთდა ხ-ს. ეს ითქმის მით უფრო, რომ ჰ დასტურდება ისეთ სიტყვებშიც, რომელთა ნასესხობობის მტკიცების საფუძველი არ არსებობს: აჰა ესერა, ჰე. არაფერი ამტკიცებს აგრეთვე, რომ „ჰებრაელი“, „ჰურია“ და სხვა ახლად შემოსული სიტყვები იყოს ძველ ქართულში.

მთავარი კი ისაა, რომ ხ-სა და ჰ-ს ხმარების მიხედვით ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, როგორც აღინიშნა, ერთმანეთისაგან მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებში განსხვავდებიან, არაპრეფიქსულ მორფემებში კი მათ შორის სხვაობა არ არის შემჩნეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანმეტ ტექსტთა არაპრეფიქსულ მორფემებში არა ჩანს არავითარი კვალი /ჰ-/-ს /ხ-/-დ ქცევის ტენდენციისა.

ამის გამო ვფიქრობთ, რომ აღნიშნული არგუმენტით არ ხერხდება არც /ჰ-/-ს და არც /ხ-/-ს პირველადობის მტკიცება.

ბ) S_2 და A_3 მორფემათა არქეტიპად /ჰ-/-ს მიჩნევის შემთხვევაში ახსნა არ ეძებნება ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ „ხარ“ ფორმასა და მთელი თანამედროვე ქართულის „ხარ“, „მოხვალ“, „მოხვედი“ ფორმებს.

გ) ა. შანიძის დამაჯერებელი ახსნის მიხედვით, რომელსაც გ. დეეტერსი „მშვენიერ აღმოჩენას“ უწოდებს [1], ტოპონიმი „ხერთვისი“ ხანმეტობის გადმონაშთია. ეს ტოპონიმი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არის დადასტურებული (ჯავახეთში, ფოცხოვში, კლარჯეთში, აჭარაში, მთიულეთში) [2]. „ხერთვისი“ ხანმეტობის ოდინდელი გავრცელების აშკარა მოწმეა იმ ტერიტორიაზე, სადაც ის გვხვდება [3]. ამავე დროს, ცხადია, არა გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ტოპონიმი არ გვხვდება, თითქოს ხანმეტობას არასდროს ჰქონოდა ადგილი.

თუ ამას დავუმატებთ იმ ტერიტორიებს, სადაც ხანმეტი წარწერები მოიპოვება (მცხეთა, ბოლნისი, უკანგორი), მაშინ მხოლოდ ამ ნაშთების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანმეტობა საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ყოფილა გავრცელებული. ასე ვრცელ და არაკომპაქტურად განლაგებულ ტერიტორიაზე ერთი დიალექტის არსებობა ძნელი დასაშვებია.

დ) ლინგვისტურ ლიტერატურაში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ კლასიკური ძველი ქართული, ისევე როგორც მთელი თანამედროვე ქართული, ჰაემეტობის გაგრძელებას წარმოადგენს, ხანმეტობის უშუალო მემკვიდრე კი არ არსებობს არც ძველსა და არც ახალ ქართულში [4]. თუ ხანმეტსა და ჰაემეტს თანაარსებულ დიალექტებად მივიჩნევთ, მაშინ ახსნა არ ეძებნება ხანმეტი დიალექტის უკვალოდ გაქრობას.

ე) რამდენადაც ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების განსხვავება მხოლოდ პრეფიქსული მორფემებით განისაზღვრება, ამდენად, როგორც

---

[1] გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

[2] ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, 1957 წ., გვ. 268—277.

[3] შდრ., ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

[4] იხ., მაგ., ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 360; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ., გვ. 178—179; თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, გვ. 143; გ. როგავა, ხანმეტობისა და პაემეტობის საკითხისათვის, გვ. 287; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 72.

თ. გონიაშვილი აღნიშნავს, მათი სხვადასხვა დიალექტების ასახვად მიჩნევა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

სერიოზული დაბრკოლებები ეღობება მეორე ახსნის გაზიარებასაც:

ა) ის, რაც პირველ ახსნასთან დაკავშირებით ითქვა, ნაწილობრივ მეორე ახსნასაც შეეხება.

ბ) თუ ძველ ქართულში /ხ-/ ხანმეტი დიალექტის კუთვნილებაა, რომელსაც ხანმეტი ტექსტები ასახავენ, ხოლო /ჰ-/ — ჰაემეტი დიალექტისა, რომელსაც ჰაემეტი ტექსტები წარმოგვიდგენენ, და ისინი მომდინარეობენ საერთო-ქართველური ფუძე-ენის ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტებიდან, მაშინ დაშვების ერთადერთი გზა რჩება — ძველი ქართული ენის ხანმეტი დიალექტი საერთო-ქართველური ხანმეტი დიალექტის მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ჰაემეტი — ჰაემეტისა. ასეთი დაშვების შემთხვევაში სრულიად აუხსნელია ის ფაქტი, რომ საერთო-ქართველურიდან მომდინარე ძველი ქართული დიალექტები ერთმანეთისაგან მხოლოდ /ხ-/ და /ჰ-/ პრეფიქსებით განსხვავდებიან (უდავოა, რომ საერთო-ქართველური ფუძე-ენა მრავალი საუკუნით უსწრებს წინ ძველ ქართულს). ეს ითქმის მით უფრო, რომ, ამ თვალსაზრისის მიხედვით, თვით ხანმეტი დიალექტიდან (თუ დიალექტებიდან) სხვადასხვა ენებიც კი წარმოიქმნა (სვანური და ქართული ენის ხანმეტი დიალექტი), ისევე როგორც — ჰაემეტი დიალექტიდან (მეგრულ-ჭანური და ქართული ენის ჰაემეტი დიალექტი). ასეთ ვითარებაში აუხსნელია, თუ როგორ მოაღწია საერთო-ქართველური დიალექტებიდან ძველ ქართულამდე ისეთმა დიალექტებმა, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ და მხოლოდ S_2, A_3 და ზედსართავ სახელთა ხარისხის მორფემებით განსხვავდებიან!

ამ ვარაუდის გამართლება შეუძლებელია დაშვებით, რომ ჰაემეტი ტექსტები გადაწერილია ხანმეტიდან (ან პირიქით). საქმე ის არის, რომ თუ ხანმეტიდან გადაწერის დროს უგამონაკლისოდ აისახა ერთი დიალექტური სხვაობა — ჰაემეტობა, მაშინ უნდა ასახულიყო სხვა დიალექტური სხვაობებიც (მთლიანად თუ არა — ნაწილობრივ მაინც). ასეთი სხვაობები კი, როგორც ცნობილია, არ დასტურდება.

გ) S_2 და A_3 მორფემათა წარმომადგენლად /ჰ-/-ს პირველადობის, ან საერთო-ქართველურის ერთ-ერთ დიალექტში /ჰ-/-ს არსებობის მაჩვენებლად სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ მეგრულ-ჭანურს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მეგრულ-ჭანურში S_2 და A_3 მორფემების სეგმენტურ წარმომადგენელთა არარსებობა /ჰ-/-ს დაკარგვის შედეგია, რადგანაც /ჰ-/-ს დაკარგვა აღვილად დასაშვებია.

არაფერი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია მხოლოდ /ჰ-/-ს დაკარგვა. ჯერ ერთი, თუ ამავე თვალსაზრისის მიხედვით დასაშვებია ხანმეტ

დიალექტთათვის ნავარაუდევ /ხ-/-ს დაკარგვა ქართულში, მაშინ უნდა დავუშვათ იმავე /ხ-/-ს დაკარგვის შესაძლებლობა მეგრულ-ჭანურშიც. მეორეც, ქართველურ ენებში ცნობილია ამგვარი დიაქრონიული დაკარგვის სხვა შემთხვევებიც.

ეს ითქმის მით უფრო, რომ მეგრულ-ჭანურში არ არსებობს S_2 და A_3 მორფემათა /ჰ-/-ს (ისევე როგორც /ხ-/-ს) არავითარი კვალი.

ამრიგად, თანამედროვე მეგრულ-ჭანურის ვითარება არ გამოდგება არც ერთი ამ თვალსაზრისის არგუმენტად.

დ) სიძნელე, რომელიც /ხ-/, /ჰ-/ სახესხვაობათა დიაქრონიული ურთიერთმიმართების გარკვევას ახლავს, იძ შემთხვევაშიც რჩება, თუ მათ საერთო-ქართველური ფუძე-ენის კუთვნილებად მივიჩნევთ. მათი ერთმანეთთან მიმართების საკითხი ყველა შემთხვევაში დგება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი, ვფიქრობთ, საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ეჭვს ქვეშ დავაყენოთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები თანაარსებულ დიალექტთა ასახვას წარმოადგენენ. და მაშინ ახსნის ერთადერთი გზა რჩება: ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის ასახვად უნდა მივიჩნიოთ. თუ ეს ასეა, მაშინ საჭიროა ამ დებულების არგუმენტაცია და სათანადო რელატიური ქრონოლოგიის დადგენა.

ის ფაქტი, რომ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები ერთმანეთისაგან მხოლოდ პრეფიქსებით განსხვავდებიან და ისიც მხოლოდ იმ პრეფიქსებით, რომლებიც /ხ-/-სა და /ჰ-/-ს სახით არიან წარმოდგენილი, გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა დიალექტურ სხვაობასთან, არამედ აღნიშნულ პრეფიქსთა დიაქრონიულ ცვლილებასთან ერთი სისტემის შიგნით — /ხ-/>/ჰ-/ ან /ჰ-/>/ხ-/.

როგორც ზემოთ დავინახეთ, კლასიკური ძველი ქართულის ვითარება იმ მდგომარეობამდე დაიყვანება, როცა S_2 და A_3 მორფემები ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში /ჰ-/-ს სახით იყვნენ წარმოდგენილი. ეს ქრონოლოგიური საფეხური ასახულია ჰაემეტ ტექსტებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ /ხ-/-ს, რომელიც ხანმეტ ტექსტებშია წარმოდგენილი, ვერ მივიჩნევთ S_2 და A_3 მორფემათა /ჰ-~ს-~შ-~∅/ ალომორფების უშუალო ამოსავლად. ამავე დროს ხანმეტი ტექსტების არსებობა ფაქტია.

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ არსებობს საფუძველი /ჰ-/-ს არქეტიპად მივიჩნიოთ /ხ-/?

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოება:

1. „ხარ“, „მო-ხ-ვალ“, „მო-ხ-ვედ“ ფორმათა არსებობა, რომლებიც მთელს ქართულშია დადასტურებული IX საუკუნიდან მოყოლე-

ბული დღემდე. ყველაზე არსებითი კი ის არის, რომ „ხ-არ“ ფორმა დადასტურებულია ჰაემეტ ტექსტებშიც: და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველისაჲ (ქრესტ., 51, 28), და ჰრქუა მათ: რაჲსა აღშფოთებულ ხართ და ჰტირთ? (ქრესტ., 50. 5), და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა ვოველოდით? (ქრესტ., 46, 21), ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ ცხოველისაჲ (ქრესტ., 53, 23).

ჰაემეტი ტექსტებისათვის უცხოა „ჰარ“ ფორმა ისევე, როგორც ყველა სხვა ზმნასთან უცხოა S_2 და A_3 მორფემათა წარმომადგენლად /ხ-/ ალომორფი.

ჰაემეტ ტექსტებში არ დასტურდება „მო-ხ-ვალ“, „მო-ხ-უედ“ (არც „მო-ჰ-უალ“, „მო-ჰ-უედ“) ფორმები, მაგრამ მთელი შემდეგდროინდელი ქართული, სადაც ეს ფორმები /ხ-/ ალომორფითაა წარმოდგენილი, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჰაემეტობის ეპოქაში ისინი, მსგავსად „ხ-არ“ ფორმისა, /ხ-/-თი იყვნენ წარმოდგენილი, ჰაემეტ ტექსტებში კი შემთხვევით არ არიან მოხვედრილი.

ამრიგად, /ხ-/ ალომორფის მქონე ფორმები (ხ-არ, მო-ხ-უალ, მო-ხ-უედ) ძველ ქართულში (ამდენად — ახალშიც) აგრეთვე ჰაემეტიდან არის მიღებული.

მაგრამ როგორღა უნდა აიხსნას ჰაემეტ ტექსტებში /ხ-/ ალომორფიანი ფორმების არსებობა?

ვფიქრობთ, ამ ფაქტის ახსნის ერთადერთი გზა არსებობს: ის მიჩნეულ უნდა იქნეს ხანმეტობის ნაშთად, არქაიზმად, რომელიც ხანმეტობიდან მომდინარეობს [1]. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჰაემეტ ტექსტებში, ისევე როგორც მთელ შემდეგდროინდელ ქართულში, /ხ-/ ალომორფის გამოვლენას არ განსაზღვრავს ფონოლოგიური პოზიცია. ეს არის სწორედ ისტორიული ნორმის ნაშთების დამახასიათებელი თვისება (იხ. ზემოთ).

2. უძველეს ხანმეტ ტექსტებში S_2 და A_3 მორფემათა წარმომადგენლად ყოველთვის /ხ-/ გვევლინება, ჰაემეტში კი, რომელიც ქრონოლოგიურად უახლესია, — /ჰ-/, რომელსაც ზოგჯერ /Ø/ ენაცვლება (გამონაკლისს მხოლოდ ზემოაღნიშნული არქაიზმები შეადგენენ). ამასთანავე არსებობს ხანმეტ ტექსტთა ერთი ნაწილი (ხანმეტი ლექციონარი და იერემიას ნაწყვეტების ტექსტი), რომელიც სხვა ხანმეტ ტექსტებზე გვიანდელია, მაგრამ ადრინდელია ჰაემეტზე. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სწორედ ამ ტექსტებში /ხ-/-ს ზოგჯერ თა-

---

1 ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, გვ. 365; თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშ-ს ძეგლში, გვ. 145 და სხვა.

ვისუფლად ენაცვლება /ჰ-/: რაკამს **ჰიხილოთ** ესე ყოველი, (ხ)უწყოდეთ... (ლექც., 63, 33), მუნ **ჰიხილოთ** იგი (ლექც., 59, 7) შდრ. ეუნ **ხიხილოთ** იგი (ლექც., 58, 7), სადაცა (ჰი)ყოს საფასჲ თქუენი, მუნცა **ჰიყოს** გული თქ(უენი) (ლექც., 64, 34) შდრ... ვიდრეჱდის არა ესე ყოველი **ხიყოს** (ლექც., 63, 34), **ჰიცილობთ** (ლექც., 60, 17), **შეჰიძრნენ** (ლექც., 63, 29), **ჰეტყუბდენ** (ლექც., 60,30), **მიჰეხების** (ლექც., 64, 33), ...ვითარცა (იგი) **ჰას(წ)ავეს** (ერს)ა (იერ., 12, 16), **განჰირყუნა** განრყუნით ყოველი ქუეყანაჲ (იერ., 12, 11), უვალად **დაჰიდვა** (იერ., 12, 11).

ამ ძეგლებში /ჰ-/-ს /ხ-/-სთან თავისუფალი მონაცვლეობა შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს როგორც დასაწყისი პროცესისა /ხ-/>/ჰ-/.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გავიზიაროთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც /ჰ-/</ხ-/.

თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება იმ პოზიციის დადგენა, სადაც თავდაპირველად უნდა მომხდარიყო ცვლილება /ხ-/>/ჰ-/: როგორც მაგალითებიდან ჩანს, ხანმეტ ლექციონარსა და იერემიას ნაწყვეტების ტექსტში /ჰ-/ დასტურდება მხოლოდ ხმოვნების წინ[1], თანხმოვნების წინ კი უგამონაკლისოდ /ხ-/ არის წარმოდგენილი.

> **შენიშვნა.** ჩვენი აზრით, ამ დებულების საწინააღმდეგო უდავო ფაქტად ვერ მიიჩნევა წყისის წარწერაში დადასტურებული ფორმა „აღჰუმართე" („ესე ჯუარი ქრისტჱსი მე, კოსდანდი, ძემან სტეფანესძან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა"), რადგანაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მიც. a ბრუნვაში დასმული „სახელსა მცხეთისა ჯუარისასა" არასავალდებულოდ a პირად მივიჩნიოთ (განსხვავებით ბოლნისის წარწერაში დადასტურებული ფორმისაგან „აღხუმართე", რომელსაც ასეთი პირი არ მოეპოვება). და მაშინ /ჰ-/-ს მომდევნო გრაფემა უ ასახავს არა თანხმოვანს (s_1 მორფემის უ-ს), არამედ — ხმოვანს (სასხვისო ქცევის უ-ს)[2].

ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცვლილება /ხ-/>/ჰ-/ თავდაპირველად ხმოვნების წინ მოხდა, შემდეგ კი, ფორმათა გათანაბრების (resp. ანალოგიის მოქმედების) პროცესში, /ხ-/ ყოველგვარ პოზიციაში (ე. ი. თანხმოვნების წინაც) წარმოგვიდგა /ჰ-/-ს სახით, /ხ-/-ს ნაშთი შემოგვენახა მხოლოდ მეორე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად (ხ-არ, მო-ხ-უალ, მო-ხ-უედ).

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ა. შანიძის შემდეგი მოსაზრება: „რომ დარწმუნებული ვიყვნეთ იმაში, რომ პრე-

---

[1] ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 023.

[2] შდრ. ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ფიქსული ჰაე ხანისაგან იყოს წარმოშობილი, რომ საერთო ქართულში ამ შემთხვევაში ხ გვეგულებოდეს და არა ჰ, მაშინ ზემორე მოყვანილი შვიდი შემთხვევა (იგულისხმება /ჰ-/-იანი ფორმები ხანმეტ ლექციონარში — ა. ო.) ძალიან კარგი მაგალითი იქნებოდა ხანის ჰაედ ქცევის პროცესის გასათვალისწინებლად: ხანის ჰაედ ცვალება ჯერ უნდა დაწყებულიყო ინის წინ, რომელიც უმაღლესი ხმოვანია (ხი > ჰი), შემდეგ ენის წინაც (ხე > ჰე), შემდეგ კი ეს მოვლენა უნდა განზოგადებულიყო და ყველა ხმოვნისა და თანხმოვნის წინაც უნდა შეცვლილიყო. ჩვენი ძეგლი (ხანმეტი ლექციონარი — ა. ო.) ძაშინ ამ გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ ჯერ მრავალი საკითხია გადასაწყვეტი, რომელთა შესახებ აქ საუბარს ვერ გავაგრძელებთ"[1]. აქ ჩანს /ხ-/-ს ამოსავლად მიჩნევის ერთგვარი სიგნალი, მაგრამ ასეთი დასკვნა, როგორც ცნობილია, არ გაკეთებულა. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ აღნიშნულ საკითხს ა. შანიძე შემდგომ სპეციალურად აღარ შეხებია.

ამრიგად, V—VIII საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილ S_2 და A_3 მორფემათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ სამი ქრონოლოგიური საფეხური: 1) ხანმეტობისა, ე. ი. როცა S_2 და A_3 მორფემები მხოლოდ /ხ-/-ს სახითაა წარმოდგენილი, 2/ გარდამავალი, ე. ი. როცა /ხ-/-ს ხმოვნების წინ თავისუფლად ენაცვლება /ჰ-/ და 3) ჰაემეტობისა, ე. ი. როცა, ზემოაღნიშნული ნაშთების გარდა, /ხ-/ არ დასტურდება და წარმოდგენილია მხოლოდ /ჰ-/ (ან /Ø/).

ამ საფეხურთა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას კარგად ეგუება ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა ლიტერატურაში არსებული დათარიღება: პირველი საფეხური ასახულია ი. ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ პალიმფსესტებში, რომლებიც V—VI საუკუნეთა ხელნაწერებადაა მიჩნეული[2], მეორე საფეხურს ასახავენ: ა) ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII საუკუნის II ნახევრის ძეგლად მიიჩნევა[3] და ბ) იერემიას ნაწყვეტების ტექსტი, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერები სხვადასხვაგვარად ათარიღებენ (VI—VII საუკუნეთა მიჯნა ან VII—VIII საუკუნეთა მიჯნა)[4], ხოლო მესამე საფეხურის ამსახველი ჰაემეტი ტექსტები VIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება[5].

---

1 ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 023.

2 ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები..., გვ. 342—344.

3 ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 019.

4 ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკის მოამბე, II, 1937 წ., გვ. 32; А. Генко, По поводу работы проф. И. А. Джавахишвили, касающейся грузинских палимпсестов с библейскими текстами, Тексты и разыскания по кавказской филологии, т. I, Ленинград, 1925, გვ. 36.

5 ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა..., გვ. 358.

ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს მსოლოდ ხანმეტი მრავალთავი, რომელიც VIII საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერად მიიჩნევა[1], მაგრამ /ხ-/-ს /ჰ-/ არც ერთ შემთხვევაში არ ენაცვლება.

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ორი გარემოება: 1) „უძველესი პერიოდის უთარიღო ხელნაწერთა დათარიღებისათვის ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მკვიდრი საფუძველი“[2], ამიტომ შეუძლებელი არ არის ზოგი ძველი ხელნაწერის დათარიღება არ აღმოჩნდეს ზუსტი; 2) ხანმეტი მრავალთავის ტექსტის დაწვრილებითი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ა. შანიძე აღნიშნავს: „ხანმეტობა, როგორც გარკვეული გრამატიკული სისტემა, ჩვენს მრავალთავში დარღვეულია: ზოგ შემთხვევაში ხ-ანს იქ ვხედავთ, სადაც საჭირო არ არის, ანდა, პირიქით, იქ არ არის, სადაც მოსალოდნელია“. აქედან ბუნებრივად კეთდება დასკვნა, რომ ხანმეტი მრავალთავი არ განეკუთვნება ხანმეტობის ხანას, არამედ შექმნილია შემდგომ — მწიგნობრულ-ლიტერატურული ტრადიციების საფუძველზე[3].

ეს იმას ნიშნავს, რომ ხანმეტი მრავალთავი ზემოთ წამოყენებულ თვალსაზრისს იმ შემთხვევაშიც კი არ ეწინააღმდეგება, თუ ის მართლა VIII საუკუნის პირველ ნახევარშია შექმნილი.

როგორც ვხედავთ, S_2 და A_3 მორფემათა დროში ცვლილება (/ხ-/> /ხ-~ჰ-/>/ჰ-/) კარგად არის ასახული უძველეს ქართულ ხელნაწერებში. ეს კი უფლებას გვაძლევს ხელნაწერთა ჩვენება ქართული ენის განვითარების ბუნებრივ ასახვად მივიჩნიოთ და, ამდენად, ქართული ენის განვითარებაშიც გამოვყოთ სამი ქრონოლოგიური საფეხური:

1. S_2 და A_3 მორფემები ყოველგვარ პოზიციაში წარმოდგენილი იყო /ხ-/-თი.

2. თანხმოვნების წინ დასტურდებოდა /ხ-/, ხოლო ხმოვნების წინ — /ჰ-/.

3. გარდა რამდენიმე არქაიზმისა, /ჰ-/ იყო წარმოდგენილი ყოველგვარ პოზიციაში, მას ზოგჯერ /Ø/ ენაცვლებოდა.

სასაუბრო ენაში მომხდარი ცვლილებები სალიტერატურო ენაში, მისი ნორმატიულობის გამო, ჩვეულებრივ, უცებ არ აისახება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ცვლილება /ხ-/>/ჰ-/ სასაუბრო ენაში უფრო ადრე მოხდა, ვიდრე — სალიტერატუროში.

აქ კვლავ დგება ის კითხვა, რომელიც დიდი ხანია დგას ჩვენს

---

[1] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, თსუ მოამბე, VII, 1926 წ., გვ. 109.

[2] ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 020.

[3] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 116; მისივე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 023—024.

ენციერებაში: რამდენად შესაძლებელია ცვლილება ხ>ჰ მოხდეს პრეფიქსულ მორფემებში მომხდარიყო?

თუ ამ შესაძლებლობას არ დავუშვებთ, მაშინ ჩიხში ვექცევით: არ ხერხდება არც /ხ-/>/ჰ-/ და არც /ჰ-/>/ხ-/ ცვლილების ახსნა. ანუ სხვაგვარად: არ ხერხდება /ხ-/ და /ჰ-/ სახესხვაობათა საერთო არქეტიპამდე აყვანა, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში ხ და ჰ, გარდა პრეფიქსული მორფემებისა, აბსოლუტურად ერთსაირად არის წარმოდგენილი.

ამიტომ იძულებული ვართ, დავუშვათ, რომ ცვლილება ხ>ჰ მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებში მოხდა. პრინციპულად ასეთი რამ, ვფიქრობთ, შეუძლებელი არ არის. ერთგვარი ანალოგიისათვის შეიძლება სვანურის ვითარება დავასახელოთ: აქ ერთმანეთისაგან განსხვავებული ფონოლოგიური (resp. მორფონოლოგიური) ცვლილებები მოხდა სამ განსხვავებულ შემთხვევაში: 1) ორი პრეფიქსული მორფემის მიჯნაზე, 2) პრეფიქსულ და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე, 3) ერთი მორფემის შიგნით.

ორი პრეფიქსული მორფემის მიჯნაზე (ად- ზმნისწინი+S_1, S_2 ან A_3 მორფემათა /ხ-/) უგამონაკლისოდ ყველგან განხორციელდა ასიმილაცია: დხ>თხ: ოთ-ხუ-ან (<*ად-ხუ-ან) „წაიღე“, ათ-ხ-ან (<*ად-ხ-ან) „წაიღე“, ათ-ხ-ად (<*ად-ხ-ად) „თქვა; მოადინა, გაიღო“, ოთ-ხ-გრმ (<*ად-ხუ-გრმ) „დავიჭირე“, ათ-ხ-გრმ (<*ად-ხ-გრმ) „დაიჭირე“. პრეფიქსულ და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე კი ასიმილაცია (დხ >თხ) არც ერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა: ად-ხიდე „გაახარა“, ად-ხატუე „დახატა“, ად-ხს-ჯე „ქვებისაგან გაწმინდა“, ად-ხ-გკნე „გაფხიკა“. და ეს მაშინ, როცა ერთი მორფემის ფარგლებში თანამედროვე სვანურშიც კი ასიმილაცია ყოველთვის ხორციელდება: დ-სა და ხ-ს შორის ხმოვნის სინკოპის შემდეგ დხ>თხ, შად., აშდახ „გათავდა“, ლიშდეხ „გათავება“, აშდიხ „გაათავა“, მაგრამ ლიშთხე „გათავება“, აშთხე „გაათავებ, გაათავებს“, ასევე: ადშდუხუე „დამარხა“, მაგრამ ლიშთხუი „დამარხვა“, აშთხუი „მარხავს“ და სხვა.

მეორე მხრივ, გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე სვანურში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც პრეფიქსულ მორფემათა ბიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია. ამის საფუძველზე ერთერთი პრეფიქსული მორფემის თანხმოვანი ნულთან არის გათანაბრებული: ე-მ-ღუა (<*ეს-მ-ღუა) „მიმაქვს“ ე-ჯ-ღუა (<*ეს-ჯ-ღუა) „მიგაქვს“, ო-გ-ღუა (<*ეს-გუ-ღუა) „მიგვაქვს“, ო-ხუ-ასყ (<*ან-ხუ-ასყ) „გავაკეთე“, ა-ხ-ასყ (<*ან-ხ-ასყ) „გააკეთე“ და მრავალი სხვა. ამ წესის მოქმედების საფუძველზე გამარტივებულია სვანურისათვის ისეთი უაღრესად ბუნებრივი კომპლექსიც კი, როგორიც არის თხ: თხ>თ, მაგ., ოთ-ეყჩ (<*ოთ-ხუ-ეყჩ<*ად-ხუ-ეყჩ) „თავი დავანებე“,

ათ-ბე (<*ათ-ხ-აბე<*ად-ხ-აბე) „მიაბა“ და სხვა (იხ. ქვემოთ). ამ წესის მოქმედების კვალი აბსოლუტურად არა ჩანს არც პრეფიქსულ და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე (ოთ-ხაჯ „ქვებისაგან გავწმინდე“, ათ-ხაჯ „ქვებისაგან გაწმინდე“, ოთ-ხად „გავახარე“, ათ-ხად „გაახარე“) და არც ერთი მორფემის ფარგლებში (ათხე „ახლა“, ლითხული „ძებნა“, შრშთხუ „ოთხი“, თხუმ //თხუიმ „თავი“, მათათხ „ღამურა“).

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარ მორფემათა მიჯნაზე შესაძლებელია სხვადასხვაგვარ მორფონოლოგიურ ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი. ეს კი, თავის მხრივ, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ცვლილება ხ>ჰ ძველ ქართულში შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებში.

აქვე ისმის კითხვა: რა სახის მორფემათა მეზობლობამ განაპირობა ცვლილება /ხ-/>/ჰ-/?

როგორც აღინიშნა, ეს ცვლილება თავდაპირველად ხმოვნების წინ უნდა მომხდარიყო, ეს ხმოვნები კი (ი, ე, ა, უ), როგორც წესი, პრეფიქსულ მორფემათა (ქცევისა ან გვარის) წარმომადგენლებია. ამავე დროს არც ერთი თანხმოვანი არ არის ისეთი პრეფიქსული მორფემის ალომორფი, რომელიც შეიძლება უშუალოდ მოსდევდეს S_2 და A_3 მორფემებს. ამ გარემოების გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცვლილება /ხ-/>/ჰ-/ თავდაპირველად ორი პრეფიქსული მორფემის მიჯნაზე მოხდა. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებოა „ხ-არ“ ფორმის ჩვენება: ძველ ქართულ ქრონოლოგიურ საფეხურზე, სხვა ზმნებისაგან განსხვავებით, /ხ-/-ს მომდევნო ხმოვანი აქ ძირეული მორფემის კუთვნილებაა და არა — პრეფიქსისა. ამის შედეგია, როგორც ჩანს, რომ სწორედ ამ ფორმაში არ განხორციელდა ცვლილება /ხ-/>/ჰ-/.

ამ ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში ადვილად იხსნება, თუ რატომ მოხდა ცვლილება ხ>ჰ მხოლოდ პრეფიქსულ მორფემებში.

განსამარტავი რჩება საკითხი: /ჰ-/-ს მიხედვით ფორმათა გათანაბრების პროცესი რატომ არ მივიდა ბოლომდე? ე. ი. ძირეულ მორფემათა წინ არქაიზმის სახით რატომ შემოგვენახა /ხ-/ (ხ-არ, მო-ხ-უალ, მო-ხ-უედ)?

„ხ-არ“ ფორმაში ხმოვნის წინ წარმოდგენილი /ხ-/, როგორც ჩანს, მაშინ დაუპირისპირდა სხვა ხმოვნების (პრეფიქსული მორფემების) წინ დადასტურებულ /ჰ-/-ს, რომ /ჰ-/-ს მიხედვით ფორმათა გათანაბრება არ იყო დაწყებული. შემდგომ სწორედ ამიტომ არ უნდა მომხდარიყო ცვლილება „ხ-არ“>„ჰ-არ“.

„მო-ხ-უალ“, „მო-ხ-უედ“ ფორმებში /ხ-/-ს შემოხახვის მიზეზის დამაკმაყოფილებელი ახსნა ამჟამად ძნელია. შესაძლოა /ხ-/-ს ნაცვლად /ჰ-/ ზმნისწინის მომდევნოდ პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე

დისტრიბუციულად დაუშვებელი იყო და ცვლილება /ხ-/>/ჰ-/ ავტომატურად იწვევდა მეორე ცვლილებას — /ჰ-/>/Ø/. ამიტომ მოხდებოდა I და II სავალდებულო პირის ფორმათა დაპირისპირების ნეიტრალიზაცია, რადგანაც ამ ზმნებში S_1 მორფემაც ყოველთვის /Ø/-ით არის წარმოდგენილი. შესაძლოა, ამის შედეგი იყოს, რომ ფორმათა გათანაბრების პროცესში აქ არ მოხდა ცვლილება /ხ-/>/ჰ-/.

საზოგადოდ კი არქაიზმთა შემონახვის მიზეზების ლინგვისტური ახსნა, გასაგები მიზეზების გამო, ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირის მორფემათა არქეტიპი ქართულში არის /ხ-/. /ჰ-/ სახესხვაობა კი /ხ-/-საგან არის მიღებული.

როგორც ცნობილია, საერთო-ქართველურში /ჰ/ ფონემის რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართველურ ენებში S_2 და A_3 მორფემათა არქეტიპად /*ჰ-/-ს მივიჩნევთ, არც ერთი სხვა მორფემა ფუძე-ენაში /ჰ/-ს რეკონსტრუქციის საფუძველს არ იძლევა [1]. მაგრამ თუ დავემყარებით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც /ჰ-/ პრეფიქსი მიღებულია /ხ-/-საგან, მაშინ საერთო-ქართველურში /*ჰ/ ფონემის რეკონსტრუქციას, ცხადია, საფუძველი ეცლება და, ამდენად, /ჰ/ დიფერენციაციის შემდეგ გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ ქართველურ ენებში.

1.03.3. მესამე სავალდებულო პირის მორფემა ქართულში. თანამედროვე და ძველი ქართულის ჩვენება S_3 მორფემის შინაგანი რეკონსტრუქციისათვის მხოლოდ ნეგატიური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. პოზიტიური დასკვნების გაკეთება კი სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გათვალისწინების გარეშე არ ხერხდება. ამიტომ S_3 მორფემის მთელ შესაძლო დიაქრონიულ ანალიზს შედარებითი ანალიზის დროს წარმოვადგენთ.

ამასთანავე, ქართველურ ენებში (განსაკუთრებით ქართულსა და მეგრულ-ჭანურში) ტიპოლოგიურად ერთნაირი ვითარება გვაქვს, ამიტომ ჩვენი შრომის ამ ნაწილში არ განვიხილავთ არც მეგრულ-ჭანურ და სვანურ S_3 მორფემას, შრომის ამ ნაწილში გამოტოვებული იქნება აგრეთვე ის მორფემები, რომლებიც შინაგანი რეკონსტრუქციისათვის მასალას არ იძლევიან, მაგ., პირველი და მეორე არასავალდებულო პირის მორფემები ქართულში, მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირის მორფემები მეგრულ-ჭანურში.

1.03.4. პირველი სავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში. რადგანაც ძლიერ პოზიციაში (ხმოვნების წინ) დასტურდება /ვ-/,

---

1 გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 71—72.

ხოლო თანხმოვნების წინ დასტურდება ასიმილაციის საფუძველზე მიღებული ალომორფები (მჟღერ თანხმოვანთა წინ /ვ-/>/ბ-/, ფშვინვიერთა წინ —/ვ-/>/ფ-/, მკვეთრთა წინ —/ვ-/>/პ-/, ნაზალურ ნ-ს წინ —/ვ-/>/მ-/), ამიტომ სრულიად ბუნებრივია S_1 მორფემის არქეტიპად მეგრულ-ჭანურში მივიჩნიოთ /ვ-/, როგორც ეს არაერთგზის ავტორის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ვიწურ-არქაბულში ხმოვნების წინ დადასტურებული /ბ-/ თანხმოვანთა წინ მოცემული /ბ-/-ს ანალოგიის საფუძველზე მიღებულად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, მეგრულ-ჭანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე S_1 მორფემა ყველა ზემოაღნიშნულ ფონოლოგიურ პოზიციაში /ვ-/-ს სახით იყო წარმოდგენილი.

1.03.5. პირველი არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში. მეგრულში აქაც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც S_1 ფორმაში მეგრულ-ჭანურში. მეგრულში A_1-მორფემის /ბ-/, /ფ-/, /პ-/ ალომორფები მიღებულია /მ-/-საგან მომდევნო თანხმოვნებთან ასიმილაციის საფუძველზე. ამდენად, მეგრულშიც გარკვეულ საფეხურზე A_1 მორფემა ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში /მ-/-ს სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ისევე, როგორც თანამედროვე ჭანურში [1].

1.03.6. მეორე არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში. /რ-/ ალომორფი, რომელიც თანხმოვნების წინ დასტურდება მეგრულში, ისტორიულად მიღებულია /გ-/-საგან, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული. იგივე ითქმის ჭან. /ქ-/-ს შესახებ, რომელიც ფშვინვიერ თანხმოვნებთან ასიმილაციის საფუძველზეა მიღებული — /გ-/>/ქ-/ — ფშვინვიერთა წინ [2]. ამრიგად, A_2 მორფემის ალომორფთათვის მეგრულ-ჭანურში ამოსავალია /გ-/.

1.03.7. პირის მორფემები სვანურში. თანამედროვე სვანურისათვის მოხერხდა ისეთი ავტომატური დისტრიბუციული წესების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ყოველი პირის პრეფიქსულ მორფემათა ალომორფების გამოვლენის ამომწურავი დახასიათება. აძ სინქრონიული წესების დიაქრონიული ინტერპრეტაცია პირის მორფემათა (აგრეთვე ზმნისწინთა) არქეტიპების შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. რადგანაც ამ წესებში აისახება პირის ყველა პრეფიქსული მორფემის ქცევა, ამიტომ აღნიშნულ მორფემებს განვიხილავთ არა ცალ-ცალკე, არამედ — ერთმანეთის გვერდით.

როგორც სინქრონიული ანალიზის დროს დავინახეთ, თანამედროვე სვანურში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (ზმნისწინი+სავალდებულო ან არასავალდებულო პირის მორფემა) თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია, ე. ი. თუ ზმნისწინის თანხმოვან ელემენტს უშუალოდ

[1] ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 92—98.

ბოსდევს პირის მორფემის თანხმოვანი, მაშინ ერთ-ერთი მათგანი ნულის სახით არის წარმოდგენილი (III წესი).

ამ წესის რეალიზაცია, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვაგვარად ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ პრეფიქსულ მორფემათა კომბინაციასთან გვაქვს საქმე:

1. თუ ზმნისწინთა მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია A_1 /მ-~მგ-/, A_2 /ჯ-~ჯგ-/, Ai /გუ-~გუ-/, Ae /ნ-~ნგ-/, ან Si /ლ-~ლგ-/, მაშინ ნულთან გათანაბრებულია ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტი (III_1 წესი).

2. კომბინაციაში — ზმნისწინი ად- ან ეს- + S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/ ან A_3 /ხ-/ — ნულის სახით წარმოდგენილია პირის მორფემათა დასახელებული ალომორფები (III_2 წესი).

3. კომბინაციაში — ზმნისწინი ან- + S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/, ან A_3 /ხ-/ — ყოველთვის ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტია ნულთან გათანაბრებული (III_3 წესი).

აქედან ჩანს, რომ თანხმოვანთა ნულთან მონაცვლეობა საშუალო შემთხვევაში დისტრიბუციული შეზღუდვით არის შეპირობებული. ამას ნათლად ადასტურებს ლა- ზმნისწინის ქცევა: რადგანაც კომბინაციაში — ლა- + პირის რომელიმე მორფემა (როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირისა) — არ ხდება თანხმოვანთა თავმოყრა (ე. ი. არ იქმნება III წესის განხორციელების პირობა), ამიტომ, განსხვავებით ზემოაღნიშნული შემთხვევებისაგან, ყოველთვის წარმოდგენილია როგორც ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი, ისე პირის მორფემათა თანხმოვნები, მაგ., ლშხ. ლა-მ-ქუე „ჩამაცვა“, ლა-ჯ-ქუე „ჩაგაცვა“, ლო-გუ-ქუე „ჩაგვაცვა“, ლა-ლ-ქუედ „ჩავაცვით“, ლო-ხუ-აქუ „ჩავაცვი“, ლა-ხ-აქუ „ჩააცვი“, ლა-ხ-ქუე „ჩააცვა“ და სხვა.

ამავე დროს, აღნიშნული დისტრიბუციული შეზღუდვა არ არის წმინდა ფონოლოგიური ხასიათისა: სვანურში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე აკრძალული ზემოაღნიშნული კონსონანტური წყვილები რეალიზაციის შემთხვევაში მოგვცემდა შემდეგ თანხმიმდევრობებს: დხ (ან თხ), დლ, დმ, დჯ, დგ, დნ, სხ, სლ, სმ, სჯ, სგ, სნ, ნხ, ნლ, ნმ, ნჯ, ნგ, ნნ. ეს წყვილები აღმოგვაჩნდებოდა პოზიციაში #V—V, ან #V—C. სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მულახური კილოკავის მიხედვით შედგენილ სიხშირეთა ლექსიკონში ამავე ფონოლოგიურ პოზიციაში დადასტურებულია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე აკრძალულ წყვილთა უმრავლესობა: დხ (7-ჯერ), თხ (235), დლ (5), დმ (4), დჯ (1), დგ (29), დნ (15), სხ (22), სლ (2), სმ (3), სგ (62), სნ (10), ნხ (14), ნმ (13), ნგ (18), ნნ (2). სვანურში დასტურდება აგრეთვე ნიმუშები ამ ლექსიკონში შემთხვევით გამორჩენილი თანმიმდევ-

რობებისა — ნლ, სჯ, ნჯ. საქმე ის არის, რომ სვანურში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე აკრძალული კონსონანტური წყვილები დასაშვებია ზმნისწინისა და ძირეული მორფემის მიჯნაზე, ზოგი მათგანი კი—ერთი მორფემის შიგნითაც. აქედან ჩანს, რომ აღნიშნულ დისტრიბუციულ შეზღუდვას სვანურში მორფონოლოგიური საფუძველი უდევს.

სვანურის ვითარება ამ მხრივ უნიკალურია — ჩვეულებრივ, მორფემათა ზღვარზე დასტურდება ერთი მორფემის შიგნით აკრძალული კონსონანტური ჯგუფები და არა პირიქით [1].

III წესის რეალიზაციის გამო პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანამედროვე სვანურში, როგორც სინქრონიული ანალიზის დროს დავინახეთ, დასტურდება თანმიმდევრობები VC და CV, თანმიმდევრობა CC კი აკრძალულია. ამდენად, აქ არსებობს ფონემათა თანმიმდევრობის მხოლოდ ორი მოდელი:

I მოდელი: VC (ზმნისწინის ხმოვანი ელემენტი+პირის მორფემათა რომელიმე ალომორფის თანხმოვანი): ბზ., ბქვ. ო-ხუ-ასყ, ა-ხ-ასყ, ლშხ. ო-ხუ-ასყ, ა-ხ-ასყ, ლნტ. ა-ხუ-ჱსყ, ა-ხ-ჱსყ „გავაკეთე", „გააკეთე", ბზ., ბქვ., ლშხ. ე-მ-ღუა, ე-ჯ-ღუა, „მიმაქვს, მიგაქვს", ბქვ., ლშხ. ო-გ-ღუა „მიგვაქვს", ბზ., ა-ნ-მარე, ბქვ. ა-ნ-მარე „მოგვამზადა", ბზ., ბქვ.. ლშხ. ა-ლ-სყედ „გავაკეთეთ" და სხვა.

II მოდელი: CV (ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი+ქცევის ან გვარის მორფემის რომელიმე ალომორფი): ბზ., ბქვ., ლშხ. ოთ-ე-ჭმ „წავყევი", ოთ-ა-ბ „დავაბი, მივაბი", ათ-ა-ბ „დააბი, მიაბი", ბქვ. ოს-ჱ-გუშ „დავასხი", ეს-ჱ-გუშ „დაასხი", ლშხ. ოს-ა-ბ „დავაბი", ეს-ა-ბ „დააბი" და სხვა.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ფონემათა სხვაგვარი თანმიმდევრობა არ არსებობს. პირველი მოდელი დანარჩენ სამ დიალექტშიც ასევე უგამონაკლისოა, ხოლო მეორე მოდელს აქ ორი გამონაკლისი აქვს:

1. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე დასტურდება **თხ** თანმიმდევრობის რამდენიმე ნიმუში (მხოლოდ სამ ზმნასთან): ბზ., ბქვ. (ბეჩ.) ოთ-ხუ-ჱდ, ათ-ხ-ჱდ, ბქვ. (ეცრ., ლხმ.) ოთ-ხუ-ჱ, ათ-ხ-ჱ, ლნტ. ათ-ხუ-ჱ, ათ-ხ-ჱ „წავიღე, წაიღე", ბზ. ათ-ხ-ჱდ, ბქვ. ათ-ხ-ად, ლნტ. ათ-ხ-ადა „თქვა; მოადინა, გაიღო", ბქვ. ოთ-ხ-გრმ, (//ოთ-გრმ), ათ-ხ-გრმ (//ათ-გრმ) „დავიჭირე, დაიჭირე" [2]. ასეთივე ვითარება გვაქვს ამ სამი ზმნის ად- ზმნისწინიან სხვა ფორმებში.

---

[1] ქართულის შესახებ, იხ., მაგ., **ჰანს ფოგტი**, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961 წ., გვ. 15; **ზ. ჯაფარიძე**, თანხმოვანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, 1967 წ., გვ. 146 და სხვა.

[2] **ვ. თოფურია**, შრომები, I, გვ. 17—20.

სხვა ზმნებთან პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე არც ამ დიალექტებში დასტურდება **თხ** თანმიმდევრობა. თ-ს მომდევნო ხ ყოველთვის ნულთან არის გათანაბრებული. ამასთანავე, თხ-ს გარდა არ დასტურდება არც ერთი სხვა ზემოაღნიშნული თანმიმდევრობა.

2. **ად-** და **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში დასტურდება S_1 /უ-/ ალომორფი, ე. ი. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე ხდება ორი თანხმოვნის თავმოყრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი ო-ს სახით არ არის წარმოდგენილი, ხოლო თუ ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი არის ო, მაშინ S_1 /უ-/ ნულთან არის გათანაბრებული. ეს არის საერთოსვანური წესი. შდრ., ერთი მხრივ, ლნტ. ათ-უ-შიხენ „დავიწვი“, ას-უ-აგუშ „დავასხი“, ბზ. ათ-უ-შიხან, ეს-უ-აგუშ დ., მეორე მხრივ, ლშხ., ბქვ. ოთ-შიხენ, ბქვ. ოს-აგუშ, ლშხ. ოს-გოშ და სხვა.

ამ ორი გამონაკლისის გარდა პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრის შემთხვევა არ დასტურდება სვანური ენის არც ერთ დიალექტში.

პირის მორფემათა შინაგანი რეკონსტრუქციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე დისტრიბუციული წესი, რომელიც ზემოთ მოცემული სინქრონიული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს: **პაუზის მომდევნოდ (ე. ი. უზმნისწინო ფორმებში) პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა აკრძალულია.** (ეს წესი ქვემოთ **IV წესის** სახელწოდებით იქნება აღნიშნული).

ამ უგამონაკლისო წესის რეალიზაციის შედეგია ის ფაქტი, რომ პირის მორფემათა ძირითადი ფორმები, რომლებიც ხმოვნების წინ არიან წარმოდგენილი (ყოველთვის თანხმოვანთა სახით), თანხმოვანთა წინ არსებითად განსხვავებული ალომორფებით გვევლინებიან: A_1, A_2, Ai, Ae და Si ხმოვნიანი ვარიანტით (მომდევნო გ ელემენტით) არიან წარმოდგენილი, S_1, ჩვეულებრივ, /-უ-/ ინფიქსის (ან /Ø/-ის) სახით გვევლინება, ხოლო S_2 ნულთან არის გათანაბრებული.

ხმოვნების წინ: მ-ატხე „მიბრუნებს“, ჯ-ატხე „გიბრუნებს“, გუ-ატხე „გვიბრუნებს“, ნ-ატხე „გვიბრუნებს“, ლ-ატხედ „ეუბრუნებათ“, ხუ-ატხე „ეუბრუნებ“, ხ-ატხე „უბრუნებ“.

თანხმოვნების წინ: მგ-ტხე „მაბრუნებს“, ჯგ-ტხე „გაბრუნებს“, გუ-ტხე (<გუგ-ტხე) „გვაბრუნებს“, ნგ-ტხე „გვაბრუნებს“, ლგ-ტხედ „ვაბრუნებათ“, ტ-უ-იხე (ლშხ. ტგხე) „ვაბრუნებ“, ტიხე (ლშხ. ტეხე) „აბრუნებ“.

სვანური ენის დიალექტთა შედარებისა და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით შევეცდებით, წარმოვადგინოთ აღნიშნულ სინქრონიულ მდგომარეობათა დიაქრონიული ინტერპრეტაცია.

როგორც ვხედავთ, პირის ყოველი მორფემის თითოეული ალომორფის გამოვლენა ფონოლოგიურად არის შეპირობებული, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ მორფემათა სახესხვაობები დიაქრონიულად სხვადასხვა ფონოლოგიურ (resp. მორფონოლოგიურ) პოზიციებში წარმოიქმნენ. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ხმოვანთა მეზობლად დადასტურებული ალომორფებია ისტორიულად ამოსავალი, თუ — თანხმოვანთა მეზობლად წარმოდგენილი სახესხვაობები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის პირველ რიგში შევეცდებით წარმოვადგინოთ III წესის დიაქრონიული ინტერპრეტაცია.

ცნობილია, რომ თანხმოვნები გაცილებით ნაკლებ ცვლილებებს განიცდიან ხმოვნებთან, ვიდრე თანხმოვნებთან მეზობლობისას. ამის მიზეზი ის არის, რომ ნებისმიერი ხმოვნისა და თანხმოვნის თანმიმდევრობა, ჩვეულებრივ, დასაშვებია, ხოლო თანხმოვანთა თანმიმდევრობას მრავალი შეზღუდვა ახლავს, რაც, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სახის ცვლილებებს განაპირობებს. ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ ისტორიულად უძველესია პირის მორფემათა (აგრეთვე ზმნისწინთა) ის ალომორფები, რომლებიც თანამედროვე სვანურში ხმოვანთა მეზობლად დასტურდებიან, ხოლო თანხმოვნებთან წარმოდგენილი ალომორფები გარკვეულ ცვლილებათა შედეგად არიან წარმოქმნილი. მაგრამ მხოლოდ ამ არგუმენტის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება ნაადრევი იქნებოდა, საჭიროა უფრო დამარწმუნებელი არგუმენტაცია. ამ მიზნით საანალიზოდ ავიღოთ III_2 წესის მოქმედების სფერო, ე. ი. ად- და ეს- ზმნისწინიანი ფორმები, სადაც S_1, S_2 და A_3 მორფემები თანამედროვე სვანურში /Ø/-ის (ან S_1 /უ-/-ს) სახით არიან წარმოდგენილი. გასარკვევია — არსებობს თუ არა საფუძველი აღნიშნულ პოზიციაში S_1 /ხუ-/, S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ ალომორფთა რეკონსტრუქციისათვის!

ცნობილია, რომ ზმნისწინთა ა, ა, ე ელემენტთა ლაბიალური ასიმილაციის საფუძველზე ო-დ ქცევის ერთ-ერთი მიზეზი არის S_1 მორფემის უ ელემენტი [1]. ეს ნათლად ჩანს პარადიგმებიდან:

ო-ხუ-ჰსყ	„გაეაკეთე“	ლო-ხუ-აჭდ	„მივაყუდე“
ა-ხ-ჰსყ	„გააკეთე“	ლა-ხ-აჭდ	„მიაყუდე“
ან-სყე	„გააკეთა“	ლა-ხ-ჭიდ	„მიაყუდა“

მაგრამ ლაბიალური ასიმილაციის შედეგი ყოველთვის გვაქვს მხოლოდ ისეთ ად- და ეს- ზმნისწინიან ფორმებში, სადაც ასიმი-

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 11—14; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965 წ., გვ. 154; ა. ონიანი, უბლაუტის შესახებ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969 წ., გვ. 110—111.

ლაციის მიზეზი (S_1 მორფემის /უ-/) თანამედროვე სვანურში არ არის წარმოდგენილი, მაგ.,

ბზ.	ოთ-აბ	„მივაბი“	ოთ-ელკ	„წავაწყდი“
	ათ-აბ	„მიაბი“	ათ-ელკ	„წააწყდი“
	ათ-ბე	„მიაბა“	ათ-ლაკ	„წააწყდა“
ბქვ.	ოთ-შიხენ	„დავიწვი“	ოს-ჲგუშ	„დავასხი“
	ათ-შიხენ	„დაიწვი“	ეს-ჲგუშ	„დაასხი“
	ად-შიხჲნ	„დაიწვა“	ეს-გუეშ	„დაასხა“
ლშხ.	ოთ-შიხენ		ოს-გოშ	
	ეთ-შიხენ		ეს-გოშ	
	ედ-შიხჲნ		ეს-გოშე	

უდავოა, რომ ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტის ცვლილების (ა, ჲ, ე>ო) მიზეზად აქაც S_1 მორფემის უ ელემენტი უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ლაბიალური ასიმილაცია შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ ქრონოლოგიურ საფეხურზე, როცა S_1 ფორმაში უ ელემენტი წარმოდგენილი იყო. სხვაგვარად ეს ფაქტი ვერ აიხსნება. მაშასადამე, უველა ამგვარ ფორმაში უნდა მოვახდინოთ S_1 მორფემის უ ელემენტის რეკონსტრუქცია, მისი დაკარგვა კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

თანამედროვე სვანურის ეხ- და ად- ზმნისწინიან ფორმებში პარადოქსული ვითარება დასტურდება: ლაბიალური ასიმილაციის შედეგი გვაქვს იქ, სადაც არ არის ასიმილაციის მიზეზი, ხოლო იქ, სადაც ასიმილაციის მიზეზი (S_1 მორფემის /უ-/) წარმოდგენილია, ასიმილაცია არ ხორციელდება. ეს ნათლად ჩანს ზემოაღნიშნული პარადიგმების შედარებიდან შემდეგ პარადიგმებთან:

ბზ.	ათ-უ-შიხჲნ	ლნტ.	ჲ-უ-შიხენ	„დავიწვი“
	ათ-შიხჲნ		ათ-შიხენ	„დაიწვი“
	ად-შიხჲნ		ად-შიხან	„დაიწვა“
	ეს-უ-ჲგუშ		ას-უ-ჲგუშ	„დავასხი“
	ეს-ჲგუშ		ას-ჲგუშ	„დაასხი“
	ეს-გუეშ		ას-გუეშ	„დაასხა“

ვერ ვივარაუდებთ, რომ პირველ შემთხვევაში, განსხვაებით მეორე შემთხვევისაგან, ზმნისწინისეული ხმოვნისა და S_1 მორფემის უ ელემენტის უბრალო შერწყმასთან (ა, ჲ, ე+უ=ო) გვქონდეს საქმე და არა — ასიმილაციასთან, რადგანაც ლა- და ან- ზმნისწი-

ნიან ფორმებში წარმოდგენილია როგორც ასიმილირებული ხმოვანი, ისე ასიმილაციის მიზეზი: ო-ხუ-ასყ „გავაკეთე“ (შდრ. ა-ხ-ასყ „გააკეთე“), ლო-ხუ-ემ „შევჭამე“ (შდრ. ლა-ხ-ემ „შეჭამე“) და სხვა. და მაშინ ეს პარადოქსული ვითარება ახსნას მოითხოვს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ /უ-/-ს ნულთან გათანაბრება დისიმილაციური დაკარგვის შედეგია, ე. ი. ასიმილაციის საფუძველზე მიღებული ო-ს გავლენით ასიმილაციის მიზეზი /უ-/>/Ø/. მაგრამ ასეთ ახსნას ეწინააღმდეგება ლა- და ან- ზმნისწინიანი S_1 ფორმები, სადაც ზმნისწინის ო და S_1 მორფემის უ ელემენტი ერთდროულად არის წარმოდგენილი: ო-ხუ-ასყ, ლო-ხუ-ემ. ამიტომ უნდა მოინახოს სხვა ახსნა.

პირველ შემთხვევაში S_1 ფორმა S_2-ს უპირისპირდება ზმნისწინის განსხვავებული ალომორფით, მაგ., ოთ-აბ „მივაბი“ — ათ-აბ „მიაბი“, ოს-ჲგუშ „დავასხი“ — ეს-ჲგუშ „დაასხი“, ე. ი. ზმნისწინთა ო ელემენტიანი ალომორფების (/ოთ-/, /ოს-/) დამატებით ფუნქციად იქცა პირველი სავალდებულო პირის გამოხატვა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ამგვარ ფორმებში III წესის ბოლომდე განხორციელება. მეორე შემთხვევაში კი S_1 და S_2 ფორმებში ზმნისწინთა ერთი და იგივე ალომორფებია წარმოდგენილი, მაგ., ჲთ-უ-შიხჲნ „დავიწვი“ — ჲთ-შიხჲნ „დაიწვი“, ეს-უ-ჲგუშ „დავასხი“ — ეს-ჲგუშ „დაასხი“. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ S_1 /უ-/-ს ქონება-უქონლობით განსხვავდებიან, ამიტომ S_1 მორფემის /უ-/-ს ნულთან გათანაბრება გამოიწვევდა პირველი და მეორე სავალდებულო პირის ფორმათა დამთხვევას (ე. ი. ოპოზიციის მოხსნას). როგორც ჩანს, მორფოლოგიურმა მოთხოვნილებამ, ე. ი. პირველი და მეორე სავალდებულო პირის ფორმათა გარჩევის საჭიროებამ, განსაზღვრა ზემოაღნიშნული მეორე გამონაკლისი III წესში — S_1 /უ-/-ს შემონახვა ზმნისწინთა თანხმოვნის მომდევნოდ.

ამრიგად, ის შემთხვევები, სადაც ად- და ეს- ზმნისწინიან ფორმებში თანხმოვნის მომდევნოდ წარმოდგენილია S_1 /უ-/ (ლენტეხურში, ბალსზემოურსა და ლახამულურში), არქაულ ვითარებას ასახავენ [1], ხოლო ის შემთხვევები, სადაც S_1 /უ-/ არ დასტურდება (ლაშხურში, ბალსქვემოურსა და ბალსზემოურში), სვანურის ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველი სავალდებულო პირის მორფემის უ ელემენტის რეკონსტრუქცია ყველა ამგვარ შემთხვევაში უნდა მოხდეს, ე. ი. ოთ-აბ<ოთ-უ-აბ, ოს-ჲგუშ<ოს-უ-ჲგუშ და ა. შ.

---

1 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 55—57.

ამის შემდეგ გარკვევას მოითხოვს საკითხი: ად- და ეს- ზმნისწინიან ფორმებში S_1 მორფემის წარმომადგენლად მხოლოდ /ჳ-/ აღდგება, თუ ხ- ელემენტიც, ე. ი. ამ პოზიციაში S_1 მორფემის არქეტიპი /ჳ-/ არის, თუ — /ხჳ-/?

ცნობილია, რომ ად- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი თანამედროვე სვანურში ზოგჯერ თ-ს სახით დასტურდება. ასეთი ვითარება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ფორმაში წარმოდგენილია S_1, S_2 ან A_3 მორფემათა ნულოვანი ალომორფები (ან S_1 /ჳ-/) [1]. ამიტომ არის, რომ S_1 და S_2 ფორმებში ყოველთვის თ ვარიანტია წარმოდგენილი, ხოლო S_3 ფორმაში დასტურდება როგორც თ, ისე— დ. არასაველდებულო a პირის მქონე (ე. ი. ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან) ზმნათა S_3 ფორმაში ყოველთვის თ ვარიანტია წარმოდგენილი, ხოლო ამ პირის არმქონე (ე. ი. ორპირიან გარდამავალ და ერთპირიან) ზმნათა S_3 ფორმაში — ყოველთვის დ [2], მაგ.,

ბზ. ოთ-აკურ	„დავაგდე“	ოთ-ეყჩ	„თავი დავანებე“
ათ-აკურ	„დააგდე“	ათ-ეყჩ	„თავი დაანებე“
ად-კუჳრ	„დააგდო“	ჳთ-ყჳჩ	„თავი დაანება“
ჳთ-უ-კჳფ	„წავიქეცი“	ოთ-ოშხუნ	„შევუნახე“
ჳთ-კჳფ	„წაიქეცი“	ოთ-ოშხუნ	„შეუნახე“
ჳდ-კჳფ	„წაიქცა“	ოთ-შხუინ	„შეუნახა“

თანამედროვე სვანურში ად- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტის თ ვარიანტი არსებობს მხოლოდ S_1, S_2 და A_3 მორფემებთან კომბინაციაში, ამიტომ, ცხადია, ცვლილების დ>თ მიზეზი ამ მორფემებში უნდა ვეძებოთ. ამავე დროს მათ შორის უნდა მოინახოს ის საერთო, რამაც ერთნაირი ცვლილება (დ>თ) განაპირობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ად- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტის ცვლილების (დ>თ) მიზეზად მიიჩნევა რეკონსტრუირებული S_1 /*ჰჳ-/, S_2 /*ჰ-/ და A_3 /*ჰ-/. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ზმნისწინის თ ელემენტი მიღებულია დ-ს ჰ-სთან შერწყმის გზით, ე. ი. დ+ჰ>თ [3].

ჯერ ერთი, სვანურში შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღნიშნულ მორფემათათვის ჰ-ს პოსტულირების საფუძველი არ არსებობს. თვით დ>თ შეიძლება აიხსნას *ჰ-ს დაშვების გარეშეც.

---

[1] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 334; ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 4—5.

[2] გამონაკლისები დასტურდება მხოლოდ ლახამულურში, იხ. ვ. თოფურია, შრომები, გვ. 18—20.

[3] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, გვ. 333—334; ვ. თოფურია. შრომები. I, გვ. 4—7 და 19—20; К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1969, გვ. 282.

მეორეც. თანამედროვე სვანურში, როგორც ზემოთ დავინახეთ, დასტურდება ისეთი შემთხვევები, სადაც **ად-** ზმნისწინის თ ელემენტიან ალომორფთა მომდევნოდ მოცემულია S_1, S_2 და A_3 მორფემათა სეგმენტური წარმომადგენლები. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა პოზიციაში, წარმოდგენილია /ხ-/ (S_1 /ხუ-/) და არა /ჰ-/ (S_1 /ჰუ-/): **ოთ-ხუ-ან, ათ-ხ-ან, ათ-ხ-ად** და სხვა (იხ. ზემოთ). ეს კი /ჰ-/-ს (S_1 /ჰუ-/-ს) რეკონსტრუქციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ად- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტის ცვლილების (დ > თ) მიზეზი უნდა ყოფილიყო S_1, S_2 და A_3 მორფემათა ხ- (ასიმილაციური დაყრუება-გაფშვინვიერება). მსგავსი ვითარება თანამედროვე სვანურშიც დასტურდება: დ-სა და ხ-ს შორის ხმოვნის სინკოპის შემდეგ **დხ > თხ**, მაგ., **აშდიხ „გაათავა“ — ლიშთხე „გათავება“, ადშდუხუე „დამარხა“ — აშთხუი „მარხავს“** და სხვა.

ასიმილაცია კი შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ ქრონოლოგიურ საფეხურზე, როცა **ად-** ზმნისწინის მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილი იყო S_1 /ხუ-/, S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/, სხვაგვარად ეს ცვლილება (დ > თ) ვერ აიხსნება. მას შემდეგ კი, რაც III წესის განხორციელების საფუძველზე მოხდა S_1, S_2 და A_3 მორფემათა ხ-ს ნულთან გათანაბრება, ასიმილაციის შედეგი (თ < დ) დარჩა ისევე, როგორც ხმოვანთა უმლაუტი დარჩა სვანურში უმლაუტის გამომწვევი მიზეზის დაკარგვის შემდეგ: **ჯან < ჯან-ი, ბდკაფ < ბდიკაფ** და სხვა.

როგორც ვხედავთ, არსებობს საფუძველი **ად-** ზმნისწინიან ფორმებში პირველი სავალდებულო პირისათვის მოვახდინოთ ოგორც ხ; ისე უ ელემენტის (ე. ი. /ხუ-/-ს), ხოლო მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირთათვის /ხ-/-ს რეკონსტრუქცია. მაშასადამე, **ად-** ზმნისწინიან ფორმებში პრეფიქსულ მორფემათა თანმიმდევრობის რეკონსტრუირებული ტიპი კონკრეტული მაგალითების მიხედვით შემდეგ სახეს მიიღებს:

ოთ-აკურ < *ათ-ხუ-აკურ	**ოთ-ეყჩ < *ათ-ხუ-ეყჩ**
ათ-აკურ < *ათ-ხ-აკურ	**ათ-ეყჩ < *ათ-ხ-ეყჩ**
ად-კუბარ < *ად-აკუბარე	**ბთ-ყბჩ < *ათ-ხ-ეყაჩე**
ბთ-უ-კაფ < *ბთ-ხუ-იკაფ	**ოთ-ოშხუნ < *ათ-ხ-ოშხუნ**
ბთ-კაფ < *ბთ-ხ-იკაფ	**ოთ-ოშხუნ < *ათ-ხ-ოშხუნ**
ბდ-კაფ < *ბდ-იკაფ	**ოთ-შხუინ < *ათ-ხ-ოშხუნე** [1].

---

[1] ამგვარსავე რეკონსტრუქციას შესაძლებლად მიიჩნევს გ. დეეტერსი, იხ. გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 26, 48; შდრ. ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 18—20.

ამგვარი მდგომარეობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ზემოაღნიშნული პირველი გამონაკლისი, ე. ი. ბალსზემოურ, ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტთა სამ ზმნაში III წესის დარღვევა (ოთ-ხუ-ან, ათ-ხ--ან და სხვა) არქაიზმია და არა — ინოვაცია[1]. ინოვაციად ამ მხრივ ლაშხურის ვითარება უნდა იქნეს მიჩნეული, სადაც III წესი ბოლომდეა განხორციელებული.

ის ფაქტი, რომ პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თანმიმდევრობის მოსალოდნელი 19 შესაძლებლობიდან მხოლოდ თხ თანმიმდევრობის ნაშთი შემოგვენახა, შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს თანმიმდევრობა დაემთხვა სვანურისათვის უაღრესად ბუნებრივ კომპლექსს.

ნათქვამიდან ადვილად დასანახავია, რომ სვანური ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა ჩვენ მიერ რეკონსტრუირებული ფორმები უნდა ყოფილიყო დადასტურებული, არ მოქმედებდა III წესი, ე. ი. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა დასაშვები იყო. ეს კი უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ამ ქრონოლოგიურ საფეხურზე III წესის მოქმედების მთელს არეში ერთმანეთის გვერდით იყო წარმოდგენილი როგორც ზმნისწინთა, ისე პირის მორფემათა ალომორფების თანხმოვნები:

1. S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ პრეფიქსები ეს- ზმნისწინის მომდევნო პოზიციაშიც ისევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ად- ზმნისწინის მომდევნოდ, ე. ი. ოს-ჳგუშ<*ეს-ხუ-აგოშ „დაეასხი“, ეს-ჳგუშ<*ეს-ხ-აგოშ „დაასხი“, ეს-გუეშ<*ეს-ხ-აგოშე „დაასხა“, ეს-უ-სიპი<*ეს-ხუ-ისიპი „გადაეიქცევი“, ეს-სიპი<*ეს-ხ-ისიპი „გადაეიქცევი“, ეს-სიპი<*ეს-ისიპი „გადაეიქცევა“ და ა. შ.[2].

ის ფაქტი, რომ ეს- ზმნისწინში, განსხვავებით ად- ზმნისწინისაგან, პირის მორფემათა ხ ელემენტმა არავითარი კვალი არ დატოვა, არ გამოდგება ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ, რადგანაც სხ თანმიმდევრობაში, დხ-საგან განსხვავებით, არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

2. ან- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო III_3 წესის მოქმედების არეში, ე. ი. S_1 /ხუ-~ხ-/, S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ ალომორფთა წინ[3], ე. ი. ო-ხუ-ასყ<*ან-ხუ-ასყე „გააკეთე“, ა-ხ-ასყ<*ან-ხ-ასყე „გააკეთე“, ან-სყე<*ან-ასყე „გააკეთა“, ო-ხ-სყე<*ან-ხ-ოსყე „გაუკეთა“ და ა. შ.

3. III წესის ჩამოყალიბების მომენტამდე ან-, ეს-, ად- ზმნისწინ-

---

1 სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 20.

2 შდრ. გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

3 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 55—58; გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 19—20.

თა თანხმოვანი ელემენტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო აგრეთვე III$_1$ წესის მოქმედების არეშიც, ე. ი. A_1 /ჰ-/, A_2 /ჯ-/, Ai /გუ-/, Ae /ნ-/ და Si /ლ-/ ალომორფთა წინ, როგორც ამას ვ. თოფურია ვარაუდობს [1]. თვით ეს ალომორფები კი იმ ქრონოლოგიურ საფეხურზეც ამ სახით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი.

ნათქვამის საფუძველზე შესაძლებელია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე მომხდარ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგიის დადგენა. უდავოა, რომ ის დისტრიბუციული წესი, რომელსაც ჩვენ III წესის სახელწოდებით აღვნიშნავთ, სვანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩამოყალიბდა. მანამდე კი პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა დასაშვები იყო. ამდენად, ყველა ეს ცვლილება, რაც III წესის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული, ერთ ქრონოლოგიურ საფეხურს განეკუთვნება. ამავე დროს, რამდენადაც III წესი ყველა სვანურ დიალექტში ერთნაირად არის განხორციელებული, ამდენად ის სვანურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი შემთხვევა — ო ელემენტიანი ზმნისწინების შემცველ ფორმებში S_1 /უ-/-ს ნულთან გათანაბრება მომდევნო ქრონოლოგიურ საფეხურს განეკუთვნება. ის უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ზმნისწინთა ხმოვანი ელემენტი ლაბიალურ ასიმილაციას დაექვემდებარა. ეს პროცესი კი შედარებით გვიანდელია და გაჩენილია სვანურ დიალექტთა ჩამოყალიბების შემდეგ. ამას მოწმობს ის, რომ ამგვარი ლაბიალური ასიმილაციის წესები განსხვავებულია სვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით კი ის, რომ ამ სახის ლაბიალური ასიმილაცია ლენტეხურისათვის, საერთოდ, უცნობია [2].

ამის შემდეგ შეიძლება წარმოვადგინოთ IV წესის დიაქრონიული ინტერპრეტაცია.

როგორც ზემოთ დავინახეთ, თანამედროვე სვანურში პაუზის მომდევნოდ (ე. ი. უზმნისწინო ფორმებში) პირის თითოეული მორფემის ალომორფები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან — მათი გამოვლენა ყველა შემთხვევაში ფონოლოგიურად არის შეპირობებული: პირის ყველა მორფემა სხვადასხვა ალომორფებით არის წარმოდგენილი, ერთი მხრივ, ხმოვნების, ხოლო, მეორე მხრივ, თანხმოვნების წინ. ეს კი შემდეგი დიაქრონიული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 55—58.

[2] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 57; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 154; ა. ონიანი, უმლაუტის შესახებ სვანური ენის ლაშხურ დიალექტში, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 110—111.

1. ყოველი მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები ერთი არქეტიპიდან მომდინარე უნდა იყვნენ.

2. ცვლილებები უნდა მომხდარიყო იმ ალომორფებში, რომლებიც თანხმოვნების წინ (ე. ი. სუსტ პოზიციაში) არიან წარმოდგენილი, ხოლო ხმოვნების წინ (ე. ი. ძლიერ პოზიციაში) მოცემულ ალომორფებს ამოსავალი ვითარება უნდა ჰქონდეს დაცული.

3. რადგანაც პირის ყველა პრეფიქსული მორფემის სხვადასხვა ალომორფთა გამოვლენას ერთი და იგივე ფონოლოგიური პოზიცია განაპირობებს, ამიტომ ყოველი მორფემის დიაქრონიული ცვლილება ერთი წესით უნდა აიხსნას.

ეს კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პირისა და ძირეულ მორფემათა მიჯნაზე თანხმოვანთა თავმოყრა სვანურში ისტორიულად დაშვებული იყო, ე. ი. IV წესიც, ისევე როგორც III წესი, სვანური ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩამოყალიბდა. ამ წესის რეალიზაცია სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად მოხდა:

1. ისტორიულად ამოსავალ ფორმებს A_1 /მ-/, A_2 /ჯ-/, Ai /გუ-/, Ae /ნ-/ და Si /ლ-/-ს, რომლებიც ხმოვნების წინ არიან წარმოდგენილი, ძირეული მორფემის თანხმოვანთა წინ განუვითარდათ გ ხმოვანი, როგორც ამას ვ. თოფურია ვარაუდობს [1], ე. ი. მგ-ტხე <*მ-ტიხე, ჯგ-ტხე<*ჯ-ტიხე, გუ-ტხე (<გუგ-ტხე) <*გუ-ტიხე, ნგ-ტხე <*ნ-ტიხე, ლგ-ტხედ<*ლ-ტიხედ და სხვა.

2. S_1 პრეფიქსი გაინფიქსდა, ამ გზით მოხდა IV წესის რეალიზაცია, მაგრამ ინფიქსი წარმოდგენილია /-უ-/-ს და არა /-ხუ-/-ს სახით. გასარკვევია ამ ორი ალომორფის დიაქრონიული ურთიერთმიმართება.

როგორც ცნობილია, ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, სვანურში პირველი სავალდებულო პირის მორფემის არქეტიპად /-უ-/-ს მიიჩნევს, ხ- ელემენტის წარმოქმნას კი სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად ხსნის (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ცნობილია, რომ თანამედროვე სვანურში დასტურდება, ერთი მხრივ, S_1 /ხუ-/ და S_2 /ხ-/ (ხმოვნების წინ), ხოლო, მეორე მხრივ, S_1 /-უ-/ ან /Ø/ და S_2 /Ø/ (თანხმოვნების წინ, ოღონდ /-უ-/ ინფიქსის სახით). ამიტომ არის, რომ S_1 /ხუ-/ და S_2 /ხ-/ ყოველთვის ერთსა და იმავე პარადიგმაში დასტურდება ისევე, როგორც S_1 /-უ-/ ან /Ø/ და S_2 /Ø/. ამ წესს სვანურში არც ერთი გამონაკლისი არ მოეპოვება, მაგ.,

ხუ-ჲარი	„ვარ“	დ-უ-იგე	„ვაქრობ“	კუი̈შე	„ვტეხ“
ხ-ჲარი	„ხარ“	დიგე	„აქრობ“	კუი̈შე	„ტეხ“
ჲარი	„არის“	დიგე	„აქრობს“	კუი̈შე	„ტეხს“

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 29—30.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიაქრონიული ცვლილება S_1 /ხუ-/>/-უ-/ ან /Ø/ და S_2 /ხ-/>/Ø/ (ან პირიქით — /-უ-/ ან /Ø/>/ხუ-/ და /Ø/>/ხ-/) ერთი და იმავე მიზეზით არის გამოწვეული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ S_1 მორფემის არქეტიპად მივიჩნევთ /-უ-/-ს, მაშინ S_2 მორფემის არქეტიპად ავტომატურად /Ø/ უნდა მივიჩნიოთ (ამის უფლებას კი ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზი არ იძლევა). ხოლო თუ S_2 მორფემისათვის ამოსავლად მივიჩნევთ /ხ-/-ს, მაშინ ასევე ავტომატურად S_1 მორფემის არქეტიპად უნდა მივიჩნიოთ /ხუ-/.

თვით ის ფაქტი, რომ თანამედროვე სვანურში S_1 /ხუ-/-ს ხ- ელემენტი, S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ არ დასტურდება თანხმოვნებთან კომბინაციაში (არც წინ და არც მომდევნოდ), საფუძველს გვაძლევს მათი ნულთან გათანაბრება თანხმოვნებთან მეზობლობით ავხსნათ.

მაშასადამე, ცვლილება S_1 /ხუ-/ > /-უ-/, /Ø/ და S_2 /ხ-/>/Ø/ IV წესის რეალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. უნდა დავუშვათ, რომ IV წესის ჩამოყალიბებამდე თანხმოვნების წინაც S_1 /ხუ-/ ალომორფით იყო წარმოდგენილი, ხოლო S_2 — /ხ-/-თი, ისევე, როგორც — ხმოვნების წინ.

ამრიგად, ძირეულ თანხმოვანთა წინ (ე. ი. თავკიდურთანხმოვნიან ზმნებში) პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მორფემების რეკონსტრუქცია ასეთ სახეს მიიღებს: ტ-უ-იხე<*ხუ-ტიხე „ვაბრუნებ“, ტიხე <*ხ-ტიხე „აბრუნებ“, დ-უ-იგე<*ხუ-დიგე „ვაქრობ“, დიგე<*ხ-დიგე „აქრობ“, კუიშე<*ხ(უ)-კუიშე „ვტეხ“, კუიშე<*ხ-კუიშე „ტეხ“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, IV წესის ჩამოყალიბებამ თავკიდურთანხმოვნიან ზმნებთან სამი სახის ცვლილება გამოიწვია: 1. A_1 /მ-/, A_2 /ჯ-/, Ai /გუ-/, Ae /ნ-/ და Si /ლ-/ ალომორფებს განუვითარდათ მომდევნო გ ელემენტი, 2. S_1 /ხუ-/ პრეფიქსი გაინფიქსდა და ამ პროცესში მისი ხ- ელემენტი ნულს გაუტოლდა[1], 3. S_2 /ხ-/ ნულის სახით წარმოგვიდგა.

რამდენადაც სამივე ეს ცვლილება ერთი დისტრიბუციული წესის რეალიზაციის შედეგია, ამდენად ისინი ერთ ქრონოლოგიურ საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ.

ამრიგად, სვანურისათვის ხერხდება პირის მორფემათა შემდეგი არქეტიპების შინაგანი რეკონსტრუქცია:

S_1 /*ხუ-/	A_1 /*მ-/
S_2 /*ხ-/	A_2 /*ჯ-/
Se /*ხუ-/	A_3 /*ხ-/
Si /*ლ-/	Ae /*ნ-/
	Ai /*გუ-/

[1] შდრ. გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

თითოეული პირის მორფემის წარმომადგენლად თანამედროვე სვანურში დადასტურებული ალომორფები ისტორიულად ამ არქეტიპებამდე აიყვანება.

ბ) შედარებითი რეკონსტრუქცია

1.03.8. პირველი სავალდებულო პირის მორფემა. დავას არ იწვევს, რომ პირველი სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დადასტურებულ ქართ. /ვ-/-სა და მეგრ.-ჭან. /ვ-/-ს სვანურში /-უ-/ ალომორფი და /ხუ-/ პრეფიქსის უ ელემენტი შეესატყვისება. მაგრამ სვან. /ხუ-/-ს ხ- ელემენტის შესახებ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისია წამოყენებული:

ჰ. შუხართის ვარაუდით, ეს ხ- წარმომავლობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, რომელიც ამ ფუნქციით თანამედროვე სვანურშიც დასტურდება. მაშასადამე, ხუ<ხ-უ (<*უ-ხ) [1].

ა. შანიძე 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავდა: „ენერე პირის სუბ. პრეფიქსი პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით“ [2]. ამავე შრომის შემდგომ გამოცემაში კი წერს: „...ხ პრეფიქსი ხმოვნით დაწყებული ზმნების პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით (ისეთი ფორმებიდან, სადაც ხ პირველ სუბ. პირშიც არის, მაგრამ მე-3 ობიექტური პირის აღსანიშნავად“)[3].

ვ. თოფურია უარყოფს შესაძლებლობას სვან. /ხუ-/ წარმოქმნილი იყოს S_2 ხ-სა და S_1 -უ-ს შეერთების საფუძველზე, რადგანაც მაშინ ის ინკლუზივის ნიშანი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ექსკლუზივს გამოხატავს [4].

გ. დეეტერსის აზრით, მართალია, სვანურის მიხედვით არ მტკიცდება, რომ ხუ- პრეფიქსი ძველი არ იყოს, მაგრამ რამდენადაც უძველეს ქართულში S_1-ის პრეფიქსად მხოლოდ ვ- დასტურდება, ამდენად სვან. ხუ- ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ [5].

კ. დონდუა აღნიშნავს, რომ სვან. ხუ- პრეფიქსის უ ელემენტი გენეტურად ქართულ ვ-ს უკავშირდება, ამდენად, S_1-ის გამოხატვა მისი თავდაპირველი ფუნქციაა. მაგრამ შეუძლებელია ხ ელემენტის ამოსა-

---

[1] H. Schuchardt, Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895, გვ. 48.

[2] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 182.

[3] ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 333.

[4] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 29.

[5] G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 26.

ვალ ფუნქციად მივიჩნიოთ რომელიმე პირის გამოხატვა, რაც იქიდან ჩანს, რომ, ჯერ ერთი, ხუ- პრეფიქსში ხ- მოკლებულია მეორე სუბიექტური პირის რეალურ ფუნქციას — ექსკლუზივში სწორედ მეორე სუბიექტური პირი გამოირიცხება და, მეორეც, ხ- ელემენტი დასტურდება მხოლოობით რიცხვშიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხუ- ორ პირს არ გამოხატავს. ხუ- პრეფიქსის ხ- ელემენტი, კ. დონდუას აზრით, დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ოდინდელი ფუნქცია ამჟამად უცნობია [1].

სრულიად განსხვავებული ვარაუდი წამოაყენა ა. ჩიქობავამ. „გუ- და ხუ- პრეფიქსებში უნდა შედიოდეს უ- პრეფიქსი პირველი პირისა. სუბიექტისა თუ ობიექტისა? იგი ორივესთვის საზიარო უნდა ყოფილიყო; მაგრამ აქ ეს არაა მთავარი; არსებითი აქ ისაა, რომ უ ფორმანტია პირველი პირისა. რაღაა გ- და ხ-? მორფოლოგიური ოდენობა არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე; ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს. გ-უ←უ, ხ-უ←უ“ [2].

ამ ვარაუდს, ავტორის აზრით, ამართლებს ის, რომ ქართველურ ენებში მოიპოვება ვ-ს წინ გ, ღ, ქ უკანაენისმიერ თანხმოვანთა განვითარების შემთხვევები [3].

როგორც ვხედავთ, სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ სვან. /ხუ-/-ს ხ- ელემენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეორე სავალდებულო პირის მორფემის ოდინდელ წარმომადგენლად.

/ხუ-/-ს ვერც A_3 და S_1 მორფემათა კომბინაციის საფუძველზე მიღებულად მივიჩნევთ, რადგანაც სავალდებულო პირის ექსკლუზივი, სადაც /ხუ-/ დასტურდება, სავალდებულო პირთა (პირველისა და მესამის) კომბინაციას წარმოადგენს და არა — სავალდებულო და არასავალდებულო პირებისა. ეს ითქმის მით უფრო, რომ /ხუ-/ ექსკლუზივს გამოხატავს ერთპირიან ზმნებშიც: ხუ-ჳრი-დ „ვართ მე და ის (ისინი)“. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ /ხუ-/ გამოხატავს S_1-ს მხოლოობითი რიცხვის ფორმაშიც: ხუ-ჳრი „ვარ“, ხუ-ჳსყი „ვაკეთებ“.

ყველაზე ანგარიშგასაწევია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც /ხუ-/ მიღებულია ანალოგიის (resp. ფორმათა გათანაბრების) საფუძველზე. ამ ვარაუდს, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს დაშვება: S_1-ს აღნიშ-

---

[1] К. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967, გვ. 280—285; იხ. აგრეთვე კ. დონდუა, ფურცლები კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიიდან, რჩეული ნაშრომები, I, გვ. 100.

[2] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულ. ზმნის უღლილების სისტემაში, ოკე, I, 1946, გვ. 123.

[3] იქვე, გვ. 123—126.

ნავდა /უ-/, მესამე არასავალდებულო a პირს კი — /ხ-/, ამიტომ, ხანგრძლივ ტექსტთა მსგავსად, პირველი სავალდებულო პირის ფორმაში გვექნებოდა ან მხოლოდ S_1 /უ-/ (როცა ზმნა არ შეიცავდა არასავალდებულო a პირს), ან A_3 /ხ-/ და S_1 /უ-/ ერთად, ე. ი. /ხ-უ-/ (როცა ზმნა შეიცავდა არასავალდებულო a პირსაც). ამ უკანასკნელი ვითარების ანალოგიის საფუძველზე მიღებულად მიიჩნევა, როგორც ჩანს, /ხუ-/ ყოველგვარი ზმნის პირველი სავალდებულო პირის ფორმაში.

ჯერ ერთი, ქართველურ ენათათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის დამახასიათებელი ორი სხვადასხვა პირის მორფემათა პრეფიქსული სეგმენტური წარმომადგენლების ერთმანეთის გვერდით თავმოყრა, ამიტომ თვით ანალოგიის საფუძვლის არსებობა იწვევს ეჭვს. მეორეც, ძნელი დასაშვებია, არასავალდებულო a პირის მქონე და არმქონე ზმნებს შორის დაპირისპირების მოხსნა მომხდარიყო ფონოლოგიური მოტივაციის გარეშე — ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის მიხედვით ფორმათა გათანაბრების (ანალოგიის) საფუძველზე. ეს ითქმის მით უფრო, რომ აღნიშნული დაპირისპირება მესამე სავალდებულო პირის ფორმაში თანამედროვე სვანურშიც მკვეთრად არის გამოხატული: აგემ „დგამს, აგებს“ (ორპირიანი, არასავალდებულო a პირის არმქონე), ხ-აგემ „ადგამს“ (სამპირიანი, ე. ი. არასავალდებულო a პირის მქონე).

აღნიშნული ვარაუდის მიხედვით არასავალდებულო a პირის არმქონე (ე. ი. ერთპირიანსა და ორპირიან გარდამავალ) ზმნებში უნდა გვქონოდა შემდეგი სახის პარადიგმები:

უ-აგემ	„ვაგებ, ვდგამ“	შდრ. თანამედრ. სვან.	ხუ-აგემ
ხ-აგემ	„აგებ, დგამ“		ხ-აგემ
აგემ	„აგებს, დგამს“		აგემ

არასავალდებულო a პირის მქონე (ე. ი. ორპირიან გარდაუვალსა და სამპირიან) ზმნებში კი:

ხ-უ-აგემ	„ვადგამ“	შდრ. თანამედრ. სვან.	ხუ-აგემ
ხ-აგემ	„ადგამ“		ხ-აგემ
ხ-აგემ	„ადგამს“		ხ-აგემ

თუ პირველი პირის ფორმაში „ხ-უ-აგემ“-ის ანალოგიით მოხდა უ-აგემ > ხუ-აგემ, მაშინ მესამე პირის ფორმაშიც „ხ-აგემ“-ის ანალოგიით ავტომატურად უნდა მომხდარიყო აგემ > ხ-აგემ. მაგრამ რადგანაც მესამე პირის ფორმაში ასეთი რამ არ მომხდარა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარ ანალოგიას არც პირველი სავალდებულო პირის ფორმაში ჰქონია ადგილი.

ამრიგად, /ხუ-/ პრეფიქსს ვერც ორი პირის ნიშნის კომბინაციად შევიჩნევთ და ვერც ანალოგიის საფუძველზე მიღებულ ერთეულად.

რაიმე დამოუკიდებელი მორფოლოგიური ფუნქცია კი /ხუ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტისათვის არ იძებნება. მართლაც, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც მხოლოდ პირველი სავალდებულო პირის ფორმაში გაირჩეოდა?

ერთადერთი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ექსკლუზივის გამოხატვა, მაგრამ მას ექსკლუზივის მორფემის დამოუკიდებელ წარმომადგენლად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც:

1. ექსკლუზივი (ასევე ინკლუზივი) და პირი სხვადასხვა სეგმენტური ერთეულებით არ აღინიშნება სვანური ზმნის სისტემაში არც სავალდებულო და არც არასავალდებულო პირის ფორმაში.

2. რამდენადაც /ხუ-/ დასტურდება არა მხოლოდ ექსკლუზივის ფორმაში, არამედ მხოლოობით რიცხვშიც, ამდენად არ არსებობს საფუძველი ხ- ელემენტის ექსკლუზივის მორფემის დამოუკიდებელ წარმომადგენლად მიჩნევისათვის.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სვანურ ზმნაში დასტურდება ორი ომონიმური პრეფიქსი — S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/. ცოტაა იმის ალბათობა, რომ იმავე სვანურ ზმნაში არსებულიყო აგრეთვე მესამე /ხ-/ პრეფიქსი განსხვავებული მორფოლოგიური ფუნქციით.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს /ხუ-/ პრეფიქსი სვანურში ერთ განუყოფელ მორფოლოგიურ ერთეულად მივიჩნიოთ მისი არსებობის მთელ მანძილზე.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც /ხუ-/ პრეფიქსში ხ- ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი (ისევე როგორც /გუ-/ პრეფიქსში გ-).

საქმე ის არის, რომ ქართველურ ენებში (და არამარტო ქართველურ ენებში) არ არის ცნობილი აფიქსურ მორფემათა ამგვარი გაორეულების შემთხვევები, ჩვეულებრივია სწორედ საწინააღმდეგო პროცესი — აფიქსურ მორფემათა გამარტივება (ამის ნიმუშები საძებარი არ არის). ქართველურ ენებში ბგერათა განვითარების უდავო შემთხვევები მხოლოდ ძირეულ მორფემებშია დადასტურებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეულ მორფემაში უ-ს წინ ხ-ს განვითარების უდავო მაგალითების არსებობაც კი ვერ გადაწყვეტდა საკითხს /ხუ-/ პრეფიქსში ხ-ს განვითარებულობის შესახებ. ხოლო ამჟამად, როდესაც სვანურში არ არის ცნობილი ხ-ს განვითარების არც ერთი შემთხვევა ძირეულ მორფემაშიც კი, არა გვაქვს არავითარი საფუძველი /ხუ-/ პრეფიქსში ხ-ელემენტის განვითარებულობის მტკიცებისათვის.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სვანურში არსებობს /ხუ-/-ს მსგავსი აგებულების სხვა პრეფიქსიც — /გუ-/, სა-

ეაც ჲ ელემენტი არ არის ფონეტიკურად განვითარებული, რადგანაც /გუ-/ საერთო-ქართველურ საფეხურზე აღდგება როგორც არასავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემის წარმომადგენელი (იხ. ქვემოთ).

როგორც ზემოთ დავინახეთ, პირველი სავალდებულო პირის მორფემის /ხუ-/ ვარიანტი შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგება იმ პოზიციებშიც, სადაც თანამედროვე სვანურში დასტურდება /უ-/, /-უ-/ და /Ø/ ალომორფები (ად-, ეხ- ზმნისწინების მომდევნოდ და ძირეულ მორფემათა თანხმოვნების წინ).

რადგანაც ქართულსა და მეგრულ-ჭანურში აქამდე მხოლოდ /ვ-/-ს პოსტულირება შეეძელით, ამიტომ ბუნებრივად დგება ქართ. /ვ-/, მეგრ.-ჭან. /ვ-/ და სვან. /ხუ-/ სახესხვაობათა დიაქრონიული ურთიერთმიმართების საკითხი. საჭიროა მათი საერთო არქეტიპის დადგენა.

რადგანაც /ხუ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტის გაჩენას სვანურში ისევე არ მოეპოვება უდავო არგუმენტაცია, როგორც ხ-ს დაკარგვას ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, ვივარაუდოთ პრეფიქსის გამარტივება ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, ვიდრე მისი გართულება სვანურში. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: პირველი სავალდებულო პირის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპი *[ხუ-] უნდა იყოს.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. აფიქსურ მორფემათათვის, როგორც ითქვა, დაშახასიათებელია გამარტივებისაკენ (და არა გართულებისაკენ) მიდრეკილება.

2. ქართველური ენები ხასიათდებიან პრეფიქსულ მორფემათა ხ-ს ნულთან გათანაბრების ტენდენციით: ა) ქართულისა და სვანურის ჩვენება უდავოდ ადასტურებს, რომ S_2 და A_3 მორფემათა წარმომადგენლად /ხ-/ გარკვეულ საფეხურამდე მეგრულ-ჭანურშიც უნდა არსებულიყო, მისი ნულთან გათანაბრება კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა, ბ) S_2 /ხ-/ გარკვეული საფეხურების გავლით დაიკარგა ქართულშიც, გარდა რამდენიმე ნაშთისა (ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი), განსაზღვრულ პოზიციებში დაიკარგა აგრეთვე /ხ-/-საგან მომდინარე A_3 მორფემაც, გ) როგორც ზემოთ აღინიშნა, პოზიციათა ერთ ნაწილში S_2, A_3 მორფემათა /ხ-/ და S_1 მორფემის ხ- ელემენტი დაიკარგა სვანურშიც.

3. /ხუ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრება პირველ სავალდებულო პირს არ აკლებს ოპოზიციის არამარკირებულ წევრად, რამდენადაც მის აღმნიშვნელად რჩება /უ-/. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ცვლილებისათვის მორფოლოგიური დაბრკოლება არ არსებობს, განსხვავებით მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდე-

ბულო პირთაგან — /ხ-/-ს ნულთან გათანაბრება ამ პირებს (S_2-სა და A_3-ს) ოპოზიციის არამარკირებულ წევრად აქცევს. შეუძლებელი აო არის ამით აიხსნას ის გარემოება, რომ S_1 /ხუ-/-ს ხ- ელემენტის დაკარგვა ქართულში (იქნებ მეგრულ-ჭანურშიც) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს S_2 და A_3 მორფემათა ნულთან გათანაბრების ტენდენციის ჩასახვას.

4. სვანური ენის მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის იშვიათი ისეთი საერთო-ქართველური არქაიზმები, რომლებიც სხვა თანამედროვე ქართველურ ენებში არ დასტურდება. ასეთი არქაული მოვლენები მოიპოვება პირის აღმნიშვნელ მორფემებშიც: S_2/ხ-/, A_3 /ხ-/, ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები და სხვა. ასეთ ვითარებაში არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ პირველი სავალდებულო პირის მორფემაც არქაული სახით სწორედ სვანურს შეინიშნებოდა.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ამგვარი ჰიპოთეზის წამოყენება შესაძლებელია, მისი არგუმენტაციისათვის კი საჭიროა რაიმე ხელშესახები ფაქტების დაძებნა ქართველურ ენებში.

ამ მხრივ პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართველურ ენებში არ დასტურდება შემთხვევა, სადაც ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი იყოს სავალდებულო და არასავალდებულო პირთა გამომხატველი ორი პრეფიქსი[1]. როდესაც ზმნაში სავალდებულო პირია პირველი პირი, არასავალდებულო კი — მეორე, წარმოდგენილია მხოლოდ მეორე არასავალდებულო პირის ნიშანი, მაგ., ქართ. გ-ხატავ, გ-იხატავ (და არა — გ-ვ-ხატავ, გ-ვ-იხატავ, ან ვ-გ-ხატავ, ვ-გ-იხატავ), ხოლო როდესაც სავალდებულო პირია მეორე პირი, არასავალდებულო — პირველი, დასტურდება მხოლოდ პირველი არასავალდებულო პირის ნიშანი, მაგ., სვან. მ-ახტაში „მხატავ", მ-იხტაში „მიხატავ" (და არა ხ-მ-ახტაში, ხ-მ-იხტაში ან მ-ხ-ახტაში, მ-ხ-იხტაში). ასეთივეა ვითარება ყველა ქართველურ ენაში, მათ შორის ქართული ენის უძველეს წერილობით ძეგლებში — ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში. ზემოთ აღნიშნული ტიპები (გ-ვ-ხატავ, ვ-გ-ხატავ, ხ-მ-ხატავ, მ-ხ-ხატავ) ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისათვისაც უცხოა.

ეს კი ნათლად ადასტურებს იმას, რომ ორი სხვადასხვა პირის პრეფიქსული მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა ერთმანეთის გვერდით თავმოყრა ქართველური ენებისათვის არ არის დამახასიათე-

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 136; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 186—187; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 054; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 164; ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

ბელი. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია A_3 /ხ-/ (>/ჰ-/)-სა და S_1 /უ-/-ს თავმოყრა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში (შე-ხ-უ-აბთ, მი-ხ-უ-ეც, ხ-უ-ესავთ, ჰ-უ-იცოდე). ამის გაგრძელებაა S_1 და A_3 პრეფიქსულ მორფემათა თავმოყრის შემთხვევები შემდეგდროინდელ ქართულში: ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-ს-წერე. ნიშანდობლივია, რომ სხვა ამგვარი შემთხვევა ქართველურ ენებში არ დასტურდება[1]. ეს გამონაკლისი (ისევე როგორც ყოველი გამონაკლისი) მოითხოვს ახსნას.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გამონაკლისი წარმომაველობით დაკავშირებულია პირველი სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად /ხუ-/-ს ოდინდელ არსებობასთან. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში ასახსნელია, თუ როგორ მივიღეთ ის ვითარება, რომელიც ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში დასტურდება.

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტთა მეორე სავალდებულო პირის ფორმაში /ხ-/ (ჰაემეტში — /ჰ-/) წარმოდგენილია როგორც სავალდებულო a პირის არმქონე, ისე მის მქონე ზმნებში, პირველ შემთხვევაში /ხ-/ აშკარად S_2 მორფემის კუთვნილებაა, მეორე შემთხვევაში კი ლოგიკურად მოსალოდნელი იყო S_2 /ხ-/ და A_3 /ხ-/ სეგმენტთა თანმიმდევრობა — მი-ხ-ხ-ეც, ხ-ხ-ემსგავსე, მი-ხ-ხ-უტევნე. სინამდვილეში კი ასეთი თანმიმდევრობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, გვაქვს მხოლოდ — მი-ხ-ეც, ხ-ემსგავსე, მი-ხ-უტევნე და ა. შ.[2]. ეს კი უდავო რეალიზაციაა წესისა — პირის სხვადასხვა პრეფიქსული მორფემების სეგმენტურ წარმომადგენელთა უშუალო თანმიმდევრობა აკრძალულია. აბსოლუტურად ასეთივეა ვითარება სვანურში, მაგრამ არა მხოლოდ S_2, არამედ S_1 ფორმაშიც — აქ სავალდებულო და არასავალდებულო პირთა პრეფიქსული მორფემების თანმიმდევრობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, მაგ.,

1. ხუ-აბემ (და არა ხ-ხუ-აბემ ან ხუ-ხ-აბემ) „ვაბამ“.
2. ხ-აბემ (და არა ხ-ხ-აბემ) „აბამ“.
3. ხ-აბემ „აბამს“.

ესეც ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული წესის უდავო რეალიზაციაა. შდრ. ისეთი ზმნის პარადიგმა, რომელიც არასავალდებულო a პირს არ შეიცავს:

1. ხუ-ამარე „ვამზადებ“.
2. ხ-ამარე „ამზადებ“.
3. ამარე „ამზადებს“.

სვანური პირველი სავალდებულო პირის ფორმა ნათლად გვიჩვე-

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 186.

2 ა. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში. იკე, V, 1953 წ., გვ. 56—57.

ნებს, რომ S_1 და A_3 პირის მორფემათა კომბინაციაში მოცემულია მხოლოდ S_1 მორფემის სეგმენტური წარმომადგენელი — /ხუ-/, ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ S_2 და A_3 მორფემათა კომბინაციაშიც (როგორც სვანურში, ისე ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში) წარმოდგენილია მხოლოდ S_2 მორფემის /ხ-/ (ჰაემეტში — /ჰ-/).

თავდაპირველად ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა დიაქრონიული ცვლილების S_2 /ხ-/+A_3 /ხ-/> /ხ-/ ფონოლოგიურ-დისტრიბუციული შეზღუდვით ახსნა, მაგრამ შემდეგ გავიზიარეთ თ. გამყრელიძის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ისიც ჩვენ მიერ ფორმულირებული ზემოაღნიშნული წესის რეალიზაციაა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ზმნის ფორმაში პირის ორი სხვადასხვა მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერთი მათგანი პრეფიქსულია, ხოლო მეორე — სუფიქსური, მაგრამ შეუძლებელია მაშინ, როცა ორივე პრეფიქსულია.

ქართველურ ენებში ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს ქმნის ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტთა (და აგრეთვე შემდეგდროიხდელი ქართულის) S_1 ფორმა, სადაც სინქრონიული ანალიზის საფუძველზე ერთი-შეორის გვერდით გამოიყოფა A_3 /ხ-/ (ჰაემეტში /ჰ-/) და S_1 /უ-/: შეხ-უ-აბთ (ქრესტ., 1, 13), მი-ხ-უ-ემსგავსნეთ (ქრესტ., 25, 27) და სხვა.

სწორედ ეს გამონაკლისი (A_3 და S_1 მორფემათა თანმიმდევრობის არსებობა) უნდა იყოს ინოვაცია: A_3 /ხ-/+S_1 /უ-/<S_1/ხუ-/. რეინტერპრეტაციის პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მას შემდეგ, რაც გაჩნდა S_1 /ხუ-/-ს გამარტივების (ე. ი. ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრების) ტენდენცია, არასავალდებულო a პირის არმქონე ზმნებში /ხუ-/-საგან ბუნებრივად უნდა მიგვეღო /ვ-/, ისევე როგორც ხანმეტ ტექსტთა წართქმით ბრძანებითში S_2 /ხ-/ გვაძლევს /Ø/-ს: იბანე (ქრესტ., 6, 9), აღდეგ (ქრესტ., 4, 4), აღმოიღე (ქრესტ., 6, 26), განაგდე (ქრესტ., 13, 32). არასავალდებულო a პირის მქონე ზმნებში კი S_1 /ხუ-/-საგან უნდა მიგვეღო /ხ-უ-/ ისევე, როგორც აწგვარივე ზმნათა წართქმით ბრძანებითში ვიღებთ A_3 /ხ-/-ს, მაგ., ხ-უჩუენე (ქრესტ., 8, 3), ხ-არქუ (ლექც., 61, 17), მი-ხ-ეც (ქრესტ., 5, 6), შეხ-ეწიე (ქრესტ., 1, 18). ამ საფეხურზე იქცა S_1 /ხუ-/-ს ხ- ელემენტი A_3 მორფემის წარმომადგენლად, ხოლო /ვ-/ — S_1-ის ალომორფად. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთ ფორმებში, როგორიცაა შეხუაბთ, ხუესავთ, მიხუემსგავსნეთ და სხვა, /ხუ-/ წარმომავლობით S_1 მორფემის კუთვნილებაა.

მაშასადამე, ქართველურ ენათათვის არაბუნებრივი თანმიმდევრობის (/ხ-უ-/) ჩამოყალიბება S_1 /*ხუ-/-ს ოდინდელი არსებობით უნდა იყოს შეპირობებული.

უკვე იმ საფეხურზე, რომელსაც ხანმეტი (ასევე ჰაემეტი) ტექსტები ასახავენ, ჩამოყალიბებულია ზმნის პარადიგმათა ორი განსხვავებული მოდელი:

I მოდელი: A_3 /ხ-/ არც ერთი სავალდებულო პირის ფორმაში არ არის წარმოდგენილი. ეს მოდელი დამახასიათებელია არასავალდებულო a პირის არმქონე (ე. ი. ერთპირიანი და ორპირიანი გარდამავალი) ზმნებისათვის, მაგ.,

1. ვ-არ (ქრესტ., 10, 2)	1. ვ-იხილო (ლექც., 62, 25)
2. ხ-არ (პროტოევანგ., 57)	2. ხ-იხილო (ლექც., 58, 7)
3. არ-ს (ქრესტ., 41, 5)	3. იხილონ (ლექც., 63, 30)

II მოდელი: A_3 /ხ-/ წარმოდგენილია I და III სავალდებულო პირის ფორმაში. ეს მოდელი დამახასიათებელია არასავალდებულო a პირის მქონე (ე. ი. ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი) ზმნებისათვის, მაგ.,

1. ხ-უ-ემსგავსენით (მრ., 18 a 10—11)	1. მი-ხ-უ-ეც (ქრესტ., 17, 11)
2. ნუ ხ-ემსგავსებით (ქრესტ., 5, 25)	2. მი-ხ-ეცით (ლექც., 64, 33)
3. ხ-ემსგავსნეს (მრ., 18 a 4)	3. მი-ხ-ცა (ქრესტ., 22, 7)

როგორც ვხედავთ, პრინციპი ასეთია: თუ ზმნაში წარმოდგენილია მესამე არასავალდებულო a პირი, ის /ხ-/-თი აღინიშნება S_1 და S_3 ფორმებში, თუ — არა, მაშინ ეს /ხ-/ არც ერთი პირის ფორმაში არ დასტურდება.

ტიპოლოგიურად ასეთივეა ვითარება ჰაემეტ ტექსტებშიც, იმ განსხვავებით, რომ A_3 (ასევე S_2) /ჰ-/-ს ხმოვნების წინ ზოგჯერ /Ø/ ენაცვლება.

ეს პრინციპი ირღვევა ხანმეტ (ასევე ჰაემეტ) ტექსტთა არასავალდებულო a პირის არმქონე ზოგ ზმნაში, კერძოდ, /ი-/ ალომორფიან ენებითში (აგრეთვე ზოგ ორპირიან გარდამავალ ზმნაში): ნაცვლად იმისა, რომ ისინი იუღლებოდნენ პირველი მოდელის მიხედვით, იუღლებიან მეორე მოდელის შესაბამისად. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნებს არასავალდებულო პირი საერთოდ არ მოეპოვება, მაგ.,

1. ხუყენით /ხ-უ-იყენით/ (ქრესტ., 11, 4)
2. ხ-იყენით (ქრესტ., 5, 11)
3. ხ-იყნენ (ქრესტ., 9, 1)

შდრ. აგრეთვე: და-ხ-იწერა (ლექც., 62, 31), ხ-იყო (ქრესტ., 16, 21), ჰ-იყო (ქრესტ., 47, 19) და სხვა.

თუ ამგვარ ზმნათა მეორე სავალდებულო პირის ფორმაში /ხ-/-ს (შესაბამისად /ჰ-/-ს) ეძებნება სათანადო მორფოლოგიური ფუნქცია— მეორე სავალდებულო პირის გამოხატვა, — სამაგიეროდ პირველსა და

მესამე პირში წარმოდგენილ /ხ-/-ს (აგრეთვე /ჰ-/-ს) დღემდე არ ეთ-ეპოვება არც სინქრონიული კვალიფიკაცია და არც დიაქრონიული ახსნა.

/ი-/ ალომორფიანი ვნებითი ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. რადგანაც აქ დაცულია როგორც ფუნქციური, ისე ფონეტიკური შესატყვისობა (საერთო-ქართველურ /*ჲ/ სონანტს ყველა ქართველურ ენაში /ი/ შეესატყვისება) [1], ამიტომ /ი-/ ალომორფიანი ვნებითი საერთო-ქართველურ საფეხურამდე ადის. ამავე დროს, რადგანაც /ი-/ ალომორფიანი ვნებითი ყველა ქართველურ ენაში უგამონაკლისოდ ერთპირიანია, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის როდისმე ორპირიანი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების /ი-/ ალომორფიან ვნებითში დადასტურებული /ხ-/ და /ჰ-/ არ შეიძლება არასავალდებულო a პირის გამოხატვის ნაშთად მივიჩნიოთ. და მაშინ აღნიშნულ ფორმებში ამ პრეფიქსთათვის არ იძებნება შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქცია. ეს უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პირველი და მესამე პირის ფორმებში /ხ-/ (> /ჰ-/), როგორც დაშოკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ისტორიულად არ არსებობდა, მაგრამ მაშინ ასახსნელია ამ უფუნქციო ერთეულის გაჩენის მიზეზი.

ასეთი მიზეზი ისევ S_1 მორფემის /*ხუ-/ უნდა იყოს. რადგანაც S_1 /ხუ-/-ს გამარტივების პროცესში ერთი მხრივ ვიღებდით /ვ-/-ს (არასავალდებულო a პირის არმქონე ზმნებთან), ხოლო, მეორე მხრივ, /ხ-უ-/-ს (არასავალდებულო a პირის მქონე ზმნებთან), ადვილი შესაძლებელი იყო ამ რთული პროცესის განხორციელების დროს /ვ-/-ს ნაცვლად /ხუ-/ არქაიზმის სახით შემოგვრჩენოდა არასავალდებულო a პირის არმქონე ზოგ ზმნასთან.

ვფიქრობთ, ხანმეტი (ასევე ჰაემეტი) ტექსტების /ი-/ ალომორფიან ვნებითში დადასტურებული „გაუგებარი" /ხ-/ (>/ჰ-/) მიღებული უნდა იყოს S_1 /ხუ-/-ს არქაიზმის სახით შემონახვის საფუძველზე. მაგრამ ამ ჰიპოთეზის მიღების შემთხვევაში ახსნას მოითხოვს ორი საკითხი: 1. რატომ შემოგვენახა S_1 /ხუ-/ არასავალდებულო a პირის არმქონე ზმნათაგან სისტემატურად მხოლოდ /ი-/ ალომორფიან ვნებითში? 2. რატომ გაჩნდა /ხ-/ მესამე სავალდებულო პირის ფორმაში?

/ი-/ ალომორფიანი ვნებითის ფორმებში /ხუ-/-ს სისტემატურად შემონახვა შეიძლება /ე-/ ალომორფიანი (ე. ი. ორპირიანი) ვნებითის ანალოგიით აიხსნას, სადაც პირველი სავალდებულო პირის ფორმაში

---

1 თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965 წ., გვ. 64—72.

/ხ-უ/ დარჩა S_1 /ხუ-/-ს გამარტივების შემდეგაც როგორც A_3 და S_1 მორფემათა თანმიმდევრობა.

მოსალოდნელი იყო /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პარადიგმა აგებულიყო ერთ-ერთი იმ მოდელის მიხედვით, რომელიც ქართულში S_1 /ხუ-/-ს გამარტივების შემდეგ ჩამოყალიბდა (იხ. ზემოთ). რადგანაც /ი-/ ალომორფიანი ვნებითის S_1 ფორმაში არქაიზმის სახით დარჩა /ხუ-/, ბუნებრივი იყო მისი ხ- ელემენტი ისევე გაგებულიყო, როგორც არასავალდებულო a პირის მქონე ზმნებში. ამიტომ უნდა მომხდარიყო პარადიგმის გათანაბრება პირველი სავალდებულო პირის ფორმის მიხედვით და /ი-/ ალომორფიანი ვნებითის პარადიგმა II მოდელს დამთხვეოდა. ასე უნდა გაჩენილიყო /ხ-/ /ი-/ ალომორფიანი ვნებითის მესამე სავალდებულო პირის ფორმაში. ამჟამად არ არის ცნობილი ისეთ ფორმათა წარმომავლობის ახსნის სხვა გზა, როგორიცაა: ხ-იყო, ხ-იძლია, და-ხ-იწერა, ხ-იდვა, აღ-ხ-ივსო და სხვა.

ასევე შეიძლება აიხსნას /ხ-/-ს გაჩენა ზოგ ორპირიან გარდამავალ ზმნაში, ე. ი. ისეთ ზმნებში, სადაც სავალდებულო პირთან ერთად მხოლოდ არასავალდებულო ხ პირია წარმოდგენილი.

ა. შანიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ზოგი ზმნა, რომელიც ორპირიანია ძველ ქართულში და არ შეიცავს არასავალდებულო a პირს, სამპირიანი უნდა ყოფილიყო ისტორიულად. ამ მესამე პირის (არასავალდებულო a პირის) ტრადიციით შემორჩენილ ნიშნად მიიჩნევს მკვლევარი ამგვარ ზმნებში დადასტურებულ მესამე ობიექტური (ე. ი. არასავალდებულო) პირის ნიშანს. ასეთია ის ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც კონვერსიული ვნებითი /ე-/ ალომორფით აქვთ ნაწარმოები: და-ჰ-ბადა — და-ე-ბადა, აღ-ჰ-მართა — აღ-ე-მართა, და-ჰ-ფლა — და-ე-ფლა და სხვა[1]...

იგივე შეიძლება ითქვას ხანმეტი ტექსტების ანალოგიურ ზმნებზე. სადაც A_3 /ხ-/ არის წარმოდგენილი არასავალდებულო a პირის არმქონე გარდამავალ ზმნებში. მაგრამ ხანმეტ ტექსტებში დასტურდება არასავალდებულო a პირის არმქონე /ხ-/ ალომორფიანი ისეთი ორპირიანი ზმნებიც, რომელთა სამპირიანთაგან წარმომავლობის მტკიცების საფუძველი არ არსებობს, მაგ., ხ-ადიდებდეს (ქრესტ., 14, 29), ხ-თქუა (ქრესტ., 45, 7), მი-ხ-ი-ყვანის (პალ., 33, 14) და სხვა. ამ ზმნათა კონვერსიული ვნებითი /ი-/ ალომორფიანია[2].

---

1 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 170—180; მისივე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 115.

2 იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, 1970 წ., გვ. 302, 315; ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, შემდგენელი ს. სერებრიაკოვი, 1962 წ., გვ. 58, 74, 99.

ამგვარ ზმნებში A_3 /ხ-/ წარმომავლობით S_1 /ხუ-/-სთან უნდა იყოს დაკავშირებული ისევე, როგორც /ი-/ ალომორფიან ვნებითში.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს პირველი სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ საფეხურზე მოვახდინოთ /*ხუ-/-ს რეკონსტრუქცია. მისი გამარტივება, ე. ი. ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრება, შემდგომ მოხდა ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, სვანურში კი ეს პროცესი მხოლოდ ზოგიერთ პოზიციაში განხორციელდა.

/ხუ-/-სა და /ჰუ-/-ს დიაქრონიული ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორიც მეორე სავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირის მორფემების /ხ-/ და /ჰ-/ სახესხვაობებისა, ე. ი. /ჰუ-/ < /ხუ-/.

1.03.9. მეორე სავალდებულო პირის მორფემა. მეორე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად შინაგანი რეკონსტრუქციის გზით მიღებული ქართ. /ხ-/ და სვან. /ხ-/ უფლებას გვაძლევს საერთო-ქართველურ საფეხურზე მოვახდინოთ S_2 /*ხ-/-ს რეკონსტრუქცია. ეს ბუნებრივია მით უფრო, რომ საერთო-ქართველურ *ხ ფონემას ყველა ქართველურ ენაში ხ შეესატყვისება (ქართ. ხუთი, ძახილი, მეგრ. ხუთი, ჯოხო(ნ) „ჰქვია“, ჭან. ხუთ(ი), ჯოხონს „ჰქვია“, სვან. უოხუიშდ „ხუთი“, ჟახე „სახელი“ და სხვა) [1].

გარკვეულ საფეხურამდე S_2 /ხ-/, ცხადია, მეგრულ-ჭანურშიც უნდა არსებულიყო, მისი დაკარგვა კი ისევე შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორც ეს ქართულში მოხდა (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა — ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედ). ამჟამად ძნელი სათქმელია ოლონდ — ჯერჯერობით /ხ-/ დაიკარგა, თუ მან რაიმე საფეხურები გაიარა — მსგავსად ქართულისა.

1.03.10. მესამე სავალდებულო პირის მორფემა. თანამედროვე ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით მესამე სავალდებულო პირის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა არსებობს ამგვარი რეკონსტრუქციის რამდენიმე ცდა.

ვ. თოფურიას ვარაუდით, მესამე სუბიექტური (ე. ი. სავალდებულო) პირის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპი არის /*ნ/, რომელიც ამავე ფუნქციით ძველ ქართულსა და თანამედროვე მეგრულ-ჭანურში გვხვდება. სვანურში ნაშთის სახით შემონახული S_3 /ლ-/ კი /*ნ/-საგან არის მიღებული. ის ფაქტი, რომ /-ნ/ ძველ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში სუფიქსია, ხოლო /ლ-/ სვანურში — პრეფიქსი, ავტორის აზრით, არ ეწინააღმდეგება ამ ჰიპოთეზას, „რადგანაც შეუძლებელი არ არის *ნ ფორმანტი მოძრავი ყოფილიყო: იგი

[1] გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 69—71.

ჰან პრეფიქსად მოგვეელინებოდა და ხან კიდევ სუფიქსად... დროთა სვლამ თავისი „დაღი დააჩნია“: თავსართად გახადა სვანურში, ბოლოსართობა დააკისრა დანარჩენ ენებში“ [1].

ამ ვარაუდს არსებითად გამორიცხავს ა. ჩიქობავას მიერ უფრო გვიან წამოყენებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ძვ. ქართულში იგი (/-ნ/ სუფიქსი — ა. ო.) ზანურიდან შემოსული ჩანს“. მესამე სავალდებულო პირის მორფემის სხვა ალომორფთა შესახებ კი ნათქვამია: „...ჰან.-მეგრ. -უ სუფიქსი იგივე ქართული ა-ა (ქართ. ა — ჰან.-მეგრ. ო→უ); -ს სუფიქსი საერთოა ქართულისა და ჰანურ-მეგრულისათვის“ [2].

ი. ჯავახიშვილმა გაიზიარა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურამდე S_3 ყველა ქართველურ ენაში ნ-თი აღინიშნებოდა. მანვე დაუშვა ამ ნ-ს არსებობა საერთო-ქართველურში, მაგრამ ნ-ს თავდაპირველ ფუნქციად მიიჩნია არა მესამე პირის. არამედ მდედრობითი სქესის აღნიშვნა. ნ-ს რეინტერპრეტაცია კი (ე. ი. S_3 მორფემის წარმომადგენლად ქცევა), ამ თვალსაზრისის მიხედვით, შემდგომ მოხდა ქართველურ ენებში.

ი. ჯავახიშვილმა აქვე წამოაყენა დებულება: „1 და 2 პირის სუბ. ნიშნების მარტოოდენ თავსართად ხმარების ურყევი წესი ქართულსა და ქართველურებში სრული სიცხადით ამტკიცებს, რომ სვანურს თავისი ლ თავსართის მესამე სუბ. ნიშნად ხმარების წესი ქართულსა და მეგრულ-ჭანურზე უფრო უძველესი სახით უნდა ჰქონდეს დაცული“ [3].

ამის შემდეგ ა. ჩიქობავამ გაიზიარა მოსაზრება /ნ/-ს უძველესობისა და მასთან სვან. /ლ-/-ს მიმართების შესახებ: „...-ნ სწორედ მესამე პირის სუბიექტის აღმნიშვნელია, უძველესი ფორმაციისა სალიტერატურო ქართულში“, „ეს -ნ სუფიქსი უძველესი სუფიქსია მესამე პირისა; იგი გამოყენებული იყო როგორც დროთა ძველ ჯგუფში, ისე დროთა პირველ ჯგუფში — შემდგომი ხანების -ა სუფიქსისა და -ს სუფიქსის ნაცვლად“, „-ნ სუფიქსის ვარიანტია ლ- აფიქსი სვანურში“ [4].

/-ნ/ და /ლ-/ სახესხვაობათა დიაქრონიული ურთიერთმიმართების შესახებ კი ა. ჩიქობავა წერს: „**-ნ სუფიქსთან შედარებით სვან. ლ-პრეფიქსი უფრო ძველ ვითარებას ამყლავნებს: ის პრეფიქსია და არა**

---

1 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 8.

2 ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 101.

3 ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ., გვ. 449—450.

4 ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940 წ., გვ. 35—41.

სუფიქსი: მაშასადამე, იმ დროისაა, როცა პრეფიქსაცია პირის აღნიშვნის განუხრელი პრინციპი იყო, სუფიქსაციას ჯერ კიდევ ადგილი არ ჰქონდა“ [1].

მ. ქალდანმა სვანურ დიალექტებში მესამე სუბიექტური (ე. ი. სავალდებულო) პირის მორფემის წარმომადგენლად, /ლ-/-ს გარდა, დაადასტურა /ნ-/ და /დ-/ ალომორფები: ლჳ-ნ-ემ „ქამა“, ლა-ნ-იშ „დალია“, ლა-ნ-ყუინე „წააწვინა“, ლა-ნ-თე „მომკა“. /ნ-/-ს ყველგან თავისუფლად ენაცვლება /დ-/: ლჳ-დ-ემ, ლა-დ-იშ, ლა-დ-ყუინე, ლა-დ-თე და სხვა. ავტორმა გაიზიარა თეზისი სვან. /ლ-/-ს /ნ-/-საგან წარმომავლობის შესახებ და შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნულ ალომორფთა შემდეგი დიაქრონიული ინტერპრეტაცია: /ნ-/>/ლ-/>/დ-/>/Ø/, ე. ი. ლჳ-ნ-ემ>ლჳ-ლ-ემ>ლჳ-დ-ემ>ლჳ-ემ [2]. ამ ვარაუდის მიხედვით, S_3 მორფემის სავარაუდო საერთო-ქართველური არქეტიპი /*ნ-/ სვანურში დღემდე შემოგვენახა.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ მ. ქალდანი მიიყვანა დასკვნამდე: S_3 მორფემის /დ-/ და /ნ-/ სახესხვაობები მიღებულია /ლ-/-საგან. ავტორი იძლევა ამ დასკვნის დამაჯერებელ არგუმენტაციას [3].

იმის საფუძველზე, რომ S_3 მორფემის წარმომადგენლად /-ნ/ მხოლოდ ძველ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში დასტურდება, გ. კლიმოვი, სრულიად ბუნებრივად, /-ნ/-ს რეკონსტრუქციას მხოლოდ საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზე ახდენს [4]. აქედან ჩანს, რომ ავტორი ამ /*-ნ/-სთან არ აკავშირებს სვან. /ლ-/-ს.

ოპტატივის ფორმებში S_3 მორფემის წარმომადგენლად საერთო-ქართველურ საფეხურზე გ. კლიმოვი /*-ს/-ს აღადგენს. ავტორის აზრით, ამ სუფიქსის თავდაპირველი დისტრიბუცია შემონახულია სვანურში, სადაც ის მხოლოდ კავშირებითის ფორმებში დასტურდება; დანარჩენ ქართველურ ენებში კი მოხდა კავშირებითის ფორმებიდან /-ს/-ს გავრცელება სხვა კილოთა ფორმებშიც [5].

თანამედროვე სვანურში დადასტურებულ /ლ-/-ს სპეციალურად განიხილავს ნ. ანდღულაძე და ცდილობს წარმოადგინოს მისი დიაქრო-

---

[1] ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 41; იხ. აგრეთვე მისივე, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 163.

[2] მ. ქალდანი, დ-ს გენეზისისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959 წ., გვ. 96—99.

[3] მ. ქალდანი, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნ. სესია (თეზისები), 1972 წ., გვ. 12—13.

[4] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 144—145.

[5] იქვე, გვ. 161.

ნიული ანალიზი. ავტორი ემყარება თეზისს, რომლის მიხედვითაც ქართველურ ენებში პიროვან უღვლილებას წინ უსწრებდა კლასოვანი უღვლილება, ამიტომ სვან. /ლ-/-ს წარმომავლობის საკითხსაც ამ თეზისიდან ამოსვლით წყვეტს. ნ. ანდღულაძის აზრით, ქართველურ ენათათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო მესამე სუბიექტური პირის უნიშნოობა (resp. არამარკირებულობა), ამიტომ სვან. /ლ-/-ც. ცხადია, წარმომავლობით არ არის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, ის „...ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა, რომელიც აშოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ", „ამგვარად, ლ- აფიქსი სვანურ ზმნაში იმ დროისაა, როდესაც ზმნა პირის მიხედვით კი არ იუღლებოდა, არამედ კლასის მიხედვით". ამ დებულების დამამტკიცებლად ავტორს მიაჩნია შემდეგი არგუმენტები: 1. სვან. ლგგ „დგას" და ქართ. დეგ ფორმათა შეპირისპირება — „ქართ. დ- და სვან. ლ- ერთი და იმავე მორფოლოგიური ღირებულების აფიქსებია: ორივე ნიეთის კატეგორიის ექსპონენტებია", 2. ერთპირიანი ზმნებისაგან (ლ-ი „არის", ლ-ჱსუ „იყო", ლგგ „დგას") განსხვავებით, თანამედროვე სვანურის ორპირიან გარდამავალ ზმნებში (ლა-ლ-ჳმ „შეჰამა", ლა-ლ-გშ „დალია") /ლ-/ პრეფიქსი, ავტორის აზრით, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელად. რადგანაც „თუ ლ- სუბიექტური პირის ნიშანია, მაშინ ორმაგი ნიშანი ჰქონია მესამე პირს: ერთი ლ- პრეფიქსი, მეორე — ფუძის ხმოვნის დაგრძელება პირველი და მეორე პირის პრევერბისეული ხმოვნის დაგრძელების საპირისპიროდ"... მართალია, ავტორი შენიშნავს — მეორე შემთხვევისათვის „პირის ნიშანს" პირობით ვხმარობთო, მაგრამ მაინც აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე დაასკვნის: „ლა-ლ-ჳმ, ლა-ლ-გშ ფორმები ჩვენთვის ობიექტის ნიშნიანი ფორმებია".

ამ კვალიფიკაციიდან ამოსვლით ნ. ანდღულაძე იძლევა შემდეგ დიაქრონიულ ინტერპრეტაციას: „გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტი მესამე პირისა არაა წარმოდგენილი ნიშნით. მაშასადამე, ამ მაგალითების (ლა-ლ-ჳმ, ლა-ლ-გშ — ა. ო.) ლ- პირისა არ შეიძლება იყოს".

ავტორის საბოლოო დასკვნა კი ასეთია: „ლ- აფიქსი სვანური ენის გარდაუვალს ზმნებში სუბიექტის კლასს აღნიშნავდა, გარდამავალს ზმნებში — პირდაპირი ობიექტის კლასს" [1].

საკითხის შესწავლის ეს მოკლე ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველურ ენებში მესამე სავალდებულო პირის მორფემა მოითხოვს შემდგომ დიაქრონიულ კვლევა-ძიებას.

---

1 ნ. ანდღულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1968 წ., გვ. 178—200.

საერთო-ქართველური მდგომარეობის რეკონსტრუქციისათვის საჭიროა თითოეულ ქართველურ ენაში მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დადასტურებულ ალომორფთა სინქრონიული ურთიერთმიმართების დიაქრონიული ინტერპრეტაცია, ხოლო შემდეგ მიღებულ შედეგთა ერთმანეთთან შედარება.

როგორც დისტრიბუციული ანალიზის დროს დავინახეთ, თანამედროვე ქართულში მესამე სავალდებულო პირის მორფემის /-ს/, /-ა/ (/-ო/) ალომორფების განაწილება შეპირობებულია არა ფონოლოგიურად, არამედ — მორფოლოგიურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი...).

ფაქტობრივ ასეთივეა ვითარება ძველ ქართულშიც: S_3 მორფემის /-ს/, /-ა/ (/-ო/), /-ნ/, /-დ/ ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება.

მეგრულსა და ჭანურში მესამე სავალდებულო პირის მორფემის /-ს/, /-ნ/, /-უ/ ალომორფების განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული (არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ძწყოს მწკრივში /-ნ/ და /-ს/ ალომორფთა განწილება თავდაპირველად მორფოლოგიურად იყო შეპირობებული, ამის გვერდით მათი განაწილების ფონოლოგიური მოდელის ჩამოყალიბება გვიანდელი მოვლენაა და გამოწვეულია იმით, რომ პასიურ და მედიოპასიურ ზმნებს, სადაც /-ნ/ დასტურდება, ხმოვანი აღმოაჩნდათ ბოლოკიდურში, ხოლო აქტიურ და მედიოაქტიურ ზმნებს, სადაც /-ს/ დასტურდება, — თანხმოვანი).

იგივე შეიძლება ითქვას სვანურის შესახებაც — ერთი მხრივ, /ლ-/, /ნ-/, /დ-/ ალომორფებისა და, მეორე მხრივ, /-ს/-ს გამოვლენას ფონოლოგიური გარემოცვა, ცხადია, არ განსაზღვრავს.

ის ფაქტი, რომ მესამე სავალდებულო პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენა ფონოლოგიურ პოზიციაზე არც ერთ ქართველურ ენაში არ არის დამოკიდებული, ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ არც ერთ მათგანში ეს ალომორფები საერთო არქეტიპისაგან არ მომდინარეობს (ე. ი. არ ხერხდება მათი საერთო არქეტიპების რეკონსტრუქცია). თუ ამას დავუმატებთ ალომორფებს შორის არსებულ დიდ ფონეტიკურ სხვაობასაც, მაშინ ეს აზრი უდავო გახდება[1].

ეს კი საფუძველს გვაძლევს წამოვაყენოთ საკვლევი პრობლემა: სხვადასხვა ალომორფები, რომლებიც თანამედროვე ქართველურ

---

[1] ა. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, გვ. 15, 40.

ენებში (აგრეთვე ძველ ქართულში) S_3 მორფემაში ერთიანდებიან, ისტორიულად სხვადასხვა მორფოლოგიურ ფუნქციას ხომ არ ასრულებდნენ? ანუ სხვაგვარად — ეს მორფოლოგიური ერთეულები (ან მათი ნაწილი) რეინტერპრეტაციის საფუძველზე ხომ არ იქცნენ მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის საფუძველს პირველ რიგში იძლევა ის თავისებურებები, რითაც მესამე სავალდებულო პირის მორფემა განსხვავდება პირის ყველა სხვა მორფემისაგან:

1. ქართველურ ენებში პირის ყოველი მორფემის ალომორფები ერთი საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობენ, ე. ი. ისინი ერთი რომელიმე ვარიანტის სხვადასხვა ფონოლოგიურ პოზიციაში სახეცვლის შედეგს წარმოადგენენ. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია მესამე სავალდებულო პირის მორფემა, რომლის ალომორფები სხვადასხვა ფონოლოგიურ გარემოცვაში სახეცვლის შედეგს არ წარმოადგენენ. ე ი. ერთ არქეტიპამდე არ აიყვანებიან.

2. პირის ყველა მორფემა მხოლობითსა და მარვლობითში ერთი და იმავე ერთეულებით არის წარმოდგენილი, ამ მხრივაც ერთადერთი გამონაკლისია მესამე სავალდებულო პირის მორფემა, რომელიც მხოლობითსა და მრავლობითში სხვადასხვა მორფოლოგიური ერთეულებით დასტურდება.

3. პირის ყველა მორფემა პრეფიქსულია. როგორც არაერთხელ აღნიშნულა, მესამე სავალდებულო პირის მორფემა ამ მხრივაც გამონაკლისს შეადგენს.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს წამოვაყენოთ სამუშაო დებულებები:

1. სავალდებულო პირის ნიშნად სუფიქსთა გამოყენება გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე გაჩენილი ინოვაციაა ქართველურ ენებში.

2. ეს სუფიქსები აღნიშნულ ქრონოლოგიურ საფეხურამდე რაღაც სხვა მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებდნენ.

3. რადგანაც ამ სუფიქსთა საერთო არქეტიპამდე აყვანა არ ხერხდება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სხვადასხვა მორფოლოგიური დანიშნულება ჰქონდათ (სხვადასხვა დაპირისპირებაში იღებდნენ მონაწილეობას).

ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართველურ ენებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მესამე სავალდებულო პირის მორფემის ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს კილო, მწკრივი, დრო ან გვარი. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის სუფიქსები, რომლებიც ამჟამად S_3 მორფემაში ერთიანდებიან, ისტორიულად ზემოაღნიშნულ კატეგორიათა (ან მათი ნაწილის) მიხედვით დაპირისპირებას გამოხატავდნენ.

ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყველა ქართველურ ენაში კავშირებითის მწკრივებში S_3 მორფემის წარმომადგენლად ყოველთვის /-ს/ ალომორფი დასტურდება. ეს ერთობლივი და უგამონაკლისო ჩვენება იმაზე მეტყველებს, რომ /-ს/ ალომორფს რაღაც კავშირი აქვს კავშირებითობასთან.

ვვარაუდობთ, რომ კავშირებითის მწკრივებში დადასტურებული S_3 /-ს/ ქართველურ ენებში ისტორიულად კავშირებითის მორფემის შემადგენელი ელემენტი იყო, მისი S_3 მორფემის წარმომადგენლად ქცევა კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თანამედროვე სვანური, ამიტომ ჩვენ აქ მას ცალკე განვიხილავთ და შევეცდებით წარმოვადგინოთ სვანური ენის განვითარების ადრეული საფეხურის შესაძლო შინაგანი რეკონსტრუქცია. მისი სხვა ქართველურ ენათა მონაცემებთან შედარება კი საერთო-ქართველური საფეხურის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას მოგვცემს.

სვანურში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად სუფიქსის სახით მხოლოდ /-ს/ დასტურდება. ის მხოლოდ (და ამავე დროს ყოველთვის) კავშირებითის მწკრივებშია წარმოდგენილი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ზმნებში, რომელთაც მესამე სავალდებულო პირის აღმნიშვნელად აქვთ /ლ-/, /ნ-/ ან /ჲ-/ პრეფიქსი, კავშირებითის მწკრივთა მესამე პირის ფორმაში ერთდროულად არის წარმოდგენილი ერთ-ერთი აღნიშნული პრეფიქსი და /-ს/ სუფიქსი, მაგ., ლშხ. ლ-ესე-ხ „იყოს“, ბზ. ლა-ლ-ჴმე-ს//ლა-ლ-ჴმა-ხ, ლშხ. ლა-ლ-ემა-ს, ლნტ. ლა-ლ-ემე-ს, ბქვ. ლჴ-ლ-ემე-ს „შეჯამოს“, ლშხ. ლ-გგდე-ს „იდგეს“, ლა-ლ-გშა-ხ „დალიოს“, ლე-ნ-ქუა-ხ „ჩაიცვას“, ლა-ჲ-ჳემა-ს „თიბოს“ და სხვა.

ეს არის ერთადერთი გამონაკლისი არა მარტო სვანურში, არამედ საერთოდ ქართველურ ენებში. არც ერთ სხვა შემთხვევაში არც ერთი პირი (არც სავალდებულო, არც არასავალდებულო) ერთდროულად ორი სხვადასხვა სეგმენტური ერთეულით არ არის წარმოდგენილი. ამიტომ ეს გამონაკლისი ახსნას მოითხოვს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მათგანი (პრეფიქსი ან სუფიქსი) იყო არა მესამე სავალდებულო პირის, არამედ რაღაც სხვა კატეგორიის გამომხატველი. რადგანაც არ იძებნება გრამატიკული კატეგორია, რომლის გამომხატველადაც შეიძლებოდა /ლ-/ (ან /ნ-/ და /ჲ-/) მიგვეჩნია, ხოლო /-ს/ აშკარად კავშირებითთან არის დაკავშირებული, ამიტომ გვაქვს საფუძველი /-ს/ ისტორიულად კავშირებითის მორფემის კუთვნილებად მივიჩნიოთ. ამ აზრს უჭერს მხარს სხვა ქარ-

ძველურ ენათა ჩვენებაც. მაგრამ მაშინ ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ თანამედროვე სვანურში /-ს/ მხოლოდ მესამე პირის ფორმაში წარმოდგენილი.

შეუძლებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ კავშირებითის მწკრივების „ორთა ფორმაში“ (მხოლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირი) სხვა ალომორფი ყოფილიყო წარმოდგენილი, ხოლო „ხუთთა ფორმაში“ (მხ. რიცხვის მესამე პირი, ინკლუზივი, ექსკლუზივი, მრ. რიცხვის მეორე და მესამე პირი) — სხვა, ისევე როგორც ეს დასტურდება თანამედროვე სვანურის უწყვეტელში, წყვეტილში და სხვაგან, ძაგ., უწყვეტლის მწკრივის „ორთა ფორმაში“ წარმოდგენილ /-ას/ ალომორფს „ხუთთა ფორმაში“ შეეფარდება /-ა/, ხოლო /-დას/-ს — /-და/.

ჩვენი ვარაუდით, კავშირებითის მწკრივებს „ხუთთა ფორმაში“ უნდა გვქონოდა ისეთი ალომორფი, რომელიც „ორთა ფორმაში“ მოცემული ალომორფისაგან განსხვავდებოდა ბოლოკიდური -ს ელემენტით, ე. ი. თუ „ორთა ფორმაში“ გვქონდა /-დე/ /-ენდ/ ან /-დენდ/, მაშინ „ხუთთა ფორმაში“ უნდა გვქონოდა /-დეს/, /-ენდს/ ან /-დენდს/ (I კავშირებითი), ხოლო თუ „ორთა ფორმაში“ გვქონდა /-ა/ ან /-ე/, მაშინ „ხუთთა ფორმაში“ უნდა გვქონოდა /-ას/ ან /-ეს/ ალომორფები (II კავშირებითი).

მაგრამ მაშინ ასახსნელია, თუ რატომ დაიკარგა -ს ელემენტი მრავლობითი რიცხვის ფორმებში და რატომ შემოგვენახა ის მარტოოდენ მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში. ამის ძიძებად შეიძლება განსხვავებული ფონოლოგიური პოზიცია მივიჩნიოთ: მრავლობითი რიცხვის ფორმებში -ს ელემენტის დაკარგვა შეიძლება მომდევნო თანხმოვნის (მრავლობითობის სუფიქსის) გავლენით აიხსნას, ხოლო მხ. რიცხვის S_3 ფორმაში მისი შემონახვა — მომდევნო თანხმოვნის უქონლობით. კონკრეტული მაგალითის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ცვლილებებს ასეთი ხასიათი უნდა ჰქონოდა:

I კავშირებითი

მხ. რ. 1. ხუამარ-დე <*ხუამარ-დე
2. ხამარ-დე <*ხამარ-დე
3. ამარ-დეს <*ამარ-დეს

მრ. რ. 1. ლამარ-დე-დ <*ლამარ-დეს-დ <*ლამარ-დეს-შდ
ხუამარ-დე-დ <*ხუამარ-დეს-დ <*ხუამარ-დეს-შდ
2. ხამარ-დე-დ <*ხამარ-დეს-დ <*ხამარ-დეს-შდ
3. ამარ-დე-ხ <*ამარ-დეს-ხ

II კავშირებითი

მხ. რ. 1. ოხუშვარ-ა <*ოხუშვარ-ა
2. ახმარ-ა <*ახმარ-ა
3. ანმარ-ას <*ანმარ-ას

მრ. რ. 1. ალმარ-ა-დ <*ალმარ-ას-დ <*ალმარ-ას-შდ
ოხუშვარ-ა-დ <*ოხუშვარ-ას-დ <*ოხუშვარ-ას-შდ
2. ახმარ-ა-დ <*ახმარ-ას-დ <*ახმარ-ას-შდ
3. ანმარ-ა-ხ <*ანმარ-ას-ხ

ამრიგად, /-ს/ სუფიქსი სვანურში წარმომავლობით კავშირებითის კუთვნილება უნდა იყოს.

რადგანაც ქართულსა და მეგრულ-ჭანურშიც S_3 /-ს/ ერთადერთია კავშირებითის მწკრივებში, ამიტომ ბუნებრივია მას აქაც ისეთივე კვალიფიკაცია მიეცეს, როგორიც სვანურში. უნდა დავუშვათ, რომ ქართულსა და მეგრულ-ჭანურშიც, სვანურის მსგავსად, განსხვავებული ალომორფები დასტურდებოდა „ორთა ფორმასა“ და დახარჩენ ფორმებში. მრავლობით რიცხვში ბოლოკიდური -ნ-ს დაკარგვა აქაც მომდევნო თანხმოვნის (მრავლობითობის სუფიქსის) გავლენით შეიძლება აიხსნას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველურ ენებში იძებნება საერთო საფუძველი მრავლობითი რიცხვის ფორმებში კავშირებითობის სუფიქსების -ხ ელემენტის დაკარგვისა და მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმაში მისი შემონახვისა.

მაშასადამე, ქართველურ ენათა კავშირებითის ფორმებში წარმოდგენილი /-ს/ წარმომავლობით კავშირებითობის მორფემის შემადგენელი ელემენტი უნდა იყოს, მისი მესამე სავალდებულო პირის ნიშნად ქცევა კი მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, რაც მრავლობითი რიცხვის ფორმებში განხორციელდა ბოლოკიდური -ს ელემენტის პოზიციური დაკარგვა.

მწკრივის ან კილოს მორფემათა დიაქრონიული ანალიზი და მათი ურთიერთმიმართების გარკვევა ამჟამად არ შეადგენს ჩვენი კვლევის უშუალო მიზანს. უდავოა ოღონდ ერთი — კავშირებითობის მორფემის რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთო-ქართველურ საფეხურზე, რადგანაც ქართველურ ენებში მოიპოვება ერთმანეთის ფუნქციურად და ფონემურად შესატყვისი სუფიქსები, მაგ., I კავშირებითის ნიშნები: ქართ. /-დე/ — სვან. /-დე/ — მეგრ. /-და/ — ჭან. /-ტა/; II კავშირებითის ნიშნები: ქართ. /-ე/ — სვან. /-ე/ — მეგრ.-ჭან. /-ა/; ქართ. /-ა/ — სვან. /-ა/.

ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: კავშირებითის მწკრივებში -ნ-ს რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთო-ქართველურ

საფეხურზე, მაგრამ არა მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად, არამედ კავშირებითის მორფემის ერთ-ერთ ელემენტად.

თანამედროვე სვანურს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად, ზემოაღნიშნულ /-ს/-ს გარდა, სუფიქსური ალომორფი არ მოეპოვება.

ქართულსა და მეგრულ-ჭანურში არსებული სხვა ალომორფები ისტორიულად აგრეთვე არ უნდა ყოფილიყვნენ მესამე სავალდებულო პირის მორფემის კუთვნილება. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა აღნიშნულ ალომორფთა დისტრიბუციული თავისებურება: მათ გამოვლენას განსაზღვრავს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ პირის კატეგორიის მიღმა მდებარე რაიმე მორფოლოგიური კატეგორია (ქილო, მწკრივი, დრო, გვარი).

ძველი ქართულის ვითარება ნათლად გვიჩვენებს, რომ აწმყოს მწკრივში /-ა/ ალომორფის გამოვლენა, რასაც თანამედროვე ქართულის ბრუნვაუცვლელსავალდებულოპირიან ზმნებში აქვს ადგილი, შემდგომ გაჩენილი ინოვაციაა. ამ პროცესის დასაწყისი უნდა იყოს /-ს/-ს მონაცვლედ /-ა/-ს გამოჩენა ძველი ქართულის სტატიკურ ზმნებში. ახალი ქართულის ვითარება კი ამ პროცესის გაგრძელებაა. ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არაწარსულდროიან მწკრივებში ქართულში ისტორიულად /-ა/ ალომორფი არ უნდა არსებულიყო.

მეორე მხრივ, წარსულდროიან მწკრივებში (უწყვეტელსა და წყვეტილში) /-ს/ ალომორფი არ დასტურდება არც ძველსა და არც ახალ ქართულში, წარმოდგენილია მხოლოდ /-ა/ (წყვეტილში აგრეთვე /-ო/). ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ /-ს/ და /-ა/ ისტორიულად დროულ დაპირისპირებას გამოხატავდნენ — /-ა/ წარსულ დროს აღნიშნავდა, ხოლო /-ს/ — არაწარსულს. გასარკვევია ოღონდ, თუ რატომ შემოგვენახა ეს სუფიქსები მხოლოდ მესამე პირის ფორმაში. შეუძლებელი არ არის ქართ. S_3 /-ა/ (აგრეთვე მეგრ.-ჭან. /-უ/) გენეტურად დაკავშირებული იყოს სვანური უწყვეტლის მწკრივის „ხუთთა ფორმაში“ დადასტურებულ /-ა/-სა და /-და/ ალომორფის ა ელემენტთან (ამარ-ა „ამზადებდა“, აშიხ-და „წვავდა“ და სხვა). თუ ეს ასეა, მაშინ ქართულში /-ა/ (მეგრულ-ჭანურში /-უ/) ისევე არ უნდა ყოფილიყო პირის ნიშანი, როგორც აღნიშნული /-ა/ და /-და/ არა› თანამედროვე სვანურში S_3 მორფემის წარმომადგენელი. საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

აქ დგება აგრეთვე /-ო/ ალომორფის ისტორიული რაობისა და მისი /-ა/-სთან მიმართების საკითხი. ამჟამად ძნელი სათქმელია /-ა/ და /-ო/ წარმომავლობით სხვადასხვა სუფიქსებია, თუ — ერთი და იმავე

არქეტიპის სხვადასხვა პოზიციაში წარმოქმნილი ვარიანტები. ის გარემოება, რომ ამ ალომორფთა გამოვლენას ნაწილობრივ ფონოლოგიური პოზიცია განსაზღვრავს (იხ. ზემოთ), საფუძველს გვაძლევს არ გამოვრიცხოთ ლიტერატურაში არსებული ვარაუდი მათი საერთო არქეტიპიდან მომდინარეობის შესახებ; მაგრამ ძნელია იმ პოზიციების მონახვა, სადაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ეს სახესხვაობები. რადგანაც /-ო/ მხოლოდ ნულოვანი გახმოვანების ძირეულ ძორფემებთან დასტურდება, ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სწორედ ამ პოზიციაში მოხდა ცვლილება /-ა/>/-ო/, მაგრამ რადგანაც ასეთსავე პოზიციაში /-ა/-ც დასტურდება, ამიტომ ასეთი დასკვნისათვის, დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, არ არსებობს საფუძველი. სერიოზული დაბრკოლებები ახლავს ლიტერატურაში არსებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ /-ო/ მიღებულია /-ა/-ს ვ-სთან შერწყმით (ე. ი. ვ+ა>ო)[1]. თუ ამ ჰიპოთეზას მივიღებთ, მაშინ უნდა დასაბუთდეს, რომ, ერთი მხრივ, /-ო/ ყველა შემთხვევაში მიღებულია ვა მიმდევრობისაგან (ე. ი. /-ო/ ალომორფიან ყველა ზმნაში უნდა მოხერხდეს ვა-ს რეკონსტრუქცია), ხოლო, მეორე მხრივ, ვა მიმდევრობას ყველა შემთხვევაში უნდა მოეცა /-ო/. სინამდვილეში კი ამის საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება: ჯერ ერთი, /-ო/ ალომორფიან ზოგ ზმნაში ვ-ს რეკონსტრუქცია არ ხერხდება, მაგ., აა-გ-ო (შდრ. ქართ. ა-გებ-ს — მეგრ. ო-გ-ან-ს — სვან. ა-გ-ემ), გაა-თბ-ო [2] და სხვა; ასეთ შემთხვევებში ცვლილება /-ა/>/-ო/ ანალოგიით (ფორმათა გათანაბრებით) ვერ აიხსნება, რადგანაც /-ო/-ს გამოვლენა დამოკიდებულია არა ზმნის ფუძეში ვ-ს არსებობაზე, არამედ სხვა ფაქტორებზე, რომლებიც ავტომატურად განაპირობებენ /-ო/-ს გამოვლენას (იხ. ზემოთ). ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ /-ო/ მიღებულია /-ა/-საგან, მაშინ ამ ცვლილების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტორებშია საძებარი, ანალოგიის მოქმედება კი უნდა გამოირიცხოს. ამასთანავე, თუ ანალოგიას დავუშვებთ, მაშინ აუხსნელი რჩება, თუ რატომ მივიღეთ /-ა/-საგან /-ო/ მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში და არა ყველგან. მეორეც, ვ-ს მომდევნოდ ზოგჯერ არ არის განხორციელებული ცვლილება ვ+ა>ო. თუ მართლა მოხდა ცვლილება — *იყაე-ა>*იყვ-ა>იყ-ო, მაშინ აუხსნელია, რატომ არ განხორციელდა ანალოგიური ცვლილება — შვ-ა>შ-ო, დაწვ-ა>დაწ-ო და სხვა.

---

[1] **G. Deeters**, Das kharthwelische Verbum, გვ. 106; **ა. ჩიქობავა**, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 053 და სხვა.

[2] **ა. ჩიქობავა**, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 237, 326—327; **თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 115—117; **გ. მაჭავარიანი**, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 61, 86.

ნათქვამიდან, ვფიქრობთ, ჩანს, რომ ქართ. /-ა/ და /-ო/ სუფიქსთა დიაქრონიული ურთიერთმიმართების დადგენა შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. უდავოა ოღონდ, რომ ქართ. /-ო/ წყვეტილის მწკრივთან არის დაკავშირებული, რამდენადაც ის მხოლოდ და მხოლოდ ამ მწკრივის ფორმებში დასტურდება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ისტორიულად ის პირის მორფემის წარმომადგენელი არ უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, არც /-ს/, არც /-ა/ და არც /-ო/ ისტორიულად პირის მორფემის წარმომადგენელი არ უნდა ყოფილიყო. ამავე დროს /-ს/, რომელიც კავშირებითის მწკრივებშია დადასტურებული, შესაძლოა წარმომავლობით არ უკავშირდებოდეს იმ /-ს/-ს, რომელიც არაკავშირებითის არაწარსულდროიან მწკრივებში გვხვდება. მეტიც შეიძლება ითქვას: იქნებ /-ს/, რომელიც ძველ ქართულში ხოლმეობითის წარსულდროიან მწკრივებში დასტურდება, წარმომავლობით არ უკავშირდებოდეს არც ერთ ზემოაღნიშნულ /-ს/-ს. და მაინც, არ უნდა გამოირიცხოს საკითხის სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობაც: მას შემდეგ, რაც /-ს/ S_3 მორფემის კუთვნილებად იქცა, ადვილად შეიძლებოდა შეცვლილიყო მისი დისტრიბუცია და ერთი მწკრივიდან სხვა მწკრივებში გავრცელებულიყო. ამ თვალსაზრისით ახგარიშგასაწევია გ. კლიმოვის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც /-ს/ კავშირებითიდან უნდა იყოს გავრცელებული სხვა კილოთა ფორმებში [1].

ძველ ქართულში მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმოშადგენლად დადასტურებულ /-ნ/ და /-დ/ ალომორფთა დისტრიბუცია საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისტორიულად არც ისინი იყვნენ ამ მორფემის კუთვნილება. მას შემდეგ კი, რაც ისინი S_3 მორფემაში გაერთიანდნენ, შეიძლებოდა მათი დისტრიბუციაც მნიშვნელოვნად შეცვლილიყო [2].

მეგრულსა და ჭანურში, როგორც სინქრონიული ანალიზის დროს დავინახეთ, მესამე სავალდებულო პირის მორფემის /-ს/ და /-ნ/ ალომორფები მხოლოდ არაწარსულდროიან ფორმებში გვხვდება (როგორც დავინახეთ, უმთავრესად ასეთსავე სურათს გვიჩვენებენ მათი ქართული შესატყვისები — /-ს/ და /-ნ/). მეორე მხრივ, მეგრულ-ჭანურში /-უ/ წარსულდროიან მწკრივებში დასტურდება (ჩვეულებრივ, ასეთსავე სურათს გვიჩვენებს მისი ქართული შესატყვისი /-ა/-ც).

ეს კი უფლებას გვაძლევს მეგრულ-ჭანურ სუფიქსთა წარმომავლობაც დაახლოებით ისევე ავხსნათ, როგორც მათი ქართული შესატყვისებისა. ყოველ შემთხვევაში, მეგრულ-ჭანური /-ს/, /-ნ/, /-უ/

[1] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. გვ. 161.

[2] ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 53, 1954, გვ. 145—146.

ისტორიულად ისევე არ უნდა ყოფილიყვნენ მესამე სავალდებულო პირის მორფემის კუთვნილება, როგორც ქართული /-ს/, /-ნ/ და /-ა/.

ამჟამად ძნელი სამტკიცებელია, ოღონდ, აღნიშნულ სუფიქსთა რეინტერპრეტაცია ქართულისა და მეგრულ-ჭანურის დიფერენციაციამდე მოხდა, თუ — მას შემდეგ. ანუ სხვაგვარად — არ შოგვეპოვება. სათანადოდ დასაბუთებული პასუხი კითხვაზე: უკვე საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზე იყვნენ ეს სუფიქსები გადაქცეული მესამე სავალდებულო პირის მორფემის კუთვნილებად, თუ რეინტერპრეტაცია დამოუკიდებლად მოხდა ქართულსა და მეგრულ-ჭანურში?[1] უფრო სავარაუდო თითქოს მეორე შესაძლებლობაა, მაგრამ ამჟამად მას არ მოეპოვება დამაჯერებელი არგუმენტაცია.

ბუნებრივია მიველოდეთ, როგორც ითქვა, რომ ზემოაღნიშნულ სუფიქსთა მესამე სავალდებულო პირის მორფემის კუთვნილებად ქცევის შემდეგ გარკვეულით შეცვლილიყო მათი თავდაპირველი დისტრიბუცია — ფორმათა გათანაბრების საფუძველზე მოშხდარიყო სუფიქსთა ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა. რეინტერპრეტაციას (ფუნქციის შეცვლას) ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა დისტრიბუციული ცვლილებები. ამის შედეგი უნდა იყოს თანამედროვე ქართველურ ენებში დადასტურებული ვითარება და მათ შორის არსებული სხვაობები.

რაც მხ. რიცხვის ფორმაში დადასტურებულ სუფიქსთა შესახებ ითქვა, არსებითად იგივე შეიძლება ითქვას მრ. რიცხვის ფორმაში მოცემულ სუფიქსთა შესახებაც (იხ. ქვემოთ).

მესამე სავალდებულო პირის მორფემის სუფიქსურ ალომორფთა თავდაპირველი ფუნქციის კვლევა არ არის ჩვენი უშუალო მიზანი, ამიტომ წამოყენებული ვარაუდების ამომწურავი არგუმენტაცია არ გვიცდია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის აქ მთავარია არა ამ სუფიქსთა თავდაპირველი ფუნქციის დადგენა, არამედ იმის ჩვენება, რომ წარმომავლობით ისინი მესამე სავალდებულო პირის მორფემის კუთვნილებას არ წარმოადგენენ. ამის საფუძველს კი იძლევა აღნიშნულ სუფიქსთა დისტრიბუციული თავისებურება და ფონეტიკური ურთიერთმიმართება.

თუ ეს ასეა, მაშინ საკვლევია — რა სახისა უნდა ყოფილიყო მესამე სავალდებულო პირის აღნიშვნა ქართველურ ენებში?

როგორც დავინახეთ, საერთო-ქართველურ საფეხურზე უდავოდ არსებობდა პირველი და მეორე სავალდებულო პირის ფორმა, რამდენადაც აშკარად ხერხდება ამ პირთა მორფემების რეკონსტრუქცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უთუოდ არსებობდა ოპოზიციის მესამე წევ-

[1] იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 10.

რიც, ე. ი. ის პირი, რომელიც არ არის არც პირველი და არც მეორე, სხვაგვარი შესაძლებლობა ლოგიკურად გამორიცხულია. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ საფეხურზე არსებობდა სამივე არასავალდებულო პირის ფორმაც, სათანადო მორფემებით გამოხატული (იხ. ქვემოთ), მაშინ უდავო გახდება, რომ საერთო-ქართველურ საფეხურზე გარჩეული იყო მესამე სავალდებულო პირის ფორმაც. ეს ფორმა კი დიფერენციაციის შემდეგ მეტ-ნაკლებობით უნდა გადასულიყო ყველა ქართველურ ენაში.

არსებობს ორი შესაძლებლობა: 1. მესამე სავალდებულო პირის მორფემა რაიმე სეგმენტური ერთეულით იყო წარმოდგენილი, 2. მესამე სავალდებულო პირი ოპოზიციის არამარკირებული წევრი იყო, ის რაიმე სეგმენტური ერთეულით არ გამოიხატებოდა.

ამ მხრივ დიდი ხანია მკვლევართა ყურადღება მიიპყრო სვანურში დადასტურებულმა /ლ-/ პრეფიქსმა (იხ. ზემოთ). მაგრამ, როგორც დავინახეთ, ნ. ანდღულაძე შეეცადა დაესაბუთებინა, რომ სვან. /ლ-/ წარმომავლობით არის არა პირის, არამედ გრამატიკული კლასის ნიშანი.

წინასწარ შევნიშნავთ, რომ ავტორს, ისევე როგორც თვალსაზრისს ქართველურ ენებში გრამატიკული კლასების მიხედვით დაპირისპირების ოდინდელი არსებობის შესახებ, როგორც ჩანს, არ მოეპოვება პასუხი კითხვაზე: რომელ ქრონოლოგიურ საფეხურზე უნდა არსებულიყო ეს დაპირისპირება — ქართველურ ენათა დიფერენციაციამდე (ე. ი. მხოლოდ საერთო-ქართველურში), თუ — დიფერენციაციის შემდეგაც? ეს ჩანს ისეთი გამონათქვამებიდანაც, როგორიცაა. ერთი მხრივ: „ქართველურ ენათა პირის ნიშნების სისტემის შედარებითი ანალიზი ერთს ხდის უდავოდ: დიფერენციაციის მომენტისათვის მესამე პირის ფორმა **(თუ ზმნა მხოლოდ პირიელი იყო)** უნიშნო იყო“[1]. და, მეორე მხრივ, „...ქართველურ ენებში პიროვან უღვლილებას წინ უსწრებდა კლასოვანი უღვლილება“ [2] (ხაზი ორივე შემთხვევაში ჩვენია — ა. ო.).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, ქრონოლოგიური ჩარჩოების მკაცრად განსაზღვრის გარეშე, ამგვარ საკითხებზე მსჯელობის უფლებას არ იძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სვან. /ლ-/-ს კლასის ნიშნისაგან მომდინარეობის უარსაყოფად მხოლოდ ესეც საკმარისია, მაგრამ არის სხვა გარემოებებიც, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ მიუღებელია როგორც აღნიშნული მოსაზრების არგუმენტაცია, ისე მის საფუძველზე მიღებული დასკვნები:

---

1 ნ. ანდღულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი..., გვ. 180.

2 იქვე, გვ. 183.

1. სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, აღნიშნულია, რომ სვან. ლ̃გ̃გ<*ლგდგ [1] (გ̃-ს სიგრძე დ-ს დაკარგვის საკომპენსაციოა ისევე, როგორც ი და ო ხმოვნების სიგრძე ფორმებში მ̃იგ̃<*მიდგ „მიდგას“, ჯ̃იგ̃<*ჯიდგ „გიდგას“, ხ̃ოგ̃<*ხოდგ „უდგას“). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართ. დ-ს შესატყვისია სვან. დ, რომელიც ამჟამად დაკარგულია, სვან. ლ-ს კი ქართ. დ-სთან არაფერი აქვს საერთო — დ ძირეული მორფემის ელემენტია, ლ- კი — პრეფიქსი [2].

2. ერთპირიანსა და ორპირიან ზმნებში /ლ-/ პრეფიქსის სხვადასხვა ფუნქციის მქონედ მიჩნევა ისევე შეუძლებელია, როგორც პირველი და მეორე სავალდებულო პირის მორფემებისა იმავე ზმნებში. ვნახოთ სათანადო პარადიგმათა მაგალითები:

ერთპირიანი:		ორპირიანი გარდამავალი:	
ხუ-ი	„ვარ“	ლო-ხუ-ემ	„შევჭამე“
ხ-ი	„ხარ“	ლა-ხ-ემ	„შეჭამე“
ლ-ი	„არის“	ლა-ლ-ემ	„შეჭამა“

თუ /ლ-/ პირველ პარადიგმაში სხვა ფუნქციის მქონეა, ხოლო მეორეში — სხვა, როგორც ამას ნ. ანდღულაძე ფიქრობს, მაშინ ამ ორ პარადიგმაში სხვადასხვა ფუნქციისად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე /ხუ-/ და /ხ-/ პრეფიქსებიც. ეს კი მცდარი ანალიზის საფუძველზე ჩადებული გაუგებრობა იქნებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ორპირიან გარდამავალ ზმნებში (ლა-ლ-ემ, ლა-ლ-გ̃ემ) /ლ-/ პრეფიქსს ნ. ანდღულაძე ობიექტის ნიშნად მიიჩნევს იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ ამ პრეფიქსის მქონე ზმნებში მესამე სუბიექტური პირი გამოხატულია ფუძისეული ხმოვნის სიგრძით. მაგრამ საქმე ის არის, რომ აღნიშნული ხმოვნის სიგრძით პირველ და მეორე პირის ფორმებს უპირისპირდება არა მესამე პირის ფორმა, არამედ ე. წ. ხუთთა ფორმა, მაგ.,

ბზ. ლ̃ო-ხუ-ა̃მ	ლ̃ემ. ლო-ხუ-ემ
ლ̃ა-ხ-ა̃მ	ლა-ხ-ემ
ლა-ლ-ე̃მ	ლა-ლ-ე̃მ
ლა-ლ-ე̃მ-დ	ლა-ლ-ე̃მ-დ
ლო-ხუ-ე̃მ-დ	ლო-ხუ-ე̃მ-დ
ლა-ხ-ე̃მ-დ	ლა-ხ-ე̃მ-დ
ლა-ლ-ე̃მ-ხ	ლა-ლ-ე̃მ-ხ

---

1 **Г. А. Климов**, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 70; **ვ. მაჭავარიანი**. საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. გვ. 86.

2 შდრ. **ნ. ანდღულაძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 188; შდრ. აგრეთვე **ვ. თოფურია**, ლ- თანსართიანი ზმნები ქართულში, თსუ შრომები, XXV, 1942 წ., გვ. 147—151.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ხმოვნის სიგრძე აქ არ არის მესამე პირის ნიშანი, ამიტომ დასკვნაც, რომელიც ამ მცდარ კვალიფიკაციას ემყარება, რასაკვირველია, მიუღებელია. მოულოდნელია, რომ ზოგჯერ რთულ ლინგვისტურ საკითხთა გადაწყვეტას ამ დასკვნებზე დამყარებით ცდილობენ[1]. მცდარ დასკვნებზე დამყარებით საკითხის სწორ გადაწყვეტას, ცხადია, ვერ მივიღებთ.

ამრიგად, სვან. /ლ-/-ს კლასის ნიშნისაგან მომდინარედ, ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ვერ მივიჩნევთ იმის გამოც, რომ მას არ მოეპოვება მისაღები ლინგვისტური არგუმენტაცია. და მაშინ საჭიროა გაირკვეს /ლ-/-ს დიაქრონიული რაობა.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ /ლ-/ პრეფიქსი (ვარიანტებით /ნ-/, /ჲ-/) ყველა იმ ნიშნით ემთხვევა პირველი და მეორე სავალდებულო პირის ნიშნებს, რითაც მათგან განსხვავდება მესამე სავალდებულო პირის მორფემის ყველა სხვა ალომორფი ქართველურ ენებში:

1. /ლ-/-ს გამოვლენა არ არის შეპირობებული რაიმე სხვა გრამატიკული კატეგორიით — ის ქართველურ ენებში მესამე სავალდებულო პირის მორფემის ერთადერთი ისეთი წარმომადგენელია, რომელიც სხვადასხვა მწკრივის, დროის, გვარისა და კილოს ფორმებში გვხვდება, მაგ., აწმყო — ლ-ი „არის“, ლ-ჷგ „დგას“, უწყვეტელი — ლ-ჱსუ „იყო“, ლ-ჷგდა „იდგა“, წყვეტილი — ლა-ლ-ემ „შეჭამა“, ლა-ლ-ჷშ „დალია“, II კავშირებითი — ლ-ესეს „იყოს“, ლა-ლ-ემეს//ლა-ლ-ემას „შეჭამოს“, ლა-ლ-ჷშას „დალიოს“ და სხვა.

2. სვანურში მესამე სავალდებულო პირის მორფემის ყველა პრეფიქსული ალომორფი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთ საერთო არქეტიპამდე აიყვანება.

3. /ლ-/ არის მოცემული როგორც მხოლობითის, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმაში, მრავლობითობა კი სუფიქსებით აღინიშნება:

1. ლო-ხუ-ემ	ლო-ხუ-ემ-დ
2. ლა-ხ-ემ	ლა-ლ-ემ-დ
3. ლა-ლ-ემ	ლა-ხ-ემ-დ
	ლა-ლ-ემ-ხ

4. ყველაზე არსებითი კი ის არის, რომ /ლ-/ პრეფიქსია. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ, სხვა პირთა მორფემების მსგავსად, მესამე სავალდებულო პირის მორფემაც ისტორიულად პრეფიქსული უნდა ყოფილიყო (იხ. ზემოთ).

---

1 იხ., მაგ., ა. ჩიქობავა, კლასოვანი უღელილების გადმონაშთებისათვის ქართველურ ენათა ზმნაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1976 წ., გვ. 10.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ /ლ-/-ს ერთადერთი ფუნქცია სვანური ენის განვითარების მთელ მანძილზე მესამე სავალდებულო პირის აღნიშვნა იყო. ამიტომ სრულიად გასაზიარებლად მიგვაჩნია დებულება: „...ლ-ი, ლ-გე, ლ-ასუ.., ლა-ლ-ემ, ლა-ლ-ჳშ ზმნებში დაცული ლ- ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბ. პირისა და ვთქვათ, რომ სვანურს ოდესღაც I და II პირის მსგავსად III-ისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა ლ-, რომელიც თავის ფუნქციით, როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდებოდა ხუ- და ხ- თავსართებისაგან“ [1].

S_3 /ლ-/-ს სვანურში ყველა ნიშანი აქვს ისტორიული ნორმის ნაშთისა — ჩვეულებრივი არქაიზმისა: ის მხოლოდ განსაზღვრულ ზმნურ ძირებთან დასტურდება, ამავე დროს მის გამოვლენას არც ფონოლოგიური გარემოცვა განსაზღვრავს და არც პირის კატეგორიის მიღმა მდებარე რაიმე გრამატიკული კატეგორია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ /ლ-/ დასტურდება მეშველ ზმნაშიც, რომელსაც ქართველურ ენებში არაერთი არქაიზმი აქვს შემონახული. სვან. /ლ-/ ტიპოლოგიურად ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც /ხ-/ თანამედროვე ქართულში (ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი). მაშასადამე, /ლ-/ S_3 მორფემის ნაშთია სვანურში ისევე, როგორც /ხ-/ — S_2 მორფემისა ქართულში. ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: ისტორიულად /ლ-/ ისევე იხმარებოდა S_3 მორფემის წარმომადგენლად ყველა ზმნასთან სვანურში, როგორც /ხ-/ იხმარებოდა S_2 მორფემის წარმომადგენლად ქართულში (მაგ., ხანმეტ ტექსტებში).

თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: იძებნება თუ არა სვან. /ლ-/-ს ფუნქციურ-ფონემური შესატყვისი სხვა ქართველურ ენებში?

როგორც ზემოთ დავინახეთ, ასეთად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ძველ ქართულსა და თანამედროვე მეგრულ-ჭანურში დადასტურებული /-ნ/ სუფიქსი. მაგრამ ამ თვალსაზრისს სერიოზული დაბრკოლებები ახლავს:

1. ძველ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში /-ნ/ დისტრიბუციულად არაფრით განსხვავდება მესამე სავალდებულო პირის მორფემის სხვა სუფიქსური ალომორფებისაგან. ამით ის უპირისპირდება არა მხოლოდ სვან. /ლ-/-ს, არამედ ქართველურ ენებში არსებულ პირის ყველა სხვა პრეფიქსულ მორფემასაც.

2. არ არსებობს შესატყვისობა ქართ.-მეგრ.-ჭან. ნ- სვან. ლ. თუ არ მოინახა ცვლილების /ნ-/>/ლ-/ ან /ლ-/>/ნ-/ პოზიციური პირობები, მაშინ ეს ამ სეგმენტთა ერთმანეთთან დაკავშირებისათვის გადაულა-

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 3—4.

ბავი დაბრკოლებაა. ამგვარი ცვლილების ახსნის პოზიციური გზა კი ამჟამად უცნობია.

3. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სვან. /ლ-/ პრეფიქსია, ხოლო ქართ.-მეგრ.-ჭან. /-ნ/ — სუფიქსი. საქმე ის არის, რომ ქართველურ ენებში პრეფიქსის სუფიქსად (ან სუფიქსის პრეფიქსად) ქცევის არც ერთი უდავო შემთხვევა არ არის ცნობილი, განსაკუთრებით კი პირის ნიშნებში. მეტიც შეიძლება ითქვას, ქართველურ ენებში მორფემათა თანმიმდევრობა მკაცრად არის განსაზღვრული — მათი რიგის შეცვლა ფონოლოგიური მოტივაციის (resp. ფონოლოგიურ შეზღუდვათა მონაწილეობის) გარეშე ყველა შემთხვევაში შეუძლებელია. /ნ-/ პრეფიქსის სუფიქსად ქცევა კი შეუძლებელია რაიმე ფონოლოგიური შეზღუდვის შედეგი იყოს. მაშასადამე, /-ნ/ სუფიქსი არ შეიძლება პრეფიქსისაგან მომდინარედ მივიჩნიოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სვან. /ლ-/-სა და ქართ.-მეგრ.-ჭან. /-ნ/-ს საერთო არქეტიპისაგან მომდინარედ ვერ მივიჩნევდით იმ შემთხვევაშიც კი, ფონეტიურად მათი ერთმანეთის შესატყვისად მიჩნევა რომ შესაძლებელი იყოს.

ამრიგად, /ლ-/ და /-ნ/ სეგმენტთა საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობის შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.

მაგრამ თვით სვანურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, /ლ-/-ს გარდა დასტურდება /ნ-/ და /ჲ-/ ვარიანტები. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ მათი დიაქრონიული ურთიერთმიმართება?

მ. ქალდანი ბოლოდროინდელ ნაშრომში საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ /ნ-/ და /ჲ-/ მომდინარეობენ /ლ-/-საგან. ის ფაქტი, რომ /ნ-/ მხოლოდ ლა- ზმნისწინიან ფორმებში დასტურდება, უდავოს ხდის, რომ /ნ-/ სახესხვაობა მიღებულია /ლ-/-საგან ზმნისწინისეულ ლ- ელემენტთან დისიმილაციის საფუძველზე: ლჳ-ნ-ტიხ <*ლჳ-ლ-ტიხ, ლჳ-ნ-კიდ<*ლჳ-ლ-კიდ და ა. შ. [1].

ამრიგად, /ლ-/, /ნ-/, /ჲ-/ ალომორფთა არქეტიპად სვანურში /ლ-/ უნდა მივიჩნიოთ.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ქართველურ ენებში ერთადერთი მორფოლოგიური ერთეული, რომელიც მესამე სავალდებულო პირის მორფემის თავდაპირველ წარმომადგენლად შეიძლება იქნეს მიჩნეული, არის სვან. /ლ-/. მაგრამ რადგანაც სხვა ქართველურ ენებში მისი შესატყვისი ნაშთის სახითაც კი არ არსებობს, ამიტომ ძნელი სათქმელია — როდისმე არსებობდა თუ არა ასეთი შესატყვისი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამჟამად არ ვიცით, საერთო-ქართველურში და ქართვე-

---

[1] მ. ქალდანი, სუბიექტური მესამე პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში, გვ. 12—13.

ლურ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე მესამე სავალდებულო პირი ოპოზიციის არამარკირებული წევრი იყო, თუ მას მოეპოვებოდა რაიმე სეგმენტური წარმომადგენელი.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: რადგანაც სვანური /ლ-/ ტიპოლოგიურად პირის სხვა ნიშნებს ემთხვევა, ამიტომ შეუძლებელი არ არის მისი საერთო-ქართველურიდან მომდინარედ მიჩნევა. მაშინ, ცხადია, სვან. /ლ-/-ს შესატყვისების არსებობა გარკვეულ საფეხურამდე სხვა ქართველურ ენებშიც უხდა დავუშვათ. ვფიქრობთ, უფრო ბუნებრივია, ვივარაუდოთ /ლ-/-ს შესატყვისთა დაკარგვა ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, ვიდრე /ლ-/-ს გაჩენა სვანურში. მაგრამ ამგვარ პირობებში საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქცია უაღრესად ჰიპოთეტურ ხასიათს იღებს. ერთადერთი გზა, რასაც შეიძლება გამართლება მოენახოს, არის საერთო-ქართველური საფეხურის რეკონსტრუქცია სვან. ლ-ს ფონემურ შესატყვისთა მიხედვით.

როგორც ცნობილია, სვან. ლ-ს ორი სხვადასხვა სახის შესატყვისი მოეპოვება ქართველურ ენებში. ეს შესატყვისობები სხვადასხვა საერთო-ქართველურ ფონემას ასახავენ:

1. სვან. ლ — ქართ. ლ — მეგრ.-ჭან. ლ (<საერთო-ქართველური *ლ), მაგ., ქართ. ყველი — მეგრ. ცვალი „ყველი“ — ჭან. ყვალი „ყველი“ — სვან. ლიყ̄ლე „ყველის ამოყვანა“ [1].

2. სვან. ლ — ქართ. ს — მეგრ.-ჭან. Ø (<საერთო-ქართველური *s_1) [2], მაგ., ძვ. ქართ. სთვა — სვან. ლი-ლთე „რთვა“; ქართ. სა-ჭრელ-ი — ჭან. ო-ჭკორ-უ „ჭრა, მკა, დაკლა“ — სვან. ლ̄ა-რ-ე <* ლა-ჭრ-ე (ს.-ქართვ. *s_1ა-ჭრ-ე) „სათიბი“ (ეტიმოლოგ. „საჭრელი“) [3], ქართ. სა-ქათმ-ე — მეგრ. ო-ქოთომ-ე „საქათმე“ — ჭან. ო-ქოთუმ-ალ-ე „საქათმე“ — სვან. ლა-ქთალ-ირ „საქათმე“ და სხვა. ეს შესატყვისობა მხოლოდ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში დასტურდება [4].

როგორც ვხედავთ, არსებობს ორი შესაძლებლობა:

---

[1] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 74—93.

[2] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—140; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 33—35.

[3] Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы, ИАН СССР, Отд. литературы и языка, т. XIX, вып. I, 1960, გვ. 27; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42.

[4] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—140; გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33—35.

1. სვან. S_3 /ლ-/-ს შესატყვისად ისტორიულად ქართულშიცა და მეგრულ-ჭანურშიც მივიჩნიოთ /ლ-/. მაშინ საერთო-ქართველურ საფეხურზე უნდა მოვახდინოთ S_3 /*ლ-/-ს რეკონსტრუქცია:

2. სვან. S_3 /ლ-/-ს შესატყვისად ქართულში ისტორიულად მივიჩნიოთ /ს-/, ხოლო მეგრულსა და ჭანურში — /Ø/ (რომელიც, ალბათ, მომდინარეობს /*შ-/-საგან). მაშინ საერთო-ქართველურ საფეხურზე უნდა მოვახდინოთ S_3 /*$ს_1$-/-ს რეკონსტრუქცია. ამ შესაძლებლობის დაშვების შემთხვევაში მეგრულსა და ჭანურში მესამე სავალდებულო პირის მორფემის დაკარგვა იმავე პროცესის გაგრძელება აღმოჩნდება, რისიც ქართ. ს და სვან. ლ ფონემათა შესატყვისისა სიტყვის თავკიდურ პოზიციაში საერთოდ (განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ის პრეფიქსული მორფემის კუთვნილებაა) [1].

პრინციპულად ორივე შესაძლებლობა დასაშვებია, მაგრამ რადგანაც სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ჩვეულებრივ, მეორე შესატყვისობა დასტურდება, ამიტომ ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია საერთო-ქართველურ საფეხურზე მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად დავუშვათ /*$ს_1$-/-ს არსებობა.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ზემოაღნიშნულ სუფიქსთა რეინტერპრეტაციას (ე. ი. მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად ქცევას) წინ უსწრებდა S_3 მორფემის თავდაპირველი წარმომადგენლის ნულთან გათანაბრება.

1.03.11. პირველი არასავალდებულო პირის მორფემა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულში პირველი არასავალდებულო პირის მორფემა /მ-/-ს სახით არის წარმოდგენილი (/გვ-/-ს შესახებ იხ. ქვემოთ), ხოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ამ მორფემის სახესხვაობები /მ-/ არქეტიპამდე დაიყვანება. ამავე დროს ცხობილია ფონემური შესატყვისობა ქართ. მ — მეგრ.-ჭან. მ — სვან. მ (<საერთო-ქართველური *მ), მაგ., ქართ. მატყლი—მეგრ. მონტყორი „მატყლი“—სვან. მᲐტყ „მატყლი“, ქართ. სამი — მეგრ.-ჭან. სუმი — სვან. სემი და სხვა [2].

ნათქვამის საფუძველზე საერთო-ქართველური საფეხურისათვის პირველი არასავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად, ცხადია, /*მ-/ აღდგება, როგორც ეს არაერთხელ არის აღნიშნული ჩვენს მეცნიერებაში [3].

1.03.12. მეორე არასავალდებულო პირის მორფემა. დიდი ხანია

---

[1] იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—140.

[2] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 105—144.

[3] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 25; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 123; G. Deeters, Das kharthwelische Verbum, გვ. 43.

ცნობილია, რომ მეორე არასავალდებულო პირის მორფემის წარმოდგენილად დადასტურებული ქართული /გ-/-სი და მეგრულ-ჭანური /გ-/-ს მორფოლოგიურ-ფონემური შესატყვისი სვანურში არის /ჯ-/, რომელიც მიღებულია /*გ-/-საგან პალატალიზაციის საფუძველზე [1].

გ. მაჭავარიანმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ სვანურში ცვლილება გ>ჯ (ისევე, როგორც ქ>ჩ, კ>ჭ) შედეგია პალატალური ხმოვნების ასიმილაციური გავლენისა. ეს იმას ნიშნავს, რომ A_2 /ჯ-/ ისტორიულად /გ-/-ს პოზიციური ვარიანტია. ამ საფეხურზე უნდა არსებულიყო A_2 მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფი: /ჯ-/ — პალატალური ხმოვნების (ქცევისა და გვარის მორფემათა /ი-/, /ე-/ ალომორფების) წინ და /გ-/ — ყველა სხვა შემთხვევაში. შემდგომ კი პარადიგმატული გასწორების საფუძველზე /გ-/>/ჯ-/ ყოველგვარ პოზიციაში [2].

რადგანაც ცნობილია ნიმუშები შესატყვისობისა ქართ. გ — მეგრ.-ჭან. გ — სვან. ჯ (ძვ. ქართ. გბ-ოლ-ვ-ა „ხარშვა" — მეგრ. გიბ-უ-ა „ხარშვა (აბრეშუმის პარკისა, აბედისა)" — ჭან. ტუბ-უშ-ს „ხარშავს"— სვან. ან-ჯ̌ბ „მოხარშა"...), ამიტომ ბუნებრივია გავიზიაროთ დებულება, რომლის მიხედვითაც მეორე არასავალდებულო პირის მორფემა საერთო-ქართველურ საფეხურზე /*გ-/-ს სახით იყო წარმოდგენილი.

1.03.13. მესამე არასავალდებულო პირის მორფემა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულსა და სვანურში მესამე არასავალდებულო პირის მორფემის არქეტიპად /*ხ-/ აღდგება ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში. თანამედროვე მეგრულ-ჭანური ამ მხრივ სათანადო ინფორმაციას ვერ გვაწვდის, რადგანაც არასავალდებულო პირთა პარადიგმაში A_3 ოპოზიციის არამარკირებული წევრია.

რეკონსტრუირებულ პრე-ქართულ და პრე-სვანურ საფეხურთა შედარების საფუძველზე ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მესამე არასავალდებულო პირის მორფემა საერთო-ქართველურში /*ხ-/-ს სახით იყო წარმოდგენილი. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე დასკვნა: მესამე არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურშიც /*ხ-/-თი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მისი ნულთან გათანაბრება კი გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურთან დაკავშირებული ინოვაციაა.

აქ ისმის ერთი რთული კითხვა: /*ხ-/ საერთო-ქართველურში (და, ამდენად, გარკვეულ საფეხურამდე ქართველურ ენებშიც) მხოლოდ

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 25—26; გ. დეეტერსი, დასახ. ნაშრ., გვ. 28, 43; გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 57 და სხვა.

[2] გ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61—65; თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები" დიაქრონიულ ფონოლოგიაში", 1968, გვ. 11—12.

მესამე არასავალდებულო a პირს აღნიშნავდა, თუ — არასავალდებულო b-საც?

ქართველურ ენათა ჩვენება ამ მხრივ ერთგვარად ორაზროვანია, ამიტომ დასმულ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ამჟამად ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

ცნობილია, რომ არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პირველი (ასევე — მეორე) პირი ერთი და იმავე პრეფიქსით აღინიშნება; მაგ., ქართ. მ-ხატავს — მ-იხატავს, გ-ხატავს — გ-იხატავს. ლოგიკურად მოსალოდნელი იყო ასეთივე ვითარება გვქონოდა მესამე პირის ფორმაშიც.

მაგრამ სვანურში სეგმენტური ერთეულით (/ხ-/-თი) მხოლოდ არასავალდებულო a პირი გამოიხატება, არასავალდებულო b პირს კი ასეთი ნიშანი არც ერთ შემთხვევაში არ მოეპოვება.

კითხვა ისმის: არქაიზმია ეს თუ ინოვაცია?

სვანურში მესამე არასავალდებულო b პირისათვის /ხ-/-ს შინაგანი რეკონსტრუქცია არ ხერხდება. სხვა ქართველურ ენებთან შედარება კი ამ კითხვაზე არაორაზროვანი პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლევა.

როგორც სინქრონიული ანალიზის დროს დავინახეთ, ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში მესამე არასავალდებულო a პირი ყოველთვის სეგმენტური ერთეულით (ხანმეტში /ხ-/-თი, ჰაემეტში /ჰ-/-თი) გამოიხატება. ამ მხრივ ვითარება აქაც სვანურისებრია. მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ტექსტებში (ისევე, როგორც კლასიკურ ძველ ქართულში) სეგმენტური ერთეულით ზოგჯერ არასავალდებულო b პირიც აღინიშნება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ის მიცემით ბრუნვაში დგას. ამ მხრივ კი ვითარება სვანურის საპირისპიროა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მესამე არასავალდებულო b პირის ნიშნად /ხ-/-ს გამოყენება არასავალდებულო a პირის ანალოგიის შედეგია. ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერდა ის ფაქტი, რომ არასავალდებულო b პირი /ხ-/-თი მეტწილად იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ის მიცემით ბრუნვაში დგას (არასავალდებულო a პირი ხომ ყოველთვის მიც. ბრუნვაში დგას). მაგრამ მხოლოდ ამ არგუმენტის საფუძველზე საბოლოო დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა მართებული. ეს ითქმის მით უფრო, რომ პირველი და მეორე არასავალდებულო პირის ჩვენება, როგორც აღინიშნა, ეწინააღმდეგება საკითხის ამგვარად გადაწყვეტას.

მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ ყოველგვარი მესამე არასავალდებულო პირი ერთი პრეფიქსით აღინიშნებოდა, მსგავსად პირველი და მეორე არასავალდებულო პირებისა, მაშინ ძნელი ასახსნელია,

თუ რატომ დაიკარგა ის მხოლოდ არასავალდებულო ხ პირთან — სვანურში მთლიანად, ხოლო ქართულში — ნაწილობრივ და რატომ არ განხორციელდა იგივე ცვლილება პირველი და მეორე არასავალდებულო პირის ფორმებშიც.

როგორც ვხედავთ, პირველი და მეორე არასავალდებულო პირის ჩვენება ორივეგვარ დაშვებას ეწინააღმდეგება.

დასმული საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჩვენ ამჟამად საბოლოო დასკვნას არ ვიძლევით არგუმენტაციის უკმარობის გამო.

თავი მეორე

რიცხვის კატეგორია ზმნაში

2.01. ოპოზიცია რიცხვის მიხედვით

2.01.1. ოპოზიციის წევრები. ცნობილია, რომ რიცხვი სახელისა და ზმნის ზიარი კატეგორიაა. ამავე დროს სახელს უწოდებენ საგნის, მოვლენის... აღმნიშვნელ სიტყვას, ხოლო ზმნას — მოქმედების ან მდგომარეობისას. მაგრამ რადგანაც სახელებში რიცხვი აღნიშნავს დაპირისპირებას — საგანი ერთია თუ ერთზე მეტი, ამიტომ მოსალოდნელი იყო ზმნაში რიცხვის კატეგორია გულისხმობდეს დაპირისპირებას — მოქმედება ერთხელ მოხდა (ხდება ან მოხდება), თუ — ერთზე მეტჯერ [1] (ე. ი. დაახლოებით იმ დაპირისპირებას, რასაც გულისხმობს: ხოლმეობითი — არახოლმეობითი). მაგრამ ენათმეცნიერებაში ზმნის რიცხვის კატეგორიით ამ ოპოზიციას არ აღნიშნავენ. ტრადიციულად რიცხვის კატეგორიაში გულისხმობენ დაპირისპირებას — ზმნაში გამოხატული ესა თუ ის პირი ერთია, თუ — ერთზე მეტი, „ხ ო ლ ო ბ ი თ ი ა ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ერთის მოქმედებას, ერთზე მოქმედებას ან ერთის მიმართ ჩადენილ მოქმედებას; მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ა ფორმა, რომელიც მასვე გვიჩვენებს მრავალზე („მრავალი“ ქართ. გრამატიკაში ერთის ზემოთ იწყება...)“ [2].

ამდენად, რიცხვის მიხედვით დაპირისპირება დაძახასიათებელია ყოველგვარი (სავალდებულო და არასავალდებულო) პირისათვის და პირის ყოველი (პირველი, მეორე, მესამე) ფორმისათვის.

2.02. რიცხვის მორფემათა სინჭრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

2.02.1. რიცხვის აღნიშვნა ქართულ ზმნაში. პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობა /-თ/ სუფიქსით აღინიშნება როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებსა

---

1 O. Есперсен, Философия грамматики, Москва, 1958, გვ. 243—245.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 166.

და ძველ ქართულში: ვ-არ-თ, ხ-არ-თ, ვ-წერ-თ, წერ-თ, ვ-იწვი-თ, იწვი-თ და ა. შ.

მესამე სავალდებულო პირი და მისი მრავლობითი რიცხვი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სუფიქსებით აღინიშნება თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც, ძველ ქართულშიცა და ქართულ დიალექტებშიც. ამ სუფიქსთა სინქრონიული ანალიზი პირის კატეგორიასთან დაკავშირებით იყო მოცემული (იხ. ზემოთ სათანადო ადგილას).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში პირველი არასავალდებულო პირის მხოლობითი რიცხვის ფორმაში დადასტურებულ /მ-/-ს მრავლობით რიცხვში ენაცვლება /გვ-/, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოხატავს პირველი არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობასაც[1] და მათ მრავლობითობასაც. ასეთივეა ვითარება თანამედროვე ქართულ დიალექტებშიც.

მეორე არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის მრავლობითობა აღინიშნება /-თ/ სუფიქსით, რომელსაც ხშირად თავისუფლად ენაცვლება /Ø/[2]: გ-ხატავ-თ //გ-ხატავს (ის თქვენ), გ-იხატავ-თ//გ-იხატავს (ის თქვენ მას) და სხვა.

მესამე პირის მრავლობითობა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ის არის არასავალდებულო a და ისიც მხოლოდ გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილში[3], მაგ., სძულ-თ (მათ ის), ჰყავ-თ (მათ ის), ეხერხება-თ (მათ ის), ეხატება-თ//ეხატება (მათ ის) და სხვა.

აღმოსავლურ დიალექტებში (მაგ., კახურში, თიანურში...) მესამე არასავალდებულო a პირის მრავლობითობა /თ-/ სუფიქსით ზოგ ისეთ ზმნაშიც აღინიშნება, სადაც ამგვარ აღნიშვნას სალიტერატურო ქართულში ადგილი არა აქვს; მაგ., თიანურში: მიიგვარა-თ, ძიძვარდნია-თ[4] და სხვა.

არასავალდებულო პირთა მრავლობითობის აღნიშვნის მიხედვით ახალი ქართულისაგან განსხვავებული ვითარება დასტურდება ძველ ქართულში. აქ სამივე არასავალდებულო პირის მრავლობითობა აღინიშნება მორფემით, რომლის ალომორფებია /-ნ/, /-ენ/, /-ან/. ეს სუფიქსები, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია მხოლოდ იმ შემთხვე-

---

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 166, 183; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 055; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I, გვ. 219—221.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183; ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულ ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, I, გვ. 92—93 და სხვა.

3 ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრ., გვ. 84; ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I, გვ. 221.

4 გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, გვ. 193.

ვაში, თუ სათანადო არასავალდებულო პირი (პირველი, მეორე ან მესამე) სახელობით ბრუნვაში დგას[1], მაგ., მ-პოვ-ნ-ა, გუ-პოვ-ნ-ა, გ-პოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, მო-მ-კლ-ენ, მო-გუ-კლ-ენ, მო-გ-კლ-ეს, მო-კლ-ნ-ა, მოუკლვ-ან და სხვა.

მიცემით ბრუნვაში დასმული არასავალდებულო პირის მრავლობითი რიცხვი კი რაიმე სეგმენტური ერთეულით არ აღინიშნება: კლავს მათ, შესზავებს თევზთა და სხვა[2].

პირველი არასავალდებულო პირის ფორმაში /გვ-/ პრეფიქსის მორფოლოგიური ფუნქცია ძველ ქართულში განსხვავებულია თანამედროვე ქართულისაგან. მართალია, ეს პრეფიქსი ძველ ქართულშიც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება, მაგრამ, როგორც დამაჯერებლად აჩვენა ა. ჩიქობავამ, ის მრავლობითობას არ აღნიშნავს. თუ არასავალდებულო პირი სახელობით ბრუნვაში დგას, მაშინ მისი მრავლობითობა სუფიქსებით (/-ნ/, /-ენ/, /-ან/) აღინიშნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ /გუ-/ არ არის მრავლობითობის გამომხატველი ავტორის მიერ საილუსტრაციოდ მოტანილ ისეთ ფორმებში, როგორიცაა: აღ-გუ-ამაღლ-ნ-ა ჩუენ, და-გუ-ბადე-ნ ჩუენ და სხვა. /გუ-/ აქ ისევე არაა მრავლობითობის აღმნიშვნელი, როგორც /მ-/ ფორმებში: აღ-მ-ადგინ-ნ-ა, გან-მ-აახლ-ნ-ა და სხვა[3].

თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, /გუ-/ არც ისეთ ფორმებშია მრავლობითობის ნიშანი, სადაც ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას (გუ-აქუს ჩუენ, და-გუ-შჯიან ჩუენ...). მიცემით ბრუნვაში დასმული პირის მრავლობითობა ძველ ქართულში საერთოდ არ აღინიშნება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ამგვარი ანალიზის საფუძველზე ა. ჩიქობავას მიერ მიღებული დასკვნა: **„გუ- რომ მრავლობითის ფორმანტი იყოს, სრულიად გაუგებარი იქნებოდა გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის წარმოებაში -ნ- (//-ენ-) სუფიქსის გამოყენება** (ისევ ობიექტის მრავლობითობის მაჩვენებლად).

დასკვნა ერთია: **ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი არაა მრავლობითის პირველი პირის პრეფიქსი,** როცა ეს პირველი პირი სახელობითშია:

---

1 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, საშ. სკოლის სახელმძღვანელო, 1955 წ., გვ. 298; ა. ჩიქობავა. მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 92—101; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, 1971 წ., გვ. 237—238.

2 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 298; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 93—100; მისივე, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. დამატება წიგნისა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში", I, 1968, გვ. 270—271; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 239 და სხვა.

3 ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 98—100.

მაგრამ თუ გუ- პრეფიქსი არაა სახელობითში დასმულ ობიექტთან (ჩუენ) მრავლობითის პრეფიქსი, არც მიცემითში დასმულ ობიექტთან (ჩუენ) იქნება იგი ამ ფუნქციის მქონე.

ამრიგად: **გუ- პრეფიქსი ძველ ქართულში ობიექტის მრავლობითობას არც ისეთ მაგალითებში აღნიშნავს, როგორიცაა გან-გუ-აახლ-ნ-ა მან ჩუენ და არც ისეთ მაგალითებში, რომლის ნიმუშიცაა მო-გუ-ანიჭა მან ჩუენ"**[1].

ამრიგად, ძველ ქართულში არასავალდებულო პირის მრავლობითობა სეგმენტური ერთეულით მხოლოდ იმ შემთხვევაში აღინიშნება, თუ ეს პირი სახელობით ბრუნვაში დგას.

2.02.2. რიცხვის აღნიშვნა მეგრულ ზმნაში. პირველი და მეორე სავალდებულო პირის მრავლობითობა მეგრულში, მსგავსად ქართულისა, /-თ/ სუფიქსით აღინიშნება, მაგ., ვ-ორე-თ „ვართ", ორე-თ //რე-თ „ხართ", პ-ჯარგნ-თ „ვწერთ", ჯარგნ-თ „წერთ", ფ-თასგნ-თ „ვთესავთ", თასგნ-თ „თესავთ" და სხვა (მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსთა შესახებ იხ. ზემოთ).

პირველ და მეორე არასავალდებულო პირთა მრავლობითობას იგივე სუფიქსები გამოხატავენ, რომლებიც მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობას აღნიშნავენ, ალომორფთა განაწილებაც იმავე პრინციპს ემყარება: პ-კითხუმ-ა ჩქი „გვკითხავს ჩვენ", რ-კითხუმ-ა თქვა „გკითხავთ თქვენ", პ-კითხ-ეს ჩქი „გვკითხა ჩვენ", რ-კითხ-ეს თქვა „გკითხათ თქვენ" და სხვა. ამავე ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე /-თ/ სუფიქსიც[2].

მესამე არასავალდებულო პირის მრავლობითობა მეგრულში სეგმენტური ერთეულით არ გამოიხატება.

2.02.3. რიცხვის აღნიშვნა ჭანურ ზმნაში. როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირთა მრავლობითობის გამოხატვა ჭანურში, არსებითად, ისეთივეა, როგორიც მეგრულში[3]. ერთგვარი განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ პირველსა და მეორე არასავალდებულო პირის ფორმაში, მაგრამ აქაც ალომორფებს შორის განსხვავება ისეთივეა, როგორიც მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის მორფემის ალომორფებს შორის მეგრულსა და ჭანურში (იხ. ზემოთ).

2.02.4. რიცხვის აღნიშვნა სვანურ ზმნაში. პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობა თანამედროვე სვანურში /-დ/ სუფიქსით აღინიშნება: ხუ-ჲრი-დ, ლ-ჲრი-დ „ვართ", ხ-ჲრი-დ „ხართ", ხუ-ჲსყი-დ, ლ-ჲსყი-დ „ვაკეთებთ", ხ-ჲსყი-დ „აკეთებთ" და ა. შ.

---

1 იქვე, გვ. 100;

2 ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 98—102, 160—168.

3 იქვე, გვ. 94—102, 160—168.

ბალსქვემოურსა (გარდა ლახამულური კილოკავისა) და ლენტეხურში ამ ფუნქციით სხვა ალომორფი არ არსებობს. ბალსზემოურსა და ლაშხურში (აგრეთვე ლახამულურში) მოიპოვება ერთადერთი გამონაკლისი — ე. წ. მეშველ ზმნაში პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობა /-შდ/ ალომორფით აღინიშნება — ბალსზემოურში რეგულარულად, ხოლო ლაშხურში სპორადულად:

ხუ-ი-შდ	„ვართ“ (ექსკლ.)
ლ-ი-შდ	„ვართ“ (ინკლ.)
ხ-ი-შდ	„ხართ“
ლ-ი-ხ	„არიან“

ლაშხურში ამგვარი ფორმები, მეტწილად, მოხუცების მეტყველებაში დასტურდება, შედარებით ახალი თაობის მეტყველებაში კი ჩვეულებრივია ბალსქვემოურ-ლენტეხურისებრი ფორმები:

ხუ-ი-დ	„ვართ“ (ექსკლ.)
ლ-ი-დ	„ვართ“ (ინკლ.)
ხ-ი-დ	„ხართ“
ლ-ი-ხ	„არიან“

მესამე სავალდებულო პირის მრავლობითი რიცხვი ყოველგვარ ზმნაში /-ხ/ სუფიქსით აღინიშნება: ლ-ი-ხ „არიან“, ბსყი-ხ „აკეთებენ“, იშხი-ხ „იწვიან“, ტიხე-ხ „აბრუნებენ“ და სხვა.

ცნობილია, რომ თანამედროვე სვანურში არასავალდებულო b პირის მრავლობითობის გამომხატველად მიიჩნევა სუფიქსები: ბზ., /-ბლ/, /-ბლ/, /-გრ/, /-ურ/, /-იელ/, ლშხ. /-ბლ/, /-ველ/, /-გრ/, /-ურ), ბქე., ლნტ. /-ალ/, /-ბლ/, /-იელ/, /-გრ/, /-ურ/ [1]. ეს სუფიქსები დასტურდება სამივე არასავალდებულო b პირის ფორმაში.

ეს სუფიქსები, რიცხვის აღმნიშვნელ სხვა აფიქსთაგან განსხვავებით, რამდენიმე თავისებურებით ხასიათდებიან:

ა) არასავალდებულო b პირის მრავლობითობის აღმნიშვნელად ამ სუფიქსთა გამოვლენა სავალდებულო არ არის, ე. ი. მათთან ყველა შემთხვევაში თავისუფლად მონაცვლეობს ნული, შად., ბზ. ახტაბუ-ბლ ი//ახტაბუი ეჯდაბრს „ხტავს მათ“, ატურ-ბლ-ი//ატურე ეჯდაბრს „ანთებს მათ“, ჩუადგრმ-ბლ-ე //ჩუადგრმე ეჯდაბრ „დაიჭირა ისინი“, აშყუდ-იელ-ი//აშყუდი ეჯდაბრს „რეცხავს მათ“, აკუშ-ურ-ე//კუშე ეჯდაბრს „ამტვრევს მათ“, ახპ-გრ-ე//ხგპე ეჯდაბრს „ხეთქს მათ“ და სხვა.

მეტიც შეიძლება ითქვას, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, რო-

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I გვ. 233—234; თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, იქვე, VI, 1954 წ., გვ. 192—198.

დესაც არასავალდებულო b პირის მრავლობითობა აღნიშნული სუფიქსებით არ არის გამოხატული, მაგ., ლშხ. აგემ ქორალს „აშენებს სახლებს“, ჟანმარე ბობშარ „მოამზადა ბავშვები“ და სხვა. ზმნათა ერთი ნაწილი არასავალდებულო b პირის მრავლობითობის აღმნიშვნელად ამ სუფიქსებს საერთოდ არ დაირთავს, მაგ., ლშხ. ანჯიდ ეჯდარ „მოიტანა ისინი“, აცუირ ეჯდარ „დატოვა ისინი“ და სხვა.

ბ) იგივე სუფიქსები ზოგჯერ ისეთ ფორმებშიც დასტურდება, სადაც არასავალდებულო b პირი მხოლოობით რიცხვშია წარმოდგენილი მაგ., ლშხ. აცლ-გრ-ე//ცგლე ფიცარს „ხეთქს ფიცარს“, აბჯ-შრ-ე//ბუჯუე ზექს „აპობს შეშას“, ალაგაუ-ალ-ი//ალაგაუი ქორს „ალაგებს სახლს“ და სხვა.

გ) ზოგ ფორმაში არასავალდებულო b პირის მრავლობითობის გამოხატველად აღნიშნულ სუფიქსებთან ერთად მოცემულია სხვა აფიქსებიც. ასეთი ვითარება გვაქვს, მაგ., იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში წარმოდგენილია მეორე არასავალდებულო b პირი (პირველი არასავალდებულო პირის შესახებ იხ. ქვემოთ). აქ მრავლობითობის აღმნიშვნელად წარმოდგენილია /-ხ/ სუფიქსიც. ამასთანავე /ჱ-/-ს გამოვლენა რეგულარულია (ყოველ შემთხვევაში — ორპირიან ზმნებში), ხოლო ზემოაღნიშნული სუფიქსებისა — ფაკულტატური, მაგ., ჯ-ახტაშ-ალ-ი-ხ//ჯ-ახ-ტაში-ხ ეჯა სგაჲ „გხატავთ ის თქვენ“, ჯ-ამპარ-ალ-ი-ხ//ჯ-ამპარე-ხ ეჯა სგაჲ „გამზადებთ ის თქვენ“, ჯ-აყუშ-შრ-ე-ხ//ჯგ-კუშე-ხ ეჯა სგაჲ „გამტვრევთ ის თქვენ“ და სხვა.

ყოველივე ამის გამოა სწორედ, რომ თანამედროვე სვანურში დასახელებული სუფიქსები არ არიან არასავალდებულო b პირის მრავლობითობის მკაფიო გამომხატველნი. მეტიც შეიძლება ითქვას: ვფიქრობთ, არ იქნება უსაფუძვლო, თუ დავსვამთ კითხვას — არის კი ამ სუფიქსთა მორფოლოგიური ფუნქცია არასავალდებულო b პირის მრავლობითობის გამოხატვა? (თ. შარაძენიძე მათ ფუნქციად მიიჩნევს მოქმედების გამეორების, მრავალგზისობის გამოხატვასაც), საძებარი ხომ არ არის მათი ნამდვილი მორფოლოგიური დანიშნულება? ამ კითხვის საფუძვლიანობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იგივე სუფიქსები, როგორც ეს თ. შარაძენიძეს აქვს შენიშნული, დასტურდებიან ერთპირიანი ვნებითის ფორმებშიც, სადაც არასავალდებულო პირი საერთოდ არ მოიპოვება, მაგ., ჴნგრდ-ალ-ჴნ-ხ (//ჴნგრდჴნ-ხ) „გაიზარდნენ“, ჩუჲდყულ-შრ-ჴნ-ხ (//ჩუაყუჲლ-ხ) „გაიყვნენ“ და სხვა. ამგვარ ფორმებში, თ. შარაძენიძის კვალიფიკაციით, აღნიშნული სუფიქსები სუბიექტური (ე. ი. სავალდებულო) პირის მრავლობითობას გამოხატავენ [1].

---

[1] თ. შარაძენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 192—196.

დასმული საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს, მასზე პასუხის გაცემას ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ.

როგორც აღინიშნა, მეორე არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის მრავლობითობის აღმნიშვნელად დასტურდება /-ხ/ სუფიქსი, ზოგ ორპირიან გარდაუვალ ზმნაში ის გამოხატავს აგრეთვე მესამე არასავალდებულო b პირის მრავლობითობასაც[1], მაგ., ჯ-ამპრე-ხ//ჯ-ამპრ-ჲლ-ი-ხ ეჯა სგჲ „გამზადებთ ის თქვენ“, ჲ-ჯ-მპრე-ხ ეჯნემ სგჲ ეჯა „მოგიმზადათ მან თქვენ ის“, ჯ-ალჲტ-ხ სგჲ ეჯა „გიყვართ თქვენ ის“, ჯ-აყა-ხ სგჲ ეჯა „გყავთ თქვენ ის“, ხ-აყა-ხ ეჯჲპრს ეჯა „ჰყავთ მათ ის“ და სხვა.

თანამედროვე ზემოსვანურ (ბალსზემოურ და ბალსქვემოურ) დიალექტთა პირველი არასავალდებულო პირის მრავლობითის ფორმაში ინკლუზივის /გუ-~გუ-/-ს უპირისპირდება ექსკლუზივის /ნ-~ნგ-/. ერთმანეთთან ოპოზიციაში ისინი, ცხადია, ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას გამოხატავენ. მაგრამ რადგანაც არც ერთი მათგანი არ დასტურდება მხოლოობითი რიცხვის ფორმაში, სადაც მათ რეგულარულად უპირისპირდება /მ-~მგ-/, რომელიც, თავის მხრივ, არასდროს არ გვხვდება მრავლობითი რიცხვის ფორმაში, ამიტომ /მ-~მგ-/-სთან ოპოზიციაში ინკლუზივ-ექსკლუზივის /გუ-~გუ-/, /ნ-~ნგ-/ შეიძლება მრავლობითი რიცხვის გამომხატველად მივიჩნიოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიცხვის მიხედვით ოპოზიციის ერთ წევრს — მხოლოობითს — გამოხატავს /მ-~მგ-/, ხოლო მეორე წევრს — მრავლობითს — /(გუ-~გუ-) ∞ (ნ-~ნგ-)/. ამავე დროს ისინი გამოხატავენ არასავალდებულო პირის ორივე სახესხვაობის პირველი პირის რიცხვის მიხედვით დაპირისპირებას, შდრ.:

მხ. რიცხვი

ჲ-აყა „მყავს“
მ-ადგჲრი „მკლავს“
მგ-ტხე „მაბრუნებს“
მ-აჰუდი „მაძლევს“
მ-იხტჲუი „მიხატავს“

მრ. რიცხვი

ინკლ. გუ-აყა „გვყავს“	ექსკლ. ნ-აყა „გვყავს“
გუ-ადგჲრი „გვკლავს“	ნ-ადგჲრი „გვკლავს“
გუ-ტხე „გვაბრუნებს“	ნგ-ტხე „გვაბრუნებს“
გუ-აჰუდი „გვაძლევს“	ნ-აჰუდი „გვაძლევს“
გუ-იხტჲუი „გვიხატავს“	ნ-იხტჲუი „გვიხატავს“

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 15—17.

ამ კვალიფიკაციას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ არასავალდებულო პირის მრავლობითობის გამომხატველი სხვა რეგულარული და უდავო აფიქსი თანამედროვე სვანურის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში არ მოიპოვება. ამდენად, ის ფუნქცია, რასაც მეორე და მესამე პირის ფორმებში /-ხ/ ასრულებს, პირველი პირის ფორმაში ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს ეკისრება.

ქვემოსვანურ დიალექტთა (ლენტეხურისა და ლაშხურის) პირველ არასავალდებულო პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციას ადგილი არა აქვს. რადგანაც აქ პირველ არასავალდებულო პირს მხ. რიცხვში გამოხატავს /მ-~მგ-/, ხოლო მრ. რიცხვში — /გუ-~გუ-/, ამიტომ ისინი სათანადო რიცხვის გამომხატველადაც უნდა მივიჩნიოთ, შდრ. მხ. რიცხვი: მ-აყა „მყავს“, მგ-ტხე „მაბრუნებს“, მ-იხატაში „მიხატავს“ — მრ. რიცხვი: გუ-აყა „გვყავს“, გუ-ტხე „გვაბრუნებს“; გუ-იხატაში „გვიხატავს“ და სხვა.

2.03. რიცხვის მორფემათა დიაქრონიული ანალიზი.

2.03.1. პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსის შესახებ ქართველურ ენებში. როგორც დავიხახეთ, პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობას ქართულსა და მეგრულ-ჭანურში გამოხატავს /-თ/, ხოლო სვანურში — /-დ/. ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს მათი დიაქრონიული ურთიერთმიმართების გარკვევის ცდები:

ვ. თოფურიამ ჯერ კიდევ 1931 წელს შესაძლებლად მიიჩნია, ამოსავალი მდგომარეობა დაცული იყოს სვანურში, ე. ი. /-დ/ იყოს პირველადი, ხოლო ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მომხდარიყო ამ /-დ/-ს დაყრუება აუსლაუტში [1].

იგივე დებულება, არსებითად სხვა მოსაზრებებიდან ამოსვლით, უფრო გვიან გაიმეორა ა. ჩიქობავამ [2]. ავტორი, როგორც ცნობილია, ჩაჩნურ-დაღესტნურ ენათა მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე ქართველურ ენებშიც ვარაუდობს ნივთის კლასის ნიშნების ოდინდელ არსებობას. მისივე აზრით, ერთ-ერთი ასეთი ნიშანი, რეინტერპრეტირებული და სუფიქსად ქცეული, არის მრავლობითობის /-თ/ ქართულში (ამდენად — მეგრულ-ჭანურშიც). მაგრამ ეს /-თ/ პირველადი რომ იყოს, მაშინ ის ნივთის კლასის ნიშნიდან მომდინარედ ვერ მიიჩნეოდა; ის მომდინარეობს /-დ/-საგან. ასეთი დასკვნის საფუძველია სვანურის ვითარება, სადაც ქართ. /-თ/-ს /-დ/ შეეფარდება:

---

1 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 9.

2 ა. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იკე, ტ. VI, 1954 წ., გვ. 67—76.

ქართ. ვარ-თ	სვან. ხუ̈ჱრი-დ	„ვართ“
ხარ-თ	ხ̈ჱრი-დ	„ხართ“
არი-ან	ჱრი-ხ	„არიან“

მაშასადამე, ქართულში „ზმნის სუფიქსი -თ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშვინვიერებული -დ სუფიქსია“.

ამგვარადვე წყდება, ა. ჩიქობავას აზრით, სახელთა მრავლობითობის /-თ/ სუფიქსის საკითხიც ქართულში: კაც-თ-<კაც-დ.

ამრიგად, /-დ/ (>/-თ/) სახელსა და ზმნაში წარმომავლობით ერთი და იგივე მორფოლოგიური ერთეულია, ეს „დ, როგორც მრავლობითის სუფიქსი, იგივე ოდენობაა, რაც სახელებში მ-ტკუარი (<დ-კუარი), დათვი, *დინჭუელი, *დინჭარი, ზან. დიშქა „შემა“, ჭან. დიცხირი („სისხლი“), ჭან. დუცხუ „ცაცხვი“...: -დ- ნივთის კატეგორიის ფორმანტია“. იგივე ფორმანტი ფართოდაა გავრცელებული ჩაჩნური ჯგუფის ენებშიც და დაღესტნის ენათა უმეტესობაშიც [1].

ამავე აზრს იზიარებს გ. როგავა [2].

ქართველურ ენებში კლასის კატეგორიის საკითხი ჩვენთვის არ არსებობს [3], არც სახელთა მრავლობითის სუფიქსი შემოდის ამჟამად ჩვენი კვლევის სფეროში, ხოლო პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსის წარმომავლობის ზემოაღნიშნული ახსნა სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება:

ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის დიაქრონიული ცვლილების ფონოლოგიური პოზიციით ახსნა შეუძლებელია დამაჯერებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ ის იზოლირებულად, ენობრივი სტრუქტურის სხვა ელემენტებისაგან მოწყვეტილად განიხილება. ჩვენთვის საინტერესო სუფიქსის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, თუ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ცვლილებას /-დ/ > /-თ/ ფონოლოგიური პოზიციით (სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მდებარეობით) ავხსნით, მაშინ სავალდებულოა ამავე პოზიციაში დავადასტუროთ მჟღერობის ნიშნის ნეიტრალიზაცია (მჟღერთა დაყრუება) საერთოდ (ე. ი. მჟღერები ამ პოზიციაში არ უნდა არსებობდნენ). და, პირიქით, თუ აღნიშნულ პოზიციაში მჟღერობის ნეიტრალიზაციის სისტემა ვერ დავადასტურეთ, მაშინ /-თ/ სუფიქსს /-დ/-ს დაყრუების საფუძველზე მიღებულად ვერ მივიჩნევთ.

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულისა და მეგრულ-ჭანურისათვის, სვანურისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია სიტყვის აბ-

---

[1] იქვე. გვ. 75.

[2] გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე. IV, 1952 წ., გვ. 37—38.

[3] ამასთან დაკავშირებით იხ. ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIII:2, 1964 წ., გვ. 497—502.

სოლუტურ ბოლოში (ე. ი. პაუზის წინ) მჟღერთა დაყრუება[1]. თუ ამ ფაქტს დავემყარებით, მაშინ /-თ/ სუფიქსის წარმომავლობის ზემოაღნიშნული ახსნა ბუნებრივი აღმოჩნდება, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ძველი ქართული.

ძველი ქართულისათვის, როგორც ცნობილია, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერთა დაყრუების გზით მჟღერობა-სიყრუის ნიშნის ნეიტრალიზაცია არ არის დამახასიათებელი. გ. ახვლედიანი ამის შესახებ წერს: „საშუალ ქართულში დაიწყო მოქმედება ფონეტიკურმა კანონმა, რომლის ძალითაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერი ჩქამიერები ყრუვდებიან; ეს კანონი არ მოქმედებდა ძველ ქართულში“[2]. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მჟღერი ბგერის ერთ-ერთი ნიმუშის შესახებ ა. შანიძე წერს: „სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებში -დ იყო და არის დღესაც, ხოლო თანხმოვანფუძიანებში -ად. დ-ს მოცილედ თ ჩნდება სპორადულად გვიანდელ (XVII—XVIII სს.) ძეგლებში“, ავტორი შემდეგ დასძენს: „დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა ბ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა -ებ და -ობ სუფიქსიან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში): ვაკეთეფ, ვამბოფ, და სხვა“[3]. ა. ჩიქობავა კი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში მიმართულებითი (resp. ვითარებითი) ბრუნვის ნიშნად -დ-სა და -თ-ს საკითხი არც დგას „იქ მხოლოდ და მხოლოდ -დ გვაქვს“[4].

შემდგომ მ. ძიძიშვილმა ძველ ქართულ ტექსტებში დაძებნა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერთა დაყრუების მაჩვენებელი ცალკეული მაგალითები: სათნოთ < სათნოდ, ზეცათ < ზეცად, აკურთხეფ < აკურთხებ..., ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის: „ჩანს, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუების ტენდენცია ქართუ-

---

1 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949 წ., გვ. 353—357; ხ. ჟღენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა. 1953 წ., გვ. 166—179; მისივე. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949 წ., გვ. 156; ა. ონიანი, თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირების შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, 1973, გვ. 61—79.

2 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 251.

3 ა. შანიძე, მიმართულებითი ბრუნვის ღაბოლება. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970 წ., გვ. 61.

4 ა. ჩიქობავა. ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან, I. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937 წ., გვ. 15—16.

ლი წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ბგელთა-განე" [1].

ნათქვამიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში მჟღერი ბგერები სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც წესი, მჟღერი ვარიანტის სახით გვევლინებიან, მათი დაყრუების შემთხვევები კი უალრესად იშვიათია. აქედან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ძველ ქართულში **მხოლოდ ჩანასახები** დასტურდება აღნიშნულ პოზიციაში მჟღერთა დაყრუების ტენდენციისა. შემდგომ კი ეს ტენდენცია თანდათანობით გაძლიერდა და თანამედროვე ქართულში თითქმის ნორმად იქცა. ამ ტენდენციის რეტროსპექტული ანალიზი, როგორც ვხედავთ, მის თანდათანობით დასუსტებას გვიჩვენებს. ამგვარმა ანალიზმა საბოლოოდ იმ წერტილამდე უნდა მიგვიყვანოს, როცა მჟღერ ბგერათა დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში საერთოდ არ ხდებოდა. მართლაც, უძველეს ქართულ ტექსტებში ამგვარი დაყრუების შემთხვევები არ არის შენიშნული.

ამრიგად, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერთა დაყრუების ტენდენცია ისტორიულ ძველ ქართულში იღებს სათავეს. პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსი კი მთელ ქართულში (უძველესი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული — დღემდე) /-თ/-ს სახით გვევლინება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სუფიქსი ჯერ კიდევ მანამდე იყო უგამონაკლისოდ /-თ/-ს სახით წარმოდგენილი, სანამ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მჟღერთა დაყრუების ტენდენცია გაჩნდებოდა. ეს კი უდავო (ამავე დროს ცალსახა) დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: **პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის /-თ/-ს ქართულში /-დ/-ს პოზიციური დაყრუების საფუძველზე მიღებულად ვერ მივიჩნევთ.**

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ ორი ქართული სუფიქსი: ვითარებითი ბრუნვის /-დ ~ -ად/ და პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის /-თ/. უდავოა, რომ ვითარებითი ბრუნვის /-დ/ საერთო-ქართველურ საფეხურამდე ადის [2]. თუ დავუშვებთ, რომ სავალდებულო პირთა მრავლობითობის /-თ/-ც საერთო-ქართველურ /*-დ/-საგან მომდინარეობს, მაშინ მათ ერთნაირი ფონოლოგიური ცვლილებები უნდა განეცადათ, რადგანაც ერთნაირ ფონოლოგიურ პოზიციაში დასტურდებიან: ორივე სუფიქსია და ორივე სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია მოქცეული.

მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ძველ ქართულში ვითარებითი ბრუნვის სუფიქსი, როგორც წესი, /-დ-/-ს (და არა /-თ/-ს) სახით

---

1 ვ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960 წ., გვ. 68—70

2 Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 68.

არის წარმოდგენილი, ხოლო სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსი უგამონაკლისოდ /-თ/-ს სახით დასტურდება. ერთნაირი ფონოლოგიური შედგენილობის ენობრივ ერთეულთა ერთნაირ ფონოლოგიურ გარემოცვაში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური ცვლილების ახსნის გზა არ არსებობს.

აქედან დასკვნა: პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის არქაულ სუფიქსად ქართულში უნდა მივიჩნიოთ /-თ/, მისი /-დ/-საგან წარმომავლობის ფონოლოგიური პოზიციით ახსნა კი არ ხერხდება.

თუ ეს ასეა, მაშინ უყოყმანოდ შეიძლება გავაკეთოთ მეორე დასკვნაც: ამავე ფუნქციით დადასტურებული /-თ/ არც მეგრულ-ჭანურშია /-დ/-საგან მიღებული, რადგანაც ქართ. თ ფონემას მეგრულ-ჭანურში თ შეესატყვისება.

მაგრამ მაშინ პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსში გამოდის შესატყვისობა: ქართ. /-თ/ — მეგრ.-ჭან. /-თ/ — სვან. /-დ/. ამგვარი ფონემური შესატყვისობა კი ქართველურ ენებში არ არსებობს, ქართ.-მეგრ.-ჭან. თ-ს, როგორც ცნობილია, სვანურში შეესატყვისება თ ან შდ, მაგ., ქართ. ქათამი, ღმერთი — მეგრ. ქოთოში, ღორონთი — ჭან. ქოთუმე, ღორმოთი — სვან. ქათალ, ღერბეთ; ქართ. დათვი, ათი — მეგრ. თუნთი, ვითი — ჭან. მთუთი, ვითი — სვან. დაშდუ, ეშდ და სხვ. [1].

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სვანური მეშველი ზმნა. ბალსქვემოურში (გარდა ლახამულური კილოკავისა), ლენტეხურსა და ნაწილობრივ ლაშხურში სავალდებულო პირის მრავლობითობა ამ ზმნაშიც /-დ/-თი გამოიხატება ისევე, როგორც ყველა სხვა ზმნაში:

მრ. რ. ხუ-ი-დ	„ვართ“ (ექსკლ.)	შდრ. მხ. რ. ხუ-ი	„ვარ“
ლ-ი-დ	„ვართ“ (ინკლ.)	ხ-ი	„ხარ“
ხ-ი-დ	„ხართ“	ლ-ი	„არის“
ლ-ი-ხ	„არიან“		

მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ბალსზემოურსა და სპორადულად ლაშხურში (აგრეთვე ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ ქვედიალექტში) მეშველი ზმნის პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობა /-შდ/ ალომორფით გაჰოიხატება:

---

1 ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმომხილველი, 1926 წ., გვ. 201—202; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 19—20, 95—96.

მრ. რ. ხუ-ი-შდ	„ვართ“	(ექსკლ.)	შდრ. მხ. რ. ხუ-ი-	„ვარ“
ლ-ი-შდ	„ვართ“	(ინკლ.)	ხ-ი	„ხარ“
ხ-ი-შდ	„ხართ“		ლ-ი	„არის“
ლ-ი-ხ	„არიან“			

ბუნებრივად ისმის კითხვა: ეს /-შდ/ ხომ არ არის ქართ.-მეგრ.-ჭან. /-თ/-ს კანონზომიერი მორფოლოგიურ-ფონემური შესატყვისი?

ეს კითხვა ჯერ კიდევ ადრე დასვა ვ. თოფურიამ, მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა შესაძლებლად არ მიიჩნია, რადგანაც „-შ- ფორმანტისეულია თუ ფუძისეული, ეს უცნობია ისევე, როგორც III პირის ბზ. ლ-ი-ზ ფორმაში -ზ-ს დანიშნულება და მისი დამოკიდებულება -შ-სთან“[1].

თანამედროვე სვანურის მეშველ ზმნაში /-შდ/ (სადაც კი ის მოიპოვება) პირველ და მეორე სავალდებულო პირთა ჭრავლობითობის აღმნიშვნელია ისევე, როგორც /-დ/ არის ამავე ფუნქციის მქონე ყველა სხვა სვანურ ზმნაში, მათ შორის ბალსქვემოურ-ლენტეხურ მეშველ ზმნაშიც. როგორც ზემოთ ნაჩვენები პარადიგმებიდან ჩანს, /-შდ/ ისეთსავე მიმართებაში იმყოფება მრავლობითი რიცხვის მესამე პირისა და მხოლოობითი რიცხვის ფორმებთან, როგორშიც — /-დ/. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველ და მეორე სავალდებულო პირთა ფორმებში /-შდ/ იმავე მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებს, რასაც /-ბ/ მესამე პირის ფორმაში, ამავე დროს მხოლოობითის ფორმები მრავლობითისას უპირისპირდებიან აღნიშნულ სუფიქსთა (/-შდ/-სა და /-ხ/-ს) უქონლობით. ამდენად, უდავოა, რომ /-შდ/ მეშველ ზმნაში სინქრონიულად პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრავლობითობას აღნიშნავს ისევე, როგორც /-დ/ — ყველა სხვა ზმნაში.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ლიტერატურაში დასმულია კითხვა: სხვაგვარი ხომ არ იყო ვითარება დიაქრონიულად? ე. ი. მეშველ ზმნაში შ ელემენტი ისტორიულად ძირეული მორფემის კუთვნილება ხომ არ იყო და ის წარმომავლობით ხომ არ უკავშირდება ბალსზემოური (ავგრეთვე ლახამულური) მეშველი ზმნის მესამე პირის ფორმაში (ლ-ი-ზ „არის“) დადასტურებულ -ზ-ს?

თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული შ ელემენტი ისტორიულად ძირეული მორფემის კუთვნილება იყო, მაშინ მეშველი ზმნის პარადიგმა ამგვარი უნდა ყოფილიყო:

მხ. რ. ხუ-იშ	მრ. რ. ხუ-იშ-დ
ხ-იშ	ლ-იშ-დ
ლ-იშ	ხ-იშ-დ
	ლ-იშ-ხ

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 9; იხ. ავგრეთვე Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 67—68.

ჯერ ერთი, არ არსებობს ფონოლოგიური საფუძველი, რასაც შეეძლო გამოეწვია ამ **შ** ელემენტის დაკარგვა. ანალოგიურ პოზიციაში მსგავსი ცვლილების კვალი სვანურში არა ჩანს, შდრ.:

ლო-ხუშ „დავლიე"
ლა-ხ-გშ „დალიე"
ლა-ლ-გშ, ბზ. ლა-ᾱშ, ბქე., ლნტ. ლა-იშ „დალია".
ლო-ხუშ-დ „დავლიეთ" (ექსკლ.).
ლა-ლ-გშ-დ „დავლიეთ" (ინკლ.).
ლა-ხ-გშ-დ „დალიეთ".
ლა-ლ-გშ-ხ „დალიეს"

ასევე: აკუშ „გატეხა", აფამ „დაიღალა" და სხვა.

მეორეც: არ იძებნება მიზეზი, რასაც შეეძლო განეპირობებინა ამ **შ**-ს შემონახვა მხოლოდ მრ. რიცხვის პირველი და მეორე პირის ფორმებში და მისი დაკარგვა ყველა სხვა ფორმაში. **შ** ფონემა სვანურში დასაშვებია არა მხოლოდ **დ**-ს წინ, არამედ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშიც და **ხ**-ს წინაც (**შხ** სვანურისათვის ბუნებრივი თანმიმდევრობაა ანლაუტშიც, ინლაუტშიც და აუსლაუტშიც, მსგავსად **შდ** თანმიმდევრობისა).

ამდენად, მეშველ ზმნაში **შ** ელემენტს ვერც დიაქრონიულად მივიჩნევთ ძირეული მორფემის კუთვნილებად.

ცნობილია, რომ **-ჳ** ელემენტი დასტურდება მხოლოდ ბალსზემოურ (აგრეთვე ლახამულურ) მეშველ ზმნაში, ის, არსებითად, მარტოდენ მხ. რიცხვის მესამე პირის ფორმაშია წარმოდგენილი [1]. აქ ჩვეულებრივია ასეთი პარადიგმა:

ხუ-ი	„ვარ"	ხუ-ი-შდ	„ვართ" (ექსკლ.)
ხ-ი	„ხარ"	ლ-ი-შდ	„ვართ" (ინკლ.)
ლ-ი-ჳ	„არის"	ხ-ი-შდ	„ხართ"
		ლ-ი-ხ	„არიან"

აქ წარმოდგენილ **-ჳ** და **-შ** ელემენტთა წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება, რადგანაც:

ა) ფონოლოგიური პოზიციით ვერ აიხსნება ვერც ცვლილება **შ>ჳ** და ვერც **ჳ>შ**. **დ**-სთან მეზობლობას ისევე არ შეიძლებოდა გამოეწვია **ჳ>შ**, როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მდებარეობას — **შ>ჳ**. სვანურში ჩვეულებრივია როგორც **ჳდ** მიმდევრობა (ნᾱბოჳდ „საღამომდე", ხაჳდა „ეცვა"...), ისე **შ** სიტყვის აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ (აკუშ „გატეხა", „ქორიშ „სახლის"...).

---

1 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 9.

ბ) ე. წ. სპონტანური ცვლილების საფუძველზე კი ერთი მორფემის ფარგლებში ერთი ფონემისაგან ორი სხვადასხვა ფონემის მიღების დაშვება შეუძლებელია.

მე3შველ ზმნაში -ზ ელემენტის წარმომავლობის შესახებ საინტერესო ვარაუდი წამოაყენა ვ. თოფურიამ: „ეგების ლ-ი სხვა იყოს და ლ-ი-ზ სხვა (ლ-ი-ზ<ლ-გ-ზ, შდრ. ზგ — „ძევს“). თუ ამ ვარაუდს, რომელიც ავტორმა გამოთქვა კერძო წერილში. ასე გავიგებთ: ლიზ<ლი+ზგ, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ არის ეს ელემენტი მხოლოდ მესამე პირის ფორმაში. სვან. ზგ//ზი „ძევს“ (ისევე როგორც მისი შესატყვისები: ძვ. ქართ. ძეს, მეგრ.-ჭან. ძუნ) მხოლოდ ნივთთათვის (არაცოცხალთათვის) იხმარება. ცნობილია, რომ I და II პირის ფორმაში, ჩვეულებრივ, მხოლოდ ადამიანი იგულისხმება, ნივთი (არაცოცხალი საგანი) შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ III პირის ფორმაში. ამდენად, -ზ ელემენტი, თუ ის მართლა ზემოაღნიშნული ზმნიდან მომდინარეობს, მხოლოდ III პირის ფორმასთან იყო შესაძლებელი.

მაგრამ კ. გაგუამ -ზ ელემენტი დაადასტურა ბალსზემოური მე3შველი ზმნის I და II პირის ფორმებშიც: ხუიზ „ვარ“. ხიზ „ხარ“.

ფაქტია, რომ ბალსზემოური მე3შველი ზმნის III პირის ფორმაში -ზ ელემენტი ჩვეულებრივია (ლიზ), I და II პირის ფორმებში კი იმდენად იშვიათი, რომ ბოლო დრომდე მკვლევართათვის ის შეუმჩნეველი დარჩა. კ. გაგუა მის მიერ შემჩნეული ფაქტის საფუძველზე ასკვნის: „...ზ-ს I და II პირში ხმარების ცალკეული შემთხვევები არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ ძველის გადმონაშთია“ [1].

მაგრამ იშვიათად ხმარებულობა დამახასიათებელია არა მხოლოდ არქაიზმთათვის, არამედ ინოვაციებისათვისაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის ხმარების იშვიათობა არ იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების საშუალებას მისი არქაულობის შესახებ. საკითხის მართებულად გადაწყვეტისათვის აუცილებელია სათანადო ლინგვისტური არგუმენტაცია.

თუ ბალსზემოური მე3შველი ზმნის I და II პირის ფორმებში -ზ ელემენტს „ძველის გადმონაშთად“ მივიჩნევთ, მაშინ საჭიროა გაირკვეს, თუ რამ განაპირობა მისი გაქრობისაკენ ტენდენციის გაჩენა, რაშიც აქ ის „გადმონაშთად“ აქცია, განსხვავებით III პირის ფორმისაგან, სადაც ის ჩვეულებრივია. ფონოლოგიურად ეს ფაქტი ვერ აიხსნება, რადგანაც პოზიცია სამსავე პირში ერთნაირია: ხუიზ, ხიზ. ლიზ. მეტიც შეიძლება ითქვას: ამგვარი ვარაუდის შემთხვევაში I და

---

[1] კ. გაგუა, ზოგიერთი დრონაკლი ზმნა სვანურში, თსუ შრომები, 105, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, VI, 1965 წ., გვ. 12—14.

II პირის ფორმებში საერთოდ ვერ ვიპოვით III პირის ფორმისაგან ისეთ განსხვავებას, რასაც შეეძლო -ზ ელემენტის „გადმონაშთად“ ქცევა.

თუ I და II პირის ფორმებში -ზ ელემენტს ინოვაციად მივიჩნევთ, და მას ისტორიულად მხოლოდ III პირის ფორმის კუთვნილებად ჩავთვლით, მაშინ თანამედროვე ბალსზემოურის I და II პირთა ფორმებში მისი ხმარების ცალკეული შემთხვევები შეიძლება ანალოგიით (ე. ი. III პირის ფორმის მიხედვით პარადიგმის გასწორების ტენდენციის ჩასახვით) ავხსნათ. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში საკითხი მარტივად წყდება.

ნათქვამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მე'შველი ზმნის ფორმებში დადასტურებულ -ზ და -შ ელემენტთა წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება. შეუძლებელია აგრეთვე, ისტორიულად რომელიმე მათგანის ძირეული მორფემის კუთვნილებად მიჩნევა.

არსებობს საფუძველი სვანური მეშველი ზმნის ძირეულ მორფემაში -რ ელემენტის რეკონსტრუქციისათვის. საქმე ის არის, რომ ამ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმაში ძირეული მორფემის წარმომავლად გამოიყოფა /ი/ (ხუ-ი, ხ-ი, ლ-ი), ხოლო მყოფადსა და პირობითში /ირ/:

მყოფადი:	ხუ-ირ-ი	„ვიქნები“	პირობითი:	ხუ-ირ-ოლ „ვიქნებოდი“
	ხ-ირ-ი	„იქნები“		ხ-ირ-ოლ „იქნებოდი“
	ირ-ი	„იქნება“		ირ-ოლ „იქნებოდა“

შეუძლებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად აქ საქმე გვქონდა არა მონაცვლე ძირებთან, არამედ ერთსა და იმავე ძირთან: აწმყოს მწკრივის ფორმაში /ირ/>/ი/ — სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მდებარეობის გამო. ამ პოზიციაში (აუსლაუტში) რ-ს ნულთან გათანაბრების დაშვება შეუძლებელი არ არის. მაშინ კი ი-ს აუსლაუტში ბუნებრივად უნდა მოეცა ი, რადგანაც თანამედროვე სვანურში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, გრძელი ხმოვანი არ არსებობს (ქართულ მეშველ ზმნაშიც ხომ დასტურდება ძირეული რ-ს დაკარგვის შემთხვევა: კაცია (<კაცი არს). შდრ. აგრეთვე ხევსურული ას (< არს). ხევსურულში, ა. ჭინჭარაულის მოწმობით, გარკვეულ კონტექსტში ამ ზმნის I და II პირის ფორმებიც იხმარება ძირეული რ-ს გარეშე: ვა (<ვარ), ხა (<ხარ).

ნათქვამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: **სვანურ მეშველ ზმნაში**

/-შდ/ I და II სავალდებულო პირთა მრავლობითობის აღმნიშვნელია როგორც სინქრონიულად, ისე დიაქრონიულად და ის ქართულ და მეგრულ-ჭანურ /-თ/-ს კანონზომიერი მორფოლოგიურ-ფონემური შესატყვისია. შემთხვევითი არ არის, რომ სვანურ მეშველ ზმნაში /-შდ/ სწორედ იქ არის წარმოდგენილი (I და II სავალდებულო პირთა მრ. რიცხვის ფორმებში), სადაც ქართ.-მეგრ.-ჭან. /-თ/-ს ფონემურ-მორფოლოგიური შესატყვისია მოსალოდნელი.

მაგრამ მაშინ ბუნებრივად დგება საკითხი ამ /-შდ/-სა და ყველა სხვა ზმნაში, მათ შორის ბალსქვემოურ და ლენტეხურ (აგრეთვე სპორადულად ლაშხურ) მეშველ ზმნაში ამავე ფუნქციით დადასტურებულ /-დ/-ს დიაქრონიული ურთიერთმიმართების შესახებ.

ვფიქრობთ, რომ ეს /-შდ/ და /-დ/ ერთი საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობენ, მაგრამ რადგანაც შეფარდებაში — ქართ. /-თ/ — მეგრ.-ჭან. /-თ/ — სვან. /-დ/ — დარღვეულია რეგულარული ფონემური შესატყვისობა, ხოლო შეფარდებაში — ქართ. /-თ/ — მეგრ.-ჭან. /-თ/ — სვან. /-შდ/ — სავსებით არის დაცული, ამიტომ სვანურში დადასტურებულ სახესხვაობათა არქეტიპად უნდა მივიჩნიოთ /-შდ/, ხოლო /-დ/ — მისგან მიღებულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეშველ ზმნაში დადასტურებული /-შდ/ ისტორიული ნორმის ნაშთია, /-დ/ კი — ინოვაცია.

და მართლაც, /შდ/-ს ყველა ნიშანი აქვს არქაიზმისა — მის გამოვლენას არ განსაზღვრავს სიტყვის ფონოლოგიური ან მორფოლოგიური სტრუქტურა, ის ერთადერთ ზმნურ ძირეულ მორფემასთან დასტურდება. ეს კი, როგორც ზემოთ ითქვა, ისტორიული ნორმის ნაშთთა დამახასიათებელი ნიშანია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ /-შდ/ დასტურდება მეშველ ზმნაში, რომლისთვისაც ქართველურ ენებში (და არა მარტო ქართველურ ენებში, არამედ სხვაგანაც, მაგ., ინდოევროპულ ენებში[1]) დამახასიათებელია არქაული ელემენტები, მაგ., S_2 /ხ-/ ქართულში, S_3 /ლ-/ სვანურში. ასეთ ვითარებაში არ არის ძნელი დასაშვები, სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსიც არქაული სახით მეშველ ზმნას შემოენახა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ლაშხური დიალექტი, სადაც, როგორც აღინიშნა, მეშველ ზმნაში დასტურდება როგორც /-შდ/, ისე — /-დ/. არსებითი ისაა, რომ /-შდ/, ჩვეულებრივ, ხანში შესულთა მეტყველებაში გვხვდება, /-დ/ კი — შედარებით ახალი თაობისა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეშველ ზმნაში

---

[1] **A. Meйе**, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 65—66.

/-დ/-ს მიხედვით ფორმათა გათანაბრება ჩვენს თვალწინ ხდება. ჩანს, ეს პროცესი ბალსკვემოურსა და ლენტეხურს უკვე გავლილი აქვთ.

წამოყენებული ჰიპოთეზის მიღების შემთხვევაში ასახსნელია მიზეზი ცვლილებისა /-შდ/>/-დ/. ცნობილია, რომ ამგვარი ცვლილების კვალი ძირეულ მორფემებში არა ჩანს (უოხუ̈შდ//უოხუ̈შდ „ხუთი“, დეშდ „ათი“...). ისმის კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ცვლილების /-შდ/>/-დ/ დაშვება სუფიქსურ მორფემაშიც შეუძლებელია? ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ორი გარემოება:

1. როგორც ზემოთაც აღინიშნა, აფიქსურ მორფემათათვის, ძირეული მორფემებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია გამარტივების ტენდენცია. ამის ნიმუშები ქართველურ ენებში საძებარი არ არის. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ერთი ნიმუში სვანურიდან: ქართ. შ-ს შესატყვისი სგ დასტურდება სვანურ სიტყვებში ნუსგა, ისგ „შუა“. იგივე ფუძე გამოყენებულია ზმნისწინადაც და თანდებულადაც [1]: სგჱჩად /სგა-აჩად/ „შევიდა“, ქორ-ისგა „სახლში“. ამ სგ თანმიმდევრობის გამარტივების ერთადერთი შემთხვევა დასტურდება ლაშხურ დიალექტში და ისიც მხოლოდ სუფიქსურ მორფემაში (თანდებულში): ქორ-ისა (<ქორ-ისგა). შდრ. ბზ., ბქვ. ქორ-ისგა, ლნტ. ქორ-ისკა. და ეს მაშინ, როცა სიტყვებში ნუსგა, ისგ (აგრეთვე ზმნისწინში სგა) ამგვარი გამარტივება არც ლაშხურში მომხდარა.

2. ზოგი ზმნის ფუძეზე /-შდ/ სუფიქსის დართვა თახმოვანთა ისეთ თანმიმდევრობას მოგვცემდა, რომლის გამარტივება დისტრიბუციულად თითქმის აუცილებელი იქნებოდა, მაგ., ოფიშუდ-შდ „გავუშვით“, აშიდ-შდ „დაყარეთ“, აკუიშ-შდ „გატეხეთ“ და მისთ. (ამაზე თავის დროზე ყურადღება მიგვაქცევინა გ. მაჭავარიანმა). შეუძლებელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ცვლილება /-შდ/ > /-დ/ თავდაპირველად სწორედ ამგვარ ფორმებში მოხდა, ხოლო შემდეგ დაიწყო ფორმათა გათანაბრება /-დ/-ს მიხედვით.

ამრიგად, I და II სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსები უნდა ყოფილიყო — ქართ. /-თ/, მეგრ-ჭან. /-თ/, სვან. /-შდ/. ამ რეგულარული ფონემური შესატყვისობის საფუძველზე საერთო-ქართველური საფეხურისათვის შეიძლება მოვახდინოთ /*-სꟾთ/ არქეტიპის რეკონსტრუქცია [2].

2.03.2. მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში. ქართულში მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსები ფონოლოგიური შედგენი-

---

[1] თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959 წ., გვ. 51—58.

[2] გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 33—35.

ლობისა და დისტრიბუციული თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს: 1. /-ეს/ სუფიქსი, 2. ძველი ქართული /-ედ/ სუფიქსი, 3. -ნ ელემენტის შემცველი სუფიქსები — /-ეხ/, /-ან/, /-ნ/, /-ნენ/. სუფიქსთა ამ სამი ნაწილის ერთი საერთო არქეტიპისაგან მომდინარეობის მტკიცება შეუძლებელია მათ შორის დიდი ფონოლოგიური სხვაობისა და დისტრიბუციული თავისებურებების გამო (მათი განაწილება მორფოლოგიურად არის შეპირობებული და არა — ფონოლოგიურად).

სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს -ნ ელემენტის შემცველ სუფიქსთა ურთიერთმიმართება. მათ განაწილებაში, როგორც სინქრონიული ანალიზის დროს დავინახეთ, გარკვეულ როლს ასრულებს ფონოლოგიური პოზიცია, ამავე დროს გამოხატულების პლანში მსგავსების გამო შესაძლებელია აღნიშნულ სუფიქსთა წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება. ამიტომ გასაზიარებელია არსებული მოსაზრება. რომლის მიხედვითაც ეს ვარიანტები ერთი საერთო არქეტიპისაგან (/-ენ/ სახესხვაობისაგან) მომდინარეობენ [1]. ერთგვარ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს /-ან/ სუფიქსის წარმომავლობა: ბ. ფოჩხუას აზრით, „-ან შეიძლება ზანურის (ან ზანურის ტიპის დიალექტური წრის) კუთვნილება იყოს“ [2]. გ. მაჭავარიანი კი უფრო ადრე აღნიშნავდა: „ეს ფორმანტები (/-ენ/ და /-ან/—ა. ო.) ერთიმეორის ფონეტიკური ვარიანტები ჩანან“ [3]. შემდეგ გ. როგავამ სცადა ცვლილების /-ეხ/>/-ან/ ფონოლოგიური პოზიციით (წინამავალ ი-სთან მეზობლობით) ახსნა [4]. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შეიძლება ეწოდოს ცვლილებას ი-ენ>ი-ან დიფთონგიზაცია (თუნდაც ნაწილობრივი), პრინციპულად ეს ახსნა გასაზიარებელია. და მაშინ /-ან/ სუფიქსის მეგრულ-ჭანურიდან ნასესხებობა უნდა გამოირიცხოს. ამას ამტკიცებს მისი დისტრიბუციული თავისებურებებიც.

ამრიგად, რომელიღაც ქრონოლოგიურ საფეხურზე ქართულში უნდა არსებულიყო სამი სხვადასხვა სუფიქსი: /-ეს/, /-ედ/, /-ენ/ [5], რომლებიც წარმომავლობით არ უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად ისინი ისევე არ იყვნენ ერთი მორფოლოგიური ფუნქციისა, როგორც მათი მსგავსი

---

[1] ბ. ფოჩხუა. მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961, გვ. 61—62.

[2] იქვე, გვ. 62.

[3] გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 123.

[4] გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან სუფიქსისათვის ქართულში, იკე, XVI, 1968, გვ. 76—77.

[5] იქვე, გვ. 77.

ურთიერთმიმართების მქონე სუფიქსები (მესამე სავალდებულო პირისა): /-ს/, /-ა/ (/-ო/), /-ნ/, /-დ/ (იხ. ზემოთ). აღნიშნული სამი სუფიქსის ერთ მორფემაში გაერთიანება რეინტერპრეტაციის პროცესთა შოქმედების შედეგი უნდა იყოს.

მეგრულ-ჭანურში მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის მორფემისათვის აღდგება ორი მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფი — /-ან/ და /-ეს/. მეგრულში /ან/>/-ა/ — პაუზის წინ, ხოლო მეგრულ-ჭანურში /-ან/>/-ნ/ — ხმოვნის მომდევნოდ.

მეგრულ-ჭანურ /-ეს/ სუფიქსს ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევენ [1]. რადგანაც არ იძებნება ფონოლოგიური საფუძველი ცვლილებისა /-ას/ (რომელიც ქართ. /-ეს/ სუფიქსის შესატყვისად არის მოსალოდნელი) > /-ეს/, ამიტომ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა შესაძლებელია.

სვანურში მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის /-ხ/ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ რამდენიმე ვარაუდია წამოყენებული:

1. „-ხ განხილულ უნდა იქნეს -ყე ნაწილაკთან და კავკასიურ ენებში (ჩერქეზულში, აფხაზურში...) ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან დაკავშირებით“ [2].

2. სვანური /-ხ/-ს (რომელიც არასავალდებულო პირის მრავლობითობის აღმნიშვნელადაც გამოიყენება) შესატყვისის ნაშთების (ასევე /-ხ/-ს სახით) დაძებნა ძველ ქართულში სცადა ი. ქავთარაძემ (ს-ხ-ამს, განა-ხ-უნა, დათ-ხ-ია) [3].

მაგრამ ამ ვარაუდთა დამაჯერებელი არგუმენტაცია არ მოგვეპოვება [4].

3. /-ხ/ ადიღეური ელემენტია სვანურში [5]. ამ საკითხთან დაკავშირებით ამჟამად ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი: /-ხ/ მრავლობითობას აღნიშნავს სვანურშიცა და ადიღეურშიც, მაგრამ თავისთავად ეს ფაქტი არ არის იმის მაჩვენებელი, რომ აღნიშნული სუფიქსი უდავოდ ერთი ენიდან იყოს მეორეში შესული, რადგანაც „ენებს შორის მსგავ-

---

1 ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 00; გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

2 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 9.

3 ი. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იკე, I. 1946 წ. გვ. 142—166; მისივე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954 წ., გვ. 216-244.

4 ამის შესახებ იხ. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში, გვ. 119—122.

5 ხ. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, I I I, 1959, გვ. 100—102; Арн. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, ოკე, II, 1948, გვ. 263,

სება ზოგჯერ თავისთავად არაფერზე მეტყველებს"[1]. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ენათა ენობრივ ელემენტებს შორის მსგავსების შეიძლება საფუძვლად ედოს საერთო წარმომავლობა, სესხება ან შემთხვევითი დამთხვევა[2]. საკითხი იმის შესახებ, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ მათგანთან გვაქვს საქმე (საერთო წარმომავლობასთან, სესხებასთან, თუ შემთხვევით დამთხვევასთან), სათანადო ლინგვისტურ არგუმენტაციას მოითხოვს.

შემთხვევითი დამთხვევები (ე. ი. ისეთი მსგავსებები, რომლებიც არც საერთო წარმომავლობის შედეგს წარმოადგენენ და არც — სესხების) ადვილად შეიძლება იქცნენ შეცდომის წყაროდ. ასეთ შემთხვევით დამთხვევათა ნიმუშები კი ცნობილია. ირკვევა, მაგალითად, რომ სიტყვებს: ბერძნული mali „თვალი" — მალაიური mata „თვალი" წარმომავლობით არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო[3]. ასეთივეა ქართული „და" კავშირის ფუნქციის მქონე ერთეულთა ურთიერთმიმართება რუსულსა და სვანურში (რუს. и „და" — სვან. ი „და"). ეს მსგავსება სვანურსა და ადიღეურს (ავრცელებენ აფხაზურს) შორისაც დადასტურდა. ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ამ მხრივ აფხაზურ-ადიღეურისა და სვანურის ურთიერთმიმართების საკითხი დაისვა[4], რუსულისა და სვანურისა კი — არა. აქედან, ვფიქრობთ, ჩანს, თუ რამდენად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს ნასესხებ ელემენტთა და შემთხვევით დამთხვევათა ერთმანეთისაგან გარჩევა.

შეიძლება დავასკვნათ: დამაჯერებელი არგუმენტაციის უქონლობის გამო ამჟამად გადაჭრით ვერ ვიტყვით /-ხ/ სუფიქსის არსებობა ადიღეურსა და სვანურში შემთხვევითი დამთხვევის შედეგია, თუ სესხებისა. ყოველ შემთხვევაში, /-ხ/-ს ადიღეურიდან წარმომავლობას უფრო დამარწმუნებელი დასაბუთება სჭირდება. ეს ითქმის მით უფრო, რომ ქართველურ ნიადაგზე იხსნება ისეთი ელემენტები, რომელთაც სვანურში ადიღეურიდან შემოსულად მიიჩნევენ, ასეთია, მაგ., ა) ე. წ. მან-იანი ბრუნება სვანურში, რომლის წარმომავლობა გ. მაჭავარიანმა დამაჯერებლად ახსნა ადიღეურიდან ამოსელის გარეშე[5]; ბ) კითხვითი ნაწილაკი /-ა/ სვანურში, რომელსაც ადიღეურთან აკავშირებენ[6], აშკარად საერთო-ქართველური წარმომავლობისაა, რადგანაც

---

[1] Л. Блумфилд, Язык, 1968, გვ. 328.

[2] იქვე, გვ. 328—334.

[3] იქვე, გვ. 328—329.

[4] ხ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

[5] გ. მაჭავარიანი, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში, თსე შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 93—104; შდრ. ხ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 86—100; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 261—264 და სხვა.

[6] ხ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 102—104; ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 261—262.

მას, როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში მოეპოვება კანონზომიერი ფუნქციურ-ფონემური შესატყვისები: ძვ. ქართ. /-ა/ — მეგრ. /-ო/. ეს კი იმის უდავო მაჩვენებელია, რომ კითხვითი ნაწილაკი /*-ა/ აღდგება საერთო-ქართველურ საფეხურზე[1]. ამდენად, /-ა/ ნაწილაკი სვანურში საერთო-ქართველურიდან მომდინარეობს და არა — აფხაზურ-ადიღეურიდან. რაც შეეხება საერთო-ქართველურ /*-ა/-სა და აფხაზურ-ადიღეურ /-ა/-ს ურთიერთმიმართებას, ეს სხვა საკითხია და მას სათანადო კვლევა-ძიება სჭირდება.

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს: ჩვენ ამჟამად არ მოგვეპოვება დასაბუთებული პასუხი კითხვაზე: სვან. /-ხ/-სა და ადიღ. /-ხ/-ს დიაქრონიული ურთიერთმიმართება ისეთივეა, როგორიც სვანური და აფხაზურ-ადიღეური კითხვითი ნაწილაკებისა, თუ — სხვაგვარი?! ეს კი ნიშნავს: სვან. /-ხ/-ს წარმომავლობისა და მისი ადიღეურ /-ხ/-სთან მიმართების გარკვევა მომავლის საქმედ რჩება.

როგორც ვხედავთ, მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის აღმნიშვნელად კანონზომიერი ფონემური შესატყვისები დასტურდება მხოლოდ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში: ქართ. /-ენ/ — მეგრ.-ჭან. /-ან/. მათ სრულიად ბუნებრივად აკავშირებენ ერთმანეთთან (ა. ჩიქობავა, ბ. ფოჩხუა, გ. როგავა, გ. კლიმოვი). ამიტომ მისაღებია საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზე მათ არქეტიპად /*-ენ/-ის რეკონსტრუქცია[2].

თუ სწორია ვარაუდი მეგრულ-ჭანური /-ეს/ სუფიქსის ქართულიდან ნასესხებობის შესახებ. მაშინ, ცხადია, საერთო-ქართულ-მეგრულ-ჭანურ საფეხურზე /-ეს/ სუფიქსის რეკონსტრუქცია შეუძლებელია.

არ არსებობს საფუძველი /-ენ/ და /-ედ/ სუფიქსთა წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირებისა, რადგანაც ერთი ენის (ქართულის) ფარგლებში ერთი არქეტიპისაგან (/-ედ/-ის ან /-ენ/-ისაგან) ორი სახესხვაობის (/-ედ/-ისა და /-ენ/-ის) წარმოშობის ახსნა არ ხერხდება.

ამდენად, /-ეს/, /-ედ/ სუფიქსთა მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის მორფემაში გაერთიანება ქართული ენის განვითარების რომელიღაც საფეხურზე უნდა მომხდარიყო.

ჩვენი ცოდნის თანამედროვე ეტაპზე მესამე სავალდებულო პირის მრავლობითობის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპის რეკონსტრუქცია არ ხერხდება, რადგანაც ამ ფუნქციით არ მოიპოვება სათანადო ფონემური შესატყვისები — /*-ენ/ სუფიქსი (>ქართ. /-ენ/ — მეგრ.-ჭან. /-ან/) წარმომავლობით ვერ დაუკავშირდება არა მხოლოდ სვან. /-ხ/-ს, არამედ ვერც მრავლობითობის აღმნიშვნელად მიჩნეულ

---

[1] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 42—43.
[2] იქვე, გვ. 79.

/-ნლ/-ს [1]. თავი რომ დავანებოთ ფუნქციურ სხვაობას, არ არსებობს შესატყვისობა: ქართ. ე — მეგრ.-ჭან. ა — სვან. ა და არც — ქართ.-მეგრ.-ჭან. ნ—სვან. ლ.

რადგანაც I და II სავალდებულო პირთა მრავლობითობა საერთო-ქართველურ საფეხურზე აღინიშნებოდა (იხ. ზემოთ), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აღინიშნებოდა აგრეთვე III სავალდებულო პირის მრავლობითობაც. მაგრამ ამჟამად არ ვიცით, /-ენ/ სუფიქსის შესატყვისი დაიკარგა სვანურში, /-ხ/ სუფიქსისა — ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, თუ ამ ფუნქციით არსებობდა რაღაც სხვა მორფოლოგიური ერთეული, რომელიც დაიკარგა ყველა ქართველურ ენაში. ყოველ შემთხვევაში, III სავალდებულო პირის ფორმაში საფიქრებელია რაღაც სუფიქსის არსებობა, რომელიც მხოლოდ მრავლობითობას გამოხატავდა, მსგავსად I და II პირთა ვითარებისა.

2.03.3. არასავალდებულო პირთა მრავლობითობის აღნიშვნა ქართველურ ენებში. ცნობილია, რომ ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით, არასავალდებულო პირთა მრავლობითობა /-თ/ სუფიქსით არ აღინიშნებოდა. ეს უდავოს ხდის არსებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ქართულში არასავალდებულო პირის მრავლობითობის გამომხატველად დადასტურებული /-თ/ იგივე მორფოლოგიური ერთეულია, რაც I და II სავალდებულო პირთა მრავლობითობის ფორმებშია მოცემული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასავალდებულო პირთა მრავლობითობის /-თ/ სავალდებულო პირთა ანალოგიით არის გაჩენილი.

ქართულის ანალოგიურია ვითარება სხვა ქართველურ ენებშიც. ამიტომ ბუნებრივია დაჯკვნა: არასავალდებულო პირთა მრავლობითობის ის სუფიქსები, რომლებიც გამოხატულების პლანში სავალდებულო პირთა მრავლობითობის სუფიქსებს ემთხვევიან, სავალდებულო პირების მრავლობითობის სუფიქსთა ანალოგიის შედეგს წარმოადგენენ — მეგრულ-ჭანურში /-ან/, /-ეს/ — მესამე სავალდებულო პირისას, /-თ/ — I და II სავალდებულო პირებისა, ხოლო სვანურში /-ხ/— III სავალდებულო პირისა [2].

ერთგვარად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს სახელობითში დასმული არასავალდებულო პირის მრავლობითობის სუფიქსები (/-ენ/, /-ან/, /-ნ/) ძველ ქართულში და არასავალდებულო ხ პირის მრავლო-

---

1 შდრ., ვ. თოფურია, ნ და ს ფონებისათვის ქართველურ ენებში. სჯ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II (1 — 2), 1941, გვ. 191—192; ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

2 ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 93—94; მისივე, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 94—102; ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 15—24.

ბითობის აღმნიშვნელად მიჩნეული სუფიქსები (/-ალ/, /-გრ/, /-იელ/...) სვანურში.

ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში არასავალდებულო პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი /-ენ/ (ვარიანტებით — /-ან/, /-ნ/) წარმომავლობით III სავალდებულო პირის მრავლობითობის /-ენ/-ს უკავშირდება[1]. სვანურში კი ამ სუფიქსთა (/-ალ/, /-გრ/, /-იელ/...) სინქრონიული თავისებურებები (იხ. ზემოთ) გვაფიქრებინებს, რომ დიაქრონიულად ისინი მრავლობითობის აღმნიშვნელი არ იყვნენ.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გავიზიარებთ ამ ვარაუდებს და ქართულსა და სვანურში ამ სუფიქსთა ოდინდელ ფუნქციად არასავალდებულო პირის მრავლობითობის აღნიშვნას მივიჩნევთ, მათი (ძვ. ქართ. /-ენ/... — სვან. /-ალ/, /-გრ/...) საერთო არქეტიპისაგან ბომდინარეობის მტკიცება არ მოხერხდება, რადგანაც არ არსებობს ფონემური შესატყვისობა: ქართ. ნ — სვან. ლ ან რ[2]. ამდენად, ამ სუფიქსთა შედარების საფუძველზე ვერ მოვახდენთ არასავალდებულო პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემის საერთო არქეტიპის რეკონსტრუქციას.

როგორც ვხედავთ, ქართველურ ენებში არ მოგვეპოვება ისეთი მორფოლოგიური ერთეულები, რომელთა შედარების საფუძველზეც შესაძლებელი იყოს არასავალდებულო პირთა მრავლობითობის მორფემის რეკონსტრუქცია. ეს კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: **საერთო-ქართველურში (აგრეთვე გარკვეულ საფეხურამდე ქართველურ ენებშიც) არასავალდებულო პირთა რიცხვი სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით არ აღინიშნებოდა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასავალდებულო პირთა მრავლობითობა მორფოლოგიურად არ იყო გამოხატული.** ამ დასკვნას მხარს უჭერს ძველი ქართულიდან ცნობილი ის ფაქტი, რომ მიცემითში დასმული არასავალდებულო პირის რიცხვი ზმნაში არ აღინიშნება.

ამრიგად, საერთო-ქართველურ საფეხურზე რიცხვის მიხედვით მორფოლოგიური დაპირისპირება მხოლოდ სავალდებულო პირთა ფორმებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, არასავალდებულო პირთა ფორმებში კი ამგვარ დაპირისპირებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

---

[1] ა. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? თსუ მოამბე, IX, 1929, გვ. 112—118; ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 93; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 270—279.

[2] თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 73—144.

თავი მესამე

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ზმნაში

3.01. ოპოზიცია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით

3.01.1. ინკლუზივ-ექსკლუზივის რაობა. ცნობილია, რომ მესამე პირის მრავლობითის ფორმა ყოველთვის ჩვეულებრივი მრავლობითია, ე. ი. **ისინი** = ის + ის + ის და ა. შ., ისევე როგორც **მაგიდები** = მაგიდა + მაგიდა + მაგიდა და ა. შ.

განსხვავებულია ვითარება მეორე და განსაკუთრებით პირველ პირში, როგორც ეს მრავალგზის არის აღნიშნული ლინგვისტურ ლიტერატურაში.

მეორე პირის მრავლობითის ფორმა ჩვეულებრივი მრავლობითია იმ შემთხვევაში, როდესაც **თქვენ** = შენ + შენ + შენ და ა. შ., მაგრამ არ არის ჩვეულებრივი მრავლობითი მაშინ, თუ **თქვენ** = შენ (თქვენ) + ის (ისინი). ასეთ მრავლობითს დაახლოებით მრავლობითს უწოდებენ [1]. მაშასადამე, მეორე პირს შეიძლება ჰქონდეს როგორც ჩვეულებრივი, ისე დაახლოებითი მრავლობითი.

პირველ პირს არ მოეპოვება ჩვეულებრივი მრავლობითი, რადგანაც ჩვენ ≠ მე + მე + მე და ა. შ. აქ მრავლობითი ყოველთვის დაახლოებითია [2]. ამავე დროს პირველი პირის ფორმაში არსებობს დაახლოებითი მრავლობითის სამი ვარიანტი:

1. ჩვენ = მე + შენ (თქვენ),
2. ჩვენ = მე + შენ (თქვენ) + ის (ისინი),
3. ჩვენ = მე + ის (ისინი).

ენათა დიდ ნაწილში ეს ვარიანტები მორფოლოგიურად არ არის ერთმანეთისაგან გარჩეული, ე. ი. ამ ვარიანტებს არ მოეპოვებათ საპირისპირო ფორმები. სამაგიეროდ ცნობილია ენები, რომლებშიც აღნიშნული ვარიანტები მორფოლოგიურად უპირისპირდებიან ერთმა-

---

[1] О. Есперсен, Философия грамматики, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 220—222.

ნეთს ნაცვალსახელსა თუ ზმნაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ვარიანტებს შორის ოპოზიცია წარმოიქმნება სათანადო საპირისპირო ფორმებით. პირველი ორი ვარიანტი ქმნის ინკლუზივის შინაარსს, ხოლო მესამე — ექსკლუზივისას.

აქედან ჩანს, რომ ექსკლუზივი არის მხოლოდ პირველ და მესამე პირთა კომბინაცია, მეორე პირი უეჭველად გამოირიცხება, ხოლო ინკლუზივი აუცილებლად შეიცავს პირველსა და მეორე პირს, მესამე პირი კი შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინკლუზივის ფორმაში შემავალი მეორე პირი დაახლოებითი მრავლობითია.

ამრიგად, ინკლუზივის ფორმაში მესამე პირის მონაწილეობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში შემავალი მეორე პირის მრავლობითი რიცხვი შეიძლება აერთიანებდეს III პირსაც, როდესაც ის არის არა ჩვეულებრივი, არამედ დაახლოებითი მრავლობითი.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივი დაძოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომლის მიხედვით დაპირისპირებასაც მხოლოდ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში აქვს ადგილი. ინკლუზივ-ექსკლუზივს ვერ მივიჩნევთ პირის ან რიცხვის კატეგორიათა შემადგენელ ელემენტად ისევე, როგორც რიცხვს ვერ მივიჩნევთ პირის კატეგორიის ელემენტად, მიუხედავად იმისა, რომ პირის ფორმათა გარეშე ზმნაში რიცხვის კატეგორია არ არსებობს.

3.02. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

3.02.1. საკითხის ისტორიიდან. ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება თანამედროვე ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურში დასტურდება. თვით სვანურის დიალექტებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ზემოსვანურ (ბალსზემოური და ბალსქვემოური) დიალექტთა ზმნაში ინკლუზივი და ექსკლუზივი ერთმანეთს უპირისპირდება როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირის ფორმებში, ხოლო ქვემოსვანურ (ლენტეხურ და ლაშხურ) დიალექტებში ამ დაპირისპირებას მხოლოდ სავალდებულო პირის ფორმებში აქვს ადგილი.

ნიშუშები სავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივისა:

ინკლ. ლ-ათური-დ „ვასწავლით“
ლგ-ტხე-დ „ვაბრუნებთ“
ექსკლ. ხუ-ათური-დ „ვასწავლით“
ტ-უ-იხე-დ (ლშხ. ტგხე-დ) „ვაბრუნებთ“

შდრ. მხოლოობითი რიცხვის ფორმები:
ხუ-ათური „ვასწავლი“
ტ-უ-იხე (ლშხ. ტგხე) „ვაბრუნებ“

ნიმუშები არასავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივისა (ბალსზენოურსა და ბალსქვემოურში):

ინკლ. გუ-ათური „გვასწავლის“
გუ-ტხე „გვაბრუნებს“
ექსკლ. ნ-ათური „გვასწავლის“
ნგ-ტხე „გვაბრუნებს“
შდრ. მხ. რიცხვის ფორმები:
მ-ათური „მასწავლის“
მგ-ტხე „მაბრუნებს“

ლენტეხურსა და ლაშხურში /გუ-/ პრეფიქსიან ფორმებს არ მოეპოვებათ საპირისპირო ექსკლუზიური (/ნ-/ პრეფიქსიანი) ფორმები, მსგავსად თანამედროვე ქართულისა. ამიტომ, ცხადია, აქ დიალექტთა არასავალდებულო პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია არ არის გარჩეული.

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დიაქრონიული ანალიზისათვის საჭიროა პასუხის გაცემა ორ კითხვაზე:

1. სვანურის დიალექტებს შორის არსებული სხვაობა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მოშლის პროცესის შედეგია, თუ — ჩამოყალიბებისა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ კატეგორიის მიხედვით ოპოზიცია არასავალდებულო პირის ფორმებში ზემოსვანურ დიალექტებში გაინდა, თუ ქვემოსვანურში მოიხსნა?

2. ისტორიულად ინკლუზივ-ექსკლუზივი საკუთრივ სვანური კატეგორიაა, თუ — საერთო-ქართველური? სხვაგვარად — სვანურში გაჩნდა ის, თუ ქართულსა და შეგრულ-ჭანურში მოიშალა?

ა. შანიძემ ჯერ კიდევ ადრე წამოაყენა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო-ქართველურია, მისი კვალი შემონახულია ძველ ქართულში. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ზემოსვანურის ვითარება ამოსავალია ქვემოსვანურისთვის [1].

ვ. თოფურიას აზრით, ობიექტის (ე. ი. არასავალდებულო პირის) ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევა ისტორიულად ქვემოსვანურისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. „ინკლუზივი და ექსკლუზივი სა-

---

1 ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წელიწდეული, 1923—1924 წ., გვ. 373—374; მისივე, ქართული ზმნის სახეები. ფრანგული რეზიუმე, თსუ. მოამბე, ტ. VI, 1926 წ., გვ. 335; მისივე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 183.

ერთო სვანურში იყო. ქვემოსვანურმა Oe-ს ნ- დაკარგა". ამასთანავე, ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება ისტორიულად ყველა ქართველური ენისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი: „გუ- და ნ- ფორმანტებთან დაკავშირებით ძველი-ქართულის გუ- და მ-გვაგონდება. უკანასკნელთა შორის ალბათ ისე იყო როლი განაწილებული, როგორც დღეს არის სვანურში. გვგონია, რომ გუ- შეესაბამებოდა გუ-ს, ხოლო ნ- — მ-ს. მეგრულში გუ- არა ჩანს: ალბათ დაიკარგა". ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა: „ინკლუზივ-ექსკლუზივი საერთო ენის, პრექართულის კუთვნილებაა" [1].

გ. დეეტერსის ვარაუდითაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო-ქართველურია, მაგრამ შემორჩენილია მხოლოდ სვანურში [2].

კ. დონდუას სადავოდ არ მიაჩნია, რომ ზემოსვანურის ვითარება ამოსავალია ქვემოსვანურისათვის. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია საერთო-ქართველურია, მისი კვალი ძველ ქართულშიც არის შემორჩენილი [3].

გ. კლიმოვი საერთო-ქართველურ საფეხურზე აღადგენს *გვ-ს და შესაძლებლად მიიჩნევს მისი უძველესი ფუნქცია (ინკლუზიურობა) შემონახული იყოს სვანურში [4].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ავტორთა თვალსაზრისი არსებითად ემთხვევა ერთმანეთს. ამის საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა ა. ჩიქობავამ: ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია სვანურშია გაჩენილი, ამავე დროს... ქვემოსვანურში (ლენტეხურ-ლაშხურში) უფრო ძველი მდგომარეობაა დაცული, ვიდრე ზემოსვანურში. ქართულსა და მეგრულ-ჭანურში კი ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირებას არასდროს ჰქონია ადგილი [5].

თ. გამყრელიძემ საერთო-ქართველურ ნაცვალსახელთა სისტემაში პირველად სცადა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით დაპირისპირების არსებობის არგუმენტაცია და შეძლო ამ დებულების დამაჯერებელი დასაბუთება. ზმნის სისტემაში კი, ა. ჩიქობავას თვალსაზრისის გაზიარების საფუძველზე, ინკლუზივ-ექსკლუზივი საკუთრივ სვანურ მოვლენად მიიჩნია [6].

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 26.

[2] G.Deeters, Das kharthwelische Verbum, გვ. 27, 34.

[3] К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1967 წ., გვ. 275—296.

[4] Г. А. Климов, Этимологический словарь..., გვ. 60.

[5] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართველი ზმნის უღლილების სისტემაში, გვ. 91—121.

[6] თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959 წ., გვ. 45—50.

ასეთ ურთიერთგამომრიცხველ თვალსაზრისთა არსებობა, ცხადია, საკითხის კვლავ დასმის საჭიროებას განაპირობებს.

3.02.2. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დიაქრონიული ანალიზი სვანურში. ვ. თოფურია ქვემოსვანურ დიალექტებში ობიექტური (ე. ი. არასავალდებულო) პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდენდელი გარჩევის სასარგებლოდ ასახელებს ორ არგუმენტს: „1. ქვემოსვანურში ინკლუზივი და ექსკლუზივი სუბიექტური აფიქსებით წარმოდგენილია, ამდენად ეს ფორმები მისთვის უცხო არ არის და 2. ძველს-ქართულში ხმარებული O_1 გუ-/მ- იმას უნდა გვაუწყებდეს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივი, შეიძლება, წინარქართულსაც ახასიათებდა. გამოდის, რომ Oi და Oe დიალექტური (ამ შეხედულებაში ზემოსვანური) წარმოშობისა არ უნდა იყოს". ამასთან დაკავშირებით ვ. თოფურია სათანადო დიაქრონიულ კვალიფიკაციას აძლევს იმ ფაქტს, რომ ბალსზემოურის უშგულურ კილოკავში დასტურდება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნეიტრალიზაციის (/ნ-/-ს ნაცვლად /გუ-/-ს ხმარების) შემთხვევები: ეს არის ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მოშლის პროცესის დასაწყისი უშგულურში, რასაც ლაშხურის გავლენა განაპირობებს: „უშგულურში, რომელსაც ლაშხურის გავლენა ეტყობა, გუ-სა და ნ-ს ხმარების წესი საკმაოდ არეულია, რაც ინკლუზივ-ექსკლუზივს შორის არსებული სხვაობის წაშლასა და ნ-ს დაკარგვის დასაბამს მოასწავებს. ეჭვი არაა, რომ უშგულური დღეს იმ საფეხურზე დგას, რომელიც ქვემოსვანურმა უკვე გაიარა" [1].

ა. ჩიქობავას თვალსაზრისით კი ქვემოსვანურში უფრო ძველი ვითარებაა დაცული — ობიექტის ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევას აქ არასდროს არ უნდა ჰქონოდა ადგილი. ამ მხრივ ინოვაციასთან გვაქვს საქმე ზემოსვანურ დიალექტებში. ეს დებულება ემყარება შემდეგ არგუმენტებს:

ა) „თუ ლაშხურსა და ლენტეხურში გუ-/ნ- გარჩეული იყო და სხვაობა მერეა მოშლილი და ამგზით მივიღეთ მარტო გუ- პრეფიქსი, საკვირველია, რატომ არსად შემოგვრჩა ნ- პრეფიქსის ხმარების ნაშთი".

ბ) „ლაშხურის გავლენით უშგულურში ნორმათა შერყევა ერთგვარად მოულოდნელია".

გ) უშგულურის (ისევე როგორც ზოგი სხვა ზემოსვანური კილოკავის) ვითარება „...იმდენად ალრევას არ მოწმობს, რამდენადაც გუ-პრეფიქსის **ზოგადი მნიშვნელობით გამოყენებას**", „ალრევა იქნებოდა, გუ- გვეპოვა იქ, სადაც ნ-ს მოველოდით და, პირუკუ, ნ- პრეფიქსი მჯდარიყო იქ, სადაც გუ-ს ადგილია. აქ კი ნორმის ცალმხრივ

[1] ვ. თოფურია, შრომები, I. გვ. 25.

დარღვევას ვხედავთ: ნ- უნდა იყოს და გუ- არის, ე. ი. ნ- პრეფიქსის გამოყენების არეა შეზღუდული და გუ- პრეფიქსისა, პირიქით, გაფართოებული".

დ) /გუ-/ და /ნ-/ პრეფიქსთა გამოყენების უშგულურისებრ შემთხვევებს ა. ჩიქობავა ადასტურებს სვანურ ხალხურ პოეზიაშიც, „ვერც უშგულის და ვერც მით უფრო ლაშხურის გავლენას ამას ვერ მივაწერთ".

ყოველივე ეს ავტორს საშუალებას აძლევს გააკეთოს დასკვნა: „...გუ-/ნ- პრეფიქსთა გარჩევით გამოყენება მეორეულია: სადაც ^ა თი გამიჯვნა არ ხერხდება („უშგულიზმები"), იქ სწორედ ძველი ვითარებაა დაცული". ე. ი., ამ თვალსაზრისის მიხედვით, სვანურის დიალექტებს შორის არსებული სხვაობა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესში ყოფნის შედეგია და არა — მისი მოშლისა[1].

ამ არგუმენტთა შესახებ, ჩვენის აზრით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ჯერ ერთი, ისტორიულად გამქრალი მორფოლოგიური კატეგორიის გამომხატველი მორფოლოგიური ერთეულის ნაშთის შემონახვა შესაძლებელია, მაგრამ არა — აუცილებელი.

მეორე, ზემო სვანეთის სხვა პუნქტებთან შედარებით უშგული ტერიტორიულად (ამდენად, ენობრივი კონტაქტითაც), ყველაზე ახლოს დგას ქვემო სვანეთთან (კერძოდ, ლაშხეთთან). ამიტომ სრულიად ბუნებრივია ვ. თოფურიას ვარაუდი, რომლის მიხედვითაც უშგულურში შეიძ$ნევა ლაშხურის გავლენის კვალი[2].

მესამე, რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის (ამ შემთხვევაში — ინკლუზივ-ექსკლუზივის) მიხედვით ოპოზიციის მოხსნა გულისხმობს სწორედ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის გაქრობას. ამიტომ უშგულურში დადასტურებული „ნორმის ცალმხრივი დარღვევა" (/ნ-/-ს ნაცვლად /გუ-/-ს გამოყენება) ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მოშლის პროცესის დასაწყისის აშკარა სიგნალია. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ ნორმის დარღვევის ეს შემთხვევები ძველი ვითარების ნაშთად მივიჩნიოთ, ისევე როგორც არ მოგვეპოვება არავითარი არგუმენტი ამ ფაქტის საპირისპირო ახსნის საწინააღმდეგოდ. საქმე ის არის, რომ ზემოსვანური ნორმის დარღვევის ყველაზე მეტი შემთხვევა დასტურდება უშგულურში — სწორედ იმ კილოკავში, რომელიც

---

1 ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 116—120.

2 ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 25.

ტერიტორიულად ყველაზე ახლოს დგას ქვემოსვანურთან და რომელსაც, ვ. თოფურიას სიტყვით, „ლაშხურის გავლენა ეტყობა". ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უშგულურში ამ მხრივაც საქმე გვაქვს ლაშხურის გავლენით გამოწვეულ ინოვაციასთან.

და ბოლოს, /გუ-/ და /ნ-/ პრეფიქსთა უშგულურისებრი გამოყენების შემთხვევებს ა. ჩიქობავა ადასტურებს სვანურ ლექსებშიც[1]. ამას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმიტომ, რომ სვანური ხალხური პოეზია არქაული ელემენტებით ხასიათდება. ეს კი ზრდის იმის ალბათობას, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა გარჩევაც აქ არქაული სახით იყოს წარმოდგენილი.

ამ თვალსაზრისით ა. ჩიქობავა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მულახში ჩაწერილ ლექსს „ვიცბილ-მაცბილ":

ხვილზიგალედ ლატლარ ჰოყერ
ლალზიგალეს დარ **გვაჩოდა.**
ჭა ლალქეხნიდ ლატლარხახქა
ნაზუარეს ჩუ ელცვირედ.
ეშდიერუ ზარ ქავ **გვაჩედა,**
ტებდი დიარ დესა **გვიმა;**
დეშდიერუ ზარ ქავ **გვაჩედა,**
ქორ ი ლირდედ მად **გვიზნანა;**
დეშდიერუ ზარ ქავ **გვაჩედა,**
ნუჭვი ლირდე დესა **გვარა.**
ცოდვა **გუშგვედ** ნოვ ხაშდეხახ.
მარ ხაშონდახ ხეხვარ **გუშგვედ?..**
სემი ზარილდ ქავ **გვაჩედა,**
ეცერ-ცხვარ უნა-ულაშვინდუე **გვიცვირა...**

მკვლევარი ამ ნაწყვეტის შემდეგნაირ ინტერპრეტაციას იძლევა: **„გვაჩოდა"** („გვაცლიდა")... **გვაჩედა** („გაგვსვლია")... **გვიმა** („ვვიჯამია")... **გვარა** („გვქონია")... **გვიცვირა** („დაგვიტოვებია")... **გუშგვედ** („ჩვენი")... **გუშგვედ** („ჩვენთვის", „ჩვენდა")—**ყველა ინკლუზიური ფორმაა, მაგრამ ინკლუზიური შინაარსი არც ერთს ამათგანს არა აქვს და არც შეიძლება ამ კონტექსტში ჰქონდეს: ვიცბილ-მაცბილ თავიანთ თავგადასავალს ჰყვებიან: აქ ვესახლეთ, ასე მოგვივიდა და ასეო... ვის? მე და თქვენ? მსმენელს ან მკითხველს? რა თქმა უნდა, არა: „მე და ჩემს ბიძასო"... (ე. ი.: მე და მას): გვ- პრეფიქსი ინკლუზივის შინაარსისა აქ არ შეიძლება იყოს...**

ლექსი იწყება სიტყვით: „ხვილზიგალედ" „ვსახლობთ", მის გვერ-

---

1 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 118—120.

დითაა გვაჩოდა: უკანასკნელს ისევე არ ახლავს ინკლუზიური გაგება, როგორც **ხვილზიგალედ** ფორმას (ინკლუზივი იქნებოდა „ლილზიგალედ“).

ხვილზიგალედ ლატლაბრ ჰოკერ,
ლალზიგალეს დაბრ **გვაჩოდა**...

ხვილზიგალედ არა მხოლოდ იმითაა ფასეული, რომ ხაზგასმით გვაჩვენა — **გვაჩოდა ინკლუზივი არაა**, არამედ სხვა მხრივაც: **გვაჩოდა** ისევე **ზოგადი ფორმაა** ობიექტის პირველი პირისათვის, როგორც **ხვილზიგალედ** უნდა ყოფილიყო **ზოგადი ფორმა სუბიექტის პირველი პირისათვის მრავლობითში**: სვანურის **ისტორიულად უპირატესი ფორმები** მრავლობითისა ესენია **ხუ — გუ** (ნ- O_1 და ლ- S_1 მეორეული მონაცემებია).

ლექსის მესამე და მეოთხე ტაეპში S_1 ინკლუზიური ფორმებია ამოტივტივებული ლაბალახნიდ, ელცვირედ: ეს მოვხდარია ლექს-ს მოდერნიზაციის პროცესში... ეგეთ ითქმის **ნეგნი, ნულვა, ნაკუ, ნიშგვეი** ფორმათა შესახებ (ესენი ისევ **იმ ჩვენ**-ზე მიუთითებენ, რამაც **გვაჩედა, გვიცვირა, გუშგვეი** ფორმები მოგვცა):

ბაჲ ფაყვარე თხუმჟი **ნეგნი**,
ნებგვაჟი ნაჲ სვინდის **ნულვა**,
ხეხვაბრ **ნიშგვეი ნიშგვეიდ ნაკუ**!

საკვირველი ის კი არაა, რომ ასეთი ფორმები, თანამედროვე ზემოსვანურის ნორმების შესაბამისი, ლექსში გაჩნდა; საკვირველი ისაა, რომ რიგ შემთხვევაში ძველი ნორმები დაცული აღმოჩნდა. **ფორმების მხრივ ლექსის გადამუშავების დამახასიათებელი ფაქტია** „ვიცბილ-მაცბილში“ მოცემული“ [1].

როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისის მიხედვით, განსახილველი ლექსი იმდროინდელია, როდესაც სვანურში, თანამედროვე ქართულის მსგავსად, ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება არ არსებობდა — სადაც თანამედროვე ზემოსვანურის ვითარება მეორდება, იქ ლექსის მოდერნიზაციასთან გვაქვს საქმე, ხოლო, სადაც ნორმა დარღვეულია, იქ ძველი ვითარებაა დაცული.

ამასთან დაკავშირებით ისმის ორი კითხვა: ა) „ვიცბილ-მაცბილში“ ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმებს შეესაბამება თუ არა სათანადო შინაარსი? ბ) შეიძლება თუ არა ეს ლექსი იმდენად შორეულ წარსულში შექმნილად მივიჩნიოთ, რომ იმ ეპოქაში შესაძლებელი

1 ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

იყოს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით დაპირისპირების არარსებობის დაშვება სვანურში?

ა) სვანური ლექსების დიდი ნაწილი (მათ შორის „ვიცბილ-მაცბილი") ხასიათდება მიმართვის ობიექტის (ან მთხრობლის) მონაცვლეობით, რაც სერიოზულად აძნელებს ტექსტის სწორად გაგებას.

„ვიცბილ-მაცბილის" ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში ფაქტობრივი ვითარება, ჩვენი აზრით, ასეთია: ერთი ძმა მიმართავს მასთან ერთად მოქმედების ჩამდენ მეორე ძმას — ვიცბილი მაცბილს, ან პირიქით — მაცბილი ვიცბილს. მაშასადამე, „ჩვენში" პირველი და მეორე პირი იგულისხმება — ფორმაც (ინკლუზიური) მისი ადეკვატურია. ამიტომ სრულიად კანონზომიერია ინკლუზივის ფორმები სავალდებულო პირისა (ლაღქეხნიდ, ელცვირედ), არასავალდებულო პირისა (გვაჩოდა. გვაჩედა, გვიმა, გვიზნანა, გვარა, გვიცვირა) და ნაცვალსახელისა (გუშგვედ, გუშგვედ).

მაგრამ გასარკვევია, პირველ ტაეპში წარმოდგენილი სავალდებულო პირის ექსკლუზივის ფორმას (ხვილზიგალედ) შეეფარდება თუ არა სათანადო შინაარსი, თუ აქ ნორმის დარღვევასთან გვაქვს საქმე?

ლექსში „ვიცბილ-მაცბილ" მთხრობელია, ე. ი. პირველი პირია, ორი ძმიდან ერთ-ერთი, მეორე პირი არის ხან ძმა, ხან მსმენელი (resp. მკითხველი), რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის მიმართავს მთხრობელი. ლექსში ორი ძმის თავგადასავალია აღწერილი, ამიტომ თუ მთხრობელი თავის ძმას მიმართავს, მაშინ ინკლუზივის ფორმებია მოსალოდნელი, ხოლო თუ მეორე პირად იგულისხმება არა ძმა, არამედ ლექსის საავარაუდო მსმენელი, რომელიც არ არის ლექსში აღწერილი მოქმედების მონაწილე, მაშინ, პირიქით, ექსკლუზივის ფორმაა მოსალოდნელი. ამიტომ, ცხადია, ლექსში ყველგან ერთი და იგივე „ჩვენ" არ იგულისხმება. ამდენად, თანამედროვე ზემოსვანურის ნორმათა დარღვევა გვექნებოდა იმ შემთხვევაში, ყველგან ექსკლუზივის ან ინკლუზივის ფორმა რომ ყოფილიყო ნახმარი.

ვფიქრობთ, პირველ ტაეპში (ხვილზიგალედ ლატლარ ჰოკერ) მიმართვის ობიექტია (ე. ი. მეორე პირია) არა ძმა, არამედ ლექსში მოთხრობილი ამბის საავარაუდო მსმენელი, ისევე როგორც ამავე ლექსის სხვა ადგილებშიც:

ჩვაბინავანხ ნიშგვედ ლექვან,
ქა ლოხვგგრგალ შურყვამხანქა...

ან

ნად ფაყვარე თხუმჟი ნეგნი,
ნებგვაჟი ნად სვინდის ნულვა,
ხეხვარ ნიშგვედ — ნიშგვედად ნაკუ!
ნად ოთდაგრიდ შგურეშ ბედქი!

უდავოა, რომ ამ შემთხვევებში ერთი ძმა (ვთქვათ, ვიცბილი, ე. ი. I პირი) ამბის სავარაუდო მსმენელს (ე. ი. II პირს) მოუთხრობს თავის და თავისი ძმის (მაცბილის, ე. ი. III პირის) თავგადასავალს. ამიტომ ექსკლუზიური ფორმები (ხვილზიგალედ, ოთდაგრიდ, ნეგნი, ნუღვა, ნაკუ, ნიშგვეიდ) სრულიად კანონზომიერია.

ბ) „ვიცბილ-მაცბილი" ბატონყმური წყობილების, კერძოდ კი დადეშქელიანების ბატონობის, ამსახველი ლექსია. დადეშქელიანების გაბატონებას სვანეთში მე-15 საუკუნეს უკავშირებენ. ცხადია, ლექსი ამის შემდეგ უნდა იყოს შექმნილი. ამასთანავე, ლექსის შინაარსი მისი შექმნის თარიღის კიდევ უფრო დაზუსტების საშუალებას იძლევა: ლექსში დადეშქელიანები „ვოთარშერ"-ად (ოთარაანთი) იწოდებიან:

მაჲ ხაწხჳნდახ ამჟი ყურივდ
ვოთარშერლეშ ლიკბალედი?!
„რად სჭირდებოდათ ასე ყრუდ („მალულად")
ოთარაანთ (დადეშქელიანების) ლაქუცი?!"

ან კიდევ:

მინა მამ ხოშგურხ, ნატჲალ ხაჭვახ,
ვოთარშერლეშ ლიფემალე.
„მათ არ ჰრცხვენიათ, ნეტავი მათ,
ოთარაანთ (დადეშქელიანების) შინაყმობა".

ოთარ დადეშქელიანის (რომლის სახელთანაც სახელწოდება „ვოთარშერ" უნდა იყოს დაკავშირებული) ბატონობას მე-18 საუკუნესთან აკავშირებენ. მაშასადამე, ლექსი ამ დროის აქეთ უნდა იყოს შექმნილი. მის სიახლეზე მეტყველებს აგრეთვე რუსული სიტყვა „ბალკონ" (აივანი):

ქა ხოსგდინახ მურყემაშ შდურქა:
ხოშა სორთმან **ბალკონჟი** სგურ.
„გამოუხედავთ ციხის სათოფურიდან
დიდი სორთმანი აივანზე ზის".

ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ „ვიცბილ-მაცბილი" XIX, ან უკიდურეს შემთხვევაში, XVIII საუკუნეშია შექმნილი, ამიტომ, ცხადია, მისი ჩვენება იმ შემთხვევაშიც კი არ გამოდგებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიული სახის აღსადგენად, მასში რომ დარღვეული ყოფილიყო თანამედროვე ზემოსვანურის ნორმა.

ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის მიხედვით თანამედროვე ზემოსვანურის ნორმა აბსოლუტურად არის დაცული აგრეთვე ლექსში

„მურზაბეგ“ [1]. მისი შინაარსის სწორად გაგების სიძნელეს განსაზღვრავს მთხრობლის მონაცვლეობა: მთხრობელია ხან ავტორი, ხან მურზაბეგი, ხან კი მისი რომელიმე ამხანაგი.

დასაწყისში ლექსის ავტორი მოგვითხრობს მურზაბეგისა და მისი ამხანაგების შესახებ. მათ ეპწანიდან გასვლის შემდეგ ღუმურიშის ჭვებში გაათიეს ღამე. დილას ამხანაგები ერთმანეთს მოუთხრობენ სიზმრად ნახულ ამბავს:

მერმა ძინარს ჟივ იგნალეხ.
თვითჟი ისნავს მაგ ინჩგლეხ.
„მეორე დილას დგებიან,
სათითაოდ ყველა სიზმარს აჭბობს“.

ამის შემდეგ ავტორი რიგრიგობით სიტყვას აძლევს ლექსის მოქმედ პირებს (მურზაბეგსა და მის ამხანაგებს). თითოეული მათგანი ასახელებს მგზავრობის ცუდი დასასრულის მაუწყებელ თითო ნიშანს (სიზმრად ნახულს). აქ უკვე მთხრობელია არა ავტორი, არამედ ლექსის მოქმედი პირები. ამასთანავე, ისინი მიმართავენ არა ლექსის სავარაუდო მსმენელს (მკითხველს), არამედ — ერთმანეთს, ე. ი. პირველი და მეორე პირის მოქმედებაა აღწერილი. ამ შინაარსის ადეკვატურია ლექსში წარმოდგენილი ინკლუზივის ფორმები (როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირისა):

ეშხვი ლაწშან ალა გვერა,
გზავრობ ხოჩა მამა გვერა!
ოგვად თოფრეშ ლიკვჭურალვნე,
ჩის ხოჩანდა თოყიშ თოფა.
ჩუ გვაბეჭკვა თოყიშ თოფა:
მერმე ლაწშან ალა გვერა,
გზავრობ ხოჩა დეშ ღალ გვერა!
ამ გვიბინა ლიზ-ლიჩედი.
შყაქვიშ ქარვან სგა ლოგხვიდდა:
მესმე ლაწშან ალა გვერა.
სგვებინ ლიზის ლიღეშგალედ,
ჟივ გვაფეშა, ლიგნურიალედ;
სგვებინ ლიზის ლიმჭირვალედ:
მეშთხვე ლაწშან ალა გვერა და ა. შ.

მიმართვის ობიექტის მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე აგრეთვე ლექსში „გიერგ დადვან“. აქ მთხრობელი (გიერგ დადვანი) მის თანა-

[1] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

მგზავრებს (ჩეგემელებს), ჩვეულებრივ, მესამე პირად წარმოგვიდგენს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, სადაც მთხრობელი (I პირი) ჩეგემელებს მიმართავს როგორც მეორე პირს, მაგ.:

უგვარვ ქეგმარ, ჟი ლამშვამვნედ!
„უგვაროო ჩეგემელებო, მოვასვენეთ!“
ამ დამ ჯნქა უგვარვ ქეგმარს,
გელა ქურდან ჩუ მიწვერდა!
„ხომ გითხარით უგვაროო ჩეგემელებს,
გელა ქურდანი აიღებდა ჩემს სისხლს!“

მთხრობლის (გიერგ დადვანის) მიერ მისი თანამგზავრები (ჩეგემელები) ასევე მეორე პირად არიან წარმოდგენილი ტაეპში:

ამ გვიბინა ლიზ-ლიჩედი
„ასე დაგვიწყია სელა-წასვლა“

ფორმაში გვიბინა /გვ-/ ისევეა არასავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემის კუთვნილება, როგორც ფორმაში ჯნქა /ჯ-/ მეორე არასავალდებულო პირის მორფემისა. ჯნქა ფორმა უდავოდ ამტკიცებს, რომ ჩეგემელები (გიერგ დადვანის თანამგზავრები) ზოგ შემთხვევაში მეორე პირად გვევლინებიან. ამდენად, აღნიშნულ ლექსში თანამედროვე ზემოსვანური ნორმის დარღვევას ადგილი არა აქვს [1].

საბოლოოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოსვანურ ლექსებში ინკლუზივ-ექსკლუზივი ყოველთვის გარჩეულია როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირის ფორმებში, მსგავსად თანამედროვე ზემოსვანურისა; ხოლო ქვემოსვანურ ლექსებში სავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივი ყოველთვის გარჩეულია, არასავალდებულო პირისა კი — არასდროს, მსგავსად თანამედროვე ქვემოსვანურისა. ეს იმას ნიშნავს, რომ სვანურ პოეზიაში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის პრინციპი აბსოლუტურად ისეთივეა, როგორიც თანამედროვე სვანურში. ამიტომ ინკლუზივ-ექსკლუზივის ისტორიის საკითხთა გადაწყვეტად პოეზიის ჩვენება თანამედროვე სვანურისაგან განსხვავებულ ინფორმაციას ვერ იძლევა.

ამრიგად, ჩვენ ამჟამად არ მოგვეპოვება არც ერთი უდავო საბუთი ქვემოსვანურის ვითარების ზემოსვანურზე უფრო არქაულად მიჩნევის სასარგებლოდ.

უდავოა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის მიხედვით ადრეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე მთელ სვანურში ერთნაირი ვითარება უნდა გვქონოდა. მაგრამ რადგანაც სავალდებულო პირის

---

[1] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

ინკლუზივ-ექსკლუზივის აღნიშვნა ერთნაირია სვანურის ყველა დიალექტში, ამიტომ ის, ცხადია, პრე-სვანურ ქრონოლოგიურ საფეხურს განეკუთვნება. და მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს კატეგორია არასავალდებულო პირის ფორმებშიც მთელ სვანურში იყო გარჩეული [1]. ყოველ შემთხვევაში, არასავალდებულო პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში გაჩენის ახსნა ამჟამად არ ხერხდება, რადგანაც, ჯერ ერთი, სხვადასხვა ენებში შემჩნეულია ამგვარ კატეგორიათა მიხედვით დაპირისპირების მოხსნის და არა გაჩენის ტენდენციები (ამის შესახებ — ქვემოთ) და, მეორეც, შედარებით ცოტაა ისეთი ლინგვისტური ნიშნები (გარდა ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვისა), რითაც ზემოსვანური დიალექტები უპირისპირდებიან ქვემოსვანურ დიალექტებს. სამაგიეროდ უფრო მეტია ისეთი ენობრივი ნიშნები, რაც საერთო აქვთ, ერთი მხრივ, ბალსზემოურ-ლაშხურს და, მეორე მხრივ, ბალსქვემოურ-ლენტეხურს და რითაც ბალსზემოურ-ლაშხური განსხვავდება ბალსქვემოურ-ლენტეხურისაგან. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ამ გარემოებას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

მაგრამ ისმის კითხვა: შეუძლებელი ხომ არ არის აგრეთვე არასავალდებულო პირში ინკლუზივ-ექსკლუზივის მხოლოდ ქვემოსვანურ დიალექტებში გაქრობის ახსნაც? ჩიხში ხომ არ ვექცევით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, ქვემოსვანურ დიალექტთა არასავალდებულო პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების მოხსნის მიზეზის ჩვენება და, მეორეც, იმის ახსნა, თუ რატომ მოახდინა ამ მიზეზმა გავლენა მხოლოდ ქვემოსვანურ დიალექტებზე.

ქვემოსვანურ დიალექტებში ამის მიზეზად ვ. თოფურია მიიჩნევს ქართულის გავლენას. „ობიექტურებთან დაკავშირებით ეს იმიტომ მოხდა, რომ ქვემოსვანურს გუ-ს სახით საერთო ფორმანტი მოეპოვებოდა მის გამვლენელ ქართულთან“ [2]. ანალოგიური მოსაზრება წამოყენებული აქვს კ. დონდუასაც [3]. ვფიქრობთ, აქ სწორად არის მიგნებული ქვემოსვანურ დიალექტთა არასავალდებულო პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით ოპოზიციის მოხსნის მიზეზი. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე დასკვნა: სავალდებულო პირის ფორმებში იგივე პროცესი იმიტომ არ განხორციელდა, რომ ქართულს არ მოეპოვებოდა არც /ხუ-/ და არც /ლ-/, რომლებიც სვანურში სავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის გამომხატველი ძირითადი მორფოლოგიური ერთეულებია.

---

[1] ვ. თოფურია, შრომები, I, გვ. 25.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] კ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 292.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა: ქართულის გავლენა რატომ არ გავრცელდა ზემოსვანურ დიალექტთა არასავალდებულო პირის ფორმებზეც?

ცნობილია, რომ გავლენის ერთადერთი მიზეზი არის ინტენსიური ენობრივი კონტაქტი და სწორედ ამ მხრივ ზემოსვანურ და ქვემოსვანურ დიალექტთა ქართულთან მიმართება სხვადასხვაგვარია: ქვემოსვანური (როგორც ლენტეხური, ისე ლაშხური) უშუალოდ ესაზღვრება ქართულად მეტყველ ენობრივ კოლექტივს, ხოლო ზემო სვანეთის მოსახლეობას მასთან დაკავშირება შეეძლო მხოლოდ ქვემო სვანეთის გავლით, რამდენადაც ქვემო სვანეთი მდებარეობს ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთს შორის. ამის შედეგია, რომ ქვემოსვანურში გაცილებით მეტია ქართული ენობრივი ელემენტები, ვიდრე — ზემოსვანურში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ არასავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებზე ქართულის გავლენამ მხოლოდ ქვემოსვანურში იჩინა თავი, ხოლო ზემოსვანურში ვერ შეაღწია.

რამდენადაც არასავალდებულო პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მხოლოდ ზემოსვანურში გაჩენის მტკიცების სასარგებლო არგუმენტი არ მოგვეპოვება, ხოლო მისი მხოლოდ ქვემოსვანურში დაკარგვის ახსნა შესაძლებელია, ამდენად ბუნებრივია ზემოსვანურის ვითარება მივიჩნიოთ ამოსავლად მთელი სვანურისათვის.

სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის შეორეულობის სასარგებლოდ ლიტერატურაში დასახელებულია სხვა არგუმენტებიც:

„გუ- პრეფიქსი ძვ. ქართულში არც მრავლობითობის ნიშანი იყო და არც მისი ინკლუზიური ვარიანტის მაჩვენებელი.

ბუნებრივია, რომ ამასვე მოველოდეთ სვანურში: გუ- სვანურშიც არ უნდა ყოფილიყო მრავლობითობის ფორმანტი და, მაშასადამე, ის ვერ იქნებოდა ამ მრავლობითობის ერთ-ერთი ვარიანტი, ინკლუზიური: ის შეიძლებოდა მხოლოდ შემდეგში ქცეულიყო ასეთ ფორმანტად, აღჭურვილიყო ამ ფუნქციით ისევე, როგორც ახალ ქართულში მოგვევლინა ობიექტის პირველი პირის მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს ნიშნად“ [1].

საქმე ის არის, რომ რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიაა, ამიტომ არ არის სავალდებულო ორივე ერთი ნიშნით აღინიშნებოდეს ზმნაში, ისევე როგორც სავალდებულო არ არის ერთი საერთო ნიშნით გამოიხატებოდეს პირი და რიცხვი, მით უმეტეს მაშინ, თუ მოცემული ენისათვის უცხო არ

---

1 ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 120.

არის აგლუტინაცია. მართალია, ინკლუზივ-ექსკლუზივი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება, მაგრამ შესაძლებელია მრავლობითს თავისი მორფემა ჰქონდეს, რითაც ის მხოლობითს დაუპირისპირდება, ხოლო ინკლუზივს — თავისი, რითაც ის ექსკლუზივისაგან განსხვავდება. ეს ვარაუდი საკმაოდ მართლდება სვანური ზმნის სავალდებულო პირის ფორმებში. ინკლუზივს აქ თავისი პრეფიქსული მორფემა აქვს — /ლ-~ლგ-/, ექსკლუზივს — თავისი — /ხუ-~-უ-.../, არც ერთი მათგანი არ არის მრავლობითობის ნიშანი, რამდენადაც მრ. რიცხვი ორსავე შემთხვევაში სუფიქსური მორფემით /-დ ~ -შდ/ გამოიხატება:

მხ. რ. ხუ-ა̈შხი „ვწვავ"
მრ. რ. ლ-ა̈შხი-დ „ვწვავთ" (ინკლ.)
ხუ-ა̈შხი-დ „ვწვავთ" (ექსკლ.)

ა. ჩიქობავა შენიშნავს: „ხუ-ა̈რი — ხუ-ა̈რი-დ ერთმანეთთან სავსებით ისეთსავე მიმართებაშია, როგორიც ჭან. ვ-ორე — ვ-ორე-თ, ქართ. ვ-არ — ვ-არ-თ ფორმებს შორის არსებობს: მრავლობითის პირველი პირი უდრის მხოლობითის პირველ პირს პლუს მრავლობითობის -დ სუფიქსი...

ხუ̈ა̈რიდ ორდინარული მრავლობითია, ხ უ ̈ ა რ ი-საგან ნაწარმოები. ხუ̈ა̈რი ისევე შეუძლებელია იყოს ექსკლუზივი (თუ ინკლუზივი), როგორც ქართ. ვ ა რ (ან ჭან. ვ ო რ ე) ასეთი მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება" [1].

კითხვა ისმის: თუ ექსკლუზივის ფორმაში /ხუ-/ არ არის მრავლობითობის ნიშანი, მაშინ ხუ-ა̈რი-დ რატომ არის ექსკლუზივი? იმიტომ რომ მას უპირისპირდება ინკლუზიური ფორმა — ლ-ა̈რი-დ. ქართ. ვ-არ-თ და ჭან. ვ-ორე-თ იმიტომ არაა ექსკლუზივი, რომ ამ ენებში არ მოიპოვება მათი საპირისპირო ინკლუზივის ფორმა (სვან. ლ-ა̈რი-დ ფორმის შესაბამისი). სვანურში ხუ-ა̈რი-დ რიცხვის მიხედვით ხუ-ა̈რი ფორმას უპირისპირდება, ხოლო ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით — ლ-ა̈რი-დ-ს. მაშასადამე, სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიცია იმიტომ არსებობს, რომ აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული ფორმა განსხვავებული მნიშვნელობით (ლ-ა̈რი-დ — ხუ-ა̈რი-დ). ეს კი საკმარისი პირობაა ყოველი მორფოლოგიური კატეგორიის არსებობისათვის. ისეთ ფორმებში, როგორიცაა ლ-ა̈რი-დ, /-ლ/ მხოლოდ ინკლუზივს გამოხატავს, /-დ/-ს ფუნქცია კი მრავლობითობის გამოხატვაა. აქ ყველაფერი ნათელია [2].

[1] იქვე, გვ. 121.
[2] შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 100—101.

ნათქვამიდან ორი დასკვნა გამომდინარეობს:

1. რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი ორი სხვადასხვა მორფოლოგიური კატეგორიაა, ამიტომ არ არის სავალდებულო ორივე ერთი ნიშნით იყოს გამოხატული.

2. ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ პირველი პირის მრ. რიცხვის ფორმაში. სხვა ფორმებში ამ დაპირისპირების არსებობა ლოგიკურად შეუძლებელია[1].

რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის იმ წესს, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე სვანურის სავალდებულო პირში, ინოვაციად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსი, როგორც დავინახეთ, საერთო-ქართველურ საფეხურზე აღდგება (/-დ/</*-შდ/</*-სiთ/). მაგრამ ამ მხრივ განსხვავებულია ვითარება თანამედროვე სვანურის (ზემოსვანურის) არასავალდებულო პირის ფორმებში. აქ, როგორც აღინიშნა, ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსები მრავლობითობასაც გამოხატავენ. არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სწორედ ეს არის სვანურისათვის ინოვაცია.

როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეულ საფეხურამდე სვანურში (ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში) საერთოდ არ უნდა ჰქონოდა ადგილი არასავალდებულო პირთა ფორმებში რიცხვის მორფოლოგიურად გამოხატვას. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ საფეხურამდე არც ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემებს ჰქონდათ პირველი არასავალდებულო პირის მრავლობითობის გამოხატვის ფუნქცია, ისევე როგორც ეს ფუნქცია არა აქვს სავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემას თანამედროვე სვანურში, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოობითი რიცხვის ფორმაში ინკლუზივის მორფემა /ლ-~ლგ-/ არ დასტურდება.

ეს ერთადერთი შესაძლებელი დასკვნაა იმ შემთხვევაში, თუ ქართველურ ენათა ისტორიულ ვითარებას სწორად ასახავს ცნობილი დებულება, რომლის მიხედვითაც ზმნის რიცხვს სუფიქსები გამოხატავდნენ და არა პრეფიქსები.

ამრიგად, მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ისტორიულად არ უნდა ყოფილიყო არც სავალდებულო და არც არასავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა ფუნქცია. ეს კი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის უძველესობის მაჩვენებელია სვანურში და არა — მისი სიახლისა.

იმ ქრონოლოგიურ საფეხურზე, როცა სვანურში არასავალდებულო პირთა მრავლობითობის მორფოლოგიურად გამოხატვის ჩამოყალიბება დაიწყო, ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებში მრავლობითობის სპეციალური სუფიქსი, როგორც ჩანს, იმიტომ არ გაჩნდა, რომ

---

1 შდრ. ა. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

ინკლუზივ-ექსკლუზივის ნიშნები გამოხატულების პლანში ისედაც განსხვავდებოდნენ მხოლოობით რიცხვში წარმოდგენილ /მ-/-საგან (შდრ. მხ. რიცხვი მ-ალა „მწყინს“ — ინკლ. გუ-ალა „გვწყინს“. ექსკლ. ნ-ალა „გვწყინს“). ასე უნდა დარღვეულიყო ქართველურ ენათათვის ცნობილი პრინციპი — რიცხვს სუფიქსები გამოხატავენ და არა პრეფიქსები.

როგორც ვხედავთ, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის სვანურში წარმოქმნის სასარგებლო არგუმენტი ამჟამად არ მოგვეპოვება.

გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი: ისტორიულად როგორი უნდა ყოფილიყო მიმართება (გამოხატულების პლანში) მხოლოობითი რიცხვის პირველი პირის ფორმასა და ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმებს შორის?

როგორც ცნობილია, ამ მხრივ სავალდებულო პირის ფორმაში არასავალდებულო პირისაგან განსხვავებული ვითარება დასტურდება: პირველი სავალდებულო პირის მორფემა, რომელიც მხ. რიცხვშია წარმოდგენილი, ექსკლუზივის ფორმაშიც მეორდება: მხ. რიცხვი ხუ-ათური „ვასწავლი“ — ექსკლ. ხუ-ათური-დ „ვასწავლით“ (ე. ი. მხოლოობითი რიცხვის ფორმისაგან ექსკლუზივი მხოლოდ მრავლობითობის სუფიქსით განსხვავდება), ინკლუზივის ნიშანი კი მხოლოობით რიცხვში არ მეორდება (ლ-ათური-დ „ვასწავლით“, მაგრამ არ არსებობს ფორმა — ლ-ათური). ერთგვარად განსხვავებულია ვითარება არასავალდებულო პირში, აქ მხ. რიცხვში წარმოდგენილი პრეფიქსი არ მეორდება არც ექსკლუზივისა და არც ინკლუზივის ფორმაში: მ-ათური „მასწავლის“ — ექსკლ. ნ-ათური „გვასწავლის“ — ინკლ. გუ-ათური „გვასწავლის“.

არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ ისტორიულად უფრო ძველი ვითარება დაცულია სავალდებულო პირში [1]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ექსკლუზივის ფორმაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო /მ-/ და არა — /ნ-/.

მაგრამ მაშინ საძებარია მიზეზი ცვლილებისა /მ-/>/ნ-/. ასეთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი პირის მრ. რიცხვის ნაჲ „ჩვენ“ ნაცვალსახელის ნ- ელემენტის გავლენა, ე. ი. ნაჲ *მ-აყა>ნაჲ ნ-აყა, ნაჲ *მ-უღუა>ნაჲ ნ-უღუა და ა.შ. (ამგვარი ახსნის შესაძლებლობაზე მიგვითითა გ. მაჭავარიანმა).

ამგვარი ვარაუდის შესაძლებლობაზე მიუთითებს ორი გარემოება:

1. რადგანაც მხ. რიცხვში წარმოდგენილი A_1 /მ-/ ექსკლუზივის

---

[1] იხ. ა. ონიანი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, 1965 წ., № 1, გვ. 230.

ფორმაშიც მეორდებოდა და ამავე დროს მრავლობითობა მორფოლოგიურად არ გამოიხატებოდა, ამიტომ მხ. რიცხვისა და ექსკლუზივის ფორმები აბსოლუტურად ემთხვეოდა ერთმანეთს (არსებითად ასეა ეს ძველ ქართულში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა პირველი არაჯავალდებულო a პირი მრ. რიცხვში /მ-/ პრეფიქსით აღინიშნება). ამის გამო მხოლოობითისა და მრავლობითის ერთმანეთისაგან განასხვავებლად აუცილებელი უნდა ყოფილიყო ზმნის ფორმებთან ნაცვალსახელის (მხოლოობითში — მი „მე“, მრავლობითში — ნჱი „ჩვენ“) რეგულარულად ხმარება. ამდენად, ექსკლუზივის /მ-/-ზე ნჱი ნაცვალსახელის ნ- ელემენტის გავლენის ვარაუდი არ არის საფუძველს მოკლებული.

2. მხ. რიცხვში, მსგავსად თანამედროვე სვანურისა, მ ელემენტი მეორდებოდა ნაცვალსახელშიცა და ზმნის ფორმაშიც (მი მ-აყა...), ექსკლუზივში კი ტიპოლოგიურად სხვაგვარი ვითარება დასტურდებოდა — რაიმე ელემენტის ამგვარ გამეორებას აქ ადგილი არ ჰქონდა (ნჱი მ-აყა...). შესაძლოა, ცვლილებისათვის /მ-/>/ნ-/ ამასაც შეეწყო ხელი: ექსკლუზივი (ნჱი მ-აყა...) ანალოგიის საფუძველზე ტიპოლოგიურად შეიძლებოდა დამსგავსებოდა მხოლოობითს (მი მ-აყა...) და მიგვეღო თანამედროვე სვანურში (ზემოსვანურში) დადასტურებული ფორმა (ნჱი ნ-აყა...), სადაც უკვე ნ- ელემენტი მეორდება ნაცვალსახელშიცა და ზმნის ფორმაშიც ისევე, როგორც მ- ელემენტი მეორდება მხ. რიცხვში.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა შესახებ იყო ზემოთ ნათქვამი, მაშინ პრე-სვანურისათვის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

სავალდებულო პირისა: ექსკლუზივი —/*ხუ-/, ინკლუზივი — /*ლ-/,

არასავალდებულო პირისა: ექსკლუზივი — /*მ-/, ინკლუზივი — /*გუ-/.

8.02.8. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ ქართულში. ა. შანიძის ვარაუდით, ძვ. ქართული ზმნის მრ. რიცხვის ფორმაში პირველი ობიექტური (ე. ი. არასავალდებულო) პირის აღმნიშვნელად დადასტურებული პრეფიქსების—/მ-/-სა და /გუ-/-ს—აშორსავალი მორფოლოგიური ფუნქცია უნდა ყოფილიყო ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა[1]. ეს აზრი, როგორც აღინიშნა, შემდეგ გაიზიარეს ვ. თოფურიამ, კ. დონდუამ, გ. დეეტერსმა, გ. კლიმოვმა და სხვებმა.

[1] ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წელიწდეული, გვ. 373—374; მისივე, ქართული ზმნის საქცევი, ფრანგული რეზიუმე, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926 წ., გვ. 335.

ა. შანიძემ ჯერ კიდევ ადრე აღნიშნა, რომ /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსები ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას ძველ ქართულში აღარ გამოხატავენ, ეს ფუნქცია მათ უფრო ადრეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე უნდა ჰქონოდათ: „...ფორმები „მომეც, მოგუეც“ იქ (ძვ. ქართულში — ა. ო.) უკვე განსხვავებული აღარაა. მაინც საფიქრებელია, რომ „გუ-“ იხმარებოდა თავდაპირველად, თუ ობიექტად იყო „მე და შენ//თქუენ“, „მ-“, როცა ობიექტად იყო „მე და მას// მათ“ [1].

მოგვიანებით ჯერ კ. დონდუამ, შემდეგ ა. ჩიქობავამ დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ძველ ქართულში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი არა აქვს [2]. ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი მრავლობითი რიცხვის ფორმებში დადასტურებულ /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსთა ამოსავალი ფუნქციის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ძველი ქართულის პირველი არასავალდებულო პირის მრ. რიცხვში /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: წარ-მ-იყუანნა ჩუენ//წარ-გუ-იყუანნა ჩუენ, მო-მ-ეც ჩუენ//მო-გუ-ეც ჩუენ. ეს კი, როგორც ზემოთ ითქვა, პირველი სიგნალია იმისა, რომ დიაქრონიულად ისინი სხვადასხვა ფუნქციის მქონედ მივიჩნიოთ.

/მ-/ პრეფიქსის მორფოლოგიური ფუნქცია ძველ ქართულში ნათელია: ის პირველ არასავალდებულო პირს აღნიშნავს მხოლობითშიც და მრავლობითშიც ისევე, როგორც /ვ-/ პრეფიქსი პირველ სავალდებულო პირს აღნიშნავს ორსავე რიცხვში:

მხ. რ. **და-მ-იდგინოს მე**... (მათე, 26, 53 ც).

მრ. რ. არავინ **და-მ-იდგინნა ჩუენ** (მათე, 20, 7).

/მ-/ პრეფიქსის მრ. რიცხვის ფორმაში ხმარების სხვა ნიმუშები: ...წარიპარეს იგი, ვიდრე **ჩუენ მეძინა** (ლექც., 13), არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა **დამაკვრივეს ჩუენ** (ლექც., 22), პური ჩუენი სამარადისო **მომეც ჩუენ** დღეს (ქრესტ., 5, 30), და **მომიტევენ ჩუენ** (ქრესტ., 5, 31) და სხვა.

/გუ-/ პრეფიქსი კი სხვა სურათს გვიჩვენებს: მართალია, მრ. რიცხვში მისი ხმარება ჩვეულებრივია, აქ იგი თავისუფლად ენაცვლება /მ-/-ს, მაგ., არავინ **და-გუ-იდგინნა ჩუენ** (მათე, 20, 7 ც), მაგრამ მხ. რიცხვის ფორმაში /გუ-/-ს გამოყენება ძვ. ქართულისათვის უცხოა:

---

[1] ა. შანიძე, ორგვარი ფორმა..., წელიწდეული, გვ. 373—374.

[2] К. Д. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском, Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 148—150; ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 94—114.

„და-გუ-იდგინა მე“ ტიპი არ არსებობს არც ძველ ქართულში და არც სხვა რომელიმე ქართველურ ენაში.

ა. ჩიქობავამ, როგორც აღინიშნა, დამაჯერებლად აჩვენა, რომ /გუ-/ პრეფიქსი ძველ ქართულში მრავლობითობას არ გამოხატავს. პირველი არასავალდებულო პირის ნიშნად მხოლოობითში მას მით უმეტეს ვერ მივიჩნევთ, რადგანაც მხ. რიცხვის ფორმაში ის საერთოდ არ დასტურდება. ამიტომ არის, რომ /გუ-/ ძველ ქართულში ნაშთის (უფრო ზუსტად — რუდიმენტის) შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს კი განსაზღვრავს /გუ-/-ს წარმომავლობის, მისი ამოსავალი ფუნქციის ძიების აუცილებლობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული თვალსაზრისისაგან განსხვავებული ვარაუდი წამოაყენა ა. ჩიქობავამ: „...არ შეიძლებოდა მ- და გუ- პრეფიქსები სხვადასხვა (ანდა განსხვავებული) მნიშვნელობისა ყოფილიყო იმისათვის, ვის კალამსაც სათანადო ფრაზები (იგულისხმება /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსიანი ფორმები ბრ. რიცხვში — ა. ო.) ეკუთვნის“. „ეს პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისა უნდა იყოს“ [1].

რადგანაც, ერთი მხრივ, /მ-/ პრეფიქსი საერთო-ქართველურ საფეხურზე აღდგება პირველი არასავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად (იხ. ზემოთ), ხოლო, მეორე მხრივ, ქართველურ ენებში არ მოიპოვება არც ერთი დიალექტი ან ქვედიალექტი, სადაც /მ-/ არ დასტურდებოდეს, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი ქართულში ისეთი დიალექტის არსებობის დაშვებისა, სადაც A_1 /მ-/ არ იქნებოდა წარმოდგენილი.

ასევე, ქართულსა და სვანურში არ არსებობს არც ერთი დიალექტი ან ქვედიალექტი, სადაც /გუ-/ არ იყოს მოცემული, ამიტომ ქართულში არც ისეთი დიალექტის არსებობის დაშვების უფლება გვაქვს, რომლისთვისაც /გუ-/ პრეფიქსის უქონლობა იქნებოდა დამახასიათებელი.

ამასთანავე, აღნიშნულ პრეფიქსთა დიალექტური წარმომავლობის მტკიცება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთდებოდა /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსთა ფუნქციური იდენტობა (ე. ი. თუ დიალექტთა ერთ ნაწილში /გუ-/-ს იგივე ფუნქცია აღმოაჩნდებოდა, რაც მეორე ნაწილში — /მ-/-ს). მაგრამ სწორედ ამგვარი იდენტობის მტკიცების საფუძველი არ არსებობს, რამდენადაც ქართველურ ენებში არ დასტურდება /გუ-/-ს მხ. რიცხვში ხმარების არც ერთი შემთხვევა, განსხვავებით /მ-/ პრეფიქსისაგან. ეს კი ამ პრეფიქსთა ფუნქციური სხვაობის მაჩვენებელია.

[1] ა. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 104, 105.

გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება აგრეთვე დაშვება: დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ მრ. რიცხვის ფორმით — „და-მ-იდგინნა ჩუენ“ ტიპი დიალექტთა ერთი ნაწილისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო „დაგუ-იდგინნა ჩუენ“ — მეორე ნაწილისათვის.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ქართულში (ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში) არ მოიპოვება ისეთი დიალექტები, რომელთაც პირის აღმნიშვნელად სხვადასხვა წარმომავლობის აფიქსები ჰქონდეთ. რაც უფრო შორს მივდივართ ისტორიის სილრმეში, მით უფრო მოსალოდნელია დიალექტებს შორის სხვაობათა კლება და არა — მატება.

ამდენად, /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსებს სხვადასხვა დიალექტებიდან მომდინარედ ვერ მივიჩნევთ.

ა. ჩიქობავას ეკუთვნის /გუ-/ პრეფიქსის წარმომავლობის ახსნის ცდა. ავტორი გ- ელემენტს აქ (ისევე, როგორც სვან. /ხუ-/-ში ხ-ს) ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად მიიჩნევს: „გუ, ხუ- პრეფიქსებში ფორმანტია უ (//ვ), პირველი პირის პრეფიქსი. სუბიექტისა თუ ობიექტისა? **ორივესთვის გამოყენებული, გაუდიფერენცირებელი თავდაპირველად**; გ- და ხ- ფონეტიკური დანართია; მას თავიდან არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნდა“ [1].

/გუ-/ პრეფიქსში გ-ს განვითარებულობის შესახებ, არსებითად, იგივე შეიძლება ითქვას, რაც სვან. /ხუ-/-სთან დაკავშირებით იყო ზემოთ ნათქვამი. დამატებით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

როგორც ზემოთ დავინახეთ, /*მ-/ საერთო-ქართველურ საფეხურზე აღდგება — როგორც პირველი არასავალდებულო პირის აღმნიშვნელი, ხოლო /უ-/ — როგორც პირველი სავალდებულო პირის მორფემის ელემენტი — /უ-/</*ხუ-/. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე /მ-/ და /უ-/ პრეფიქსთა ფუნქციურ-ფონოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირება არ ხერხდება. საერთო-ქართველური ენის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე ისინი სხვადასხვა ფუნქციის მქონე პრეფიქსებია.

მაგრამ თუ, ამის მიუხედავად, დავუშვებთ, რომ /გუ-/ პრეფიქსში უ- ელემენტი წარმომავლობით პირველი სუბიექტური (ე. ი. სავალდებულო) პირის ნიშანია, ხოლო გ- ფონეტიკური დანართი, რომელიც არ არის მორფოლოგიური ოდენობა, მაშინ აუხსნელი რჩება საკითხი, თუ როგორ იქცა პირის ერთი სახესხვაობის აღმნიშვნელი პრეფიქსი მეორე სახესხვაობის აღმნიშვნელად, ეს ითქმის მით უფრო, რომ

[1] იქვე, გვ. 127.

ზმნაში ისედაც არსებობდა პირველი არასავალდებულო პირის აღმნიშვნელი პრეფიქსი — /მ-/.

ხოლო თუ დავუშვებთ, რომ /გუ-/ პრეფიქსის უ- ელემენტი /მ-/-საგან მომდინარეობს (ე. ი. /*მ-/>/*გმ-/>/გუ-/), მაშინ აუხსნელი რჩება, თუ როგორ მივიღეთ /*მ-/ პრეფიქსისაგან ორი ვარიანტი — /მ-/ და /*გმ-/ (>/გუ-/). თუ /*მ-/-ს წინ გ- განვითარდა, მაშინ ის ყველგან უნდა განვითარებულიყო (ე. ი. /მ-/ საერთოდ უნდა გამქრალიყო), რადგანაც ფონოლოგიური პოზიცია ყველგან ერთნაირია (/მ-/ და /გუ-/, როგორც ცნობილია, არ არიან ერთმანეთის პოზიციური ვარიანტები). ამდენად, ამ დაშვებას არ ეძებნება ფონოლოგიური საფუძველი. ფუნქციური? არც ფუნქციური, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ძვ. ქართულში /გუ-/ (ისევე, როგორც /მ-/) არ არის მრ. რიცხვის ნიშანი, მისი სხვა — /მ-/ პრეფიქსისაგან განსხვავებული — ფუნქცია კი, ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, არ იძებნება. თუმცაღა, ამ ვარაუდიდან ამოსვლით, /მ-/ და /გუ-/ პრეფიქსებს შორის ფუნქციური სხვაობის დაძებნაც ვერ გაამართლებდა მათი საერთო წარმომავლობის დაშვებას.

ამრიგად, /გუ-/ პრეფიქსში გ- ელემენტის ფონეტიკურ დანართად მიჩნევის საფუძველი არ გაგვაჩნია.

როგორც ვხედავთ, მაინც რჩება საკვლევი საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო ძვ. ქართულის პირველი არასავალდებულო პირის ფორმაში დადასტურებულ თავისუფლად მონაცვლე პრეფიქსთა თავდაპირველი ფუნქცია. ამ საკითხის კვლევა კი მოითხოვს ქართველურ ენათა მონაცემების შედარებას.

3.02.4. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შედარებითი ანალიზი ქართველურ ენებში. სხვადასხვა ენებში შემჩნეულია ისეთ კონკრეტულ მორფოლოგიურ კატეგორიათა მიხედვით ოპოზიციის მოხსნის ტენდენცია, როგორიც არის, მაგ., ორობითი (ან სამობითი) რიცხვი, ინკლუზივ-ექსკლუზივი და სხვა (ინკლუზივი და ექსკლუზივი პირველი პირის მრ. რიცხვის კონკრეტული ვარიანტებია ისევე, როგორც ორობითი და მრავლობითი რიცხვი მრავლობითის, უფრო ზუსტად — არამხოლოობითის, კონკრეტული ვარიანტებია); მაგ., ორობითი რიცხვის ფორმა, რომელიც საერთო-ინდოევროპულში უნდა არსებულიყო, დღემდე მხოლოდ რამდენიმე ენას შემორჩა (ლიტვურს, ლუჟიცურს, სლოვენურს), ზოგ ენაში (მაგ., რუსულში) მხოლოდ მის ნაშთებს ადასტურებენ, ხოლო ინდოევროპულ ენათა დიდ ნაწილში ორობითი რიცხვის კვალიც კი არა ჩანს. საერთო-ინდოევროპულ ნაცვალსახელში შესაძლებლად მიიჩნევენ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების არსებობის დაშვებასაც, ამჟამად კი ის არც ერთ

ინდოევროპულ ენას არ გააჩნია[1]. არსებული ვარაუდის მიხედვით, კავკასიურ ენათა ერთი ნაწილის ნაცვალსახელში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ისტორიული განვითარების პროცესშია გამქრალი[2]. როგორც ჩანს, ამგვარ კატეგორიათა გაქრობა (და არა გაჩენა) შეეფერება ენის განვითარების ბუნებას. ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში გაქრა, ხოლო სვანურში არქაული ვითარება იქნა შემონახული.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული იყო საერთო-ქართველურ ნაცვალსახელში, როგორც ამას საფუძვლიანად ასაბუთებს თ. გამყრელიძე, მაშინ ის გარჩეული უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველური (ამჟამად, გარკვეულ საფეხურამდე — ყველა ქართველური ენის) ზმნის სისტემაშიც, სადაც პირთა მიხედვით დაპირისპირება, როგორც დავინახეთ, აშკარად არსებობდა. ცხადია იმის ალბათობა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება ნაცვალსახელში არსებულიყო, ამავე ენის პირიანი უღვლილების მქონე ზმნაში კი — არა, ამ მხრივ დამახასიათებელია ბაცბურ-ქისტურის ჩვენება. არსებული თვალსაზრისის მიხედვით, ბაცბურსა და ქისტურ ნაცვალსახელში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია უძველესია, ზმნაში პირის კატეგორია კი — შედარებით ახალი. ნაცვალსახელში ინკლუზივ-ექსკლუზივის არსებობამ პირის კატეგორიის გაჩენასთან ერთად განაპირობა ამ კატეგორიის (ინკლუზივ-ექსკლუზივის) მიხედვით დაპირისპირების ზმნაში წარმოქმნაც: ექსკლუზივის ნიშნად ნაცვალსახელური ელემენტი იქნა გამოყენებული, ინკლუზივი კი მას ამ ნიშნის უქონლობით დაუპირისპირდა[3].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ არც ერთ ქართველურ ენაში, არც ერთი პირის ფორმაში არ არის დადასტურებული ერთი მორფემის თავისუფლად მონაცვლე ისეთი ალომორფები, რომლებიც წარმომავლობით ერთმანეთს არ უკავშირდებიან. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ძველი ქართულის სწორედ ის პირი, სადაც ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირება არის შესაძლებელი (პირველი არასავალდებულო პირის მრ. რიცხვი). ეს კი ძალაუნებურად გვიბიძგებს იმ აზრისაკენ, რომ ძვ. ქართ. /გუ-/

---

[1] **Э. Прокош**, Сравнительная грамматика германских языков, Москва, 1954, გვ. 245, 311—312; **О. Есперсен**, Философия грамматики, Москва, 1958, გვ. 238—240.

[2] **С. Быховская**, Пережитки inclusiv-a и exclusiv-a в даргинских диалектах, Язык и мышление, IX, 1940, გვ. 85—90.

[3] **Ю. Д. Дешериев**, Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 85; **თ. გონიაშვილი**, პირიანი უღვლილება ქისტურში (ხელნაწერი).

და /ნ-/ პრეფიქსთა ამოსავალ ფუნქციად ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა მივიჩნიოთ.

და მართლაც, რომელი მორფოლოგიური კატეგორიის გამომხატველი შეიძლებოდა ყოფილიყო /გუ-/, რომელიც ძვ. ქართულში პირველ არასავალდებულო პირს აღნიშნავს მხოლოდ მრავლობითში (და არასდროს მხოლობითში), მაგრამ არ არის მრავლობითობის ნიშანი?

თუ სვანურის ჩვენებას დავემყარებით, ასეთია როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირის ინკლუზივის ნიშანი; როგორც ზემოთ დავინახეთ, არც ერთი მათგანი არ დასტურდება მხ. რიცხვის ფორმაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: ძვ. ქართულში /გუ-/ პრეფიქსი ხომ არ არის ინკლუზივის მორფემის ნაშთი?

„ასეთი რამ არაა მოსალოდნელი, უპასუხებს ამ კითხვაზე ა. ჩიქობავა, ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითის ნიშანიც არის, **მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო.** მაშასადამე: თუ გუ- პრეფიქსი ინკლუზიური (ანდა: ექსკლუზიური — პრინციპში ეს სულ ერთია) შინაარსისაა, მრავლობითობის -ნ სუფიქსისათვის ადგილი არა რჩება“ [1].

სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სავალდებულო არ არის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები მრავლობითობასაც გამოხატავდნენ. რიცხვი და ინკლუზივ-ექსკლუზივი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მორფემებით აღინიშნება ზმნაში, ასეა ეს თანამედროვე სვანურის სავალდებულო პირში, ისტორიულად ასევე უნდა ყოფილიყო არასავალდებულო პირშიც (იხ. ზემოთ). ასეთივე ვითარება უნდა გვქონოდა ქართული ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია გარჩეული იყო. ამდენად, ძვ. ქართულ „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმაში მრავლობითობის /-ნ/ სუფიქსი ისევე ნათლად გვიჩვენებს /გუ-/ პრეფიქსის არამრავლობითობას, როგორც სვან. ლ-ჲრი-დ „ვართ“ (ინგლ.), ხუ-ჲრი-დ „ვართ“ (ექსკლ.) ფორმებში მრავლობითობის /-დ/ გვიჩვენებს /ლ-/ და /ხუ-/ პრეფიქსთა არამრავლობითობას. ამასთანავე, ძვ. ქართულში მრავლობითობის /-ნ/ სუფიქსი ისევე ვერ უარყოფს ვარაუდს /გუ-/ პრეფიქსის ოდინდელი ინკლუზიურობის შესახებ, როგორც სვან. ლ-ჲრი-დ, ხუ-ჲრი-დ ფორმებში სავალდებულო პირის მრავლობითობის /-დ/ სუფიქსი ვერ უარყოფს /ლ-/ პრეფიქსის ინკლუზიურობასა და /ხუ-/ პრეფიქსის ექსკლუზიურობას.

ძვ. ქართული /გუ-/ სტრუქტურულად სხვა მხრივაც ემთხვევა სვანური ინკლუზივის (როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო

---

1 ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის..., გვ. 100.

პირისა) მორფემებს: ძვ. ქართულში „გუ-აქუს ჩუენ“, „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმებს ისევე არ მოეპოვება მხ. რიცხვში „გუ-აქუს მე“, „და-გუ-იდგინა შე“, როგორც სვან. ინკლუზივს (გუ-აყა ნჱმ, ლ-ჱრი-დ ნჱმ) არ მოეპოვება „გუ-აყა მი“, „ლ-ჱრი მი“ მხ. რიცხვში. ე. ი. ძვ. ქართ. „გუ-აქუს ჩუენ“ ისეთსავე მიმართებაში იმყოფება „მ-აქუს მე“, „მ-აქუს ჩუენ“ ფორმებთან, როგორშიც სვან. „გუ-აყა ნჱმ“ იმყოფება „მ-აყა მი“, „ნ-აყა ნჱმ“ (<*მ-აყა ნჱმ) ფორმებთან. ასევე, ძვ. ქართ. „და-გუ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ისეთსავე მიმართებაში იმყოფება „და-მ-იდგინა მე“, „და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმებთან, როგორშიც „ლ-ჱრი-დ ნჱმ“ იმყოფება „ხუ-ჱრი მი“, „ხუ-ჱრი-დ ნჱმ“ ფორმებთან.

როგორც ვხედავთ, ძვ. ქართულში /გუ-/ სტრუქტურულად სვანური ინკლუზივის მორფემებს ემთხვევა. ეს უფლებას გვაძლევს გავიზიაროთ მოსაზრება: /გუ-/-ს ამოსავალი ფუნქციაა ინკლუზივის ჩამოხატვა. მაგრამ ძვ. ქართულში ხომ /გუ-/ არ ჩამოხატავს ინკლუზივს?! როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ინოვაცია — საქმე გვაქვს თავდაპირველი ფუნქციის მოშლასთან, ამიტომ ტოვებს /გუ-/ ძველ ქართულში რუდიმენტის შთაბეჭდილებას — პირის ნიშანი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში დასტურდება და არ არის მრავლობითობის გამომხატველი. ამიტომვე გახდა შესაძლებელი შემდგომ მისი რეინტერპრეტაცია და მრავლობითობის ნიშნად ქცევა.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს /გუ-/ ძვ. ქართულში ინკლუზივის მორფემის ნაშთად მივიჩნიოთ. მისი ამოსავალი ფუნქცია ქართულში ინკლუზივის ჩამოხატვა უნდა ყოფილიყო.

თუ ამასთანავე ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართ. /გუ-/-ს სვანურში მოეპოვება კანონზომიერი ფუნქციურ-ფონეტიკური შესატყვისი — არასავალდებულო პირის ინკლუზივის /გუ-/ პრეფიქსი (ცნობილია, რომ ქართ. გ-ს სვანურში გ შეესატყვისება: ქართ. გული — სვან. გუი//გუ „გული“, ხოლო ქართ. ჳ (//ვ)-ს — სვან. უ: ქართ. შვიდი — სვან. იშგუიდ „შვიდი“), მაშინ ინკლუზივის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპად შეიძლება მოვახდინოთ /*გუ-/-ს რეკონსტრუქცია.

თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ქართულში უნდა არსებულიყო ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციის მეორე წევრიც — ექსკლუზივი. ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, მკვლევართა ყურადღება დიდი ხანია მიიქცია ძვ. ქართულის პირველი არასავალდებულო პირის მრ. რიცხვში დადასტურებულმა /მ-/ პრეფიქსმა.

ექსკლუზივის ფორმაში, სვანურის მსგავსად, ქართულშიც /მ-/ პრეფიქსი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამის ნაშთი ჩანს ძვ. ქართულში დადასტურებული ფორმები: „მ-აქუს ჩუენ“, „და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“.

„მ-აქუს მე“ და „მ-აქუს ჩუენ“ ფორმებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც სვან. „მ-აყა მი“ და „*მ-აყა ნ̆ა̆ (>ნ-აყა ნ̆ა̆) ფორმებს შორის. ასევე, „და-მ-იდგინა მე“ ისეთსავე მიმართებაში იმყოფება „და-მ-იდგინ-ნ-ა ჩუენ“ ფორმასთან, როგორშიც სვან. „ხუ-ა̆რი მი“ იმყოფება „ხუ-ა̆რი-დ ნ̆ა̆“ ფორმასთან. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ძვ. ქართ. „მ-აქუს ჩუენ“, „და-მ-იდ-გინ-ნ-ა ჩუენ“... ექსკლუზივის ფორმათა ნაშთია.

ამრიგად, ძვ. ქართულისა და სვანურის მონაცემთა შედარების საფუძველზე საერთო-ქართველური ენის ექსკლუზივის ფორმაში შეიძლება მოვახდინოთ /*მ-/ პრეფიქსის რეკონსტრუქცია, იმავე პრეფიქსისა, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხ. რიცხვის ფორმაშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

რამდენადაც საერთო-ქართველურ საფეხურზე არასავალდებულო პირის რიცხვის მორფოლოგიურად (ე. ი. აფიქსებით) გამოხატვას არ უნდა ჰქონოდა ადგილი, ამდენად პირველი არასავალდებულო პირის ხმ. რიცხვის ფორმისაგან მხოლოდ ინკლუზივი განსხვავდებოდა. მხ. რიცხვისა და ექსკლუზივის ფორმები კი ერთმანეთს ემთხვეოდა, მათ შორის სხვაობის შექმნა, ალბათ, ნაცვალსახელებს ეკისრებოდა.

მეგრულ-ჭანურის პირველი არასავალდებულო პირის მრ. რიცხვის ფორმაში, როგორც დავინახეთ, შესაძლებელია მხოლოდ /მ-/ პრეფიქსის პოსტულირება, /გუ-/ პრეფიქსი ნაშთის სახითაც კი არ დასტურდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრულ-ჭანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის შინაგანი რეკონსტრუქცია არ ხერხდება, მაგრამ ამის საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ მეგრულ-ჭანურში ამ კატეგორიის ოდინდელი არსებობის ვარაუდი შეუძლებელია. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებს დღემდე რომ არ მოეღწია, მაშინ თანამედროვე ქართულის ჩვენების მიხედვითაც ასევე ძველი იქნებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის შინაგანი რეკონსტრუქცია.

რადგანაც ქართულისა და სვანურის მონაცემთა მიხედვით საერთო-ქართველურ საფეხურზე შესაძლებელია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის რეკონსტრუქცია, ამიტომ, ცხადია, უნდა დავუშვათ, რომ გარკვეულ საფეხურამდე ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირება მეგრულ-ჭანურისთვისაც დამახასიათებელი იყო. არასავალდებულო პირის ექსკლუზივის ფორმაში, ქართულ-სვანურის მსგავსად, უნდა არსებულიყო /მ-/ პრეფიქსი. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ მეგრულ-ჭანურში /მ-/ დასტურდება როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

ინკლუზივის ნიშანი მეგრულ-ჭანურშიც /*გუ-/ უნდა ყოფილიყო. ფონოლოგიურად სხვა შესატყვისი არ არის მოსალოდნელი. ინკლუ-

ზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიციის მოხსნის შემდეგ მეგრულ-ჭანურში /გუ-/ „ალბათ დაიკარგა“ [1].

ამრიგად, არასავალდებულო პირის ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა საერთო-ქართველური არქეტიპები ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

ინკლ. /*გუ-/.
ექსკლ. /*მ-/.

ქართულსა და მეგრულ-ჭანურში სავალდებულო პირის ფორმებს არ შემოუნახავს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ნაშთი. მაგრამ თუ სწორია ვარაუდი, რომ საერთო-ქართველურში (და გარკვეულ საფეხურამდე ყველა ქართველურ ენაშიც) ინკლუზივ-ექსკლუზივი გარჩეული იყო ნაცვალსახელსა და ზმნის არასავალდებულო პირში, მაშინ ამ კატეგორიის მიხედვით დაპირისპირებას ადგილი უნდა ჰქონოდა სავალდებულო პირშიც.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ სავალდებულო პირის ექსკლუზივის ფორმაში წარმოდგენილი იყო S_1 მორფემისათვის ზემოთ რეკონსტრუირებული /*ხუ-/. ინკლუზივის მორფემის რეკონსტრუქციის საშუალება კი ამჟამად არ გაგვაჩნია, რადგანაც ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მისი ნაშთიც კი არ არის დაცული. შეუძლებელი არ არის ოღონდ — ინკლუზივის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპი ყოფილიყო სვან. /ლ/-ს ამოსავალი ფორმა — /*ლ-/ ან /*s_1-/. მაგრამ ეს ვარაუდი უაღრესად ჰიპოთეტური ხასიათისაა.

შენიშვნა: უკანასკნელ ხანს დამანა მელიქიშვილმა წამოაყენა რამდენიმე ახალი დებულება. წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დებულებები მიღებულია არა არსებული ლინგვისტური მეთოდების (შინაგანი რეკონსტრუქცია, შედარებითი რეკონსტრუქცია) გამოყენებით, არამედ ავტორისათვის მისაღები ლოგიკური კრიტერიუმებიდან ამოსვლით. განვიხილოთ ზოგი მათგანი:

1. ფლექსიურობის ელემენტების არსებობა, რაც ფაქტია თანამედროვე ქართველურ ენებში, შეუძლებელია დაეშვათ ზმნისათვის ამოსავალში, „თუ გავითვალისწინებთ ქართული (// სვანური) ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის აგლუტინაციურ პრინციპს“ 2.

ჯერ ერთი, სწორედ ლოგიკური გამართლება არ ეძებნება მტკიცებას, რომლის მიხედვითაც ენის განვითარების ერთი საფეხურისათვის შეუძლებელია ისეთი ვითარების დაშვება, როგორიც ფაქტია მეორე საფეხურზე; მეორე, თუნდაც რომ არსებობდეს ამგვარი დებულების წამოყენების საფუძველი, მისი საყრდენად გამოყენება გაუმართლებელია მანამ, სანამ არ მოხერხდება ამ დებულების დამაჯერებელი ლინგვისტური არგუმენტაცია, ამგვარი არგუმენტაცია კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს; მთავარი კი ისაა, რომ სწორი ლინგვისტური ცნა-

---

1 ვ. თოფურია. შრომები, I, გვ. 26.

2 დამანა მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1977, გვ. 161.

ლიფიკაციის შემთხვევაში ფლექსიური გამოდის თვით დ. მელიქიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ფორმები (იხ. ქვემოთ)

2. ავტორი მისთვის მისაღები წვინდა ლოგიკური (და არა ლინგვისტური) წანამძღვრებიდან ამოსელით დასკვნის: „ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი არა" [1].

ჯერ ერთი, არ არსებობს აუცილებლად პრივატული ოპოზიციით გამოხატული დაპირისპირებები (როცა ოპოზიციის ერთ წევრს აქვს ნიშანი, მეორეს კი — არა). ისევე როგორც არ არსებობს აუცილებლად ეკვიპოლენტური ოპოზიციით გამოხატული დაპირისპირებები (როცა ოპოზიციის თითოეულ წევრს აქვს ნიშანი). ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ დაპირისპირება, რომელიც პრივატული ოპოზიციით გამოიხატება ერთ ენაში, ხშირად ეკვიპოლენტური ოპოზიციით გამოიხატება მეორე ენაში და, პირიქით (ამისი ნიმუშები საძებარი არ არის). ამიტომაა, რომ ლინგვისტიკაში, გარდა აღნიშნული შემთხვევისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არავის უცდია იმის დადგენა, თუ რა სახის დაპირისპირებები გამოიხატება აუცილებლად პრივატული (ან აუცილებლად ეკვიპოლენტური) ოპოზიციით. მეორე, განსახილველი დებულების უარსაოფად საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ბაებური ზმნა, სადაც ამ დებულების დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება: ნიშანი აქვს არა ინკლუზივს, არამედ სწორედ ექსკლუზივს, ინკლუზივი კი მას ამ ნიშნის ქონლობით უპირისპირდება [2]. და, მესაძლ., დ. მელიქიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ექსკლუზივის ფორმა, თუ მას ლინგვისტურად სწორად გავაანალიზებთ, ნიშნიანია და არა უნიშნო (იხ. ქვემოთ).

3. ინკლუზივის ნიშნად ავტორის მიერ რეკონსტრუირებულია *გმ- არქეტიპი ეს რეკონსტრუქცია ემყარება წინასწარ შემუშავებულ, არალინგვისტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ, დებულებას: ინკლუზივის „ფორმაში იგულისხმება I და II პირი — ნიშანიც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი" [3]. ამ დებულების საფუძველზე რეკონსტრუირებული *გმ-, ავტორის აზრით, მიიღებულია O_2 გ-სა და O_1 მ-ს შეერთებით. ანგარიში არ ეწევა იმას, რომ არც ერთი ლინგვისტური მეთოდი (არც შინაგანი რეკონსტრუქცია, არც შედარებითი რეკონსტრუქცია) და არც ერთი ენობრივი მონაცემი (არც ქართ. გე-, არც სვან. გუ-) არ იძლევა ასეთი ფორმის რეკონსტრუქციის საფუძველს. ეს არის, ამდენად, ენობრივ მოვლენებზე ხელოვნური ძალდატანება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საკითხების მხოლოდ ანალოგიებით გადაწყვეტას გამართლება არ ეძებნება, ეს ითქმის მით უფრო, რომ საანალოგიოდ აღებულია ისეთი ჰიპოთეზა (ქვრივი < *ქმრივი) [4], რომელიც თვითონ მოითხოვს უფრო საფუძვლიან არგუმენტაციას.

ამის გვერდით თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სვან. Si ლ-ს „ვერავითარი მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან" [5], როგორც ამას თვით დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, მაშინ მოსალოდნელი იყო გაკეთებულიყო დასკვნა, რომლის მიხედვითაც ინკლუზივის პრეფიქსები არ მომდინარეობენ ორი ნიშნის კომბინაციისაგან. სინამდვილეში მსჯელობა ამის საწინააღმდეგოდ წარიმართა: სვან. ლ- გამოცხადდა გვიანდელ მოვლენად, რაკი ის ეწინააღმდეგება ამოსავლად

---

[1] იქვე, გვ. 162.

[2] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, მოსკოვი, 1958, გვ. 85.

[3] დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 163.

მიჩნეულ დებულებას (თუმცა სრულიად გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევა შეუძლებლად ენის განვითარების ადრეული საფეხურისათვის ის, რაც ფაქტია შემდგომ საფეხურზე, ანდა, პირიქით, რატომ მიიჩნევა შესაძლებლად გვიანდელი საფეხურისათვის ის, რაც შეუძლებლადაა გამოცხადებული იმავე ენის განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე). ეს იმას ნიშნავს, რომ დასკვნები წინ უსწრებს ენობრივ მოვლენათა ანალიზს, ენობრივ მოვლენებს მხოლოდ შემდეგ „მოეთხოვებათ" შეეფარდონ ამ დებულებებს. ლინგვისტური კვლევა-ძიების მეთოდები, ამრიგად, უყურადღებოდ დარჩენილი.

4. „შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანურში ამ ფუნქციით (ინკლუზივის გამოხატვით—ა. ო.) ღიტვირთა უფუნქციოდ დარჩენილი S_3-ის პრეფიქსი ლ-, მას შემდეგ, რაც S_3-ის გამოხატვა ზმნურ სისტემაში სუფიქსებს დაეკისრათ" [1].

თავი რომ დავანებოთ სხვა წინააღმდეგობებს, უფუნქციო ლ-, არა თუ ადრეულ საფეხურზე, თანამედროვე სვანურშიც კი არ არსებობს, ლ-, მსგავსად მისი ნ- და ი- ეპრიანტებისა, S_3-ის ჩვეულებრივი აღმნიშვნელია, ისევე როგორც ხ- არის S_2-ის ნიშანი თანამედროვე ქართულში (მაგ., ფორმაში ხ-არ). ვ. თოფურია სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლ- პრეფიქსი თანამედროვე სვანურში „მესამე პირის ფორმანტად ჩაითვლება" [2]. და კიდევ: S_3-ის გამომხატველად სვანურში მოიაზრება ერთადერთი სუფიქსი (და არა სუფიქსები) და ისიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის S_3 მორფემის უდავო წარმომადგენელი. ასეთ შეცდომებზე აგებულ დებულებას, ცხადია, ვერ გავიზიარებთ.

5. ზემოაღნიშნული ამოსავალი დებულებების საფუძველზე კეთდება დასკვნა: „O_1-ის პრეფიქსი მ-, ისევე, როგორც S_1-ის ვ- (ხუ-) ისტორიულად (ამოსავალში) არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ექსკლუზივის ნიშნადაც", [3] ექსკლუზივის ნიშანი ყველა შემთხვევაში იყო ნული (Ø) [4].

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ექსკლუზივისათვის ახდენს ისეთი ფორმის რეკონსტრუქციას, რომელიც ნიშნის უქონლობით უპირისპირდება როგორც მხოლობითის, ისე ინკლუზივის ფორმას. სინამდვილეში კი, კონკრეტული მაგალითებით რომ ვიმსჯელოთ, რეკონსტრუირებულია ასეთი ფორმები:

სვან. სუბიექტური პირი:

მხ. რ. ხუ-ათური „ვასწავლი" ექსკლ. ხუ-ათური-დ „ვასწავლით".
ინკლ. ლ-ათური-დ „ვასწავლით".

სვან. ობიექტური პირი:

მხ. რ. მ-ათური „მასწავლის" ექსკლ. მ-ათური „გვასწავლის"
ინკლ. გუ-ათური „გვასწავლის"

ქართ. ობიექტური პ-რი:

მხ. რ. წარ-მ-იყვანა ექსკლ. წარ-მ-იყვან-ნ-ა
ინკლ. წარ-გე-იყვან-ნ-ა[5]

აი აქ, ექსკლუზივის ფორმებში წარმოდგენილი პრეფიქსები (სვან. ხუ-, მ- და ქართ. მ-), ავტორის აზრით, არ გამოხატავენ ექსკლუზივს. გავაანალიზოთ ეს ფორმები არსებული ლინგვისტური მეთოდებით და ვნახოთ, რამდენად მართებულია

---

1 იქვე.
2 ვ. თოფურია, შრომები, 1, გვ. 2.
3 დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.
4 იქვე, გვ. 161—165.
5 იქვე, გვ. 164—165.

ასეთი კვალიფიკაცია (ამ ეტაპზე პირობით გამოვიყენოთ ტერმინები — სუბიექტური პირი, ობიექტური პირი, რომელთაც დ. მელიქიშვილი ხმარობს):

დავას არ იწვევს, რომ აქ მ- არის ობიექტური (არასავალდებულო) პირის ნიშანი როგორც მხ. რიცხვის, ისე ექსკლუზივის ფორმაში, ისევე როგორც ხუ- არის სუბიექტური (სავალდებულო) პირის ნიშანი იმავე ფორმებში, მაგრამ ისმის კითხვა: რა გამოხატავს სუბიექტურ პირს ისეთ ფორმებში, როგორიცაა „ლ-ათური-დ“, ხოლო ობიექტურ პირს ისეთ ფორმებში, როგორიცაა „გუ-ათური“? შესაძლებელია ერთადერთი პასუხი: ის, რითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოხატულების პლანში, ე. ი. პირველი გამოიხატება ლ- პრეფიქსით, ხოლო მეორე — გუ-თი. მაშასადამე, ლ- ისევეა სუბიექტური (სავალდებულო) პირის ნიშანი ფორმაში „ლ-ათური-დ“, როგორც ხუ- ფორმაში „ხუ-ათური-დ“. ასევე, გუ- ისევეა ობიექტური (არასავალდებულო) პირის ნიშანი ფორმაში „გუ-ათური“, როგორც მ-(>ნ-) ფორმაში „მ-ათური“ (>ნ-ათური).

მეორე მხრივ, ისეთი საპირისპირო ფორმები, როგორიცაა „ლ-ათური-დ“ და „ხუ-ათური-დ“, შინაარსის პლანში ერთმანეთისაგან მხოლოდ ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით განსხვავდებიან (სხვა მხრივ აბსოლუტურად ემთხვევიან ერთმანეთს— ორივე ფორმაში გამოიხატება I სავალდებულო პირის მრ. რიცხვი). ეს შინაარსობრივი სხვაობა (ინკლუზივ-ექსკლუზივი), ცხადია, იმ მორფოლოგიური ერთეულებით გამოიხატება, რითაც ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ერთმანეთისაგან კი ისინი, როგორც ვხედავთ, განსხვავდებიან მხოლოდ ლ- და ხუ- პრეფიქსებით. აქედან კი ცალსახად გამომდინარეობს დასკვნა: რაკი ინკლუზივს გამოხატავს ლ- (ან ლ-დ), ამიტომ ექსკლუზივს გამოხატავს ხუ- (ან ხუ-დ), ამდენად, ექსკლუზივის ნიშნად აქ Ø-ის გამოცხადება მცდარი კვალიფიკაციის შედეგია. ბახვალისით უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტური კვალიფიკაცია დამოკიდებულია არა მკვლევრის ნება-სურვილზე, არამედ მორფოლოგიური ოპოზიციის ხასიათზე.

იგივე ითქმის ისეთ საპირისპირო ფორმათა შესახებაც, როგორიც არის, ერთი მხრივ, სვან. გუ-ათური და *მ-ათური (>ნ-ათური), მეორე მხრივ, ქართ. წარ-გე-იყვან-ნ-ა და წარ-მ-იყვან-ნ-ა. ინკლუზივის ნიშანი აქ არის სვან. გუ- და ქართ. გე-, ხოლო ექსკლუზივისა — სვან. მ-(>ნ-) და ქართ. მ-.

აქ კი შეიძლება შევეხოთ საკითხს, რომელიც, როგორც ჩანს, გაუგებრობის მთავარი წყაროა. კითხვა ასე ისმის: რამდენად კანონზომიერია მრავლობითი რიცხვის ფორმაში ექსკლუზივის გამოხატველად მიეჩინოთ პრეფიქსები (სვან. ხუ- და მ-, ქართ. მ-), რომელთაც ასეთი ფუნქცია არა აქვთ მხოლობითი რიცხვის ფორმაში?

ასეთი გაგება სრულიად კანონზომიერია, რადგანაც აღნიშნული პრეფიქსები ექსკლუზივს გამოხატავენ მხოლოდ ისეთ ფორმებში, რომელთაც მოპოვებათ საპირისპირო ფორმები საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობით. ასეთია I პირის მრ. რიცხვი, სადაც, როგორც ითქვა, ექსკლუზივის ფორმას, წარმოქმნილს ხუ- და მ- პრეფიქსებით, უპირისპირდება ინკლუზივის ფორმა, წარმოქმნილი ლ- და გუ- პრეფიქსებით. მეორე მხრივ, იგივე პრეფიქსები (სვან. ხუ-, მ- და ქართ. მ-) ექსკლუზივს, რასაკვირველია, არ გამოხატავენ ისეთ ფორმებში, რომელთაც არ მოპოვებათ საპირისპირო (ინკლუზიური) მნიშვნელობის მქონე საპირისპირო ფორმები. ასეთია I პირის მხ. რიცხვის ფორმა, სადაც ხუ- და მ- პრეფიქსიან ფორმათა საპირისპიროდ არ მოიპოვება ფორმები, რომელთაც ინკლუზივის მნიშვნელობა ჰქონდეთ (მხ. რიცხვში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირების არსებობა ლოგიკურად არის შეუძლებელი).

როგორც ვხედავთ, დ. მელიქიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ფორმები,

სწორი ლინგვისტური კვალიფიკაციის შემთხვევაში, ეწინააღმდეგებიან მათ ამოსავლად მიჩნეულ დებულებებს და, ამდენად, უარყოფენ მ.თ. ჯერ ერთი, როგორც ინკლუზიის, ისე ექსკლუზიის პრეფიქსები გამოხატავენ პირთა რაოდენობის მიხედვით დაპირისპირებასაც და, ამდენად, არიან არა აგლუტინაციური, არამედ ფლექსიური ხასიათისა და, მეორეც, ექსკლუზივი, ისევე როგორც ინკლუზივი, ყველა შემთხვევაში ნიშნიანია და არა — უნიშნო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური მეთოდებიდან გადახვევამ, ბევრ სხვა სერიოზულ ნაკლთან ერთად (რომელთა შესახებაც ჩვენ აქ ალარ ვიმსჯელებთ) განაპირობა რელატიური ქრონოლოგიის სრული უგულებელყოფა. ცხობილია, რომ შედარებითი მეთოდით შესაძლებელია მხოლოდ ფუძე-ენის განვითარების ბოლო საფეხურის რეკონსტრუქცია. ისტორიის სიღრმეში კიდევ უფრო შორს შეღწევის ერთადერთი გზა კი არის შედარების გზით მიღებულ შედეგთა შინაგანი რეკონსტრუქცია. არც ერთ აღნიშნულ ლინგვისტურ მეთოდს არა აქვს პრეტენზია თავდაპირველი (ამოსავალი) ეითარების რეკონსტრუქციისა, მათი ბიზანი ყველა შემთხვევაში არის ენის განვითარების რომელიღაც საფეხურის რეკონსტრუქცია. ზემოაღნიშნულ ნაშრომში კი ამ მეთოდოლოგიური პრინციპების გვერდის ავლით მოცემულია ცდა იმის გარკვევისა, თუ როგორი იყო ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვა „ამოსავალში“.[1] სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, „ამოსავალი“ ეითარება აქ აბსოლუტურად აქრონიული ხასიათისაა, რადგანაც არ არის ნაჩვენები მისი ბიმართება ენის განვითარების რომელიმე საფეხურთან პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთ საკითხთა კვლევის მეთოდები თანამედროვე ენათმეცნიერებას არ მოეპოვება.

ბოლოს კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში წარმატებაზე ფიქრი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სათანადოდ (ყოველ შემთხვევაში, მინიმალურად მაინც) არის ათვისებული და გამოყენებული ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიაში დღემდე მოპოვებული კოლოსალური მიღწევები.

---

1 დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

დასკვნა

ჩვენი დიაქრონიული კვლევა-ძიების შედეგების გათვალისწინების საფუძველზე საერთო-ქართველური ფუძე-ენის განვითარების ბოლო საფეხურის შესახებ შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე მოკლე დასკვნა:

1. ზმნა იუღლება პირის მიხედვით.

2. არსებობს პირთა ოპოზიცია: სავალდებულო — არასავალდებულო.

3. როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო პირის ფორმებში არსებობს მორფოლოგიურად გამოხატული სამი პირი: პირველი, მეორე და მესამე.

4. რიცხვის მიხედვით დაპირისპირება (მხოლობითი—მრავლობითი) დამახასიათებელია მხოლოდ სავალდებულო პირის ფორმებისათვის, არასავალდებულო პირის ფორმებში კი ეს ოპოზიცია მორფოლოგიურად არ გამოიხატება.

5. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ადგილი აქვს მორფოლოგიურ დაპირისპირებას ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით.

6. პირის, რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემათა საერთო-ქართველური არქეტიპები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ა) სავალდებულო პირისა:

მხ. რიცხვი:	1.	/*ხუ-/
	2.	/*ხ-/
	3.	/*s_1-/ (?) ან /*ლ-/ (?)
მრ. რიცხვი	1.	/*ხუ-/ — /*-s_1თ/ Se
		/*s_1-/ (?) ან /*ლ-/ (?) — /*-s_1თ/ Si
	2.	/*ხ-/ — /*-s_1თ/
	3.	/*s_1-/ (?) ან /*ლ-/ (?) — (?)

ბ) არასავალდებულო პირისა:

მხ. რიცხვი	1.	/*მ-/	მრ. რიცხვი	1. /*მ-/ Ae
				/*გუ-/ Ai
	2.	/*გ-/		2. /*გ-/
	3.	/*ხ-/		3. /*ხ-/

მხოლობითისა და მრავლობითის გამოყოფა აქ პირობითია, რადგანაც, როგორც ვხედავთ, რიცხვის მიხედვით დაპირისპირება მორფოლოგიურად არ არის გამოხატული.

პირობითი ნიშნების განმარტება

/ / აღნიშნავს, რომ მასში ჩასმული ერთეული რომელიმე მორფემის ალომორფია. იხმარება აგრეთვე ფონემის აღმნიშვნელადაც, თუ მასში ჩასმულ გრაფემას დეფისი არც ერთი მხრიდან არ ახლავს.

= დაისმის ერთი მორფემის ფონოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებს შორის.

§ დაისმის ერთი მორფემის მორფოლოგიურად (არაფონოლოგიურად) შეპირობებულ ალომორფებს შორის.

// ფორმათა პარალელური ხმარების (თავისუფალი მონაცვლეობის) მაჩვენებელია.

საზღვარი.

* აღნიშნავს რეკონსტრუირებულ ფორმას.

C თანხმოვანი.

V ხმოვანი.

Ø ნული.

S_1 პირველი სავალდებულო პირი. პირველი სავალდებულო პირის მორფემა.

S_2 მეორე სავალდებულო პირი, მეორე სავალდებულო პირის მორფემა.

S_3 მესამე სავალდებულო პირი. მესამე სავალდებულო პირის მორფემა.

Si სავალდებულო პირის ინკლუზივი, სავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემა.

Se სავალდებულო პირის ექსკლუზივი, სავალდებულო პირის ექსკლუზივის მორფემა.

A_1 პირველი არასავალდებულო პირი, პირველი არასავალდებულო პირის მორფემა.

A_2 მეორე არასავალდებულო პირი, მეორე არასავალდებულო პირის მორფემა.

A_3 მესამე არასავალდებულო პირი, მესამე არასავალდებულო პირის მორფემა.

Ai არასავალდებულო პირის ინკლუზივი, არასავალდებულო პირის ინკლუზივის მორფემა.

Ae არასავალდებულო პირის ექსკლუზივი, არასავალდებულო პირის ექსკლუზივის მორფემა.

წემოკლებათა განმარტება

ბეჩ. ბეჩოური.

ბზ. ბალსზემოური.

ბქვ. ბალსქვემოური.

გურ. გურული.

ეცრ. ეცერული.

თუშ. თუშური.

იერ. ხანმეტი იერუსალიმის კემბრიჯული ნაწყვეტები (ა. შანიძის გამოცემა), ენიმკის მოამბე. II_1 1937 წ.

კახ. კახური.

ლექც. ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპური რეპროდუქცია (ა. შანიძის გამოცემა), 1944 წ.

ლნტ. ლენტეხური.

ლშხ. ლაშხური.

ლხმ. ლახამულური

მეგრ. მეგრული.

მეგრ.-ჭან. მეგრულ-ჭანური.

მოხ. მოხეური.

მრ. ხანმეტი მრავალთავი (ა. შანიძის გამოცემა), თსუ მოამბე, VII, 1927 წ.

პალ. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, 1949 წ.

პროტოევანგ I. N. Birdsall, A second Georgian Recension of the Protoevangelium. Jacobi: Le Muséon, LXXXIII 1—2, Louvain, 1970.

ხვან. სვანური

ქართ. ქართული.

ქრესტ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია (ი. იმნაიშვილის გამოცემა), 1953 წ.

ძვ. ქართ. ძველი ქართული.

ჭან. ჭანური.

ხ. ხანმეტი ტექსტების ნიმუშები (ი. ჯავახიშვილის გამოცემა), თსუ მოამბე, II. 1923 წ.

ხევს. ხევსურული.

ხმ. ხემეტი ტექსტების ნიმუშები (ა. შანიძის გამოცემა). თსუ მოამბე, III, 1923 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. პირის კატეგორია

1.01. ოპოზიცია პირთა მიხედვით

შესავალი 3

1.01.1. ოპოზიციის წევრები 19
1.01.2. როგორობის მიხედვით ოპოზიცია 19
1.01.3. რომლობის მიხედვით ოპოზიცია 55

1.02. პირის მორფემათა სინქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

1.02.1 საავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 56
1.02.2. საავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი თანამედროვე ქართულ დიალექტებში 63
1.02.3. საავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ძველ ქართულში 66
1.02.4. მეორე საავალდებულო პირის მორფემა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში 69
1.02.5. საავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე მეგრულში 71
1.02.6. საავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ჭანურში 74
1.02.7. საავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სვანურში 75
1.02.8. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 96
1.02.9. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი თანამედროვე ქართულ დიალექტებში 98
1.02.10. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ძველ ქართულში 103
1.02.11. მესამე არასავალდებულო პირის მორფემა ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში 107
1.02.12. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე მეგრულში 117
1.02.13. არასავალდებულო პირის მორფემათა თავისებურებანი ჭანურში 118
1.02.14. არასავალდებულო პირის მორფემები თანამედროვე სვანურში 118

1.03. პირის მორფემათა დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

ა) შინაგანი რეკონსტრუქცია

1.03.1. პირველი საავალდებულო პირის მორფემა ქართულში 121
1.03.2 მეორე საავალდებულო და მესამე არასავალდებულო პირთა მორფემები ქართულში 121
1.03.3. მესამე საავალდებულო პირის მორფემა ქართულში 141
1.03.4. პირველი საავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში 141
1.03.5. პირველი არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში 142
1.03.6. მეორე არასავალდებულო პირის მორფემა მეგრულ-ჭანურში 142
1.03.7. პირის მორფემები სვანურში 142

ბ) შედარებითი რეკონსტრუქცია

1.03.8. პირველი სავალდებულო პირის მორფემა 155
1.03.9. მეორე სავალდებულო პირის მორფემა 166
1.03.10. მესამე სავალდებულო პირის მორფემა 166
1.03.11. პირველი არასავალდებულო პირის მორფემა 185
1.03.12. მეორე არასავალდებულო პირის მორფემა 185
1.03.13. მესამე არასავალდებულო პირის მორფემა 186

თავი მეორე. რიცხვის კატეგორია ზმნაში

2.01. ოპოზიცია რიცხვის მიხედვით

2.01.1. ოპოზიციის წევრები 189

2.02. რიცხვის მორფემათა სინქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

2.02.1. რიცხვის აღნიშვნა ქართულ ზმნაში 192
2.02.2. რიცხვის აღნიშვნა მეგრულ ზმნაში 192
2.02.3. რიცხვის აღნიშვნა ჭანურ ზმნაში 192
2.02.4. რიცხვის აღნიშვნა სვანურ ზმნაში 192

2.03. რიცხვის მორფემათა დიაქრონიული ანალიზი

2.03.1. პირველ და მეორე სავალდებულო პირთა მრაელობითობის სუფიქსის შესახებ ქართველურ ენებში 200
2.03.2. მესამე სავალდებულო პირის მრაელობითობის სუფიქსთა შესახებ ქართველურ ენებში 206
2.03.3. არასავალდებულო პირთა მრაელობითობის აღნიშვნა ქართველურ ენებში 211

თავი მესამე. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ზმნაში

3.01. ოპოზიცია ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით

3.01.1. ინკლუზივ-ექსკლუზივის რაობა

3.02. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენებში

3.02.1. საკითხის ისტორიიდან 214
3.02.2. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დიაქრონიული ანალიზი სვანურში 112
3.02.3. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ ქართულში . . 230
3.02.4. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შედარებითი ანალიზი ქართველურ ენებში 234

დასკვნა 244
პირობითი ნიშნების განმარტება 245
შემოკლებათა განმარტება 245

247

ОНИАНИ АЛЕКСАНДР ЛАВРЕНТЬЕВИЧ

Вопросы исторической морфологии картвельских языков (категории глагола — лицо, число, инклюзив-эксклюзив)

(на грузинском языке)

ІІБ № 522

რედაქტორი ლ. კვინიკაძე
მხატვრული რედაქტორი ე. ქიშმარაია
ტექრედაქტორი ნ. მგელაძე
უფ. კორექტორი პ. დგებუაძე
კორექტორი ნ. ოდილავაძე
გამომშვები ო. მაკაბარიანი

გადაეცა წარმოებას 23/XII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/X-78 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 15,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,16.
ტირაჟი 2 000 უე 00426 შეკვ. № 1092
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ: № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

1978

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.